

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

5 თებერვალი 2010

№3(107)



ქუდები ცაში  
ირლანდიური აღდგომა  
კატო ჯავახიშვილის იოანე  
რენე კალანდიას ლექსები  
ზურაბ ხასაია აკუტაგავაზე  
შარდენი და ქართული სუფრა  
ნოველა — ევროპული რანგისა  
ემზარ კვიციანიშვილი შოთა რევიშვილზე

## შინაარსი

<b>ერი და გადისწერა</b>	<b>2</b>	<b>ელგუჯა თავბერიძე ქუდაბი ცაში</b> (ნაწყვეტი ბიოგრაფიული რომანიდან)
<b>მსარს-ინტერვიუ</b>	<b>8</b>	<b>ზურაბ კანდელაკი სანთელ-საკმეველი თავეის გზას არ დაკარგავს</b> (მოამზადა ნატა ვარადაძე)
<b>პროზა</b>	<b>9</b>	<b>თამაზ მამალაძე ვიდრე ჩამოჰკარავს ზარი</b>
<b>უსმოთის სხოვრებიდან</b>	<b>12</b>	<b>მართლა პლაგიატია თუ არა?</b>
<b>პროზა</b>	<b>13</b>	<b>შოთა ქურდაძე მოულოდნელი ტრაპეზი ანუ ოთარ ჩხეიძის სადარდაზელ-საღვინეზელი</b>
<b>პოეზია</b>	<b>18</b>	<b>რენე კალანდია პოეტი და ფრინველები და სხვა ლექსები</b>
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	<b>21</b>	<b>კატო ჯავახიშვილი იონა</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>21</b>	<b>ბექა ლონდარიძე კეთილსა სძლია გორგთამა...</b>
<b>გადი კასისა</b>	<b>23</b>	<b>ზურაბ ხასაია აკუთავას ტრაგედია</b>
<b>ანისტიკა</b>	<b>30</b>	<b>როსტომ ჩხეიძე იმ აღდგომის დღის სატკივარი და... ფრანგული მზარა (რაიმონ კენოს ირლანდიური რომანი)</b>
<b>ქინო</b>	<b>32</b>	<b>ნატო კორსანტია ვინ გაყო ასე, გაღმა-გამოდმა</b> (ქართული ფილმი „საზღვრებს ისევ შლის“)
<b>რეპორტაჟი</b>	<b>34</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ნოველა — ევროპული რანგისა</b> (განხილვა ბიოგრაფიული რომანისა შიო არაგვისპირელზე)
<b>რეფორმები, რეფორმები...</b>	<b>38</b>	<b>თორნიკე ჭუმბურიძე ორი სახელმძღვანელო</b>
<b>ევროპის გზაზე</b>	<b>40</b>	<b>ნიკო ჯავახიშვილი ლატვიური დღიური</b>
<b>გამოსაზრება</b>	<b>48</b>	<b>თამაზ ნატროშვილი შარდენ, შარდენ!</b> („სარკო-სარკოს“ ჰანგზე)
<b>დაუნიწყარი სახელები</b>	<b>49</b>	<b>ემზარ კვიციანიშვილი ჩემი უსაყვარლესი ლექტორი</b> (შოთა რევიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო)
<b>იხარდა, მზანა ჯავილო</b>	<b>51</b>	<b>ბელა ჩეკურიშვილი მონტაგუსუ — ზურაბისთავალებიანი</b> <b>სპილენძის ბუ (ზაზა თვარაძის ჯადოსნური საჩუქარი ბავშვებს)</b>
<b>გამოსაზრება</b>	<b>53</b>	<b>ნუგზარ ცარციძე შეხვედრა ოცი წლის შემდეგ</b> (კოტე კაკიტაძის ლექსების გამო)
<b>წარსული მომავლისათვის</b>	<b>54</b>	<b>ჯული გაბოძე დიმიტრი ყიფიანი — ერის დირსების სიმბოლო</b>
<b>დრამატურგია</b>	<b>56</b>	<b>უილიამ ბატლერ იეიტსი კეთლინ ნი ჰოულიჰენი</b>
<b>აინტროდი</b>	<b>60</b>	<b>ზაზა ტატიშვილი ლიპარალი თუ კონსერვატორი</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზიკა</b>	<b>63</b>	<b>ერთი კანი რომანი</b>

**ორკვირული ჟურნალი**

**დამფუძნებელი „ილიონი“**

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 32) 96\_20\_62

E\_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილი საბაზოში "ომეგა ტეგი"  
საქართველო, თბილისი, სარაიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **რიგის ისტორიული უბანი, ნიკო ჯავახიშვილის ფოტოგრაფიული უილიამ ბატლერ იეიტსი**

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 19 თებერვალს**

ელგუჯა თავბერიძე

# ქუდეგი ცაში

ქო, პატონი, სკანი ჭირიმა

გრძელ, თეძოს ქვემოთ დანაოჭებულ ბამბის ხალათში უფრო პატარა ჩანდა. განზე შებნეული წითელი პერანგი ჭიატობდა ხალათს შიგნით. წელზე აბრეშუმის ყვითელი ჯეჯიმი შემოესარტყლა, თავზე გალაქული ლურჯი ცილინდრი დაეკოსებინა. იფიქრებდი, წითელ-ყვითელ-ლურჯი ფერებით ცდილობს ყურადღება მიიქციოს ტანად დაბალმა თადა ამორდიამ, რომელიც კი არ მიდიოდა, მიხტუნაობდა.

ჭაობის შუაში ამოშენებულ ნაპირ-ყორეს მიუყვებოდა. იქით მწვანე ყლარტითა და ოჩოფეხა მცენარეებით დაბურული ღრმა საფლობი იყო, აქეთ ჭენჭყი და გვიმრალი, შუაში — გრძელი, გვერდებზე ხავსმოდებული ქვებით გაკეთებული ბილიკი, ლოდებზე სახტუნაო გზანვრილი. იცოდნენ ზუგდიდელებმა, საითკენაც მიმოქანაობდა, უფრო აჩქარებული, ვიდრე დინჯი ნაბიჯებით მიმავალი. მონასტერს აკითხავდა დილაბნელზე. წირვაზე შეკრებილებს გამოესაუბრებოდა — ქართულს ძაღლების ენად — ჯოდორიმ ნინად — მონათლავდა, მეგრულს მაფშაილის — ბულბულის — გალობად გაასაღებდა — კაცი სხვაა, კოჩი სხვააო — იტყოდა. მღვდელ-დიაკვანს მეგრულად წირვის ჩატარებას მოთხოვდა, ნათარგმნ საღვთო წერილს წაკითხებდა დამყოლსა და დამჯერეს. კერკეტსა და გაუტეხელს კი მეგრულად წირვის ჩატარებაზე მკვახედ ეტყოდა ერთ-ორ წინადადებას და განიბნეოდა მრევლში. იქ მოძებნიდა მსმენელს, ხშირად სულაც გაჭირვებასა და სიდუხჭირვე დაინწყებდა ლაპარაკს, უარესს უნდა ველოდოთ, რამეთუ მშობლიური უარგვიყვია და სხვისით — ქართველთა ენით — ვაგებინებთ ერთმანეთს ტკივილსა და სიხარულსო. გაჭირვებული, ტრაგიკული ადამიანი უმალ მისი მომხრე ხდებოდა, თუმც სამეგრელოში მომხრე არ აკლდა, მაგრამ ყოველ წირვაზე ახლებს იმხრობდა და იმისიანებდა.

დიდი, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალები ჰქონდა. შემოგხედავდა, შემოგანათებდა — სხეული უცივდებოდა დამნახავს, ტანში გამთოშავი ჟრუანტელი ჩაეღვრებოდა, ხელ-ფეხი გაუბლიკდებოდა თადას ხმის ამოღებამდე. დაილაპარაკებდა თუ არა, დაინწყებდა დამნახავის ტან-ფეხი გათბობას, სხეულში მომთენთავი სანეცარო და საამო სითბო ჩაეღვრებოდა. თადა ლაპარაკობდა, მოწუსული მსმენელი ნეტარებდა. თავიდან ბუნდოვნად ახსოვდა, თადას რომ გადაეყარა, მისმა გიზგიზა თვალებმა რომ მოაჯადოვა, მერე წელ-წელა მოდიოდა გონს.

იოსებ ქობალია შეეფეთა გზაზე, ის იქიდან მოასკინკილობდა, ეს პირიქით — აქედან მიდიოდა. არ უყვარდა იოსები, უნიათო კაცად თვლიდა. ხშირად უთქვამს — კაცს სკოლა გავუსხენი და ვერ უპატრონაო. დიდა ნინას შექმ-

\* ნაწყვეტი ბიოგრაფიული რომანიდან თადა ამორდიაზე

ნამდე ცამეტი წლის წინათ, 1887 წელს დარჩელში სამრევლო სკოლაში მეგრულის სწავლება რომ ვერ შემოაღებინა მღვდელს, გაუტეხელი და ჯიუტი რომ გამოდგა სასულიერო პირი, სასწავლო ინსპექტორი ფიოდოროვი იახლა, საერო სკოლა გახსნა და იოსებს ჩააბარა. ამან კიდევ ქართულის მაგიერ მეგრულ ენაზე სწავლების ოთხ მოსურნეს ძლივს მოუყარა თავი. სამრევლო სკოლაში არც შენობა ვარგოდა, მერხები და სახელმძღვანელოებიც არ ჰყოფნიდათ, სწავლის მოსურნეებს ვერ აუდიოდნენ. საეროში, ოთხიდან ორი დისშვილი გახლდათ იოსებ ქობალიასი, რომლებიც იმის გამო, ლუკმაპური არ დაეკარგა ბიძას, დაყაბულდნენ მეგრულად სწავლებას.



ამიტომ არ უყვარდა იოსები, თუმცა შემოფეთებულს მაინც ომანიანად მისცა სალამი, ნალვერდალივით მოგიზგიზე თვალებით თითქოს სულში ჩახედა და გაეცალა.

მიდიოდა — ტოტებს ქვემოთ გადაჭრილი ხის მორივით, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაგორდებოდა, იოსების შეხვედრისას თავი შეიმავრა, შემხვედრს გვერდი აუქცია, ლარივით სწორად გადახტა ქვიდან ქვაზე.

გულით იხანა, მონასტრისაკენ მიმავალი ვინრო ბილიკი რომ აირჩია, მართალია, გზა მოკლე იყო, მაგრამ მასზე იშვიათად დადიოდნენ. ვრცელ შარაზე ერთი-ორი მსმენელი მაინც დაემგზავრებოდა, აქ მხოლოდ იქიდან მომავალი იოსები შეხვდა. თუმცა მონასტრიდან გამოსულს გუნდად აგორებულ ზვავივით მოსდევდა ხოლმე ხალხი, ეწლურტულეობდა მეგრულად დამარწმუნებელი საუბრის დიდოსტატი, შემოკრებილი უსმენდნენ და, დუმილს თანხმობდა თუ ჩავთვლით, ნათქვამს იზიარებდნენ, გაგონილს ეთანხმებოდნენ.

იქნებ აკაკის უტუ კრიმანჭულიაც თადას ნათქვამით ყურდაცქვეტილებში ერია. მგოსანს გადამთიელად მოუნათლავს უტუსთან მოსაუბრე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, თადაც გადამთიელი იყო, უფრო სწორად, მისი ალი, კვალი. ამიტომ მაქსიმალური სიზუსტით გავიხსენოთ აკაკისეული “მეგრელის ნაამბობის” დიალოგი.

— მეგრელი ხარ შენ და ქართველთან არაფერი გაქვს საერთო! — უთხრა თადამ.

უტუს ნათქვამი ეუცხოვა და უპასუხა:

— მისთანას კი ნუ ბრძანებ, რაც სათქმელი არ არის. კერძოდ, მართალია, მეგრელი ვარ, მაგრამ საზოგადოდ ქართველი ტომისა ვარ და დღემდის ჭირიცა და ლხინიც საზიარო გვაქვს.

ისეთი შეუყვირა, კინალამ სული ხორცს გაეყარა და პირიქით.

— დღეის იქით აღარ გაბედო მაგის თქმა, იცოდე, რომ

მეგრელი ხარ და ქართველებთან არაფერი გაქვს საერთო, ისინი სხვანი არიან, შენ — სხვა.

უტუს რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა და მოახსენა:

— ჰო, ბატონო, შენი ჭირიმე.

— ნუ ამბობ ქართულად, მეგრულად თქვი — შეუყვირა ისევ.

— ქო, პატონი, სკანი ჭირიმა.

— მასე არ ჯობია, სულ სხვა სიტყვებია, უფრო კეთილბოვანი, მჟღერი...

ისე გიცხონდეს მამის სული, როგორც მაგას მართალს ამბობდე, დამტვრეული რომ მთელს სჯობდეს და დაღრეკილი სწორს, ვის გაუგონია — გაიფიქრა უტუმ გონებაში და გაეცინა..

— რას იღრიჭები? — შეუბღვრა.

— არაფერს პატონი, — დანაშაულზე წასწრებულებით დაიმორცხვა უტუმ.

— მეგრულისთვის ანბანიც გამოვიგონეთ.

უტუს გაგონილი მართლაც გაუკვირდა და ჰკითხა:

— წ, ჭ, ძ, ყ და ამისთანა ბგერებს, ქართულის გარდა, სხვა ენით რომ ვერ გამოვთქვამთ?

— ქართულ ასოებს კუდს მოვაცლით და მეგრული გახდება.

— კაი დაგემართოს, — თქვა უტუმ. გუნებაში კი გაიფიქრა: ვაი თუ ბოლოს კუდიც მიაკენიტოთ და თავიც მიაყოლოთ.

— ჯერ სად ხარ, საღვთო წერილიც ვთარგმნეთ მეგრულად და მეგრულივე ანბანით უნდა დავბეჭდოთ.

უტუმ ვედარ მოითმინა და ხმამაღლა შეეყვირა:

— აჰ, ეგ არ მოხერხდება, ბატონო, ცხრამეტი საუკუნე ქართულად გვინირავს და გვილოცავს და ახლა მაგის გადაგდება სულ გაურჯულება იქნება, არ გამოვა მეგრულად საღვთო წერილის სიტყვები.

— როგორ არ გამოვა, გამოვიყვანეთ და ეგაა — დაიკვილა და მოელვარე თვალები მიანათა თადა — ლორონთი — ღმერთია, ღვთის ძე — ლორონთის სკუა, ქალწული — უხოდი, მერმე და მერმე — უკუილი და უკუილი, ჰა, თუ ვერ ვთარგმნეთ, რითი ჯობია ქართული... სხვა მეგრული სიტყვებითაც გამოუჭედა ყურები უტუს, რომელსაც კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ აღარ ამოაღებინა თადამ ხმა.

ამ ამბავმა დამაღონაო, უტუმ, თუმცა ეს აკაკის ნუხილს უფრო ჰგავს, უტუს გულში გაელვებულს, — სინამდვილით აფორიაქებული კაცის გულის ნუხილს. არადა, აშორდიამ ანკესი ისროლა, მართალია, უტუ ვერ “მონათლა” მეგრულად, მაგრამ ყველა როდი იყო მისნაირი, ძალიან ბევრს ადვილად იმხრობდა.

ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუნოს და დააღონოს, მე ამ ამბავმა შემანუხაო, — აი, საბოლოო მსჯავრი უტუ კრიმანჭულიასი. თადას აქ არ გაუმართლა, თორემ სხვაგან ადვილად აღწევდა სანადევს. თავშეყრის ადგილებსაც ამიტომ ეტანებოდა, როგორც თევზი წყალში ისე გრძნობდა ხალხმრავლობაში თავს. ორატორობაში განაფული ადვილად ჯაბნიდა ნებისმიერ მოკამათესა და არამისნაირად მოფიქრალს. იტყოდა და ისეთი ტონით, თითქოს დადიანებს დაესვათ ბეჭედი, ურწმუნო სარწმუნო ხდებოდა, საეჭვო — ეჭვმეუფალი.

\*\*\*

საუკუნის 90-იან წლებში ეპისკოპოსმა გრიგოლმა სამღვდლოების კრება მოიწვია, რომელზეც გადაწყვიტეს: მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება შეუძლებელია, მეგრულად საღვთო სიტყვების კი არა, ხშირად “სულ უბრალო და მდაბიო აზრების გამოთქმაც კი მეტად გასაჭირი და მოუხერხებელია”.

ამათ გადაწყვიტეს, მაგრამ რუსი ეგზარქოსი და მისი ლაქია თადა აშორდია სხვანაირად ფიქრობდნენ — თუ ერთმანეთს ამ ენით აგებინებენ, წირვა-ლოცვის დროს ნათქვამ მეგრულ სიტყვებს რატომ ვერ მიხვდებიან?! — კითხვანარევი პასუხით მიუგეს პასუხი გრიგოლ ეპისკოპოსსა და მის მომხრეებს, რომელთაც ეგონათ, თუ ჩვენ ვიტყვი, ადვილად გადავარწმუნებთ მოყვრის ქურქში გახვეულ მტერსა და მათ დამქაშებსაცო.

ბევრს ეცადნენ, მეგრულად წირვა-ლოცვის დაკანონება მეგრელებს გაანაწყენებს, ქრისტიანობა მოისპობა ამ მხარეშიო, — უხსნიდნენ, განუმარტავდნენ. ერთხანობას კიდევ დაყაბულდა უმაღლესი სასულიერო მთავრობა, ისმინა თხოვნა მათი. თუმც ეს დაყაბულება იმას უფრო ნიშნავდა, სახვლიოდ გადადეს დღეს გასაკეთებელი და გულში ამოჭრილი.

თადა აშორდიასაც ეს უნდოდა. გაურკვეველი ერჩივნა გარკვეულს. ბურუსმოცული ვითარების ჟამს მეტ მომხრეს იმხრობდა, ითავისიანებდა.

საუკუნის დასასრულს მეგრული ანბანით მიეგება. სულ მალე მეგრელებიც ჩავირიცხებით ერად სხვა ერთა შორის, გვექნება ენა, დამწერლობა, ავტონომია, დადიანების დროს უკეთ არ ვიყავით?! — ეუბნენ-ეკითხებოდა მსმენელებს. მართალია, ქართველები გვიშლიან ხელს, მაგრამ ისინი ვერაფერს გვიზამდნენ, ჩვენში რომ იყოს ერთობა და ერთსულოვნება, — დაუმატებდა. თუ ვინმე გაბედავდა და შეეკამათებოდა, ქართველთა ლანძღვას დაიწყებდა: ქორთუებს ისიც ვერ გაურკვევიათ, ძველი საუკუნე როდის გასრულდა, ახალი როდის დაიწყო?! მეგრელები მეოცეს ახალი ანბანით შევხვდით — იტყოდა ომახიანად და მომწუნსველ მზერას მიმოატარებდა შეკრებილებში. გუმანით გრძნობდა, ვინ ჭოჭმანობდა, ვინ მონუსხულიყო მისი ნათქვამით, ვინ კიდევ ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა. ჰოდა, გაორჭოფებულებს მიასობდა თვალებს, გაბურღავდა შეხედვით და საოცარია, ისინიც მისიანი ხდებოდნენ.

лавры милтиада не дают ему покой — წერდა პოლ. ლ-ძე აშორდიაზე. ბევრი იხიბლებოდა მისი ნათქვამით, უფრო ბევრი ნაწყენდებოდა, ასეთნიც იყვნენ, ისეთნიც... დათვლა ძნელია, თუმც თადას არსებობა, ბუნებრივია, ასე თუ ისე მაინც მომხრეთა ყოფნასაც გულისხმობდა და მიმოთხარიკობდა ლოდებზე ძვალხომორა, ბეჭებგანიერი, შავთმანვერულვაშიანი თადა აშორდია და ოცნებობდა იმ დღეზე, “დიდა ნინას” რომ აღიარებდა ყველა.

ჭაობში მზის ამოსვლის მერე კრუალები კრუალებდნენ, ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, ბოცომკალები ყრუალებდნენ, კოლო-ბუზები ერთმანეთში ირეოდნენ. დილაბნელზე ებძინათ. თადა მიმოხტოდა და აღვიძებდა. შემკრთალები ბზუოდნენ, კრუალებდნენ, ყრუალებდნენ...

შურთ, თორემ ყველანი ხვდებიან მეგრელთა სიმართლეს, შური გაუვლით, — ფიქრობდა თადა გუნებაში.

მონასტრისაკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა გრძელი ერგენა. მიდიოდა, არ თავდებოდა ქვა-ყორე, ადრე დათვლილიც ჰქონდა, იცოდა, რამდენი ლოდი ჩაენყოთ ქაობზე გზანვრილის გასაყვანად. იმ დღეს არ დაუთვლია და იქნებ ამიტომაც დაუბოლოვებულს ჰგავდა ბილიკი.

შარაზე გამოვიდა. ელდა ეცა. გეგონებოდა, სპირიდონ ნორაკიძე ჩასაფრებიაო. არადა, ისიც იმიტომ შეყოვნებულყო იმ ადგილას, ფიქრობდა — ქალაქისაკენ ფართო და გრძელი თემშარით წასულიყო თუ მოკლეზე მოეჭრა.

გაქცევას აზრი არ ჰქონდა. სპირიდონისხელა ახმახს ვერც გაექცეოდა, ვერც დაემალებოდა სადმე. ადრე, ერთხელ ხალხში აეთესა. იქით-აქით გაძვრა-გამოძვრა და არნივებრ მხედველმა ხორშელი აზნაურის შვილმა ველარსად დაინახა. მეორედ ხალხმა დამალა და დაიფარა, ახლა არც ძეხორციელი და არც მისამალ-მისაკარგი ადგილი ჩანდა სადმე.

სპირიდონს ვერცხლის ქილებით განყობილი, მნიფე შინდისფერი ჩოხა და ნაცრისფერი ახალუხი ეცვა. მუხლს ქვემოთ უძიროებზე შავი ლეკვერთხები მოეჭირებინა, ხელები ქამარ-ხანჯალზე დაეწყო და იდგა ცისკენ მაცქერალი გზის გასაყართან.

თადას გამოჩენამ ისიც შეაკრთო.

ბევრჯერ დაუქადნებია, სადაც შევხვდები, ძვალ-რბილს დავუნაყავო — რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა დასანაყი კაცი, რომლისგანაც მეგრული ანბანის შედგენამ ისე გააცოფა სპირიდონი, რომ ამბის მიმტანსაც დააბარა — მერიდოს, შევხვდები, ცემით ამოვხდი სულს. მაგას თავს არ გაუფტოლებ, დუელში არ გამოვიწვევ, რტყმევით გამოვასალმებ წუთისოფელს და ამით ჩამოვირეცხთ მეგრელები სირცხვილსო.

მის წინ იდგა ცემით მოსაკლავი თადა აშორდია. თუმცა სპირიდონმა უნებურად ისიც გაიფიქრა — ჩხუბს არავინ დაგვიჯერებს, მინდოდა ხალხის თვალწინ მეცემა. თუმც რა გაენყობა, ღმერთს ასე უნებებია, მოქნეული კიდევ ვის მოუზომაგს, მართლა არ შემომაკვდეს ეს უღმერთო და რუსთა დამქაშიო.

აფხაზეთში ვერაფერ უბედავდა ქართულის შებლაღვას. სიტყვა მისი კანონი იყო იქაურთათვის, უჯერებდნენ და ენდობოდნენ. მშობლიურ სამეგრელოში კი ვილაც აშორდიამ მეგრულად წირვა შემოაღებინა ვილაც-ვილაცეებს, როცა სპირიდონი აფხაზებს უბრუნებდა მამა-პაპათა რჯულს.

სადაც შევხვდები, ძვალ-რბილს დავუნაყავო...

თადასაც უფიქრია, ოდესღაც სპირიდონთან შებმა მომინვესო, მაგრამ ყველაზე მეტად ახლა არ უნდოდა მასთან ჩხუბი, ახლა, ქვებზე ხტუნვით დაღლილსა და გამოლაყებულს.

იდგნენ რამდენიმე მეტრის დაცილებით, ერთი — მაღალი, მეორე — დაბალი, ის ამის გალახვის მონადინე, ეს სულაც ამრიდებელი ჩხუბისა. იდგნენ და თითქოს ელოდნენ მესამეს, რომელიც მათ შერკინებას შეესწრებოდა.

არავინ ჩანდა.

გარინდებამ გაიარა. სპირიდონმა სწრაფად შეიხსნა ქამარ-ხანჯალი, ჩოხაც იქვე მიაგდო — არ იშლი ხომ ღალატს, შენი... — შეუძახა... და მიეჭრა თადას, მიეჭრა და გრძელმკლავიანი მუშტი მოუქნია. თადამ ოსტატურად

განია თავი, აიცილა, ახტა და მთელი ძალით გლიჯა ყბაში. სპირიდონი შებარბაცდა, შექანდა, თუმცა წამიერი იყო უკან ბიჯის გადადგმა, მშვილდივით მოილუნა და ისეთი ლენა ყბაში, რომ კაიხელაზე მოადენინა ზღართანი. თადა სწრაფად წამოხტა, ფეხებში სიმყარე ისევ შერჩენოდა და ერთი-ორჯერ ისეთი თხლიშა, რომ ისევ შეაბარბაცა დაქადნებით მოჩხუბარი. ხათქა-ხუთქი გაუდიოდა ხან ერთის ყბას, ხან — მეორისას, მაგრამ ბოლოს სპირიდონმა სძლია: მარჯვენა და მარცხენა თითქმის ერთდროულად გლიჯა და ადგილზე ჩაკეცა, მერე ფეხი ჰკრა, შორს მოისროლა.

უყურა ერთხანს მოქლოშინე და მიწაზე გათხლაშულ თადას და რომ დარწმუნდა, ჩხუბის კი არა, წამოდგომის თავიც აღარ ჰქონდა, მივიდა, თვალეებში ჩახედა — ზიზლი შეამჩნია მუგუზალივით მობრიალე მზერამში აშორდიას ყმანვილს და ისევ მოუქნია ნიხლი — გადაადგო უფრო იქით. თვითონ ახალუხი ჩამოიფერთხა, ჩაჯდა და თავი მუხლისთავეებზე ჩამოდო.

თადამ ერთი-ორჯერ კიდევ სცადა წამოდგომა, წამოინია, დაბარბაცდა და დარეტიანებული დაეგდო მიწაზე.

ეს იყო პირველი ჩხუბი, ახალი საუკუნის დაწყების მერე რომ მოუწია სპირიდონ ნორაკიძეს. სხვები ფელეტონებს თხზავდნენ აშორდიაზე, ახალ წელს როგორ მიულოცავდა საქართველოსო, ერთმა აშორდიამ ყალბი საბუთების, მეორემ ცრუ ანბანის გამოცხობით გაითქვეს სახელიო — წერდნენ. სპირიდონმა მუშტით გაუსწორა ანგარიში. დანაქადნები აუსრულა. გამოაპარებდა დაბეგვილი თადა სპირიდონისაკენ მზერას და გულს უშხამავდა მისი სიმშვიდე და ძალოვნება. დაბეგვილ-დანაყულ სხეულს საერთოდ ვერ გრძნობდა, ის ანამებდა, ასე უცებ რომ სძლია მეგრულად წერა-კითხვისა და ლოცვის შემოღების აშკარა მონინაალმდეგემ.

მონასტრისაკენ მიმავალნი წაანყდნენ იქით-აქეთ დაგდებულ მოჩხუბრებს. სპირიდონმა ხელი გაუქნიათ. წამოდგა, ჩოხა მოიცვა, ქამარ-ხანჯალი მოიგრგო და მშვიდად გააგრძელა გზა.

თადას მხრებში შეეხინდნენ.

— სახლში ნაგიყვანოთ?! — ჰკითხეს ახლობელთა დანახვით მოსულიერებულს.

— ქო, პატონი, სკანი ჭირიმა.

### აზელილი ტალახი ანუ ცაში ნასროლი ქუდიბი

ორი დღე ნაცემ-ნაგვემი, გაუნძრევლად, ტკივილის შეგრძნებანართმეული გაშხლართულიყო საწოლზე და გონებაში ხანდახან მხოლოდ ის თუ გაუკრთებოდა, რატომ ვერ ავიცდინე სპირიდონის მუშტებით... მესამე დღეს მისვდა, მარცხენა ხელ-ფეხის განძრევა უჭირდა. წამონევდა ხელს ან ფეხს, დაეჭიმებოდა კუნთი, დაეტაკებოდა სულის შემხუთველი ტკივილი და გულშელონებული ისევ კუნძივით დადებდა საწოლზე.

ტკიოდა, ოფლში ცურავდა ხელ-ფეხის განძრევისას, მაგრამ მაინც ხშირად ამოდრავებდა. გადატანილი ტკივილი ავიწყდებოდა — ჯიქურ წამონევდა, კვნესა-კვნესით

დაუშვებდა ოფლისაგან დამბალ-დანოტიოებულ სანოლზე.

ერთი კვირის მერე მომჯობინდა. დაბეჭდილობამ გაუარა. ოთახში გავლა თავისუფლად შეეძლო. თუმცა რამდენიმე დღე ეზოში ფეხი მაინც არ ჩაუდგამს, სახლიდან, შიგნიდან ხედავდა გარეთას. იჯდა ფანჯარასთან მობუზული, გალახულს ისევ გალახვისა ეშინოდა. აქაოდა, სახლშიც არ მომიხტეს სერაპიონი, ისევ არ გამიერთიანოს გულმუცელი.

ბუხრის გასანმენდად მოსული მეზობელი სპირიდონს მიახლოვდა და შეკრთა. მალე იცნო, კუჩუ იყო, ორ მეტრამდე სიმაღლის კაცი. ხშირად მეგრულ ოდებში სახურავზე გაუსვლელად, კედელზე მიდგმულ კიბეზე რამდენიმე საფეხურით ამაღლდებოდა და ბუხრის თავს მიმწვდარი იყო. ამიტომ ამ საქმისათვის ყოველთვის მას ეძახდნენ. რა ებუხრებოდათო, ის იყო გაიფიქრა თადამ თავისიანებზე, რომ თავდაღუნულმა კუჩუმაც შემოჰყო თავი ოდაში.

მიესალმნენ, მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი. ნახვის ხალისი არ ეტყობოდათ, უფრო ზრდილობის გულისათვის გაისაუბრეს, თადა გახედავდა კუჩუს, სპირიდონი დაუდგებოდა თვალწინ, იმას კიდევ ეს ვინ-ად წარმოედგინა, არ ვიცით. თუმცა ერთიც, მეორეც უგემურად რომ შეყრილიყვნენ, აშკარად ემჩნეოდათ.

კუჩუ თავის საქმეს შეუდგა. თადამ მამინაცვალ ლევიცკის დახმარებით აგებულ ქვის ოდაში ბუხრის მოპირდაპირე მხარეს გამოჭრილ მეორე სარკმლისკენ გადაინაცვლა. ეს ქექავდა, აქუჩებდა ნაცარს, ზემოდან ჩამოყრილს ადგილს უთავისუფლებდა. ის იჯდა ხმაგაკმენდილი.

კუჩუს ქალაქში ესწავლა მებუხრეობა. კიდევ აშენებდა, კიდევ უვლიდა თავის ამობუხრებულს. ამიტომ გასანმენდადაც მას ეძახდნენ. კერიას მიჩვეულთათვის ბუხარი და მისი მოვლა უცხო იყო აქაურთათვის. თადას გაახსენდა დათიკო ვერმიცანაშვილმა დაუნერა: ცნობილი ლინგვისტი ამორდია აპირებს მეგრულ ენაზე, მეგრული ასოებით გამოსცეს გაზეთი, რომელსაც “ნაყოფი უვიცობისა” ერქმევა... ყოველდღიურად გამოვა მხოლოდ ერთი ცალი, რამეთუ რედაქტორი, გამომცემელი, თანამშრომელი და მკითხველიც თვითონ იქნებაო.

კუჩუს ბუხრები მოემრავლებინა, იუმორი სიმართლედ რომ ვაქციო, ნუთუ ჩემს გაზეთს არავინ წაიკითხავს?! — გა-

უელვა გონებაში. წაიკითხავს, თითქმის მთელი მეგრელობა დაინტერესდება, ოღონდ ჯერ ხალხია შესამზადებელი.

კუჩუ ბუხარს წმენდა. კედლებიდან მჭვარტლსა და მტვერს ფხეკდა, მიმხმარ-მიქვავებულ, დანახშირებულ ადგილებს ასუფთავებდა, ცეცხლის ალისგან გაშავებულ აგურს შეძლებისდაგვარად აგურს ამსგავსებდა. თადა გაზეთზე ფიქრობდა, ოცნებაში იმ წერილებსაც წარმოსახავდა, მეგრული გაზეთი მეგრული შრიფტით რომ უნდა დაემშვენებინა. თუმცა რატომ მეგრული შრიფტი, რუსული აგერ არ იყო?! განა ცოტანი იყვნენ და არიან ისეთი ერები, სხვათა დამწერლობით რომ სარგებლობენ?! ჰოდა, მეგრული დამწერლობის შექმნაზე ფიქრი სულაც არ მიაჩნდა საჭიროდ. პირიქით, რუსულით უფრო ადვილად გავალთ ფონსო — ფიქრობდა. გონებაში წარმოიდგენდა მეგრული გაზეთით გახარებულთა არმიას და გაუბრწყინდებოდა თვალ-გუწება.

ამ ფიქრებში გართულმა გამოალო ოდის კარები. ეზო მოათვალეირა, ალაგეს გადააბიჯა და დაყოვნდა — მოქუფრული ცა უცებ მოინმინდა, მზემ მთელი მცხუნვარებით გამოანათა, ცისკენ აიჭრა ნისლი. გეგონებოდა, ცა დამხოვილად ძირს, ალაგ აკრეფილიყო, ალაგ ჩანისლულიყო, გარძისფერებული ნისლი ჰგავდა ცას და პირუკუ — ზეცაც ჰგავდა მინის ზემოთ აქა-იქ მოლივლივე სითეთრეს.

მოჭრა სითეთრემ თვალი და ცოტა ხნით დაუგმანა სახილველი, იდგა, ხედავდა ვერაფერს, რძისფერში არც თვითონ ჩანდა, არც სხვა რაიმე — უნდოდა ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ ვერაფრის შემხედვება არ იცოდა, სა-

ით წასულიყო. ხედავდა ყველაფერს, რომელსაც იმწამს არაფერი ერქვა. ალაგეს სარზე ჩამოყრდნობილი უყურებდა სითეთრეს, მერე წამიერად ცა ისევ მოიქუფრა, გადაშავდა. ნისლმაც ნაცრისფრად იცვალა ფერი. ნაცრისფერში შავად ჩანდა თადას სილუეტი. ხან მოკამკამდებოდა, ხან მოიქუფრებოდა ცა. დგომა მობეზრდა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა... წავიდოდა, გადაშავდებოდა, მობრუნდებოდა, გადათეთრდებოდა ცა. მიდიოდა სიშავეში, ბრუნდებოდა სითეთრეში. ზელდა ტალახს აქეთაც, იქითაც, უკანდაბრუნებული ნაკვალევს შლიდა, აზელილი ტალახის სილბილეში ფრთხილად აბიჯებდა უძიროებს, ვერც სახლში შესვლა გადაეწყვიტა, ვერც გზის გაგრძელება — ბუქსაობდა ტალახოვანში.



მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

გაახსენდა — სანომ (სტეფანე ჭრელაშვილმა) დანერა — მეგრული ენის დაკანონებას იმერული, კახური, გურული და ასე შემდეგ დიალექტების დაკანონება მოჰყვება — ქართული ენა აიზილება ტალახითო, აზელილ ტალახს შეიძლება სასურველი ფორმა მისცეთ, შეგიძლიათ შამფურზე წამოაგოთ, ტაფაზე დაატყეპოთ, ბუხარში ან გახურებულ თონეში შეაგდოთო. ვის უნახავს შამფურზე წამოგებული ტალახი, ან კიდევ ტაფაზე, თონეში ან ბუხარში რა უნდა ტალახს? — ფიქრობდა. თუმცა ძალიან კარგად იცოდა, მეგრულის დაკანონება ქართულის გახურებულ თონესა და აგიზილებულ ბუხარში შეგდებას რომ ნიშნავდა, მაგრამ ეს ფიქრი ხელს არ აძლევდა — ძლივს სათქმელი მოძებნა და მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ტალახი, ტაფა, თონე, ბუხარი — ებლაუჭებოდა ერთხელ აკვირებულს.

პრალის უნივერსიტეტის პროფესორმა — პოლგაიმ — მალროსიულ ენაზე თარგმნა დაბადება და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა სინოდთან საშუამდგომლოდ, რომ მალროსიის ეკლესია-მონასტრებში სახელმძღვანელოდ შემოეღოთ მისი თარგმნილი. ეს ამბავი რომ გაიგო, ცას ენია სიხარულით — დგება ჟამი მეგრული ენის აღიარების, — ეუბნებოდა მისამხრობად შემოკრებილ ხალხს, მალროსიას ვერ დაუდგებიან წინ, ისინი გაიტანენ თავისას, რაც ჩვენც გავგიკვალავს გზას სიმართლისაკენ.

იხარხარონ მერე ქართველებმა, იძახონ: ამორდია ახტა, დახტაო, ესხაკუა, დესხაკუაო.

საღვთო წერილის მალროსიულად თარგმნა დიდი იმედი იყო, მიუმხრობელთა მისამხრობად, ურწმუნოთა დასარწმუნებლად იმედიც, არგუმენტიც...

იდგა ჭიშკართან და იმ დღეზე ოცნებობდა — მალროსიის ეკლესიებში ძველ სლავიანურად კი არა, მალროსიულად რომ ჩატარდებოდა წირვა-ლოცვა, მერე სამეგრელოში ღვთისმსახურების მეგრულად შემოღება გადავიღებდა, — შემდეგ რაღას მოჩმახავენ ჩვენებური წვეგრძელებიანი — დაიქადნებდა გონებაში.

ცა ხან მოიქუფრებოდა, ხან მოკამკამდებოდა. ვერც წასვლა გადაენწყვიტა, ვერც შინ შებრუნებდა. იდგა ჭიშკართან ვიღაცისა თუ რაღაცის მომლოდინესავით.

კუჩუმ ბუხარი განმინდა. სახურავიდანაც ჩამოუშვა მტვერი და მჭვარტლი, ნაცარიც ბლომად გამოიღო სანაცრიდან და მოგროვილი ალანბულანი ჭიშკრიდან მოშორებით, კბოდეს თავზე დაყარა. ხან ჩანდა მტვრის ბული დაყრის დროს, ხან — არა. მოღრუბლულში თეთრად ილანდებოდა, ნისლში — არაფრისფერად.

ნანილ-ნანილ გამოჰქონდა კუჩუს ბუხრის მტვერი და ნაცარი. გაუვლიდა თადას გვერდს, იქედნურად გამოხედავდა, დაყრიდა და ახლა უკან მიმავალი იმაზე ფიქრობდა, რას გახილულა პატივცემული მასწავლებელი ჭიშკართანო.

კუჩუმ მიდი-მოდოდა — თადა ერთ ადგილას იდგა. მე-ბუხრემ თავის საქმე მოილია თუ არა, ვირიც, ლევიციკიმ რომ მოუთრია კახეთიდან, გამოტყვრა სადღაცოდან. ჰაერში ავარდნილი ნაცრის სუნი უცებ იყნოსა და კბოდესკენ გაქანდა. ნაცრის დანახვით გახარებული ცხენის სისწრაფით მირბოდა. მივიდა თუ არა, უმალ გაგორდა მტვერბულში, გაგორდა, გადმოგორდა, გადაგორდა. აიყოლია

ნაცარი, იქეთ მიფანტა, აქით მოფანტა, მოურნაბისფრო სახედარი ისე ამოინაცრა, მტვრისფერი გახდა. თვალები უბრწყინავდა, ნაცარში შამფურივით ტრიალებდა, გაიგანგლა, გამოიგანგლა. მერე კაი ხელაზე გადაგორდებოდა, იქედან ისევ გადმოგორდებოდა, შევარდებოდა ნაცარში, აანაცრებდა, წინ და უკან, ანუ სანინალმდეგო მხარეს გამოგორდებოდა სიხარულით თვალეხანთებული.

კბოდესთან ახლოს კაიხელა ციცაბო დაფერდებულყო. მიგორდებოდა თადას ვირი იქამდე, გადმოგორდებოდა ვაკეზე. ერთხელაც ვერ მოზომა, აქედან ძალით მიგორებულ მთელი სისწრაფით ჩაქანდა-ჩაიჩხეა ციცაბოს ბოლოში.

თადამ თვალი შეასწრო დაქანებულ ვირს, რომელიც საოცარი სისწრაფით მიგორავდა. ჩაგორებულმა თავი წამოწია, წამოინია, მაგრამ ტანი ველარ აითრია. კისრის მალეები და ხერხემალი დამსხვრეოდა.

გაუძრევლად იწვა ნაცარში ამოგანგლული ვირი.

დიდი თვალეები კიდევ უფრო გაფართოებოდა. ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა, ნაცარში გორიალმა რა დამართა ისეთი, რომ ტანი ველარ აითრია.

იდგა პატრონი ჭიშკართან და სულაც არ ფიქრობდა, რა მოუვიდოდა დაქანებულ ცხოველს. ისევ კუჩუ გავარდა, ყვირილ-ყვირილით გაიქცა ციცაბოსკენ. თადა იდგა გაუძრევლად. ვერ წარმოიდგინა, მეორე დღიდან უვიროდ რომ მოუწევდა სოფელ-სოფელ ხეტიალი და ხალხის დარწმუნება.

ვირს ველარაფერი უშველეს, ველარ მოაბრუნეს სააქაოსკენ ხერხემალგატეხილი, იწვა ციცაბოდან დაქანებულში, არც კვდებოდა, მორჩენისაც არაფერი ეტყობოდა. ბავშვებს თივა მიჰქონდათ. ერთი-ორი დღის მერე პირსაც უხალისოდ ანძრევდა. იწვალა კვირა თუ კვირანახევარი და დალია სული.

დარჩა თადა უვიროდ.

დარჩა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, ფეხით დადიოდა, სხვებს ემგზავრებოდა, ცხენს ნათხოვრობდა, უხსნიდა ხალხს მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღების აუცილებლობას, დიდა ნინა-ს შექმნის სურვილსა და გაბაზახს.

ბევრი უჯერებდა, ბევრი — არა.

ამასობაში სანოს (სტეფანე ჭრელაშვილი) წერილიც გამოქვეყნდა "ივერიაში".

საღვთო წერილის მალროსიულად თარგმნა წმინდა სინოდმა არ შეინყნარა, მალროსიულად კი არა, უბრალო რუსულ ენაზედაც წინააღმდეგნი არიან უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალნი, რამეთუ "საღმრთო წერილი ძველ სლავიანურ ენაზედ არის გადათარგმნილი და ბევრ სიტყვას, უბრალო ენით გამოთქმულს, ეკარგება ის სასოება, რომლითაც მას ისმენს ხალხი საეკლესიო ენაზედაო".

მალროსიას უთხრეს უარი, მეგრულად წირვის დაყენებისა და საღვთო წერილის გამეგრულებაზე ოცნებაც ზედმეტია, — ეუბნებოდნენ საქადაგოდ მისულ თადას მიუმხრობელნი. მერე ამასაც არ აკმარებდნენ, საღვთო სიტყვებს ჩაუმეგრულებდნენ, ატეხდნენ სიცილ-ხარხარს. თადა ითმენდა. კარგად იცოდა, მალროსია რუსეთს დიდად რომ არ აინტერესებდა, ათა-ბაბადან მისი რომ იყო, გასარუსებელ საქართველოს დასაჩოქებელ-დასამონებლად კი მეგრულად საღმრთო წერილის თარგმნა,

მეგრულის ცალკე ენად მიჩნევა ძალიან ადვილი იქნებოდა. ქართველებს მთავარი ძარღვი გაუშემდებოდათ, და უჩლუნგდებოდათ. მალეორსიულად თარგმნა არასწორად მიიჩნიეს, გამეგრულებაზე არც უნდა ეფიქრათ, მაგრამ ამ ფიქრსა და სურვილს თვით რუსი მღვდელმსახურნი ედგნენ სათავეში, ისინი აქეზებდნენ, აგულიანებდნენ.

ოცმილიონიან მალეორსიელს თავიანთ ენაზე საღმრთო წერილი არ სჭირდებოდა, რამდენიმე ათას მეგრულს — კი.

სანოს ზუსტად ამოეცნო თადასა და მის მომხრეთა გაზარახი:

“როდესაც ქართულის გაპროვინციელებამ ვერ გაიტანა თავი, უცებ გაისმა ქადაგება მეგრული ენის განცალკავებისა და სამშობლო ენიდამ განშორებისა. რის საქართველო, სადაური საქართველო, როდესაც სამეგრელო უნდა იყოს სამეგრელოსათვის და არა საქართველოსთვის”.

აშორდია მიხვდა, რასაც ნიშნავდა მალეორსიელთათვის მათ ენაზე “დაბადების” თარგმნაზე უარის პერტყვა. ამიტომ მეორე გზა აირჩია თუ აარჩევინეს: მეგრული ენის განცალკევებაზე, სკოლებში ქართულის ნაცვლად მეგრულად სწავლებაზე დაუწყო ხალხს ლაპარაკი.

ამან უფრო გაჭრა, უფრო მეტი მომხრე შესძინა. ეკლესიას ხალხი მაინც კრძალვითა და რიდიტ ეპყრობოდა, შიშის ჰქონდათ ღვთისა. ამიტომ მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღებაზე უფრო მეგრულ ენაზე სწავლება მოეწონათ. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ბევრმა ქართული არ იცოდა და თუ ერთი ენის სწავლებას აიცილებდა, ერჩივნა, ფიქრობდა, მეგრულის საფუძველზე ვისწავლით რუსულს და ზედმეტ წვალებას გადავრჩებითო.

“დედამინის ზურგზე არ არის არცერთი ეროვნება, რომელსაც ჰქონდეს ერთი გადაჭრილი ენა და ერთადერთი კილო” — უხსნიდა სტეფანე ჭრელაშვილი “ივერიის” მკითხველებს.

მარტო ლონდონში ინგლისურ ენას სამასი კილო აქვსო.

რუსეთში რიაზანი სხვა კილოზე ლაპარაკობს, მოსკოვი — სხვაზე, პეტერბურგი და ნიჟნი-ნოვგოროდი — სხვაზე, სხვები კიდე განსხვავებულზეო.

და არავის არ მოსდის აზრად, ლონდონის კილოები სამას განსხვავებულ ენად მიიჩნიოს, ვორონეჟისა, მოსკოვისა და კიდე სხვათა და სხვათა ახალ ენებად...

დააქუცმაცეთ რუსული ენა ამ ქალაქების ენად და მშვიდობით რუსულო, აღარც სასაუბრო ენა შეგვრჩება ხელთ, აღარც სალიტერატურო.

მართლაც და, აშორდიას პატრიოტობა გადამდები რომ გამხდარიყო, იმერლებს, გურულებს, კახელებს და ა. შ. მიეპაძათ, მერე გუბერნიიდან მაზრებზე გადასულიყო, მაზრებიდან დაბებზე, დაბებიდან სოფლებზე, სოფლებიდან ქუჩებზე, ქუჩებიდან გვარებზე, გვარებიდან მეზობლებზე, რას მივიღებდით?! რას და, ორი მეზობელი ერთ ენაზე

ისაუბრებდა, მომდევნო — ორი სხვაზე და ასე დაუსრულებლად.

მთლად ასე დაცალკეება არა, მაგრამ ერთიანი ქართული ცნობიერების გასახლეჩად მეგრულის დამოუკიდებელ ენად მიჩნევა დამპყრობლისათვის იყო უკეთესი.

კითხულობდა თადა სტეფანე ჭრელაშვილის წერილს და გული უწუხდებოდა. ყველაფერს მიმხვდარიყო “ივერიის” პუბლიცისტი, აშორდიასა და მისთა მსგავსთა ყველა მზაკვრული ჩანაფიქრი ამოეცნო. ისიც არ დაეინყებოდა 1893 წელს ქართველებს ძალები, ქართულს კიდე ძალების ენა რომ უწოდეს.

“ივერიის” წინა ნომერში სენ-სიმონი წერდა:

“როდესაც ერთმა ძალები გვინოდა ქართველებს და ჩვენს ენას ძალების ენა, პირველად მეგრელებმა იყვირეს ამის წინააღმდეგ, პირველად იმათ ისროლეს ქუდები ცაში”.

ქუდების სროლა კმაროდა?! — კითხულობდა სტეფანე ჭრელაშვილი. უფრო დაწვრილებით რად არ აგვინერე, სენ-სიმონო, ეგ ამბავიო.

და მაინც, ვინ უნდა ყოფილიყო ამის მთქმელი, ქართველთა ასეთი მოძულე და მძაგებელი?!

სომეხი არ იზამდა, რადგან სომეხმა კარგად იცის, რომ მისი ენა ანგარიშის ენაა, ქართული კიდე სიყვარულისო. თათარი ისე არასდროს დაცემულა, გულადი მეზობლის პატივისცემა დაეინყებოდა.

ქართველი ქართველსა და ქართულს როგორ შებლაღავდაო?!

რჩებოდა რუსი:

“ეგ უნდა იყოს ველური წარმომადგენელი იმ ხალხისა, რომელმაც დღემდე არ იცის რა არის კულტურა, ხეს ასხია იგი თუ მინაზედ მოდის”.

იქნებ მოხელემ, მხედარმა, ან თუნდაც ვინმე წვერცამეტამ მოგვაყენა ეს შეურაცხყოფაო, თუ ასე იყო, ვირზე უკუღმა რად არ შესვეს, ხელში კუდი არ დააჭერინეს და სოფელ-სოფელ არ ჩამოატარესო — კითხვებს კითხვებზე ახვავებდა.

ენა, რომელზეც წერდა რუსთაველი, ლაპარაკობდნენ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, შეურაცხვეს და ცაში ქუდების სროლით დავკმაყოფილდით?!

თადას ტანში ჟრუანტელი უვლიდა. უცებ წარმოიდგინა: რომ დამიჭირონ, ვირზე უკუღმა შემსვან, ხელში კუდი დამაჭერინონ და სოფელ-ქალაქ მატარონ, რა უნდა ვქნა?!

კიდე კარგი, მამინაცვლის დანატოვარმა უწყინარმა ცხოველმა ფეხები რომ გაფშკა, თორემ შორს ნასვლაც არ დაჭირდებოდათ, ნაცარში ამოგანგულ ჩემსავე ვირზე შემსვამდნენ.

იდგა ჭიშკართან, ცა მოკამკამებულიყო.

კურჩუ და მეზობლები ვირს ატრიალებდნენ ნაღმა-უკუღმა..

ვირზე უკუღმა შემჯდარი საკუთარი თავი და ცაში ნასროლი ქუდები კარგა ხანს ელანდებოდა.

ორშაბათს, 8 თებერვალს  
ლიტერატურულ არტ კაფე  
„ქარავანში“  
გაიმართება შეხვედრა  
პოეტ  
დიანა ანფიმიადისტან  
დასაწყისი 19 საათზე  
ფურცელადის 10



ზურაბ კანდელაკი

# სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა უძლური ხარ წინაღუდგე უტიფრებსა და ზეალზევებულ იდიოტებს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— რა თქმა უნდა, თბილისში. ადრე ვოცნებობდი სიბერეში სოხუმში ცხოვრებაზე.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ყველა შენი ახლობელი ადამიანის კარგად ყოფნა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?

— თარაშ ემხვარი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— გიორგი ჭყონდიდელი, ამბროსი ხელაია.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იმ მხატვრებიდან რომელთა ორიგინალები მაქვს ნანახი – რემბრანტი, ვან გოგი, კლანინი, რაუშენბერგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, შოპენი, ჩაიკოვსკი, ვერდი, პუჩინი. ქართველებიდან — ზაქარია ფალიაშვილი და რევაზ ლალიძე.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ინტელექტს, პრინციპულობას და სამართლიანობას.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— განათლებას და მომხიბლაობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?

— სიკეთე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა, სპორტული რეპორტაჟების ყურება, განსაკუთრებით ფეხბურთის.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— ასეთები მრავალია, მაგრამ მაინც საკუთარი თავი, ოლონდ ხასიათის გარკვეული კორექტირებით.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ემოციურობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ურთიერთგაგებას და თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე, თავშეუკავებლობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— იგივე, რაც მიმანია უმაღლეს ბედნიერებად - როცა შენს ირგვლივ ყველა კარგადაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ამაზე ფიქრიც კი არ მინდა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— იმაზე უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— შინდისფერი, იასამნისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გამორჩეულად არცერთი, ისე ალბათ იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— თოლია (ჩეხოვის გავლენით).

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— უილიამ შექსპირი, ლევ ტოლსტოი, თომას მანი, უილიამ ფოლკნერი, ოთარ ჩხეიძე, ოთარ ჭილაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— აკაკი, გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?

— ნატაშა როსტოვა, მადამ შოშა, ალაზა, კედი.

— საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?

— ვერ ვიტან კერპთაყვანისმცებლობას.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქალი, რომელსაც მიეძღვნა „ვეფხისტყაოსანი“.

— საყვარელი სახელი?

— კონსტანტინე, თამარი, ირინა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უტიფრობას, დილეტანტიზმს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— კალიგულა და ყველა ჯურის ტირანები, მათ შორის ისინიც, ვის სისასტიკესაც ისტორიკოსები მაღალი მიზნებისათვის ბრძოლით ამართლებენ. გამორჩეულად კი, ოცინი ნლების ქართველი ბოლშევიკები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— არცერთი. კაცთა კვლა ჩემში ალტაცებას არ იწვევს.

— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ადამიანთა უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მიღება 1948 წელს.

— ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— მშვიდი, შიშის გარეშე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული და დაეჭვებული, როგორც ყოველთვის.

— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?

— ადამიანი შემწყნარებელი უნდა იყოს, თუმცა ეს უნარი ყველას არ გააჩნია, მათ შორის მეც.

— თქვენი ღვიზი?

— ვიყო შეძლებისდაგვარად სამართლიანი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— არ დაეჭვდე, სანთელ-საკმეველი თავის გზას არასოდეს არ დაკარგავს.



სიუჟეტი როგორც შიმშილის გრძობა თანამედროვე ლიტერატურაში.  
უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, პროზა განიცდის ამ შიმშილს. არის თემები, არის მოტივები, აღარ არის ფაბულა, აღარ არის სიუჟეტი.

ფაბულას ვერ მოიგონებ, ის უნდა მოვიდეს. ვისთან? — დიდთან, პატარასთან, ნაცნობთან, უცნობთან? თუ არ ვცდებით, აქ ნესი და კანონი არ არსებობს. მივა იქ, სადაც შემთხვევა მიიყვანს. ამჯერად თამაზ მამალაძეს გაუმართლა...

მართლაც ორიგინალური სიუჟეტი, რომელიც, მართალია, ბალზაკის „პოლკოვნიკ შაბერს“ მოგვაგონებს, მაგრამ მაინც არის ამ მოთხრობაში რაღაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. უთუოდ იკითხება მასში თანამედროვე ქართული ყოფის მეტაფორა — აქ ვართ, მაგრამ აქ არა ვართ.

სხვათა შორის, ამ მეტაფორის ეგზისტენციური ანალოგია ავტორის ცხოვრებაშიც ხდება. თამაზ მამალაძე ამჟამად კანადაში ცხოვრობს, თუმცა სულითა და გულით აქ არის, სამშობლოში.

თამაზ მამალაძე

# ვიღრა ჩამოჰკრავს ზარი

ბანკში პენსიის ასაღებად მისულ ალექსანდრე იმედაძეს შემაშფოთებელი უსამართლობა დაახვედრეს, თქვენზე მხოლოდ ნახევარი თვისაა გამოწერილი. მოლარემ შეშინებული თვალებით ამოხედა, მერე კომპიუტერის ეკრანს მიაშტერდა, საპენსიო წიგნაკში სურათს დააკვირდა და გაუმეორა:

– პენსია შეგინყდათ.

– რატომ? – გაიკვირვა ალექსანდრე იმედაძემ, – არ ვიმსახურებ?

– თქვენ გარდაიცვალეთ.

ღიმილი შეაკვდა ალექსანდრე იმედაძეს დაჩაბნეულ სახეზე. მოლარემ ინანა, რა გაუფრთხილებლად მივახალეო და ვითომ გამოასწორა, – აქ გარკვევითაა ჩანერილი: ალექსანდრე იმედაძეს შეუწყდეს პენსია გარდაცვალების გამო, – ისევ ჩაიკითხა კომპიუტერის ეკრანზე, – ერთი თვის წინ მომკვდარხართ.

– აბა, მე ვინ ვარ? – ალექსანდრე იმედაძემ სცადა დაკარგული წონასწორობის აღდგენა.

– თქვენ კი ხართ ცოცხალი, მაგრამ ალექსანდრე იმედაძე გარდაცვლილა, – საბუთად კომპიუტერში ჩატვირთული ინფორმაცია მოიშველია მოლარემ, ჩვენთვის ესაა კანონი, რაც ჩამოკომპიუტერეს, ის ამოვაკომპიუტერეო.

– ვინ გამიმეტა? – ალექსანდრე იმედაძე მიხვდა, რომ საფრთხის წინაშე იდგა არა მხოლოდ მისი პენსია, არამედ სიცოცხლეც და სასწრაფოდ დაინტერესდა საკუთარი მკვლელის ვინაობით.

– ეგ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ეცოდინებათ, – მიუმისამართა მოლარემ, მე უძლური ვარ, რასაც მიბრძანებენ კომპიუტერის საშუალებით, იმას ვასრულებ.

– ასეთი გაუგებრობა გაგონილა? – რიგში მდგომ პენსიონერებს მიუბრუნდა ალექსანდრე იმედაძე, – ცოცხალ კაცს მკლავენ.

– იქნებ მართლა მოკვდი და არ იცი, შინაურები გიმალავენ, – ყბა უკანკალებდა მიტკალივით გაფითრებულ ქალბატონს.

– მკვდარს ვგავარ მე? – თვალები დაყვლიპა ალექსანდრე იმედაძემ.

– ცოცხალი ხარ, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება.

– იმედს ნუ დაკარგავ, – გაამხნევეს პენსიონერებმა, – თუ ვერაფერს გახდი, საპროტესტო მიტინგი მოვანყოთ პარლამენტთან, ვიშიმშილოთ კიდეც.

ალექსანდრე იმედაძე დამნუხრებული გამოვიდა ბანკიდან, „რა უდროოდ გამინახვერეს პენსია, – ფიქრობდა, – როგორ მჭირდებოდა. სინათლის დანახარჯს კი გადავიხდი, მაგრამ გაზისთვის აღარ მრჩება, ერთი თვით მაინც გადაედოთ ჩემი გარდაცვალება, იქნებ, მეტი არც მეცოცხლა, გამწირეს ოხრებმა“.

ბანკის მოპირდაპირე მხარეს ჯანდაცვის სამინისტრო იყო. „შევივლი, დავენახვები, შეცდომას რაღაც მაუსით თუ თავუნიათი წამში გაასწორებენ და დღეს თუ ვერ მოვასწარი, ხვალ უსათუოდ ავიღებ მეორე ნახევარსაც“. აჩქარდა ალექსანდრე იმედაძე. კარებში კარისკაცი თუ დაცვისკაცი დახვდა. ვისთან მიდიხარო? საპენსიო დეპარტამენტმა პენსია შემიჩერა და უნდა გავარკვიო, რა მიზეზითო. წერილობით მიმართე და პასუხი სახლში მოგივო, – ფეხებზე დაიკიდა კარისკაცმა თუ დაცვისკაცმა. სანამ მაგათ პასუხს მივიღებ, ცოცხალი აღარც ვიქნებიო, – თავი შეაცოდა ალექსანდრე იმედაძემ. პასუხს ზოგჯერ ერთი წელიც აგვიანდება, დაეთანხმა კარისკაცი თუ დაცვისკაცი და გაატარა.

– მობრძანდით, – ხელი დაუქნია ჩასუქებულმა ახალგაზრდამ, რომელიც ტელეფონით თუ კომპიუტერით თუ ორივეთი ერთდროულად საუბრობდა. ალექსანდრე იმედაძე კაბინეტში შევიდა, და იქვე, კართან დადგა, ნახევარი საათის შემდეგ სკამი გათავისუფლდა და ჩამოჯდა. მალე ჩასთვლიმა. ბუნდოვნად ესმოდა ჩინოვნიკის ღლაბუცი, უეცრად შეტოკდა და თვალები გაახილა.

– დასაძინებლად მოხვედი? – უკვე მერამდენედ უმეორებდა კაბინეტის პატრონი.

– პენსიისთვის მოვედი, – გამოფხიზლდა ალექსანდრე იმედაძე და მოუბოდიშა, წინასწარი განზრახვის გარეშე ჩამეძინა, ძალიან ვნერვიულობო.

– მე პენსიას არ ვუნისხავ მოქალაქეებს, – ამისთვის რაიონულ განყოფილებას მიმართე.

– პენსია მქონდა, მაგრამ შემინყვიტეს.

– რატომ?

– მკვდარი ვგონივარ, – ალექსანდრე იმედაძემ მხრები აიჩჩინა, – არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში ეს ვერაგობა.

საპენსიო დეპარტამენტის ჩასუქებულმა ინსპექტორმა კომპიუტერის კლავიშები აანკინკა, რა გვარი ბრძანდებით? როდის დაიბადეო? სად ცხოვრობო? მამის სახე-

ლიო და ყველა მონაცემი ჩააკომპიუტერა და დადუმდა.

– მართალი უთქვამთ, – ხმა ამოიღო ინსპექტორმა, – ზუსტად ერთი თვის წინ, თხუთმეტ რიცხვში გარდაცვლილხარ და ამიტომ გამოგინერეს ნახევარი თვის პენსია, არც მეტი და არც ნაკლები. რას ერჩი? თუმცა... – წამოდგა, ალექსანდრე იმედაძეს მიუახლოვდა, შემოუარა, ფანჯარასთანაც მივიდა, ეზოშიც გადაიხედა, მერე თავის სავარძელში ჩაესვენა და კომპიუტერის... ეკრანს მიაჩერდა, ასეთი ცდომილება თუ უზუსტობა რისი ბრალია?

– მკვდარი რომ ვიყო, ვილაპარაკებდი?

– იქნებ ის სხვა იმედაძეა.

– თუ ის სხვაა და მე სხვა, მე რატომ გამინახევრეს პენსია? – არ დაიბნა ალექსანდრე იმედაძე.

– შეეძლოთ ეგეც არ მოეცათ, რადგან... მთავარია, ცოცხალი ხარ, – დაამშვიდა ინსპექტორმა.

– მთავარი პენსიაა, – არ დაეთანხმა ალექსანდრე იმედაძე, – სიცოცხლე ამისთვის მიხარია.

– პენსია არაა მთავარი, – ისევ წამოდგა ინსპექტორი და მელოტი თავი მოიფხანა, – აქ უფრო რთულად არის საქმე.

– მეტი სირთულე რაღაა, ცოცხლად დამმარხეს.

– რატომ ჰგონიათ, რომ გარდაიცვალე? არ გიფიქრია ამაზე? იქნებ, პოლიტიკური შეკვეთა ან სტრატეგიული მიზანი. მორალური ზემოქმედება ან უბრალოდ, შოუ, გითვალთვალებენ რას მოიმოქმედებსო? – ფრთხილობდა საპენსიო დეპარტამენტის ინსპექტორი, – იქნებ ვირუსი შეეყარა კომპიუტერს.

– სად ვიპოვო დამნაშავე? – მოტყდა ალექსანდრე იმედაძე.

– ალბათ, სასაფლაოზე, – იქიდან უნდა დაიწყო ძიება.

„მუხათგვერდში ხვალ წავალ, – სახლისკენ გაუყვია ალექსანდრე იმედაძე, – დღეს საკმაო ენერჯია დავხარჯე, მაგრამ კარგი საქმეც გავაკეთე, კვალს დავადექი. ძალას მოვიკრებ და უფრო რიხიანად შევუტევე საკუთარი სიცოცხლის დასამტკიცებლად“. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, თეთრად გაათენა, გამთენიისას ჩაეძინა და ისევ წამოფრინდა მამალივით, სასაფლაოზე არ დავაგვიანო.

– ალექსანდრე იმედაძე თუ დაკრძალეთ ცოტა ხნის წინ უპატრონოთა სასაფლაოზე? – მორიდებით ჰკითხა სასაფლაოს დირექტორს.

– კვირაში რამდენიმე უპატრონო მიცვალებულს ვასაფლავეთ და ყველა არ მამახსოვრდება, – დირექტორმა გრძელი საკანცელარიო რვეულის ბოლოდან დაიწყო კითხვა, თუ ახალია, უცბად ვიპოვნი, – ჯვარსაც ვარჭობთ თავსთუმალთან ქრისტიანულად და ადვილი მისაგნებია, პატრონი თუ გამოუჩნდა...

– ვიპოვე, – სასაფლაოს დირექტორმა მიაგნო, რასაც ეძებდა და გარკვევით დამარცვლა, – ალექსანდრე იმედაძე. – მამის სახელი?

– ისიდორეს-ძე, – თავი არ აუწევია სასაფლაოს დირექტორს.

– დაბადების თარიღი? – სუნთქვა შეეკრა ალექსანდრე იმედაძეს.

– 1935 წლის 23 ივნისი.

– სურათი ხომ არ გაქვთ? – ბოლო მონაცემს ხავსივით ჩაეჭიდა, იქნებ, გარეგნობით განსხვავებულია, მელოტია,

ლურჯთვალეებაა, ჩასუქებული თუ ჩალაბაბებული.

– სურათი არ მოჰყოლია, თორემ ბიუსტს დავუდგამდი, – იოხუნჯა სასაფლაოს დირექტორმა და ქალაქის ნაგლეჯზე რაღაც დაწერა, – სამასორმოცდახუთი ნომერია.

– სერია?

– სერია არა აქვს, მარტო ნომერია. ჯვარია ჩარჭობილი და ზედ აწერია, რომ არ დაიკარგოს, – თთახიდან გავიდა და ზემოთ, აღმართისაკენ გაიშვირა ხელი, – უპატრონო მკვდრები ბოლოშია და იქ მიაგნებთ ალექსანდრე იმედაძეს.

– მეც ალექსანდრე იმედაძე ვარ.

– აბა, ის ვინაა?

– ისიც ალექსანდრე იმედაძეა, მაგრამ... – თავი შეიკავა, არ მჯერა, ასეთი დამთხვევა ამ პატარა ქვეყანაში საკვირველია, რუსეთში ხომ არ ვცხოვრობთ. იქნებ, ერთი ასო დააკლეს ან მიუმატეს, იმედიძე იყო და იმედაძე გახდა ან სხვა სახელით გაჩნდა და მიცვალებული ალექსანდრედ მონათლეს, დაბადების თარიღი უსათუოდ სხვა იქნება, ერთ დღეში ორი ალექსანდრე ისიდორეს-ძე იმედაძის გაჩენა ნამეტანიაო. მომჩვარულ უკანალზე იჩქმიტა, მაგრამ ტკივილის სიგნალი არ გადაეცა ტვინს, ან ერთი გაითიშა ან მეორე ან ორივე ერთად.

– სხვისი გვარით გარდაიცვალა? – ბრალდება გაუჩნდა სასაფლაოს დირექტორს.

– სავარაუდოა.

– რატომ? რამ აიძულა? – ჩაფიქრდა სასაფლაოს დირექტორი, – საკუთარი გვარით ვერ მოკვდებოდა? საკუთარი გვარით სიკვდილი ესირცხვილებოდა? ვინმეს უმაღლადა საკუთარ გარდაცვალებას თუ არ მიიღებდა უფალი და უპატრონოთა სასაფლაო? – რა საამაყო გვარი ეგაა, ამ ქვეყანაში ასეთი უსაფუძვლო ოპტიმისტური გვარით ცხოვრება ქარაფშუტობაა, ბატონო იმედაძე, რისი იმედი გაქვთო, კინალამ ჰკითხა, – იქნებ, თქვენ მაგივრად მოკვდა, – თქვენს კუბოში გაინვართა და თქვენს საფლავში ჩაინვართა, თავი შემოგწირათ.

– ჩემი საფლავი თუ შეავსო, მე სადღა ჩავწევ? – დაუმარხავი თუ დაუსაფლავებელი ანუ დაუკრძალავი არ დამტკვონ.

– მაგაზე ჩვენ ვიზრუნებთ, მაგრამ მასაც ხომ ეკუთვნოდა სამარე თუ სამარხი, – შენში რატომ მიძვრებოდაო.

ალექსანდრე იმედაძე აღმართს აჰყვია. როგორ გაზრდილა მუხათგვერდის სასაფლაო, საცაა თბილისს შეუერთდება.

შემოლობილი, მოპირკეთებული, ჩამარმარილოებული აკლდამები დასრულდა და მოტიტვლებულ ადგილზე ერთნაირი რკინის შავი ჯვრები მომრავლდა. ალექსანდრე იმედაძე ნომრებს აკვირდებოდა. გზასთან ახლოს ძველი საფლავების ბორცვები ჩავარდნილიყო და კუბო შეეცსოთ, მინა შეუსუნთქიათო. ამოზურცული საფლავებისკენ წავიდა, იქ იქნებო. ადვილად მიაგნო და გარკვევით ამოიკითხა სამასორმოცდახუთი.

– რას მერჩოდი, ბიჭო? – უსაყვედურა სეხნიას, – რაღა ჩემი სახელი და გვარი აირჩიე სასიკვდილოდ და ნაადრევად წამართვი ცეროდენა პენსია? – მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და ისევ სასაფლაოს დირექტორს მიაკითხა, – როგორ დავამტკიცო, რომ მე ის არ ვარ? – ამას ეცოდინებო.

– ეს თქვენს მარიფათზეა დამოკიდებული, მაგრამ ნუ

შეცდებით, თუ უნდათ არ დაგიჯერებენ.

– გქონიათ ასეთი შემთხვევა? – სხვის გამოცდილებას გამოვიყენებო, – გაფიქრა.

– უარესებიც ხდება, – საჭიროაოდ განენყო სასაფლაოს დირექტორი, მოხსნას მიპირებენ, რალა დროს შენი დირექტორობააო და რაც მინახია თუ გამიგია ყველაფერს დავამღერებ ამათ გამოსააშკარავებლად თუ შესარცხვე-ნადო, – შეიძლება გაგიკვირდეს კიდეც.

– მაინც? – ყურები ცქციტა ალექსანდრე იმედაძემ, უარესი რაღააო.

– ესენი, – სამასსამოცი გრადუსით შემობრუნდა, ყველა მიცვალებულს ვგულისხმობო, – უკლებლივ მონაწილეობენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში, ხელისუფლების სასარგებლოდ, – ალექსანდრე იმედაძეს პირი ღიად დარჩა, ეს რა მესმისო? – ამაზე უკეთესი შემთხვევა გაგიგია? – რაც მეტი მოკვდება, მით მეტი მხარდამჭერი ეყოლება, მკვდრებსაც კი სათავისოდ იყენებდა და იყენებს ჩვენი ყველა მთავრობა და ეს არ შეწყდება, დიდხანს გაგრძელდება, საუბედუროდ, ამათი რიცხვი დღითიდღე იზრდება, ჩვენი კი კლებულობს.

– მეც ამათში ვითვლები, ერთი თვეა.

– იქ უფრო საჭირო ხარ, ვიდრე აქ.

– დამამცირებელია, როცა სულ-გულით ცოცხალი, მკვდარი ჰგონიხართ და ცეროდენა პენსიასაც გართმევენ, დროა დაემშვიდობო, – სევდიანად თქვა ალექსანდრე იმედაძემ, – განსაცდელში ჩავვარდი თუ აღმოვჩნდი.

– სამაგიეროდ, უფალი მოგიახლოვდა უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, ეს დიდი მადლია.

– როგორ მოვიქცე? გამოსავალი ვერ მიპოვნია, – საცოდავად მოიკუნტა ალექსანდრე იმედაძე.

ბევრი იფიქრა და რესპუბლიკურ საავადმყოფოს მიაშურა, მიმღებში თუ მისაღებში დაუდასტურეს, რომ მიცვალებული ალექსანდრე იმედაძე შემთხვევით იპოვნეს ქუჩაში, მაშინვე გადმოიყვანეს თუ გადმოიტანეს საავადმყოფოში და ორი კვირა იმყოფებოდა მორგში, სახელმწიფოს ხარჯზე დააბალზამეს და რადგან ჭირისუფალი არ გამოუჩნდა, ჩვენ ვუჭირისუფლეთ, გადავავზავნეთ მუხათგვერდში, მაგათი კოლონია იქ არისო.

– გული აღარ უძგერდა, მხოლოდ სპირტით გაჟღენთილი გონება ბუჭტავდა და ვერ გადავარჩინეთ, დაგვე-

ლუბა, – მორიგე ექიმმა საანკეტო ჩანაწერი ჩათვალაიერა და თანაგრძნობით გამოუწოდა ხელი, – თქვენი ახლობელია?


– იქნებ ახლობელიცაა, მაგრამ არ ვიცნობდი, – გამოუტყდა ალექსანდრე იმედაძე და საკუთარი წუხილის თუ მწუხარების მიზეზი გაუმხილა, – მეც ალექსანდრე იმედაძე ვარ და მებრალეებენ მკვდარი ხარო.

– აღბათ, აწყობთ თქვენი სიკვდილი.

– შეატყობინე იმათ, რომ ორი ალექსანდრე იმედაძე ცხოვრობდა თბილისში, – სთხოვა მორიგე ექიმს, – ერთი მოკვდა, მეორე კი ცოცხალია.

– იქნებ, მესამე ალექსანდრე იმედაძეც გამოხტეს მოულოდნელად, – წინასწარ გაითვალისწინა მორიგე ექიმმა, – მერე რა ვქნათ? რითი გავამართლოთ საკუთარი დაუდევრობა?

– ჯერ მხოლოდ ორნი ვართ, ნუ გავართულებთ ისედაც დახლართულ თუ ჩახლართულ გაუგებრობას, აცნობეთ საპენსიო დეპარტამენტს, რომ ცოცხალი ვარ, – გახალისდა ალექსანდრე იმედაძე, – საცაა ჩემი სიცოცხლის დამადასტურებელ ცნობას ჩავიგდებ და იმ



მხატვარი მარიამ ქუქჩიშვილი

მამაძალ ჩინოვნიკებს დედას ვუტირებ.

– აინტერესებთ?

– რალა თქმა უნდა.

– მოგვენრონ და ვუპასუხებთ, – შეფიშმანდა მორიგე ექიმი.

– ის მაინც დაადასტურე, რომ მკვდარი არ ვარ, – ასეთი რა შევცოდე, რატომ დამსაჯეთ, – უმისამართოდ მიმართა ალექსანდრე იმედაძემ.

– ეს ხომ წინასწარ განწირული სიყალბეა, რომ გამიგონ დამსჯიან.

– აბა, როგორ დავიბრუნო სიცოცხლე და პენსია?

ალექსანდრე იმედაძემ გადანყვიტა, ვიცხოვრებ უჩინრად, ვითომ გარდავიცვალე და ოდესღაც, ამათაც დავჭირდები და მაშინ აღარ დავუჯერებ, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ როგორ გავძლო იქამდეო.

ისევ მიადგა ჯანდაცვის სამინისტროს, ისევ ნაცნობმა კარისკაცმა თუ დაცვისკაცმა გაულო კარი.

– მოთხოვნას ვერ გავაგზავნით, რადგან არ გვავინტერესებს ცოცხალი ხარ თუ მკვდარი და თუ არ გვავინტერესებს, რატომ ვიმეტიჩროთ? – თქვა საპენსიო დეპარტამენტის ინსპექტორმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია

კომპიუტერის ეკრანისთვის.

– აბა, რა გაინტერესებს? – კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, უფრო მკაცრად, უფრო მწარედ, უფრო გაბედულად, მაგრამ ენაზე იკბინა.

ალექსანდრე იმედაძე იმედნართმეული ბრუნდებოდა სახლში. „იქნებ მართლა მოგვკვდი და ამ პატიოსან ხალხს რას ვემართლები, რას ვედავები, რატომ ვთხოვ, ნუთუ ამდენ ნერვიულობად ღირს ეს ცეროდენა პენსია, ქვეყანა რომ შევძარი. თუ მოგვკვდი, რატომ ვფიქრობ, როგორ დავდივარ, რისთვის ან ვისთვის ვლაპარაკობ, ვერ ვამტკიცებ და რა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს. იქნებ რაც ხდება ჩემ გარშემო ჩემივე მონანიელობით, მხოლოდ მოჩვენებაა, იქნებ, მხოლოდ მე მგონია, რომ ვფიქრობ, დავდივარ და ვკამათობ, სინამდვილეში კი იმქვეყნად გადავბარგდი და ამქვეყნიური დარდი გავიყოლე თუ ჩავიყოლეო. ნუთუ იქაც ისეა, როგორც აქ, რა უსამართლობაა. თუ იქ ვარ, ამათი პენსია რა ჯანდაბად მინდა. ორმოცი დღე მკვდარი პენსიონერის სულიც კი ტრიალებს საკუთარ ოჯახში და ჯანდაცვის დაწესებულებებში, ათი დღეც და სამუდამოდ დაგემშვიდობები“, – მიმართა ახლადშეძენილ ნაცნობებს: სახალხო ბანკის მოლარეს, კარისკაცს, საპენსიო დეპარტამენტის ახალგაზრდა ინსპექტორს, სასაფლაოს დირექტორს, რეგისტრატორს და მორიგე ექიმს.

სახლში მივიდა თუ არა, ტახტზე წამოწვა. ხელები მუცელზე გადაიჯვარედინა, თვალები დახუჭა, სუნთქვა შეწყვიტა და საკუთარი გულის წიკნიკს მიაყურადა, როდის შეწყდებაო. ატყობდა, რომ გულის ფეთქვა თანდათან იშვიათდებოდა და ის იყო უნდა გაჩერებულიყო, რომ ჰაერი უსაშველოდ შემოაკლდა, სახე დაულურჯდა, თვალები გადმოეკარკლა, ვედარ გაუძლო ცდუნებას და პირი გახლენამდე დააბჩინა, ასე იოლად რატომ შეველიო თუ გავიმეტო, სული ტკბილი ყოფილაო და უეცრად, ჟანგბადით დროებით გალარიბებულ გონებაში მორიგე ექიმის რჩევა ამოუტივტივდა: „ახლიდან დაინიშნე პენსია“.

– ახლიდან დაინიშნე, – უჩურჩულა, არავინ გვაყურადებდეს.

– ჩემი საბუთები რომ იქაა? – სასიამოვნო მოლოდინმა გამოაცოცხლა ალექსანდრე იმედაძე.

– ძველი საბუთები დაივიწყე, ძველი არსებობაც ამოიშალე საკუთარი მეხსიერებიდან, თორემ ძალიან გაგირთულდება ცხოვრება, – ჩურჩულებდა მორიგე ექიმი, არ გაგვიგონო.

– ახლიდან შევიტან განცხადებას სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებაში, – გამოაცოცხლდა ალექსანდრე იმედაძე.

– ახლიდან დაინიშნე საპენსიო არსებობა, – ისევ ჩურჩულებდა მორიგე ექიმი.

– ისევ რომ მომკლან? – საშინელმა აზრმა გაუელვა თავში.

– ისევ ახლიდან გაპენსიონერდი, – არ დააყოვნა მორიგე ექიმმა.

– ხელახლა გაპენსიონერდები, მაგრამ რომ გამიგონ?

– მერე თვითონ ამტკიცონ, რომ მკვდარი ხარ.

– ეს ხომ თითქმის თავგანწირვაა?! – სიამაყით აივსო ალექსანდრე იმედაძე.

სარკესთან მივიდა, პიჯაკის სახელოთი მტვერი გადანმინდა, თავის ორეულს თვალებში ჩააცქერდა და ენა

# მართლა პლაგიატი თუ არა?

ფრანგულ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ტერმინი — “ფსიქოლოგიური პლაგიატი”. სწორედ მასში ადანაშაულებს მწერალი ქალი კამილა ლორანსი მეკალმე კოლეგას მარი დარიოსეკს. შეურაცხყოფანი რომლებითაც მწერალი ქალები ახლა ერთმანეთს ამკობენ, საჩოგბურთო შერკინებაზე შეურიგებელ მონინაალმდეგეთა ჩანოდებებს შეიძლება შევადაროთ. საქმის გარჩევამ აპოგვას მიაღწია: კამათში ჩაებნენ როგორც კამილას, ასევე მარის შემოქმედების მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები.

2010 წლის დასაწყისში მალაზიის დახლებზე გამოჩნდა ორი წიგნი: ერთში კამილა ამტკიცებს, პლაგიატი იყო, მეორეში - მარი ამ ყოველივეს უარყოფს.

სკანდალი 2007 წელს დაიწყო, როცა მარი დარიოსეკმა გამოაქვეყნა რომანი „ტომი მოკვდა“ – დედის განცდებზე, რომელსაც ახალშობილი ჩვილი ელუპება. მწერალმა კამილა ლორანსმა მთავარ გმირში საკუთარი თავი შეიცნო, სიუჟეტში კი – პირადი ამბავი. რადგანაც 90-ან წლებში მას ახალშობილი მართლაც დაეღუპა, რაც გადმოსცა კიდეც ტრაგიკულ რომანში “ფილიპი” (გამოიცა 1995 წელს).

შედეგად კამილამ თავისი კოლეგა პლაგიატორობაში დაადანაშაულა. “ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რომანი ჩემს საწოლ ოთახშია დაწერილი და მარი დარიოსეკი ჩემს სავარძელში იჯდა, ჩემს საწოლში იწვა” – განაცხადა კამილამ ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე.

თუმცა მისი მონინაალმდეგე ბრალდებებს არ ცნობს და მათ ღვარძლიან ცილისწამებას უწოდებს. თავის გასამართლებლად აცხადებს, მრავალი ცნობილი მწერალი – ემილ ზოლადან ჟორჟ სანდამდე – წერდა ახალშობილთა სიკვდილის შესახებ, თუმცა ცხოვრებაში ასეთი არაფერი შემთხვევიათო. მარი დარიოსეკის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებს მიაჩნიათ, რომ კამილა ლორანსს უბრალოდ შურს ახალგაზრდა თანამოკალმის წარმატება. მითუმეტეს, რომ რომანი “ტომი გარდაიცვალა” ბესტსელერად იქცა, რასაც ვერ ვიტყვით “ფილიპზე”.

ამ წლის დასაწყისში მარი დარიოსეკმა გამოსცა ტრაქტატი პლაგიატზე, რომელშიც გამოხატა მთელი აღშფოთება და ისევ დაადანაშაულა კამილა ლორანსი “სიმბოლური მკვლელობის” მცდელობაში მისი ქურდობის ბრალდებით.

უბედურებით შეძრული დედა – გმირი მისი რომანისა – “ტომი მოკვდა”, წარმოთქვამს ერთადერთ ფრაზას, კამილა რომ ეჭიდება: “არ მინდა სხვა (ბავშვი). სწორედ ის მინდა” – რომელსაც “ფილიპშიც” ნახავთ. მაგრამ მარი დარწმუნებულია, ნებისმიერი დედა ასეთ მდგომარეობაში ამ სიტყვებს წარმოთქვამსო. ყოველ შემთხვევაში, დედამისმა, შვილი რომ დაეღუპა, სწორედ ეს წამოიძახა!

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ქურდაძე 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა 12 მონოგრაფია. სამეცნიერო შრომებთან ერთად იგი ორი რომანისა და მოთხრობათა კრებულების ავტორიცაა.

შოთა ქურდაძე ღვაწლმოსილი პედაგოგია. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურად მუშაობდა უმაღლესი სკოლის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე: წლების განმავლობაში იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში; ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე და პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში. ამჟამად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

შოთა ქურდაძე

# მოულოდნელი ტრაპეზი

ანუ  
ოთარ ჩხეიძის  
სადარდებელ-სალხინებელი

სადარდებელ-სალხინებელი ოთარ ჩხეიძეს გამოუღვეველი ჰქონდა. ჰქონდა და ადამიანურად ხარობდა და ნაღვლობდა კიდევ. სახელოვანი მწერლისა და დარბაისელი მოძღვრის ეს გაორებული ქცევა ბევრისათვის ერთობ გადამდებად იქცა, საოთარო-საჩხეიძო განწყობად მოინათლა...

ბატონ ოთარს თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ახლოს ვიცნობდი გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ერთად მუშაობით: იგი გრიგოლ ხანძთელისებური მრწამსით, ილიასებური ნებით უხმაუროდ და შთაგონებულად მოღვაწეობდა. მისი სადარდებელ-სალხინებელი საქართველოს ბედი თუ უბედობა იყო. მწერლისა და მოძღვარის ფიქრი და საქმე ერთი იყო, ერთ “სავანეს” — საქართველოს ელაციცებოდა და ელოლიავებოდა უებრო ქართული სიტყვითა და ფრიად ორიგინალური მხატვრული სტილით.

მეორე მხრივ, ერისა და ხალხისათვის სამაგალითო მოღვაწეობა, რომელსაც მკრეხელურად არასდროს გამოფენ-გამოაშკარავებდა, შინაგანად საამაყოდ მიაჩნდა და ხალხისათვის სასიკეთოდ სულსა და გულში ჩასახულ-ჩაქსოვილ ნადილს თუ ნებას, სადაც უნდა ყოფილიყო, მერქნის ძველებური ზემო და ქვემო მხერხავების აუტანელი შრომის მსგავსად აუყვებ-ჩამოუყვებოდა, თანდათან მშვენიეროდა და მალღდეპოდა...

ისიც იყო, რომ მწერლის ორიგინალურ სტილს ზოგ-ზოგი პატივით არ მოიხსენიებდა. სახელოვანი პროზაიკოსი იობისებური ტკივილითა და ნებისყოფით პრინციპულად იცავდა თავის სტილს...

მაგონდება ბატონი ოთარის საპასუხო სიტყვა მისივე კოლეგის, ცნობილი პროზაიკოსის, ან განსვენებული როსტომ ბეჟანიშვილისადმი. კაი ხნის ამბავია; პედაგოგიურ ინსტიტუტში მწერლის რომანს „კვერნაქს“ ვიხილავდით. მომხსენებელი ბატონი როსტომი ვახლდათ. აუდიტორია მწერლის პატივისმცემლებით გადაჭედილიყო. ბატონი ოთარი გულისყურით უსმენდა მომხსენებელს.

მწერალთან შეხვედრას მე ვხელმძღვანელობდი, ვგრძობდი, როგორ ინტერესს იჩენდა აუდიტორია კოლეგა მწერლის მოსაზრებების მიმართ. როსტომ ბეჟანიშვილმა საკმაოდ საფუძვლიანი მოხსენების ბოლოს მოკრძალებით შენიშნა — რასაკვირველია, უდავოდ საინტერესოა თქვენი რომანი, ბატონო ოთარ, მაგრამ, ჩემი აზრით, ენობრივ სტილს, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ერთგვარი კორექტირება ესაჭიროებაო.

ბატონმა ოთარმა ნათქვამი მშვიდად მოისმინა. ბოლოს სიტყვა ითხოვა და თქვა: მადლობას მოვასხენებ რომანის განხილვის ორგანიზატორებს, ცხადია, მომხსენებელსაც და დამსწრეებსაც, მაგრამ დაბეჯითებით უნდა შევნიშნო, რომ სტილის თაობაზე, რაზეც კოლეგამ ბრძანა, ჩემი პრინციპული დამოკიდებულება მაქვს. ისე რომ, თუ რაიმეს პოზიტიურად მივიჩნევ ჩემს შემოქმედებაში — ეს



ენობრივი სტილია! სტილი მე თვითონა ვარო... სხვაგვარ არ ძალმიძსო და რა ვქნაო... ასე განაცხადა მწერალმა ფართო მსმენელის წინაშე თავისი სამწერლო ენის შესახებ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს.

ამგვარი პრინციპული, მისტიკური თუ ღვთიური დამოკიდებულება აქვს დადასტურებული მწერალს სიცოცხლის ბოლო წლებში დანერჩილ არაერთ რომანსა და ინტერვიუშიც. მაგალითად, ერთ-ერთ რომანში ვკითხულობთ: “ჩვენ გავიარეთ მეორედ მოსვლაი, გავიარეთ, გადავიტანეთ. შიში თუ მაინც ისევ თან გვახლავს — შიში ღვთიურია. შიში სიტყვაა. სიტყვა ჩვენთან არის, სიტყვაო შეგვენი, სიტყვაო წმინდაო უვანთაგან მიუკარებო” (“მორჩილი”).

პატიებას ვთხოვ მკითხველს სანოველო წინასათქმელის მოუზომლობისათვის. თუმცა ისიცაა, ნოველა ეპიკური ქმნილებაა. გარკვეული მინიატურული სარკვეა და, მგონია, მისი სასარჩლე თუ სატექსტო სათქმელისათვის წინასათქმაც ურიგო არ უნდა იყოს. ასეა თუ ისე სანოველე ამბავი ახლა იწყება: ოთარ ჩხეიძემ, როცა იგრძნო ასაკის მოძალევა და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, განუდგა უგვანოებს, ოჯახში დაისადგურა. ხელი მიჰყო ჩვეულ ლიტერატურულ-შემოქმედებით შრომას. ყოველივე ეს ცნობილია. მაგრამ არაა ცნობილი, ანდა ნაკლებადაა ცნობილი “ბორიაციისა” და “სავანეს” ავტორი მართლაც მარტოსულად გრძნობდა თავს თუ ზოგჯერ მაინც ახერხებდა ახლო მეგობრებთან ურთიერთობას?!

არა და არა! ოთარ ჩხეიძე მარტოსული არასდროს ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ქართველი ერის, ხალხის სადარდებელ-სალხინებელი საფიქრალი მოუშუშებელ ტკივილად აჩნდა შინაც და გარეთაც. ცხადია, ახლო მეგობრებიც არ აკლდა, მათი ზილვა, სჯა-ბაასი გაუხუნარ ცხოვრებისეულ წესად შემორჩა და ურყევადაც იცავდა.

ერთხელაც, შემოდგომაზე, მოულოდნელად მწერლის ნება, ვნევოდით გორშივე ტრაპეზზე ოთხი მეგობარი, მისმა ძმისშვილმა, ინგლისური მწერლობის არაერთი თხზულების მთარგმნელმა (როსტომ ჩხეიძესთან ერთად) პაატამ მაუწყა. აქვე იმასაც გავამხეღ, რომ მონვეულთაგან

ორი მეგობარი მწერალს თითქმის თანაკბილად ეგულებოდა, მათთან მეგობრულ-სახუმარო ურთიერთობა ჰქონდა. ერთ-ერთ მათგანს ტრიპოლსკად მოიხსენებდა, მეორეს — მიდეგად. ორნიც — ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგის ყოფილი პრორექტორები ვიყავით.

მასპინძელთან შეხვედრამდე ავონ-დავონე, ძიება დავინწყე მწერლის სატრაპეზო მიწვევის ამოსაცნობად, თითქოს რაღაც-რაღაცეები ჩემებურად მოვიწინა, მაგრამ როცა მწერალს შევხვდით, ყველაფერი ნათელი გახდა — მას სურდა შეეტყო, რას ფიქრობდნენ მისი მეგობრები გაუნონანსობებელ წუთისოფელში იმ სადარდებელ-სალხინებელზე, რაზეც აქ, გორში, პედაგოგიურ ინსტიტუტში შეხვედრისას ერთობლივად უმსჯელიათ და ზოგჯერ უხალისიან კიდევც...

ეს დალოცვილი ტრაპეზი, მეგობრებო, მოგვმართა მწერალმა, როგორც არაერთს უთქვამს და კარგადაც უთქვამს, ჭეშმარიტად ჰუმანურია, დემოკრატიულია. ჰოოდა, ეე ჩვენი ხელისუფლება რო სადღაც-სადღაც ეძებს დემოკრატიულობასა, შეისწავლონ ამ დალოცვილებმა ხალხის სატრაპეზო ლაზათი და ეგებ ნამდვილ დემოკრატიულობასაც გამოჰკრან ხელი.

— ეგრეა, ძვირფასო ოთარ, ეგრეა, ახლა ჩვენა ეგლა შეგვრჩა იი მამაპაპიდანაო — შეეხმინა მიდეგა.

— შემოგვრჩა, ჩემო მიდეგა და, რაც წინაპრებს კანთიელად აუნონ-დაუნონიანთ, გავუფრთხილდეთ, ნუ დავინწყებთ...

— ამინ, ამინო, — შევუბანეთ ყველამ.

აგაშენათ ღმერთმა, თქვა მასპინძელმა და მერე, როგორც სჩვეოდა მნიშვნელოვანი აზრის წარმოჩენისას, წამიერად გაყურდა. დინჯად, აურჩარებლად სათვალეს შეაელო ხელი, ერთხელ კიდევ შეათვალა სატრაპეზოდ მოსულნი და განაგრძო: რაკილა მობრძანდით, პატივი დამდეთ, გამიცოცხლეთ თქვენი ხილვითა ჩვენი შეხვედრების ხიბლი, თუ არ მიწყენთ, სატრაპეზო სათქმელსა ერთი ბრძენი კახელი გლეხის თადარიგით შემოგთავაზებთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ — დავეთანხმეთ.

— ერთხელ ლიტერატურული გაზეთის რედაქტორმა მთხოვა, გაცნობოდი ჩვენი სოფლის ახალ ყოფას. შემოვიარე ქართლისა და იმერეთის რამდენიმე სოფელი. მერე კახეთს ვესტუმრე, მირჩიეს, ქიზიყში წავსულიყავი, მეგზურიც გამოყვეს. მოგეხსენებათ, სხვა დრო იყო. თუ რაიმეს დანერასა და გაზეთში გამოქვეყნებას გადანყვეტდი, ათას ვინმეს უნდა შეთანხმებოდი. მეტიც — გასაცნობდასანერი ინფორმაციის მოსაპოვებლად აუცილებლად რაიკომიდან ვილაცას მოგიჩინდნენ. მეც ასე დამემართა ერთ უცნობ შუახნის კაცთან. მიხოსთან ერთად შევეუდექი ქიზიყის გაცნობა-დათვალაირებას.

დილით მშვენიერი დარი იდგა. უცბად მოიშაებდა, იჭექ-იელვა და წვიმა, თითქოს კოკით დაასხესო, ისე წამოვიდა. სხვა გზა არ იყო, სადღაც თავი უნდა შეგვეფარებინა. იმ კაცმა, რომელიც მეგზურობას მიწევდა, მითხრა: ამ თავსხმაში, ჯოო, ორივე თავიდან ტერფებამდე გავილუმპებითო, აგერ, ბედად ბრძენკაც შაქრიას სახლთან ახლოსა ვართ, იქ გავეშუროთო.

ოჯახში მამაპაპურად მიგვიღეს. მასპინძელმა ბუხარს ხმელი წალამი შეუნთო, დასველებული ზედა სამოსი გავაშრეთ და, როგორც ჩვენ ხალხს სჩვევია, თვალის დახამ-

ხამებაში ბუხრის ახლოს, სადაც დაბალ სამფეხა სკამებზე ვისხედით, ოჯახის დიასახლისმა ტრაპეზი შემოდგა. ჩანდა, შაქრია ახლოს იცნობდა ჩემს მეგზურს, რომელსაც მიმართა: მიხო, მოდი ახლა შენცა და ჩვენი სტუმარიცა მივბრუნდეთ ტრაპეზისაკენა, ღმერთი ვახსენოთ კახური არაყითაო.

— მივბრუნდეთ, ჩემო შაქრია ბრძენო და მივბრუნდეთ. გარეთ მაინც თავსხმაა, ასე აჯობებსო.

— აჯობებს და მეც აქა ვარ, ოღონდ მინდა ვკითხო სტუმარსა, ხომ არ გვიწყენს ჩვენებური ტრაპეზის წესი და რიგი რო გავაცნო, ჰაა? მიხოს პასუხი დავასწარი და მასპინძელს მივუგე: სიამოვნებით გისმენ, ბატონო-მეთქი.

— მისმენთ და ჩემი სათქმელი ისაა, რო ვინც სახლის ეზოს ჭიშკარს შემოაღებს, იმანა ჩემებურადა, სურს თუ არა, პირფვარი უნდა გადაინეროს.

— ახლავე, ბატონო, — ვუპასუხე, მყისვე პირფვარიც გადავინერე და ოჯახიც დავლოცე.

— ჰე, ჰე, ნახე, მიხო, როგორ ამოიცნო სტუმარმა ჩვენებური პირფვრის გადაწერა?!

— ვხედავ, შაქრია, მაგრამა პატივცემულს რას ვერჩით, შენ ჯო ხო არ გითქვამს, რას გულისხმობ შენებურადა პირფვრის გადაწერაში, ჰაა?!

გულშაქარა მასპინძელი მიხოს შენიშვნამ წამიერად შეაცბუნა, მაგრამ არ დაიბნა, — მინავათი ვარ, მიხო, მინავათი, წამოიძახა ბავშვური გულუბრყვილობით, მერე ჩემსკენ ოდნავ გადმოიხარა და მითხრა: ჩემო იმანო (ვუთხარი დაბალი ხმით ოთარი-მეთქი). — ჰოო, კაი დამემართოს ოთარო, ნუ დამძრახავ, ჩემს ოჯახში ტრაპეზობისას ასეთი თადარიგი მაქვს: ჯერ მასპინძელი ოჯახსა და სტუმრის მობრძანებას ადღეგრძელებს, მერე კი ყველა, ვინც რო ტრაპეზობს, თავის მხრივ, რაც რო მოესურვება არა თავისივე ცხოვრებიდანა, აი იმაზე ჩამოაგდებს სიტყვასა და სადღეგრძელოც სწორედ იმ მოსურვილებულსა თუ მოსაგონარზე მოიქსოვება.

კეთილი ბატონო, თქვენებურად გაუძეხით ტრაპეზსა — სიამოვნებით დავეთანხმე მასპინძელს.

— ხედავ, მიხო, სტუმარი რო ასე არხეინდა დამყაბულდა, კარგის ნიშანია. ჰოოდა, რაკი ტრაპეზის თადარიგზე შევთანხმდით, ამ წვიმიან დღეს თქვენს სტუმრობას და ოჯახის დახვედრას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოსო, — ფიცხლად შესძახა მიხომ. მასპინძელმა მიხოს აცალა სასმისის შესმა, მერე კახურად საყვედურის კილოთი უთხრა: დადექ, მიხო, ნუ ჩქარობ, ვერა ხედავ, რო სადღეგრძელო ძირეულად არ დამისრულებია?!

— ბოდიში, შაქრია, ბოდიში, ქვათა ვარ, თქვი, რაცა გაქვს სათქმელი.

— სათქმელი ისა მაქვს, რომ უცნობი კაცი მესტუმრა, ეს კი ოჯახის დიდი სიხარულია, ხო გაგიგონია ჩვენებურო, კაცი-კაციითაო და ლობე ქაცვითაო, ჰაა?! ახლა მეორეც ვთქვა: ჩემს ოჯახს ვადღეგრძელებ იმიტომაცა რო აქა უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავსა, ვიდრე გარეთა...

სადღეგრძელო ითქვა. უნებურად ჩავფიქრდი. მიხოს ყურადღება არ მიუქცევია მასპინძლის სადღეგრძელოს ბოლო სიტყვებისათვის. შაქრია ბრძენმა კი არ დააყოვნა და შემეხმინა: სტუმარო ოთარო, ხომ ვთქვი, ტრაპეზზე

გულახდითად ვიბაასოთ, ერთმანეთს ჩვენ ჩვენი ნუხილი გავაცნოთ-მეთქი და ვერ მივმხვდარვარ, რა ფიქრმა წაგილო კაცო, ჰაა?!

წამიერ დავაღწიე თავი ფიქრსა, ჩაფიქრების დამალვა არ შემეძლო და არც დამიმაღლავს: პატივცემულო შაქრო, თქვენ რო ბრძანეთ, ოჯახსა და ეზო-კარში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავსაო, ვიდრე გარეთაო, იმაზე ვფიქრობდი — გარეთა ნეტავი ვინ ართმევს კეთილშობილ კაცსა თავისუფლებასა-მეთქი? ბრძენმა შაქრიამ შეპასუხება არ დაავიანა და კახურად ალაღადა თქვა: მიხო, აი, კაცი, ხედავ, ჯერა სატრაპეზო თადარიგზე ორიოდ სიტყვაც არ მითქვამს და უკვე დაინტერესდა ოჯახში რადა ვგრძნობ თავსა თავისუფლად, ვიდრე გარეთა. თქვენ კი ლამის ჭიბი გაქვთ მონყვეტილი ჩემს ჭერქვეშა და ერთხელაც არ გიკითხავთ გარეთა, ან კოლმეურნეობის კანტორაშია თუ სხვაგანა, რატომ მიძნელდება თავისუფლად ვთქვა რამე?

უხერხული სიტუაცია შეიქნა, ჩანდა, მიხოს და შაქრიას კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ რადგან სტუმარი ვიყავი, რაიკომიდან მომავრებულ მეგზურს არ ეჭაშნიკა შაქრიას რეპლიკა... ამასობაში დიასახლისმა ტრაპეზი კიდევ შეავსო საამო სანოვავითა და ხილით. ნუთიერი დუმილი ჩამოწვა. უგუნებოდ რაღაც-რაღაცეებს მივწვდი. შეწუხდა შაქრია მასპინძელი, მიხოს ჯიქურ შესძახა: შენა, მიხოვ, მიკვირს, რა ბოქლომი დაიდე ენაზე, როგორა, სათქმელი დაგენრიტა თუ რაა, ჰაა?

— სათქმელს რა გამოლევს, შაქრია, მაგრამ ჯერ შენა თქვი, გარეთა ვინ გიშლის თავისუფლებასა?

— მიხო, ჩემიანი ხარ, შენს გასაგონად ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რო გარეთა თავისუფლებასა თქვენა, რაიკომის ხალხი მიშლით.

— კეთილი, თუ ასეა, მაშინ ისიც ჩამოაარაკე გარეთა თავისუფლებასა როგორ და რანაირად გიშლით, ადამიანო!

— ეხ, მიხო, მიხო, შენც კარგად უწყი, საგარეთო საწუთროს საწუხარს რა გამოილევს, მაგრამ ახლა ამაზე ბანარივით ნუ გავაბამთ ბჭობასა, აჯობებს თითოეული ჩვენთავანისათვის, რაც უფრო საამოა და სალაღობოა, ის გავიხსენოთ.

ჩემი მეგზური სიამოვნებით დათანხმდა მასპინძელს. ტრაპეზზე დაუფინყარი ადამიანური მასლაათი აჩირაღდნ-

და... მეგობრებო, რაღა სიტყვა გავაგრძელო, მოდი ჩვენც ქიზიყელი ბრძენი გლეხის მსგავსად ჩვენი ცხოვრებიდან გავაცოცხლოთ საამო, საინტერესო შეხვედრები, საუბრები.

— ამინ, ამინ! — შევძახეთ მასპინძელს თანამეინახებმა. ბატონი ოთარი გახალისდა და პირველი სადღეგრძელო ბრძანა: მეგობრებო, არ დაგიმაღლავთ, კაი ხანია, გარემოებათა სხვათა და სხვათა გამო, ერთმანეთისათვის თვალში არ ჩავვიხედავს, ახლა კი რაკი ისევ ერთად ვართ, ჩვენი შეხვედრა დავლოცოთ, ვისურვოთ ის სითბო, მეგობრული ურთიერთობა,

რაც ჩამოგვიყალიბდა ათეული წლების განმავლობაში, კვლავაც სასიცოცხლოდ და საამებლად უხინჯოდ გავრძელებულიყოს...

სადღეგრძელო დიდი მადლიერებითა და სიყვარულით ვიგემეთ, მერე მონვეულთაგან თითქმის ყველა გაირინდა, გაყურდა, ეტყობოდა, ყველა იმის ძიებაში იყო, ბრძენი შაქრიას თადარიგის მიხედვით, რა და როგორ ეთქვათ ისეთი, რომ მასპინძლის განწყობის შესატყვისი ყოფილიყო. ტრიპოლსკამ დუმილი დაარღვია და მასპინძელს მიმართა:

— ბატონო ოთარ, მე როგორც გავიგე, ვინცა ვართ აქა რაცა გვსურს და სათქმელად მიგვარჩნია იმის სადღეგრძელო უნდა ვთქვათ?

— დიახ, ეგრე ვთქვი. ბრძანეთ, რაც გსურთ.

*მხატვარი კარლო ფაჩულია*

— მერე და რო არ მოგენონოს ეე მწერალ კაცსა ჩემი ნათქვამი, რა ვქნა მე, ჰაა? — თქვი, რასაც ისურვებ, მჯერა, ყველასათვის მოსაწონი იქნება შენი სიტყვა.

— ვიცი, თქვენ მოინონებთ ჩემ ნათქვამსა, მარა ეე მიდეგა რო დაყურსულა აქა, ამის გამჩერებელი ვინ იქნება, ჰაა?!

ტრიპოლსკას ნათქვამმა მასპინძელსაც და სხვებსაც სიცილი მოჰგვარა. მიდეგა აიფოფრა: იცი რა გითხრა, ტრიპოლსკა? შენა ახლა იმის მუცლის გვრემა გაქვს, რო ვერა და ვერ მოგიაზრებია რა და როგორ სთქვა და კენჭებს ჩემ ბოსტანში ისვრი. — რაიო, რა სთქვი — შეუბრუნა სიტყვა ტრიპოლსკამ, მე ვარ უმისამართოდ მთქმელი, ეგეთები შენკენ მოიკითხე, არ ამაღაპარაკო თორემა, ისეთებს გეტყვი ლიხხვამაც ვერ გავრეცხოს.

— ტრიპოლსკა, ტრაპეზს ვუსხედვართ, სთქვი, რაც გსურს, თუ ლიხხვი არ გამრეცხავს, მტკვარიც აგერაა და მოვუვლი თავსა — უპასუხა მიდეგამა.

მეგობრების სიტყვიერი გაკენწვლის შემდეგაც ტრაპეზზე ისევ დუმილმა იმარჯვა. ცხადია, მოტრაპეზეთა





ასეთი ქცევა ფსიქოლოგიურად გამართლებული იყო. მასპინძელი სახელოვანი მწერალი და ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ბრძანდებოდა და იოლი არ იყო განსხვავებული აზრის გამოთქმა-ჩამოყალიბება. უთქმელობაც არ შეიძლებოდა. დუმილი დავარღვიე, ბატონო ოთარს მივმართე: ყველამ კარგად ვიცით, როგორ გიყვარს ქალაქი გორი, როდენ მნიშვნელოვან სამოძღვრო, სათეატრო, საზნეო-სამოქალაქო მოღვაწეობას გვაზიარეთ, ამ თემებზე შეიძლება დაუსრულებლად, საათობით ვილაპარაკოთ, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ორიოდ სიტყვით გაუწყებთ, რა აუიოტაჟი, სიხარული, მითქმა-მოთქმა გამოიწვია გამოქვეყნებამ „მნათობის“ იმ ნომრებისამ, რომლებშიც რომანი „სავანე“ დაიბეჭდა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ბატონო — ერთგვარად ნასიამოვნებმა მითხრა მწერალმა.

მოგესხენებათ, როგორი მძიმე და სოციალურ კულტურულ-პოლიტიკურ პირობებში დაიბეჭდა რომანი. მაშინ ბეჭდვაც რთული იყო და გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთების მოხელთებაც. პირადად მე ვის არ მივაკითხე, მაგრამ ერთხანს ვერსად მოვიძიე ჟურნალები, ბოლოს შევიტყე, რომ ჟურნალები მოუპოვებია ჩვენს მეგობარს და თქვენს ნათესავს ტრიპოლსკას. მივაკითხე სახლში, მაგრამ შინ არ დამხვდა. გამობრუნებისას ყოფილ უნივერსიტეტთან ახლოს შემხვდა. მისალმებისთანავე ვუთხარი: შოთა, გავიგე „მნათობის“ ის ნომრები გქონია, სადაც ოთარ ჩხეიძის ახალი რომანი „სავანე“ დაბეჭდილი და იქნება მათხოვო-მეთქი.

— ჰო, მქონდა, წავიკითხე, ვერა გავიგერა და ამა და ამ კაცს მივეცი ნასაკითხად. ცხადია, იმ დღესვე მოვნახე ის კაცი, რომელმაც მითხრა: მართალია, მქონდა, „მნათობის“ ნომრები, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დილაადრია-ნად მოვიდა შოთა და ისევ უკან დაბრუნება მოითხოვა. იმ კაცს გაკვირვებია ტრიპოლსკის მოთხოვნა და შეაჯებია — იქნება ერთი კვირა მაცალოთ, წავიკითხავ და გაახლებთ ჩემი ხელითაო, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარე, ტრიპოლსკას არა მოუსმენია, მეტიც: იმ კაცისთვის უთქვამს, ყველა, ვინც რო ხვდება, მეუბნება, ოთარს ძალიან კარგი რომანი დაუნერიაო და ახლა ხელახლა უნდა წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე. მინდა გავიგო, რა დანერა ეგეთი ოთარმა, ყველას მოსანონიო, ეს ერთიო და, მეორეცაო, შენა კაცო, არ იცი, რო იმისი დის შვილი ჩემი რძალია, ახლა იმანაცა და კოკიამაც უნდა წავიკითხო, სხვაგვარად როგორ იქნებო, ჩვენაო ნათესავები ვართო, ჯერ ჩვენი უპრიანიო წავიკითხოთ რომანი აბზაც-აბზაცაო, გვერდი-გვერდაო, თავიდან-თავებამდე... ერთი სიტყვით, ტრიპოლსკამ ისე დასაბუთებულად გამაცნო „მნათობის“ ნომრების საპირადო-საოჯახო და სანათესავო წაკითხვის აუცილებლობა, რომ წყალი არ გაუვიდოდა.

— ასე იყო თუ ისე, ბატონო ოთარ, გავეცანი თქვენს რომანს, დიდი სულიერი სითბო და სიამოვნება მივიღე, აგაშენა ღმერთმა, რომანში ჩაუქრობელი სანთელივით კი-აფობს თქვენეული ჰუმანიზმი და ცხოვრებისეული რეალისტური ხედვა...

კიდევ მსურდა მწერლის სხვა ნაწარმოებზეც მეთქვა მცირე რამე, მაგრამ მიდევამ შემანევეტირა სათქმელი: დაიცა, კაცო, ახლა ჩვენც გვათქმევინე რამეო... მე ბევრს

არას ვიტყვი, მაგრამ საამაყოა, რომ მწერალს მხედველობიდან არ რჩება ის მანკიერებანი, რამაც ცხოვრებაში თავი იჩინა ადრეც, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდანაო. ამას ახლა გვერდს ვერავინ აუვლის. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ოღონდ, თუ არ მიწყენს ძვირფასი მეგობარი, ვიტყვი, რომ ზოგჯერა ჩემთვის საპატიო სატრფიალო-სამიჯნურო ეპიზოდებს ერთობ მკაცრად, მუქ ფერებში ხატავს, ეგ არის და ეგ.

— არ გეთანხმები მიდევა, ეე შენი შენიშვნა თუ მოსაზრება ზოგადია, თუ ბიჭი ხარ კონკრეტულად გვითხარი სათქმელი — შეეკამათა ტრიპოლსკა.

— რაიო, კონკრეტულადა ვთქვაო? კი ბატონო, აი, მაგალითად, ერთ-ერთ ნოველაში, სამუხაროდ, ამ ნაწარმოების დასათაურება არ მაგონდება, ქლიავისა თუ ჭანჭურის ბაღში სატრფიალოდ მყოფებს, თავზე რო წაადგა ქალაქიდან დაბრუნებული ხილის გამყიდველი ქალის ქმარი და ნაჯახით ორივე დახოცა. მართალია... ი კაცსაცა და ქალსაცა ოჯახები ჰქონდათ, მაგრამ რაკილა ერთმანეთი მოეწონათ, შეუყვარდათ, მაგონია, ასე მკაცრად არ უნდა დასჯილიყვნენ.

თან საქმეო, ბრძანა მასპინძელმა. ყველამ დიდი პატივისცემითა და უშუალობით შესვა სახელოვან მწერლის სადღეგრძელო. ტრაპეზეზე მოწვეული სტუმრებიდან ორმა შაქრია ბრძენის თადარიგით სათქმელი თქვა. ჯერი დადგა დანარჩენ ორზე. ისე მოხდა, რომ იქ მყოფნი, რატომღაც ელოდებოდნენ, რას იტყოდა ან როგორ იტყოდა სადღეგრძელოს ტრიპოლსკა, ამიტომაც ყველა მას შესცქეროდა. კოლეგამ შეამჩნია მისადმი გაზრდილი ყურადღება, დარბაისულად, როგორც ჩვეოდა, ღიმილით შემოგვხედა და მერე თქვა: რაო, თქვე კაი ხალხო, რა გამომწვევად მიცქერით, გგონიათ ვერაფერს შევბედავ ჩემს საყვარელ ნათესავსა და დიდ მწერალსა? ამის იმედი ნუ გექნებათ. სმენა იყოს და გაგონება:

რომანი „სავანე“, როგორც ითქვა, მართლაც მეორედ აბზაც-აბზაც, გვერდიდან გვერდამდე, თავებიდან-თავებამდე წავიკითხე. ჩავხვდი, რო ნამდვილად კარგი რომანია. სხვანაირად როგორ იქნებოდა, ჩვენს ოთარ ბატონსა დიდი მწერლობის საჯილდაო ქვაი, ვინ მოსთვლის რამდენჯერ აუნევე-დაუნევი. მეორეცა, ეე მიდევას სანინალ-მდეგოდ მინდა ვთქვა, ჩვენი მწერალი, რასაკვირველია, წარმატებული რეალისტი, მაგრამა ჩემებურადა საკამათო მოსაზრებაცა მაქვს.

ტრაპეზის თანამეინახენი დაინტერესდნენ, რა საკამათოს იტყოდა ტრიპოლსკა, ეს კაცი კი არ ჩქარობდა, ყოყმანობდა, რალაცას თავისთვის ანგარიშობდა, წონიდა. მიდევამ ერთი ორიოდეჯერ შეავლო თვალი და მერე შეუძახა: რას გვალოდინებ, ადამიანო, თუ რამე სათქმელი გაქვს, თქვი!

— ჰოო, მიდევა, თქმით კი ვიტყვი, მარა, რო არა ვანყენო ჩემს ნათესავსა, იმასა ვფიქრობ.

— ტრიპოლსკა, რაც გსურს, თქვი, შენგან არა მენყინება, — შეაშველა სიტყვა მწერალმა.

— კარგი, ნება თქვენია, ვიტყვი: ბევრ შენს მოთხოვნაში, ჩემო ოთარ, კანთიულად მეცნაურება ჩემი არა ერთი ნაუბარი. უნდა გითხრა, რაც მითქვამს, კარგად ავიკრფია და ერთობ მიხარია, მაგრამა ზოგჯერა, კაცო, იი ჩემ ნათქ-

ვამსა რალაცნაირადა ასხვაფერებ, სახლშია მეცა და ჩემს სიდედრსა სადაოდ გვიხდი ხოლმე ჩემს ნალაპარაკებსა.

— თქვი ტრიპოლსკა შენი ნაამბობიდან მაინც რას გულისხმობ? — შეეხმიანა მწერალი.

მოკამათემ იყუჩა, მყისვე არა უპასუხა, ფეხს ითრევედა, ერიდებოდა რაიმე ურიგ-მარიგო არა ეთქვა. მიდეგა ციბრუტივით წამოიჭრა სკამიდან, ეს კაცი ნამდვილად გადამიყვანს ჭკუიდანა, ყოველთვის ასე იცის, წამოიწყებს რალაცას, აგვიშლის მოსმენის საღერღელსა, მერე ჩაჩუმდება და ჩვენ კიდევ ბაკში გამომწვევდელი თხებივით შევჩერებოვართო.

მიდეგას სიტყვებმა გამოაფხიზლა ტრიპოლსკა, თავი მაღლა ასწია და მეგობარს ჰკითხა: მიდეგავ, ერთი კიდევ გაიმეორე, რაცა სთქვი?

— რა უნდა გავიმეორო, კარგად გიცნობ, მაინც არას შეისმენ.

— როგორ თუ არ შევისმენ, შენა კაცო, შენსავით ჯორზაქარა ხო არა გგონივარ? ვიცი, რო სათქმელსა, მით უმეტეს საპატივცემულო ადამიანისათვის სათქმელსა, ასგზის გაზომვა უნდა, ესეც რო არ იყოს, უნდა იცოდე, რო რაიმეს თქმასა კაცო, ხასიათი, განწყობა უნდა. და ახლა, როცა ჩვენი მწერალი სიყვარულით ჩამოვიდა ჩვენთან შესახვედრად, რაიმეს დაუფიქრებლად ვერა და ვერ ვიტყვი.

— თუ არ იტყვი, მაშინ არ უნდა გეკადრებინა მწერლისთვისა, ჩემ ნაამბობებსაო ზოგჯერა გადაასხვაფერებ ხოლმეო და მე და ჩემ სიდედრს სახლში კამათი გვაქვსო.

ტრიპოლსკა იმპულსურად წამოვარდა სკამიდან და შეუძახა მიდეგას: რა ვქნა, წამომცდა, კაცო, ეგ სიტყვები, თუ გინდათ მომკალით.

მწერალმა იგრძნო, ნაფიქრალის სიტყვიერად დეტალურად გამულაგნება ძლიერ ერიდებოდა ახლო მეგობარსა და ნათესავს, რომელიც მასთან ახლოს იჯდა, მეგობრულად გადახვია ხელი და ღიმილით უთხრა: შოთა, თქვი, რაც შენ და სიდედრს გაგხდომიათ საკამათოდ ჩემი ახალი ნოველიდან, გარწმუნებ, არ მენყინება, პირიქით, დიდად გამეზარდება.

— ჰო, თუ ასეა, მაშინ ვიტყვი: სადაო-საკამათო სახლში ის გაგვიხდა მე და სიდედრსა, რო ჩემი ეზოს თეთრი თუთის მოულოდნელად მოჭრის ამბავს რომ აცნობებთ მკითხველებსა, იქა რატომღაც ლაპარაკია არა თეთრ თუთაზე, არამედ შავ თუთაზე. ხოოდა ეე სიდედრიცა მიმტკიცებს, ის თუთა ჩემმა განსვენებულმა მეუღლემ თეთრ თუთად დარგო, მერე რო გაიხარა და მოისხა, თეთრი თუთა იყო, ყველას მოსწონდაო, და არა შავიო, ალბათა, შენ არ უთხარი მწერალსა სწორეო, რო ის ხე თეთრი თუთის ხე იყო და არა შავი თუთისაო, თუ გინდა ჩვენი უბნის მეზობლებს მოვიყვან მოწმედაო.

ისე, მეგობრებო, ცოდევა გამხელილი სჯობს, პირველად როცა მოთხრობა ნაკიკითხე, შეგნიშნე, რო იქ თეთრი თუთის მაგივრად შავი თუთა იყო მოხსენიებული, მაგრამ ვიფიქრე, სიდედრი ამაზე მაინცდამაინც ალიაქოთს არ ატეხს-მეთქი, მაგრამ შევცდი, მთელი ორი თვე აღარ მელაპარაკებოდა. თუმცა, როცა შინ ვიყავი, ჩემ გასაგონად, თავისთვის გაიძახოდა: ჩემმა განათლებულმა მეუღლემ საგულდაგულოდ ეზოში თეთრი თუთა დარგო, ვხარობდით, სიამოვნებით მივირთმევდით ჩვენცა და ახლო-მახ-

ლო მეზობლებიც. ახლა ძვირფასმა სიძემ იი თეთრი თუთაი შავად მონათლაო. აი, ეს იყო ჩემი სათქმელი, ოთარ ბატონო, და გინდა დაიჯერეთ, გინდა არა.

— ეგ არაფერი, ჩემო შოთა, შენმა შენიშვნამ კიდევ ერთი საინტერესო ნოველის დაწერის იდეაც ჩამისახა, რომელსაც მოკლე ხანში გაეცნობით შენ და შენი სიდედრი და ჩემი პასუხიც ის იქნება თქვენეულ საოჯახო კამათზე.

სატრაპეზო თადარიგით ჯერი მწერლის ძმისშვილს ერგო. მოკრძალებით მიმართა ტრიპოლსკას: აქამდე ვიცოდი, რომ დიდი რუსთველის მოსახელე ბრძანდებოდი და თუ შეიძლება გამაგებინეთ, რატომ ან როგორ შეგერქვა ზედმეტი სახელად ტრიპოლსკა?

— ჰოო, მართალი ხარ, შემერქვა და არცა მწყინს... კარგადა და ლაზათიანადაც შემერქვა.

— ბრძანეთ, ბატონო შოთა. მაინც როგორ შეგერქვა?

— აგერ გვერდით მიზის ამ ზედმეტი სახელის მომნათვლელი მიდეგა და ის უკეთესად იტყვის — მიუგო ტრიპოლსკამ.


— ყაბულსა ვარ, — თქვა მიდეგამ და დაიწყო სათქმელი: ერთხელაცა ჩვენი ძვირფასი მეგობრის ოთარის თანხმობითა და, ცხადია, ჩვენი დიდი სურვილითა, წავედით ფასანაურში ხინკლის საჭაშნიკოდა. შევედით რესტორანში, შევუკვეთეთ ხინკალი და სუფრის თამაღობა ამ ჩვენს მათემატიკოსს მივანდეთ. კარგი, სასიამოვნო ჰაერი და გარემო იყო. რესტორანში ჩვენს გარდა სხვებიც პურმარილობდნენ... ჩვენი თამადაც მამაპაპური ადათით გვმოძღვრავდა, ჰოოდა, როცა ეშხში შევედით, ადლეგრძელა მეზობელი სუფრის თანამოინახენი, რომელთა შორის ცნობილი მსახიობი იაკობ ტრიპოლსკიც იყო. მეო, მიმართა შოთამა იმ ხალხს, საქართველოს მომხიზლავ კუთხეშიო, სადაც ჭეშმარიტად თავდადებული და საოცარი კულტურის ხალხი ცხოვრობსო, მინდა სადლეგრძელე შემოვთავაზოთ, მით უმეტეს თქვენს შორის ჩემი კარგი ნაცნობი ხელოვანი ტრიპოლსკიც ბრძანდებაო...

სადლეგრძელი სიამოვნებით მიიღეს მეზობლებმა, რომელთაგან სამადლობელო სიტყვით მოგვმართა მსახიობმა. ცხადია, დიდი მადლობა გადაგიხიხადა, მოგვეფერა და მერე ჩვენს თამადას მიმართა: ბოდიშს გიხდით, იქნება შემახსენოთ, საიდან ან როგორ მიცნობთ? — შოთამაც არ დააყოვნა და შესძახა: როგორ თუ საიდან გიცნობო, ჩემ სახლშია, ტელევიზორში გხედავ ხოლმეო.

— ხოო, — ჩაილაპარაკა მსახიობმა, — რაკი ამგვარად მიცნობ, ჩვენს ნაცნობობას გაუმარჯოსო. აი, ამ დღიდან შეერქვა ჩვენს თამადას ტრიპოლსკა, და, როგორც თვითონაც სთქვა, არცა სწყინს.

ფასანაურში სამეგობრო პურობა კაი ხანს გაგრძელდა. ითქვა აქეთურიც, იქითურიც, მთისაც, ბარისაც დაბოლოს სატრაპეზო შეხვედრა ბატონმა ოთარმა ასე დაამიწყალობა: ჩემო მეგობრებო, კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ერთობ ადამიანური, თბილი და დაუვინყარი შეხვედრისათვის. კვლავაც ვისურვოთ, რომ ჩვენი ასეთი უხინჯო დამოკიდებულება, ვიდრე პირში სული გვაქვს, დიდხანს გაგრძელდეს, ვიცხოვროთ მშვიდობიანად და სიყვარულითა, თუმცა ისიცაა, რო არ ვიცი იი თეთრი დათვი დავაცლის თუ არა ამ საამო დამოკიდებულებასაო...

წინასწარმეტყველებასავით გამოუვიდა...



ამასწინათ ერთმა ჩვენმა მეგობარმა რენე კალანდიას ლექსებს „ევროპულად ლამაზი მოდერ-ნისტულ-კუბისტური“ ნაწარმოებები უწოდა. უთუოდ საინტერესო დახასიათებაა, მაგრამ, ასე გვეგონია, პოეტი უკვე იმსახურებს იმას, რომ მისი ლექსები ქართულ ყალიბში წარმოვიდგინოთ. კარგა ხანია მან გაიარა ექსპერიმენტატორობის ფაზა და რასაც ვხედავთ, ეს არის ის, რაც არის რენე კალანდია-თამამი, მოუსვენარი, კადნიერი ესთეტი, რომლის მოდერნისტულ-კუბისტური მიქსტურები ყოველთვის გახლავთ მწარე, მწვავე, ცხარე, საყურადღებო, ზოგჯერ ლამაზიც, მაგრამ არა „ევროპულად“, არამედ „ქართულად“.

და მისი ღირსებაც სწორედ ეს არის.

თუმცა ამჯერად ხელთ გვაქვს მისი ოდნავ უჩვეულო, როგორც იტყვიან „რბილი“ ვარიანტი.

შემთხვევითი არ არის, რომ პუბლიკაცია ახლახან უდროოდ წასული ფოტოხელოვანის, მურმან ჩაჩუსაძემი მიძღვნილი ლექსით იწყება. აქ არის ტკივილი და სითბო, უიმედობა და იმედი, თვითი-რონია და იუმორი, აბსურდი და განსჯა, ერთი სიტყვით, ის, რასაც შეიძლება, ავტორის კილოზე, რენელოგიური ჰუმანიზმი ვუნოლოთ.

## რენე კალანდია

### ფოტოხელოვნება

*მურმან ჩაჩუსაძე*

არის სურათი – საბავშვო,  
არის სურათი – სადიდო...  
მავანი ცუდად თამაშობს  
და მაინც ითხოვს: ადიდონ...

არის სურათი – ანფასი,  
პროფილი – პატიმრებისა...  
სურათი – ბოლო ნაფაზით –  
პრეზიდენტის თუ მეფისა.  
სურათი: ქარში დაფხრენილ  
და დამცხრალ იალქნებისა...  
სურათი – უკვე დაწრეტილ  
ლელეების და ტბებისა...

არის სურათი – წყალობა,  
არის სურათი – სავიზო:  
უკანასკნელ დღის გალობა –  
ცის ბგერა – სამარადისო...

\* \* \*

ადრე გეგონა: ფერმკრთალ ღამეებს  
შუბლზე ეწერათ რაღაც ნიშნები  
ბედისწერის და ლექსებს – კამეებს  
იზეპირებდი... ცის მინიშნებას  
ელოდა სული უდასასრულოდ,  
იგვიანებდა მოციქულივით...  
ჰა, იძირება ნატვრა – წარსულიც  
ზღვაში გადაყრილ ხურდა ფულივით...

\* \* \*

*ოლურ კულა რე...\**

ბოგანო – გადარეული,  
დაღლილი არხში ვგდვივარ,  
როგორც ბითური – ღრეული,  
სატანამ უწყის: ვინც ვარ...

მალვიძებ: მტენი შენს ცოდნას –  
უვიცობიდან... ვიცი,  
რომ არ ჩავიდენ სხვის ცოდვას,  
არ დამჭირდება ფიცი:  
საიქიოში მოვუსვა  
ბებერ პოეტის ცხენით...  
ზარხოშად ვიყავ: ჰოდა, ვსვამ,  
რადგან სველია თბენი...  
აქ – ყელში ამოყირავდა  
ცრემლი დანყველილ გენის:  
შენ – მე (არც ვიცი, ვინა ვარ!)  
ბედნიერებას მტენი...

**\* წასვლის კულა არის (მეგრ.)**

### რენელოგიური (ნოტაბენე\*)

*ვლადიმერ ჯოლოგუას*

...რაკი არ აქვს რენეს რენტა,  
ბენე-რენე\*\* დადის კენტად...  
შემკრთალი კი, შეჩერდება: ჩიტს – ორ სტრიქონს ჩაინერს და  
პატ. მკითხველნი იცინიან – ქირქილებენ და ჭაკურად  
ხეხეხეხებენ,  
რადგან თურმე რენე-ბენე  
ვერც ამჩნევს, რომ ტლაპოში დგას,  
წუმპეშია,  
ტლახშია,  
ქვემოთ გვიან დაიხედა,  
რადგან, როგორც ლოთს და კენტავრს  
თავი მარად ცისკენ მიაქვს...  
რენე-ბენე მწ. კავშირშიც „და სხვაა და ა.შ.შ.შ.“  
პოლიციაც იცნობს რენეს ბენე პანლურს, სიმლეგეს და  
შეგინებას –  
სასტიკს – მრავალსართულიანს...  
სუკი ფიქრობს: არ აიყვანს რენეს თუნდაც ნვრილ აგენტად  
რუსეთი და აშშ,  
რადგან შტერ და ლატაკ პოეტს ლოთბაზარას წარსული აქვს...

ძველი ჰიპი რენე-ბენე არ ატარებს მოდურ დალალს:  
მელოტია,  
ქაჩალია,

პოსლიკიკო დაილალა:

ხშირად ლოთობს, ხანაც – თარგმნის, მხოლოდ ლექსით  
იხდის ლალას

მამულისას – პატიოსნად, მაშინ, როცა თავის ქალა  
თონესავით გახურდება: აღარ შესწევს რენეს ძალა  
გააგრძელოს წერა-ვლაბნა, შორს მოისვრის წყეულ კალამს,  
გავარდება ქუჩაში და სასამელს ეძებს: სვამს და მალავს  
ბერეტის ქვეშ გიჟურ აზრებს – ახირებულთ: ყირამალა  
ფიქრობს შლეგი პოეტი და ძალზე ხშირად ხდება  
რენე-ბენე ორი ჭიქით თვრება...

თუმც დაბერდა, მაგრამ არც კი გაუსინჯავს ჰაშიში,  
არც იჭერენ: პლატონისთვის\*\*\* აღარაა საშიში,  
არ უნახავს ჰოლანდია, ზიმბაბვე და აშშ,  
იმათ თვისი მუშტარი ჰყავთ,  
ბოცმან რენეს გემი მიჰყავს  
პოეზიის მარადმწვანე და მშფოთვარე კონძულისკენ,  
სადაც პოეტს ვერ დაჩაგრავს, ვერც უმტრობს და  
ვერც გარიყავს

ოკეანე – გენიოსი – მეცხრე ტალღა,  
რადგან რალაც იდუმალი – ჯერ უთქმელი, უხილავი  
ნამის რწმენა-იმედი აქვს;

გუმანით გრძნობს, აცახცახებს,  
ათრთოლებს და აყრიალებს,  
სიზმარ-ცხადის გასაყარზე ტანში დაუარა ბზარმა,  
სულს სტრიქონი ააკვნესებს,  
სიმშვიდე არ უწერია,

იცის რენე-ბენემ ლოთმა, პოეტმა და დიდმა ბავშვმა,  
რასაც უკვე ვერ დამალავს სიფხიზლეში,  
სიბერეშიც,

თვით ზღვის ცრემლში და შრიალში,  
ჩიტ-სტრიქონთა აშრიალში,  
მოგუგუნე ნიჟარაში და ა.შ., და ა.შ., და ა.შ...

\* ნოტაბენე (ლათ. „შენიშნე კარგად!“)

\*\* ბენე-რენე (ლათ. „კარგი რენე!“), რა თქმა უნდა, თვითირო-  
ნიაა და ბავშვური გამოჯავრება.

\*\*\* იგულისხმება პლატონის „სახელმწიფო“.

### რეკვიამი

#### „მოლოდინის რესტავრაციისათვის“

შაბათი. დილა: ბახი, მალერი,  
სიბელიუსი – ლერწმის შრიალი –  
ზღვასთან: არც ტკბილი, არც საყვარელი  
სიცოცხლის ტალღა – ქარიშხლიანი  
ნაწილი: მწუხრში აბღავლებული  
ნიგნი – ზვარაკი\*: ცრუთათვის ციდა,  
ჩემთვის – ვარსკვლავთა ფერფლი – კრებული  
და ობლის ცრემლი – აფხაზეთიდან...

\* იგულისხმება 1992 წელს გამომცემლობა „ალაშარაში“ უკვე  
რედაქტირებული საკმაოდ სოლიდური მოცულობის (5 თაბა-  
ხი) ახალი ლექსების კრებული „მოლოდინის რესტავრაცია“,  
რომელიც ქართულ-აფხაზური „კონფლიქტის“ დროს უკვა-  
ლოდ გაქრა.

### ჰომეტი და ზრინველები

ვზივარ: ვენევი ნეკოს,  
თავზე დამჩხავის ყვავი,  
სწადია, სკინტლი მრეკოს,  
რადგან არა ვარ ავი...

ვდგავარ: ვენევი თუთუნს,  
და დამტრიალებს ძერა...  
ვერ გავექცევი უკუნს –  
სამშობლოს ბედისწერას...

ვუმზერ: შებილწულ ხედებს –  
კოლხურს... დამჩხავის ყვავი,  
გაზეთში წერენ: ყბედებს  
დაუთრევიათ ლლავი...

ვდგავარ: ვენევი ნეკოს,  
ავად ჭიკჭიკებს სკვინჩა...  
არა მაქვს ფიშტო, გეკო,  
რომ მოვიმორო ყინჩად...

ვწევარ: ვენევი თუთუნს,  
ხეზე ჟღურტულებს ჩიტი –  
ჩემსავით გულდათუთქული –  
ლექსების მეხთამრიდი...

### სანგრკლივი მელანქოლია

*თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ,  
იცოდეთ, რომ თქვენზე უნინ მე შემიძულა.  
იონანე, 16.18*

აჰა, ვიმიკი ქარიშხალს –  
მწკლარტე უიმედობას:  
ანმყო მანვდის დარიშხანს –  
სიბრიყვეს და ყბედობას –  
დილიდან საღამომდი  
ტელეჭრელსინათლიდან...  
გამოუხრავს კამოდი,  
გამოსულა თავი და  
ნიგნებს ათვალეერებს,  
ხანაც – პურის ნამცეცებს  
ეძებს, ცის ვოლიერებს  
მიმზადებს და საცეცებს  
სულში ისევ მიმიზნებს,  
როგორც ბილნი რვაფეხა...  
ვწუხ: ჩიბუხა-პირიმზემ  
ქლესა ღიმით გამტეხა...  
ან ისართა ნამსხვრევეებს  
ვერ შეფერავს აპრილიც...  
ვერლენის ლანდს მახსენებს  
მზე ჩამავალ-დაღლილი...

II

სასიკვდილო ისარი  
ზურგშია ჩარჩენილი.  
ვერგილიუსი, ენეიდა, IV, 79.

არავინ გაპატიებს,  
რომ ამდენ ხანს გასძელი:  
გწვავს – მჟავე აპათია,  
ყარს – ავგიას საბძელი...

**დიდი დაღლილობა:  
სკეუსისი და კონტრასტი**

ვკითხულობ: ბარდი ედება  
მავანთა „შემოქმედებას“...  
ნამგალი, ურო ამძიმებს  
ტირაჟს და ლექსის კეთებას:  
ვითომ ტალღებთან კვეთება,  
ვითომ დარდი და ფეთება,  
ვითომ ცრემლი და ზეთებად  
ქცეულა ხალხი, მგოსანო!..

„ჩინს ქვასა ზედა სწერია“:  
ახალი არაფერია,  
დრო-ჟამის ჯილდო მტვერია.  
მწუხარე ცის მისტერია  
დაშლა ეშვება: მღერიან  
„ნინწყაროს“, გაღმა – მტერია,  
გამოღმა გონაშვილია – წმინდა და შუბლსხვიოსანი...

**მინიმალისტური ტექსტი**

ჩემს სიმარტივეს არ სჭირდება პრეზენტაცია,  
სასაცილოა პოეტური სიტყვის ტენდერია...  
მოგონებებში: ყვავილს მაჭმევს რტო აკაციის  
და სექტემბრისთვის ემზადება ლელვი – ბებერი,  
შემდეგ ყურძენიც მოგვისწრებს და გავიტანთ ლელოს...  
ახლოს: სვანეთის ზვიადი და კუშტი მთებია –  
კარტოფილით გადავრჩებთ: სხვა საქართველო,  
ღარიბ პოეტებს აღარასდროს დასიზმრებიათ!..

**აკითხველისადმი**

ქარის მთესველი კაცისა,  
ანუ ქარიშხლის მომკლისა:  
ხან პოეტის, ხან – ვაცისა  
და გერის ნუთისოფლისა,  
რა უნდა გშურდეს, მკითხველო,  
ნეტავ რა შესაშურია,  
პოეტის ბედი? ხან – ხელობს,  
ხშირად – შია და სწყურია...

**უკომპრომისოდ, თან სინანულით  
დაწერილი ტექსტი**

მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?  
რუსთაველი

ცა გადაძოვეს „ვარჰალალო“-თი,  
მწერლობა – მიწა – ვირის პალოთი  
დასაზღვრეს: წითელ დროშის კალოთი  
გააბინძურეს: მე რომ გავლოთდი  
ანყობდათ, როგორც ზიმბაბვეში ალიაქოთი,  
თანაც ქირქილით მეძახოდნენ გიჟს და „ბასიაკს“...

ახლა დაბერდნენ: ჰავა გასდით და მაცვედრიან,  
რომ შევახსენე ავკაცობა, რაც შემხვედრია  
მათგან სიბილნე და სიავე, თითქოს კედრი ან  
ლიბანის სოჭი – მშიერ-მწყურვალს მარტო მეთრია  
ამ გზაზე უნდა... დავიღალე და სულ ერთია  
რა ფერისა ვარ... ვსვამ, არაყი მწარე – თეთრია:  
თქვენ კი იცინით: მასე არაა, სიმონ და ვასია!..

**ზუგდიდი: ქუთაისის ქუჩა, №62**

ბორის ქარჩავას

მწუხრი: მე და ბორია  
ვსვამთ ლიქიორს, ქიშმიშს  
ვჭამთ და ეიფორია  
გვეწვია, რომ შიმშილს  
უკვე დედა ვუტირეთ –  
სიგარეტით, ლექსით  
და ქიშმიშით – ვაპირებთ  
ჟამი – ანაკვენესი –  
მოღრეცილი, რომ გავმართოთ  
როგორც ძაღლის კუდი...  
მოგონებას აწვიმს, ათოვს,  
მწვავს – სანუთრო ბრუნდი...

ახლა დოსტი ალბათ არაყს  
სვამს, რადგანაც წვიმს...  
მე – უფულო ვზივარ სახლში: ძველ სტრიქონებს ვავარაყებ,  
და ჩამესმის ბოლო ზარის ხმა: დინ! დინ! დინ! დინ!..



ორნი

ალექსი ავარაცხელია

**კატო ჯავახიშვილი**

**იონა**

ვწევარ დედიშობილა.  
 თოჯინებს რომ ვანვენდი ბავშვობაში  
 ზუსტად ისე.  
 მცოცა.

ჩემთვის ლოგინი რომ გაეშალა

**მოთიბა მთიბავმა ბალახი**

**ბალახი მოთიბა მთიბავმა**

ციმ-ციმ მოაქვს მთიდან.

მოუსწრებს გზაში წვიმა.

დადგამს მთიბავი ზვინს

აფარებს სხეულს თავისას.

გააპობს ზურგს მისას ელია

მათრახივით გადაჭერილი ჭექა-ქუხილით —

ორად.

გაიფანტება ნათიბი მისი ურვა-წუხილით

სოფლად.

ვწევარ დედიშობილა.

თოჯინებს რომ ვანვენდი ბავშვობაში

ზუსტად ისე.

მცოცა.

გახეულ პირში მასხამენ ნახარშს-

ბალახისას.

**„ყოველმან ხემან,  
 რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი,  
 მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“**

ვარ მინა.

მინა ვარ მე.

დალპება ფესვები ჩემი,

რადგანაც წამოვა ლავა და ღვარცოფი.

დალპება ფესვები ჩემი,

რადგანაც სოფელში აღარ იქნება აღარც ერთი ნაცნობი.

დავწვები ყოველლამ შენთან

დამპალი ფესვებით და მეგონება,

რომ ჩემი სხეულის ეკვატორი იმ ქალაქზე გადის,  
 სადაც შიმშილით კი არ დაიხოცნენ,  
 არამედ ჭიპლარით გადახლართული ქუჩები  
 ასეული წლებია,  
 საღებავის აიაზმას ისხამენ ტანზე  
 სუნამოდ.

**მტკვარზე ძაძებით ჩავიდნენ  
 და აღარ დაბრუნებულან.**

ამოთხრილი კორპუსებიც  
 ჩამპალ საძირკველში  
 წყალ-წყალა ნაყოფს რომ იკავებენ  
 თმაგაშლილები —  
 დაიხრჩვენ იქვე.  
 თავმოკვეთილი გდია იოანე.

ჩემთვის ლოგინი რომ გაეშალა

მოთიბა მთიბავმა ბალახი

ბალახი მოთიბა მთიბავმა

ციმ-ციმ ჩამოიტანა მთიდან.

დადგა მთიბავმა ზვინი,

შემომიკეცა საბანი გვერდულად-

მცოცა.

გააპობს სხეულს მისას ელია

კისერზე მათრახივით გადაჭერილი ჭექა-ქუხილით —

ორად.

ვარ მინა.

მინა ვარ მე.

აიხსნება ყველა წყველა და

იტვირთებს ზეკაცი ცოდვას ყველასას.

აიხსნება ყველა წყველა და

დაილურსმნება ერთი სხეული ყველასთვის.

მივა ზეკაცი მთიბავთან ელიას მთაზე

და ეტყვის:

— განმბანე მამაო...

**მტკვარზე ძაძებით ჩავიდნენ  
 და დგანან დედიშობილა...**

ბექა ლონდარიძე

**კეთილსა სკლია  
 ბოროტმა...**

არ მინდა ესეთი ტექსტი არსებობდეს და მერე მისტიკაზე  
 და მაგიაზე ლაპარაკობდნენ... შორს ესეთი ხილვაა თუ ფიქ-  
 რია თუ კოშმარია თუ პოეტური “ბოდვა”! — ეს შიშის განც-  
 დაა, უშუალო სიტყვებით გადმოცემული; იმ შთაბეჭდილე-  
 ბისგან გაქცევის მცდელობა, რომელსაც ლექსი მკითხველზე

ტოვებს. „იოანეს“ პირველად ერთ-ერთ ლიტერატურულ სა-  
 იტზე გავეცანი; კომენტარიც იქიდან მომყავს.

საშიშია ლექსი მაშინ, თუკი გ ა ი ძ უ ლ ე ბ ს, დაუბრუნ-  
 დე საკუთარ თავს — გაიაზრო / განიცადო ის, ვინც ხარ და  
 სხვაობაც დაინახო მასთან, ვინც სინამდვილეში უნდა იყო  
 — როგორც სრულფასოვანი ადამიანი. თავისი უღმობელი  
 პირდაპირობით, მხატვრული დამაჯერებლობით გადმოცე-  
 მული „ცივი“ სურათებით, სწორედ ასეთია იოანე . შიში კი,  
 რომელსაც ბადებს ტექსტი, ლოგიკურია და მიზანმიმარ-  
 თული — ერთგვარი სიგნალია: **“საფრთხე ახლოს არის,  
 მოემზადე თავდაცვისთვის! ან — გასაქცევად...”**

ლექსი მნიშვნელოვნად აგებულა ნაცნობი, მკითხველის  
 ცნობიერებაში საკრალური ტექსტებიდან აღბეჭდილი სახე-

ებით, ბიბლიური ალუზიებით; მჭიდრო კავშირშია სინამდვილესთან და გვიჩვენებს ავტორისეულ მსოფლგანცდას, რომლის საფუძველიც სწორედ თანამედროვე, ადამიანური გარემოა. პირველივე კადრებიდან აღინერება განცდების მიერ სასჯელდადებული ღირსიკული გმირი, გმირის განცდები; ვხედავთ სასჯელსაც, — მის სიშიშვლეს და შეუძლებლობას, შემოსოს იგი (ცხადი — ძილით), განიკურნოს სიცივისგან:

**ვნევარ დედიშობილა...  
მცივა.**

**ჩემთვის ლოგინი რომ გაეშალა  
მოთიბა მთიბავმა ბალახი...  
ბალახი მოთიბა მთიბავმა  
ციმ-ციმ მოაქვს მთიდან.  
მოუსწრებს გზაში წვიმა.**

აღნიშნული სურათი მეორდება მესამე სტროფშიც. შესამჩნევია, რომ ამ ფატალური უძრაობით ღირსიკული გმირი ემსგავსება მითიურ ამირანს, რომელიც ზენაართან დაპირისპირების გამო კლდეზე იქნა მიჯაჭვული — გავიხსენოთ, მის ღვიძლს მუდმივად ძიძგნის არწივი, ხოლო ერთგული ძაღლი ჯაჭვს ლოკავს და ცდილობს გალიოს იგი, მაგრამ მჭედლები ანახლებენ მას; ამავენაირად, უშედეგოა მთიბავისთვის მოთიბული ბალახის მთიდან ჩამოტანა, რადგანაც ჩნდება მჭედელი — ელია, რომელშიც ერთიანდება, როგორც ქართული წარმართული ღვთაება (გააპოზს ზურგს მისაც ელია/მათრახივით გადაჭერილი ქეჩა-ქუხილით), ასევე ბიბლიური წინასწარმეტყველი. ცხადია, ავტორი გამოკვეთს ღმერთთან მეტრძოლ ადამიანს, რომლის ყოფაც აპოკალიფსურია — რომელიც უნდა მოეკუთნოს და ცეცხლსა დაედვას, მაგრამ რა ბრალი მიუძღვის ადამიანს? რა ნაყოფი გამოიღო მან — დავნეები ყოველამ შენთან/დამპალი ფესვებით და მეგონება ჭიპლარით გადახლართული ქუჩები/ასეული წლებია/საღებავის აიაზმას ისხამენ ტანზე... — მეორე სტროფი მცდელობაა, ლექსმა გაამართლოს უკიდურესად ნეგატიური წინაგრძნობა და გვაძლევს მიმანიშნებელ ხატებს, საიდანაც უნდა ამოვიკითხოთ პროტესტის მამოძრავებელი ძალა. ჩემი ფიქრით, ესაა ფარისეველი კაცი, მხოლოდ გარეგნულ ნიშნებზე დამოკიდებული, ილუზორული ყოფით, ზოგადად — ფასადურობა, საცქერლად სულ უფრო საამო წარმოდგენას რომ გვთავაზობს; ნიღბოსნურ სანახაობას, რომლის მიღმაც ჩვენი შინაგანი კვდობა იმალება. ფინალური ფრაზაც, რეფრენივით რომ მეორდება, სწორედ ამ ავბედითობის ბოლო აკორდია.

**მტკვარზე ძაძებით ჩავიდნენ  
და აღარ დაბრუნებულან.  
ამოთხრილი კორპუსებიც  
ჩამპალ საძირკველში  
წყალწყალა ნაყოფს რომ იკავებენ  
თმაგაშლილები  
დაიხრჩვენ იქვე.**



კატო ჯავახიშვილი

**ვარ მინა  
მინა ვარ მე  
აიხსნება ყველა წყველა და  
იტივრთებს ზეკაცი ცოდვას  
ყველასას...  
აიხსნება ყველა წყველა და  
დაილურსმნება ერთი სხეული  
ყველასათვის.**

ერთი შეხედვით, აქ სიკვდილითა სიკვდილის დამარცხება აღინერება, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით სახე-სიმბოლოების ერთიერთმიმართებას, ირკვევა, ეს მხოლოდ სასურველის (მხატვრულ) რეალობად გასაღების მცდელობაა, რაც სხვაგვარად, პოეზიისთვის ჩვეული, ერთგვარი განწყობითი დუალიზმის გაგებას შეიძლება დავუკავშიროთ. სინამდვილეში კი... დამაფიქრებელია, რომ პერსონაჟი, რომლის სახელიც სათაურადაა გამოტანილი, ნახსენებია ერთადერთხელ: თავმოკვეთილი გდია იოანე; ანუ იოანე მკვდარია, ხოლო ფუნქციურად მას ენაცვლება მთიბავი (მივა ზეკაცი მთიბავთან ელიას მთაზე/და ეტყვის:/— განმბანე მამაო...). ერთი მხრივ — იოანე, რომელიც დაცლილია მისიონისგან (რასაც ფინალური ფრაზაც მოწმობს) და მეორე მხრივ — მთიბავი, ნარატივის მოქმედი, ცოცხალი ფიგურა, რომელიც უარყოფითი კონოტაციით იტივრთება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ, ბიბლიური თქმით, სწორედ ელიამ უნდა ამხილოს ანტიქრისტი, გასაგები ხდება, თუ რისი ალუზიაა ელიას მთაზე ასვლა და ვინაა ეს ზეკაცი; გასაგები ხდება, თუ რომელ მხარეს გადახარა ავტორმა გამარჯვების სასწორი ბოროტებასა და სიკეთეს შორის მარადიული ომისა.

ადამიანისთვის შეუძლებელია სიკვდილის დამარცხება. მას ურჩევნია საერთოდ არ იფიქროს სიკვდილზე, რათა ასე მანაც მოიპოვოს ბედნიერების განცდა... გართობა, სანახაობა — აი, ერთადერთი ჩვენი ნუგეში ტკივილის საუფლოში და მასთან ერთად, — ყველაზე დიდი ტკივილიც: ჩვენ არ ვფიქრობთ ყოფაზე, რომელსაც, თავის მხრივ, შეუმჩნევლად მივყავართ დალუპვისკენ (ბლუზ პასკალი). საკუთარ თავთან დაბრუნებაც, ზემოთ რომ ვახსენე, ხომ პირველ რიგში გულისხმობს ადამიანის ბუნების, კერძოდ, მისი მოკვდავობის გაცნობიერებას. იოანეს ღირსიკული გმირი ტრაგიკულია. ეს იმ ადამიანის ტრაგიზმია, რომელსაც ნავსაყუდელისთვის ვერ მიუგნია და სიკვდილის გადაულახავი ბარიერის წინაშე აღარაფრის შეცვლა ძალუძს. ლექსი, რომელიც, ჩემი აღქმით, ავი (განწყობის) ნაყოფია, უნდა მივიღოთ, როგორც გაფრთხილება — ავტორისა და მკითხველის მიმართ.

ზურაბ ხასაია

# აკუტაგავას ტრაგედია

## 1. ბიბლიური ადამიანის სიკვდილი

აკუტაგავამ, დიდმა იაპონელმა მწერალმა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ეს მოხდა 1927 წელს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლები, პოეტის თქმისა არ იყოს, მრისხანე წლები იყო. დედამინა სისხლის ნიაღვრებისგან იყო გადარეცხილი. დიდ რუსეთში აპოკალიფსური მოვლენები გრძელდებოდა და მთელი მსოფლიო ძრწოლვით მისჩერებოდა ამ წითელ სფინქსს. შიმშილი, ჭირი და რაღაც გაურკვეველი უბედურების მოლოდინი ყველგან იგრძნობოდა. ფილოსოფია და ლიტერატურა შავნალვლიანობამ მოიცვა. ოლონდ ეს არ ყოფილა რომანტიკოსების ოდნავ ჭირვეული მსოფლიო სევდა, რაიც პოეტის ერთგვარი პიროვნული სიამაყის გრძნობით იყო გაკეთილმოზილებული.



არა, ეს იყო რაღაც გაუსაძლისი სინამდვილის მოლოდინი. მას ოიდიპოსის ძრწოლა თუ შეედრებოდა, როცა თებეს მბრძანებელმა ფეხქვეშ მეტაფიზიკური მინისძვრა იგრძნო. ჭირი, რაიც თებეს, ძველი მსოფლიოს ამ შვიდჭიპკარიან ქალაქს შემოეჩვია, იავნანა იყო იმ ჭირის მიზეზთან შედარებით. ეს მიზეზი თანდათან ეცხადებოდა ოიდიპოსს პირქუში წინასწარმეტყველის პირით და უახლოვდებოდა ბრმის ჯოხის კაკუნით.

ტირესია წინასწარმეტყველს ედრებოდა მეოცე საუკუნის დამდეგს მძლავრი ქამელეონი, რაიც დემონურად ციმციმებდა ევროპაში. ეს გახლდათ მარქსის, ნიცშესა და ფროიდის აზრთა ციმციმი. მისი შინაარსი იყო ადამიანის უარყოფა.

მარქსმა ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობად გამოაცხადა; ნიცშემ – ხიდად რაღაც უფრო მაღალი მიზნისკენ. ხოლო რა იყო ეს მაღალი მიზანი, თუ არა სიცოცხლით ატეხილი დემონის მძლავრი თვითნებობა. ფროიდს კი ადამიანი დასწრულეულ ცხოველად ეჩვენებოდა: ის დასწრულეულია ადამიანობის ყალბი იდეით. ასე თავი დასწრულდა ფრინველობის იდეით, აკაკის ლექსის თანახმად. ამნაირი სწული განიკურნება მხოლოდ უკანდახევით. ადამიანიც, ფროიდის თანახმად, განიკურნება უკანდახევით – ადამიანისგან განძარცვით და ცხოველის ტყაუში დატევით.

ასე კვდებოდა მეოცე საუკუნის დამდეგს ბიბლიური ადამიანი – ღვთის ხატება და მსგავსება. ევროპას ახალი იდეა მოეფინა. პოეტებმა შიშველი გულითა და ნერვებით

განიცადეს ფილოსოფოსთა მიერ დინჯად განჭვრეტილი ახალი ამბავი. ესენი იყვნენ დოსტოევსკი და ტოლსტოი, თომას მანი და გამსახურდია, ჩეხოვი და აკუტაგავა.

პირველი ოთხეულისაგან განსხვავებით, ჩეხოვსა და აკუტაგავას არ ჰყოფნიდათ ეპიკური სიბრძნე მშვიდი ჭვრეტისათვის. ამიტომაც ვერ ქმნიდნენ ვრცელ ტილოებს, ვერ შლიდნენ ამბავს ფართოდ. არც იუმორი ჰყოფნიდათ, ვთქვათ, ბეკეტისგან განსხვავებით, ახალი ამბის გადასახარშად და მოსაგერიებლად. ჩეხოვის პოეტურ სიზმრებში ბიბლიური სიკეთე და ბოროტება თანდათან შეცვალა სისუსტემ და სიძლიერემ.

სიკეთე სუსტი და დალილია, ბოროტება – ძლიერი და სიცოცხლით გაუმადლარი. სიკეთე სუსტია არა ცხოვრებაზე მაღლა დგომის გამო, როგორც რომანტიკოსებს ეგონათ. მაგალითად, თარამ ემხვარს „ცის მეურნეობა“ იტაცებდა. გვასხოვს: „მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდეს იქნებ“.

ჩეხოვი უფრო მძიმე ფიქრებითაა შეპყრობილი: მეოცნებე ციდან კი არაა, არამედ – მიწიდან. ოლონდ მას აბრკოლებს გადაგვარების სურვილი, ვითარცა აკაკის ღამურას. მაგრამ სრული გადაგვარება შეუძლებელია. ამიტომ მეოცნებე მხოლოდ საკუთარი თავის შეფერხებას ანუ ფროიდისეულ „ნევროზულობას“ აღწევს. აქედანაა ჩეხოვის გმირთა დალილობა. დალილობის თემა, ჩეხოვის მერე, ყველაზე კარგად იგრძნო ალბერ კამიუმ.

კიდევ უფრო მრუმეა აკუტაგავას ფიქრი. „კეთილი“ აქაც მიწიდანაა. მაგრამ, ჩეხოვის გმირისგან განსხვავებით, ის დალილობას კი არ გრძნობს, არამედ – რაღაც მეტს. ეს მეტი სიცოცხლის სიძულვილია. რომანტიკოსთა „სიკეთისგან“ დარჩა მხოლოდ უარყოფის სურვილი. მათი „ცა“ აღარ არსებობს. არის მხოლოდ რომანტიკოსის მიერ ამაყად უარყოფილი მიწა, რაიც მართლა უარყოფის ღირსია.

ასეთი მრწამსი, არსებითად, თვითმკვლელობის სურვილია. ამ სურვილმა გაუმწარა სიცოცხლე იაპონელ მწერალს და ადრევე მოუსწრაფა იგი.

## 2. ორნაირი პოეტი

არსებობს ორნაირი პოეტი: პოეტი-მახარობელი და პოეტი-მამხილებელი.

პოეტი-მახარობელი ასე ფიქრობს: ცხოვრება მძიმეა. ძნელია მისი ატანა, გაძლება. ამიტომაც ასე ხშირია ადამიანის ამოოხვრა და კვნესა. პოეტმა უნდა ანუგეგოს ადამიანი; იმედის სხივი აუნთოს და გაახაროს. ამიტომ პოეზია ცხოვრების უღრმესი საიდუმლოების გაცხადებაა. ის ნუთისოფლის ატანის ხელოვნებაა.

ამას გულისხმობდა ნოვალისი, როცა ამბობდა: „პოეტი კეთილ ხელმწიფესავითაა. იგი იცნობა გარშემო მყოფთა ნათელი და მხიარული სახეებით“.

თუ ამ აზრს ვერწმუნებით, პოეზია ადამიანის ცხოვრების ნამდვილი საწყისია. თვით იესო ქრისტე და მისი მოცი-



ქულები პოეტებად ჩანან, რადგანაც მახარობლები იყვნენ და ჭეშმარიტ ცხოვრებას ამკვიდრებდნენ.

საქართველოში პოეტი-მახარობელია შოთა რუსთაველი. მოგვიანებით მისი ღირსეული მონაწილე იყო აკაკი წერეთელი.

სულ სხვაა პოეტი-მამხილებელი. ის ასე ფიქრობს: ცხოვრება მართლაც მძიმე და ძნელად ასატანია. მაგრამ ეს ისევე ადამიანთა ბრალია. ცხოვრება კი არ აფუჭებს ადამიანს, არამედ ადამიანები აფუჭებენ ცხოვრებას. ამიტომ არაა საჭირო მათი გამხმევა და მათთვის ზურგის ფხანა. ეს კიდევ უფრო გაათამამებს და გაათავხედებს მას. უმჯობესია მწარე სიმართლეთი მიახლო პირში. ეგებ აქედან გამოვიდეს რამე. ეგებ ცოტათი ჩაიხედოს ადამიანმა თავის თავში და ადამიანს დაემგვანოს, ამ სიტყვის მაღალი, ბიბლიური გაგებით.

ამბობენ, რომ პოეზია ამ მიზნისთვის გაჩნდა. ყველანი ცხოვრობენ. პოეტმა კი სიმართლე უნდა თქვას. ამისათვის დასჯიან, მაგრამ ის სწორედ სამსხვერპლოდაა მოვლენილი. მან იოანე ნათლისმცემელივით სიმართლის წყაროსწყლით უნდა განბანოს და მონათლოს. მეფის მასხარად უნდა იქცეს; მანაც თავისი მოკვეთილი თავით უნდა უწამლოს ქვეყანას. იქნებ სულაც იოანემ შექმნა იესო ნაზარეველი თავისი მოკვეთილი თავით?! ასე ფიქრობდა ერთ დროს დიდი როდენი.

პოეტის ამგვარ დანიშნულებას გულისხმობდა სოფოკლე, როცა ამბობდა: „რა უსირცხვილოდ წარმოთქვი შენ ეს სიტყვა და, გგონია, გაექცევი სასჯელს? – მე უკვე გავექეცი მას, რადგანაც ვემსახურები ჭეშმარიტებას“.

ჩვენთან რუსთაველმა დალოცა თავისი დიდი სიტყვით „ქმნა მართლისა სამართლისა“. მაგრამ თავად ის მახარობელი იყო თავისი ბუნებით. პოეტ-მამხილებელთა პაპა საქართველოში დავით გურამიშვილია. „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?“ – აი მისი შემოქმედებითი გეგმა. ეს გზა მწვერვალზე აიყვანა ილია ჭავჭავაძემ.

იაპონიაში მწერალ-მამხილებლის იშვიათი ნიმუშია აკუტაგავა.

რაოდენ უცხოა მისი მრწამსი ჩვენი პირფერული დროისთვის. ჩვენს დროში ადამიანი ჰგავს მაღაზიის თაროზე გასაყიდად შემოდებულ საქონელს. ოსტატურად შეფუთული საქონელი თავს განონებს და მყიდველს ეძახის, უხმობს. ადამიანებიც მყიდველს უხმობენ თავგანწირულად. მათი მთავარი სიტყვაა: „მიყიდეთ, შემოიხიეთ!“. რა ჰქნას? თუ არავინ იყიდა, დაილუპება. ისინიც თავს აწონებენ მყიდველს, ეპრანჭებიან, ცდილობენ უკეთესნი გამოჩნდნენ, ვიდრე არიან, და ზედმინეწით ასიამოვნონ. სწავლობენ ადამიანთა სურვილებს, რათა სრულად მოერგონ. ქათინაურებით ამკობენ ბრბოს, მდაბითა გროვას, რათა თავი მოაწონონ და ფული დასციენტლონ, ან საარჩევნო ხმები გამოსტყუონ.

ბრბოს გარდაქმნა ხალხად, ადამიანებად, რაიც ძველად პოეტებისა და ფილოსოფოსების საქმე იყო, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. პირიქით, ბრბოს კიდევ უფრო გაუხამსება და მასთან გატოლება იქცა ხელოვანთა და მოაზროვნეთა მთავარ საზრუნავად.

აკუტაგავა კი დაუნდობლად ამხელს სიმართლეს. ის არავის ერიდება, რადგან არავის აწონებს თავს. მზადაა საუკუნო მარტოობისათვის, ოღონდაც სიმართლე თქვას; ანუ ის, რაიც სიმართლედ მიაჩნია. თავისი პირადი ცხოვრება ამ საქმეში მხოლოდ საშუალებად ეგულება; არავითარ შემთხვევაში – მიზნად.

აკუტაგავასეული მხილება დიდად განსხვავდება გურამიშვილისეული და ილიასეული მხილებისაგან. გურამიშვილი და ილია ადამიანს, ძე-შეცთომილს ამხელდნენ. აკუტაგავა სრულიად სამყაროს, ქვეყნის დასაბამს ამხელს. ჩვენი პოეტები ამბობენ: ადამიანმა ქვეყნიერების მთავარ, უზენაეს წესს არ უნდა უღალატოს. აკუტაგავა ამბობს: თვით ქვეყნიერების უზენაესი წესია მუხთალი და ლალატიანი. ამიტომ ადამიანიც ასეთია. ადამიანი სწორედ მას უნდა აუმხედრდეს და არ დაემორჩილოს. ეს კი იმასა ჰგავს, რომ შეეცადო ლოდის აწევას, რაზედაც თვითონვე დგახარ.

გურამიშვილმა და ილიამ სიკეთე მძიმე მდგომარეობაში იხილეს, აკუტაგავამ – უმძიმესში. მდგომარეობის უმძიმესობა ისაა, რომ სიკეთის საფუძველი არსად ჩანს.

არც ევროპული იდეალიზმი და, საერთოდ, ქრისტიანული ეთიკა გამოირჩეოდა ამ მხრივ დიდი დაჯერებულობით. ქრისტიანი თვალუწვდენელ ბუნებაში ბოროტებას უფრო ხედავს, ვიდრე სიკეთეს. ასეა, რადგან ბუნება არაა ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი. მეტიც: ბუნება პირველი ადამიანის ცოდვამ წაახდინა და შერყვნა. მაგრამ გამოსავალი მაინც ბრწყინავს: ქრისტემ იტვირთა ადამიანთა ცოდვა; ხოლო ბუნების მიღმა სრულად სუფევს სალხინებელი და სამოთხე. იქ, ყველაფრის იქით, რასაც კი ფიქრი მიენევა, ბრწყინავს ღვთის სასუფეველი და ერთგვარი წარმართული ელიზიუმი.

აკუტაგავა კი სხვაგვარად ანგარიშობს: სიკეთეს საფუძველი არ უჩანს არსად. მაშასადამე, ის არათუ ძლიერია, არამედ სუსტიც ვეღარაა. მისი სულაც არსებობაა საეჭვო. ის, რასაც სიკეთესა და სინდისს ვუწოდებთ, მოჩვენებათა გავრცელებული ქსელშია გახვეული. საკითხი აღარ ეხება სიკეთის მძლეობას, მის გამარჯვებას. საკითხი მის არსებობას ეხება. მისი არსებობა უკვე იქნებოდა მისი გამარჯვება. მაგრამ იოტისოდენა სიკეთეც კი, ეტყობა, არ არსებობს. ის მოჩვენებითია.

აი ესაა აკუტაგავასეული მხილება. თუ გურამიშვილმა და ილიამ ადამიანი ამხილეს, აკუტაგავამ ღმერთი ამხილა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოროტება განაგებს ქვეყნიერებას.

მაგრამ ქვეყნიერებას, რომელსაც ბოროტება განაგებს, თეოლოგიის ენაზე ჯოჯოხეთი ჰქვია. ამიტომ აკუტაგავა, კაცმა რომ თქვას, ჯოჯოხეთის პოეტია. მას მოთხრობაც აქვს სათაურით „წამებანი ჯოჯოხეთისანი“. ამ მოთხრობაში ჩვენი ცხოვრების შუაგულია აღწერილი, სხვა არაფერი.

ჯოჯოხეთის თემა მწერლობაში დანტე ალიგიერიმ შემოიტანა. მაგრამ ეს კათოლიკე პოეტი ჯოჯოხეთს ქვეყნიერების მხოლოდ ნაწილად თვლიდა. ის ქვეყნიერების ჯურღმულოვანი ფსკერია, საიდანაც გზა მიდის სალხინებლის, მერე კი სამოთხისკენ.

ამ დაწვრილმანებას უკავშირდება შოპენჰაუერის გესლიანი, მაგრამ უკვდავი შენიშვნა. ღვთაებრივი კომედიის „სამთავში“ ჯოჯოხეთი ყველაზე ცოცხლად და დამაჯერებლად არისო დახატული, რადგანაც მისთვის მასალა მწერალმა ცხოვრებიდან აიღო. სალხინებელი და სამოთხე შედარებით უფერული გამოვიდაო, რადგან მათთვის მასალას ცხოვრება არ იძლევა და პოეტს თითიდან მოუხდაო მათი გამოწოვაო.

ამ შენიშვნის თანახმად, ჯოჯოხეთი ცხოვრებაა, სინამდვილეა, ხოლო სალხინებელი და სამოთხე – წარმოსახვის ნაყოფი.

დანტეს ჯოჯოხეთის კარიბჭეზე შავი ლექსია ამოტვიფრული: „თქვენ, აქ მოსულნი, იმედები დასტოვეთ ყველა!“ ეს შავი ლექსი თამამად შეიძლება გავაკრათ აკუტაგავას რასიომონის კარიბჭეზეც და, საერთოდ, აკუტაგავას წიგნის ეპიგრაფად განვიხილოთ.

აკუტაგავას მოსწონდა დანტეს „ჯოჯოხეთი“. დანარჩენი ორი ნაწილის კითხვას კი გულს ვერ უდებდა. თუ ღვთაებრივ კომედიში დავტოვებთ მხოლოდ ჯოჯოხეთის ამბავს, ხოლო გადავხაზავთ საღვინებლისა და სამოთხის ფრიად მოსაწყენ ზღაპრებს, მივიღებთ აკუტაგავას.

**3. ჯოჯოხეთის პოეტი**

აკუტაგავას მრწამსი, მოკლედ, სამი სიტყვით შეიძლება გამოითქვას: „ბოროტება განაგებს ქვეყნიერებას“. ეს ზუსტად იგივეა, რასაც ბუდისტების პირველი ჭეშმარიტება გვამცნობს: „ყოველგვარი არსებობა ტანჯვაა“.

იგულისხმება, რომ ყოველი სულდგმულის, მეტადრე კი ადამიანის ცხოვრებაში უსიამოვნებანი ბევრად სჭარბობს სიამოვნებას. ადამიანი ცდილობს უსიამოვნებათა არიდებას, მაგრამ ეს მცდელობა მთავრდება დაბერებით, დასნეულებით და სიკვდილით. ასე ხდება, თუ მანამდე არ იჩქარა უბედურმა შემთხვევამ.

ისე ჩანს, რომ ცხოვრების უმთავრესი მიზანი ტანჯვის გაგრძელებაა. ცხოვრება ტანჯვაა ტანჯვისათვის, რაიც მთავრდება სიკვდილით.

აქ სრულიად ნათელია სიკეთისა და ბოროტების თანაფარდობა.

სპარსი ზარატუსტრა ასწავლიდა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის შესახებ. ცხოვრება, მთელი ქვეყნიერება ამ ბრძოლის სურათია.

ნეოპლატონიზმი ქვეყნიერებას სიკეთის მოფენად განმარტავდა. არსებობს სიკეთე. ბოროტება მხოლოდ გვეჩვენება.

შუა საუკუნეების საქართველოში ეს აზრი ძლიერი იყო. პეტრე იბერი მას ჰქადაგებდა. გელათის აკადემიაშიც ამას ასწავლიდნენ. ვეფხისტყაოსანშიც ამას ვკითხულობთ: „ბოროტიმცა რად შეექმნა სიკეთისა შემოქმედსა“, „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს“, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“. რაც მთავარია, მთელი პოემის სულისკვეთებაც ამგვარია.

ეს აზრი ადამიანისთვის ძნელად გასაგები ჩანს. ნეოპლატონელები ფიქრობენ: სიკეთე ისედაც სიკეთეა; ხოლო რაც ბოროტებად გვეჩვენება, ისიც სიკეთეა, ოღონდ – უფრო მცირე. მაგალითად, ცუდი საჭიროა კარგის დასაფასებლად; მტერი გვაფხიზლებს; გაჭირვება გვაკაჟებს და ჩვენს ძალებს თავს უყრის; დაბერება გვიადვილებს სიცოცხლესთან გამოთხოვებას; სიკვდილი კი გვათავისუფლებს სიბერისეული ტანჯვისგან.

ეს აზრები სოფისტურ ნაკვესებად მოეჩვენებოდა აკუტაგავას. ეს ნაკვესები მხოლოდ იმას გვასწავლის, რომ ტანჯვა საჭიროა. აკუტაგავას კი სწორედ ეს მიაჩნია ბოროტებად. თუ ცხოვრება შეუძლებელია ტანჯვის გარეშე, ეს სწორედ ბოროტების საყოველთაო ბატონობას და სუფევას ადასტურებს. აკუტაგავა ნეოპლატონელთა ნამდვილი ან-

ტიპოდია: არსებობს მხოლოდ ბოროტება; სიკეთე კი გვეჩვენება. ცოტაა იმის თქმა, რომ ბოროტება სჭარბობს სიკეთეს. სიკეთე, უბრალოდ, არ არსებობს. ბოროტება არის ის, რაც არსებობს. სიკეთე კი ისაა, რისი არსებობაც გვინდა.

ასეთ აზრს ქრისტიანული სარწმუნოება ეშმაკეულად აცხადებს. ქრისტიანი ბერი იტყოდა, რომ აკუტაგავა ეშმაკითაა ვნებული; რომ მას უშველიდა ბავშვობიდანვე სწორი ქრისტიანული აღზრდა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ეშმაკეული აზრები ნაკლებად გაჩნდება საქართველოში და მეტად – იაპონიაში. ამას თავისი მიზეზები აქვს.

დავაკვირდეთ: საქართველო ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურ-მუხტი ქვეყანაა. აქაური ბუნება ადამიანს ნდობით აღავსებს და, საზოგადოდ, დადებითად განაწყობს ცხოვრების მიმართ.

სხვა სურათია იაპონიაში: ოკეანეში გადაყრილი ათასი კუნძული, შეყენებული ცეცხლის ლავაზე; მინისძვრისა და ხანძრების კლასიკური მხარე; ირგვლივ – წყალი, ქვემოდან – ცეცხლი. ხოლო მინისძვრა შიშის ზარსა სცემს ყოველ სულდგმულს; არათუ ადამიანს, თვით ცხოველსაც კი; ცხოველს, რომელსაც, ადამიანისგან განსხვავებით, ბუნების ბრძნული სიმშვიდე აღბეჭდვია სახეზე. შეიძლება ითქვას: საქართველოში არათუ ადამიანი, თვით ცხოველიც კი უფრო მშვიდი და ლალია.

ახლა სხვა მხრიდანაც შევხედოთ. საქართველოში ადამიანი იბადება და იზრდება მართლმადიდებლობის ნიაღში. მასში იმთავითვე ინერგება აზრი, რომ ბუნება ღვთის შემოქმედებაა, ხოლო ადამიანი – ამ შემოქმედების გვირგვინი. ესეც ადამიანს დადებითად განაწყობს ცხოვრების მიმართ.

იაპონელი კი დაბადებიდანვე ბუდისტურ აზრს შეისუნთქავს: ბუნება არ არსებობს, გვეჩვენება. ადამიანის ცხოვრება მოჩვენებებზეა დაყუდებული და ისინი ტანჯავენ მას. საგნები, თვით საკუთარი „მე“ მოჩვენებაა.

ჰინდოთა პურანაში ანუ მითთა კრებულში ნათქვამია: სადაც ფეხს დააბიჯებ, ყველგან ათასი გზის გასაყარია. ადამიანიც მებრძოლ ძალთა გადაკვეთაა, მათი ბრძოლისა და ჯახის ველია. ამიტომ ჩვენ ყოველ წუთს ვიცვლებით, სხვადასხვა ვართ. ჩვენში ათასი პიროვნებაა და ტყუილად ვაიგივებთ ჩვენს თავს ერთ რომელიმესთან. თუ კარგად ჩავუკვირდებით ჩვენსავე თავს, აღმოვჩენთ: ჩვენ არ ვარსებობთ. სამყარო, ჩვენივე ჩათვლით, ჩვენებათა კორიანტელი და რიალია. ბუნება კი არ არსებობს, არამედ ციმციმებს და გვატყუებს, გვითრევს თავისი ქიმერების უფსკრულში, ლანდების ფანტასმაგორიაში, არაფრის ჰაეროვან ქაფში.

აზრთა ასეთ ნიაღში იბადება და ყალიბდება უნდობლობა ცხოვრების მიმართ, დაურწმუნებლობა ცხოვრების სიმყარეში, რალაც ღრმა უიმედობა ყოველდღიური ფუსფუსის მიღმა.

**4. „ცოტა ღირს ადამიანი!..“**

აკუტაგავას მოთხრობები ადამიანისადმი ურწმუნობითაა გაჟღერებული. ადამიანი ისე უმწეოა, რომ მისი ნდობა შეუძლებელია.

რა არის ადამიანი? აკუტაგავა ინდუიზმის ერთგულია: ადამიანი სურვილებისა და გონების ერთად ყოფნაა.

სურვილი იმთავითვე ნაკლის მაჩვენებელია: ადამიანს

აკლია ის, რაც სჭირდება. სურვილი სწორედ ამას გამოხატავს და ტანჯვაც აქედან იწყება. სურვილი ადამიანს უბიძგებს საკუთარი არსებობის შენარჩუნების, გაფართოებისა და დამკვიდრებისაკენ. სხვა აზრი სურვილში არ დევს.

ქრისტიანული სარწმუნოება გვასწავლის ბოროტი და კეთილი სურვილების შესახებ. პირველი ადამიანების ცოდვითდაცემამ წარმოშვა ბოროტი სურვილი. მანამდე ბოროტი ნება არ იყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ მანამდე არც ადამიანი ყოფილა. ადამიანობა იწყება ცოდვითდაცემიდან ანუ ბოროტი ნებიდან. ადამიანში მას ეკუთვნის პირველობა. ამიტომ ადამიანის დაყრდნობა საკუთარ სურვილებზე და, საერთოდ, საკუთარ ძალებზე ბოროტებაა.

აქამდე ქრისტიანი აკუთავადასეულ თვალსაწიერში რჩება. მაგრამ ქრისტიანობა, ფაქტობრივად, ამ თვალსაწიერის გადალახვიდან იწყება. ქრისტიანი სცნობს კეთილ ნებას – ღვთისა და ადამიანის ძეს, რაც მიუწვდომელია ადამიანის ძისათვის. მაგრამ არსებობს ადამიანური კეთილი ნებაც. ეს არის საეკლესიო ავტორიტეტისადმი მიწოდება ანუ რწმენა.

აკუთავადა პატივს სცემდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. მის მოთხოვნებში გაიღვებოდა ძესუსუ ქირისიტოსის ნათელი სახე. ამ მხრივ აღსანიშნავია „ნანკინელი ქრისტე“ და „ქრისტიანის სიკვდილი“. აქ ჩანს, რომ ქრისტიანული რწმენა იაპონელი მწერლისათვის დარჩა მხოლოდ სუბიექტურ ფაქტად. ქრისტიანი ამ სუბიექტურ ფაქტის იქით სცნობს ობიექტურ სინამდვილეს – ქრისტეს პიროვნებისა და ცხოვრების ისტორიულობას. იაპონელ მწერალს კი ამის დაჯერება არ შეეძლო.

ამიტომ ზემოხსენებულ პირველ მოთხოვნაში გახაზულია მორწმუნე მეძავის წარმოსახვისა და თვით სინამდვილის გულსაკლავი შეუსაბამობა. ეს რწმენას – შემზარავ სინამდვილესთან გარდუღვალ შეხვედრას, ხოლო მორწმუნეს მწარე იმედგაცრუებას განუშვადებს.

მეორე მოთხოვნაში კი ნამდვილი ქრისტიანული რწმენა, მისი მიუწვდომელი სინამდვილე და უანგარობა, როგორც წესი, საზარელ ტანჯვას გადაეწვება. აქ გახაზულია რწმენის არაადამიანურად მტანჯველი მხარე. ხოლო მისი შინაგანი ნეტარება, რაიც, მორწმუნეთა ჩვენებით, შორს აღმავტება ყოველგვარ მიწიერ ნეტარებას, სრულ საიდუმლოებად რჩება. ამ საიდუმლოს სიტკბოება ცხოვრებაში არა ჩანს. ის ზეადამიანურ მოძღვრებაშია დამარხული.

სურვილთა შეფასებაში, როგორც ვხედავთ, აკუთავადა არც ისე შორსაა ქრისტიანული მრწამსისაგან. ის ბევრად უფრო შორსაა, ამ მხრივ, რუსოსგან. რუსო ჰგომობდა ადამიანის სურვილებს. აქ მისი შემართება არანაკლები იყო, ვიდრე პავლე მოციქულისა. ოღონდ სახარება კვალში მიჰყვება ებრაულ წიგნებს და სურვილთა და სწეულების მიზეზად ცოდვითდაცემას იტყვის. რუსო ათეისტია და ასეთ მითურ ისტორიას არ სცნობს. სამაგიეროდ, ის ახალ მითს თხზავს: სურვილები წაახდინა და დაამახინჯა კერძო საკუთრების დაწესებამ და მასზე დამყნილმა ცივილიზაციამ. ბუნება კი ჯანსაღია. მისგან მომდინარე სურვილებიც ასევე სალი და კეთილშობილია. დასავლურ ცივილიზაციის მუაგულში ასე ინატრა რუსომ ველური, რომელმაც ნიცშეს მოძღვრებაში ზეკაცის სახე მიიღო.

აკუთავადა კი ამ საკითხში ინდუიზმის სწავლებას მისდევის: ველურსა და ცივილიზებულ ადამიანს შორის როდია დიდი განსხვავება. ისტორია ერთისა და იმავეს განმეორებაა

სხვადასხვა ტანისამოსში. „სხვა, ოღონდ იგივე!“ – ასეთია მისი წესი. სურვილები საკუთარ თავზე ზრუნვისაკენ უბიძგებს ადამიანს გარესამყაროს ხარჯზე. ამიტომ ისინი ეგოიზმის გამოხატვაა თავიდან ბოლომდე და ზნეობრივად გაუმართლებელია. სიცოცხლე, რაოდენ მიჯაჭვულიც უნდა ვიყოთ მასზე, ეგოისტური სურვილების კონა და თავიგულია. ამიტომ სიცოცხლე ზნეობრივად გაუმართლებელი ჩანს.

მაგრამ ადამიანი როდია უბრალო სიცოცხლე. ის გონებითა დაჯილდოებული. სურვილებსა და მათს აღსრულებას შორის გონება დევს. სწორედ ესაა ადამიანის თავისებურება.

განმანათლებლობა დიდ იმედებს ამყარებდა გონებაზე. ჰეგელი გონების ძლევა მოსილებას ამტკიცებდა. ქვეყნად არ არსებობსო ძალა, რაიც წინ აღუდგებოდაო გონების წინსვლას, მის მოძრაობას. გულისხმობდა, რომ გონებას შეუძლია სურვილების მართვა და ამით გაკეთილშობილება. ბუნების წყვდიადიდან ამოფეთქილი სურვილი ველურია და შეეფერება ცხოველთა სამყაროს. მაგრამ ადამიანის დონეზე სურვილთა ველური დოლი აღკვეთილია გონების აღვირით. გონების სინათლეს ახალი სიცოცხლე შეაქვს სურვილებში. ხდება ბუნებიდან ამოფეთქილი სურვილთა გაკეთილშობილება, გაადამიანურება.

აქედან გამომდინარეობს ადამიანის დიადი თავისუფლება. თუ ცხოველი თავის სურვილზეა მიჯაჭვული და მათი ველური დაკმაყოფილების საშუალებაა, ადამიანი აცნობიერებს თავის სურვილებს, აფასებს მათ და ამით თავისუფლდება მათგან. პირიქით, ბატონობს კიდევ მათზე. ამიტომ გზა იხსნება შემეცნებისაკენ. ადამიანს შეუძლია მოიცილოს თვალთაგან სურვილების ლიბრი და თავისუფლად უჭვრიტოს საგანს; შეიმეცნოს იგი ისე, როგორც არის სინამდვილეში. ამიტომ გონების წინსვლას ველარაფერი დაუდგება წინ. ბუნება იხდის პირბადეს და შიშვლდება ადამიანის შეუპოვარი ნების წინაშე.

მეცხრამეტე საუკუნის შუახანებისათვის ეს აზრი თანდათანობით ჩაქრა. დაიწყო გონების ძალისა და როლის გადაფასება. აკუთავადა ჰეგელის შემდგომი ფილოსოფიის ახალ, დეკადენტურ ტალღას ეკუთვნის. მას გონება უმწეო ეჩვენება. გონება სურვილების ბატონი კი არაა, არამედ – მონა. ის იარაღია სურვილთა ხელში. ადამიანის ცხოვრებაში მას მხოლოდ საშუალებათა მოძებნა ევალება. მთავარს – მიზნის დასახვას – კი გონებას არავინ ეკითხება. მიზანი სურვილებშია იმთავითვე მოცემული და გონება საშუალებებსა ეძებს მის მისაღწევად.

გონებას არ ეკითხებიან-მეთქი მიზნის დასახვას. მეტიც, გონებას არ აკარებენ ამ საქმის სიახლოვესაც კი. სიცოცხლის ერთ-ერთი მთავარი საქმეა გონების მოცილება მთავარი მიზნებისგან. ასეა, რადგან გონება მაშინვე აღმოაჩენდა ამ მიზნების უაზრობას, უფასურობას და სიცოცხლეს უსაგნოდ დატოვებდა.

ამიტომ სიცოცხლე დაინტერესებულია გონების დამონებით და აღწევს კიდევ ამას. სხვაგვარად სიცოცხლის ფეთქვა შენელებოდა და მისი მამოძრავებელი ძალა ჩაქრებოდა. სიცოცხლის ხალისი დაიშრიტებოდა. ამას გულისხმობდნენ შოპენჰაუერი, ნიცშე და ფროიდი, როცა გონებას სიკვდილის სანყისად აცხადებდნენ. ამით ახსნიდნენ სიცოცხლისა და გონების დასაბამიერ მტრობას.

გონების მონობიდან გამომდინარეობს შესაბამისი შედეგები. თუ ჰეგელისეული თავისუფალი გონება აკეთილ-

შობილებს სურვილებს, აკუტაგავასეული მონური გონება, პირიქით, კიდევ უფრო ამახინჯებს მათ. უპირველეს ყოვლისა, გონება ამრავლებს სურვილებს; ფაქტობრივად, უსაზღვროს ხდის მათ. ცხოველის სურვილი შემოფარგულია ბუნების რკალით. გონება არღვევს ამ რკალს, რის გამოც სურვილმა გაჩერება არ იცის. სურვილები მითიური დევის თავებზე ითაბა. ერთი დაკმაყოფილებული სურვილის ადგილას ორი ახალი ჩნდება.

მაგრამ სურვილები ხომ ტანჯვის წყაროა? ცხოველის შემოსაზღვრული სურვილები შემოსაზღვრულ ტანჯვას იწვევს; ადამიანის უსაზღვრო სურვილები – უსაზღვრო ტანჯვას. მართლაც, ადამიანის სურვილები უსაზღვროა, ძალა – შემოსაზღვრული. ეს შეუსაბამობა ისე დიდია, რომ ადამიანი უმწეო ჩანს. მისი სურვილების აღსრულება შეუძლებელია არათუ მისივე ძალებით, არამედ – საერთოდაც. ამიტომ ტანჯვა გამოუვალაა, ხოლო სურვილი – მოჩვენებითი. ადამიანს სინამდვილეში მოჩვენებები ტანჯავს ანუ მაიაში, არარსის ყალბ ციმციმშია გახლართული.

სხვა სიტყვებით: ცხოველის სურვილი, უბრალოდ, ეგოისტურია. ადამიანის სურვილი კი გონების დამონებით, მასზე გაბატონებით უსაზღვროდ ფართოვდება ანუ ადამიანი თამამდება, თავხედდება. მეორე მხრივ, ასეთი სურვილების ტყვეობაში ადამიანი სრულიად უმწეო ხდება და გამოუვალ ტანჯვაში იხლართება.

რალა უნდა შეიმეცნოს სურვილის მიერ დამონებულმა გონებამ? მისი თვალთახედვა სურვილების ლიბრითაა დაბინდული. მას ყურით დაათრევს არარსებულ საგნებს გამობმული სურვილი – სიცოცხლის ნება. ამიტომ გონება სიცრუისა და ცთომილებათა წყაროდ იქცევა. ძველად გონებას ციური შარავანდედი ახლდა თან, ხოლო თავი სხულის ბატონად, მეფედ განიხილებოდა. ახლა გონება სრულიად მიწიერი იარაღია, თავი კი – სხეულის ნაწილი. მეტიც, სიცრუისა და ცთომილებათა ბუდეა. თავი და გონება ადამიანისადმი პატივისცემის საფუძვლად არ გამოდგება.

გონების ეს უმწეობა, მისი სავალალო მდგომარეობა მრუმე ფერებითაა დახატული აკუტაგავას მოთხრობაში „უსიერ ტყეში“. ტყეში მომხდარი მკვლელობის ამბავს სრულიად სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ თვითმხილველები. რამდენი თვითმხილველიცაა – იმდენივე სხვადასხვა მოთხრობა.

ასე იმიტომაცაა, რომ თითოეულ თვითმხილველს სურს მისთვის სასურველი სურათის დახატვა და გავრცელება. გონება ამ მთავარი სურვილის მონაა და თხზავს დამაჯერებელ სიცრუეს. სურვილი შეიცავს მიზანს, გონება კი ეძებს მოხერხებულ საშუალებებს და ოსტატურად ქსოვს ყალბ სინამდვილეს, ქმნის მოჩვენებათა ხლართს. ასე ქრება სინამდვილე მაიას მოციმციმე საფარველში.

ჰეგელისეული გონებისგან დარჩა მხოლოდ ოსტატობა. მაგრამ ეს გონება განიძარცვა თავისუფლების ღვთაებრივ მადლისგან. ამიტომ ოსტატობა ვერ მალდება შემოქმედებამდე. უმიზნო, უსაგნო ოსტატობა ემსახურება ბოროტს, რის გამოც თვითონაც ბოროტებად იქცევა.

მართლაც, მოთხრობაში ადამიანი წარმოგვიდგება ისეთ არსებად, რომელსაც ვერ დაენდობი. ის უსასრულოდაა გახვეული სიცრუის ქსელში. გონება ბუნების ჩავარდნად უფრო გამოიყურება, ვიდრე ნათელ წერტილად. გონიერი არსებაც ნაკლებად პატივსაცემი ჩანს სხვა ცხოველებ-

თან შედარებით. ცხოველურ ძალადობას ადამიანში სიცრუე და მოტყუება ერთვის. გონება უპირველესად ამის უნარია.

პლატონი ადამიანის ბოროტებას, მის გონებრივ და ზნეობრივ შეზღუდულობას ხსნიდა სულის კავშირით სხეულთან. სხეული სულის საპყრობილეა, ზღუდავს მას. მისი შეზღუდულობა თვით მისი თვისება როდია. ეს სხეულთან დროებითი კავშირის ბრალია. მისგან განთავისუფლებით კი სული ისევ აღდგება და თავის სათნოებებს დაიბრუნებს.

აკუტაგავას მოთხრობაში სხვაგვარადაა. მიცვალებულის სულიც ზუსტად ისეთია, როგორც – ცოცხალი ადამიანისა. ის მტანჯველი წარსულის დავინწყებას ცდილობს და განაგრძობს სიცრუეთა ქსელში ყოფნას. ადამიანს სიკვდილიც კი ვერ იხსნის. მისი სვედავსილობა სიკვდილის მერეც გრძელდება. მწერალი, ეტყობა, აქაც ბუდისტების სწავლებას მისდევს – ნამდვილი სიკვდილი ანუ შვება მხოლოდ სწორი ცხოვრებით, სურვილების უდიდესი შეკვეცით უნდა დაიმსახურო.

## 5. სინამდვილის სიკვდილი

ზემოსხენებულ მოთხრობაში ყურადღებას იპყრობს პრობლემის კიდევ ერთი, უღრმესი შრე: სიცრუის ქსელში სინამდვილე კი არ იფარება მხოლოდ, არამედ იკარგება კიდევ. როცა ყველა თვითმხილველი სხვადასხვას ამბობს მკვლელობის გამო, კაცი, ბუნებრივია, იკითხავს: რომელი მონათხრობია მართალი? როგორია თვით სინამდვილე?

მწერლის პასუხი ასეთია: სინამდვილე არ არსებობს. საქმე ისე კი არაა, თითქოს ჩვენ ვერ ვაგნებთ სინამდვილეს, უსიერ ტყეში ჩამარხულს. საქმე უფრო რთულადაა: არ არსებობს ის, რასაც ვეძებთ – სინამდვილე. თვით უსიერი ტყეა სინამდვილე. ბუდისტური რელიგიის ენაზე რომ ვთქვათ, არსებობს მხოლოდ მაია – ხიბლი და ციმციმი; არა ის, რაც ციმციმებს თითქოს.

ზუსტად ისე, როგორც ზემოთ ვამბობდი „მე“-ს გამო. არსებობს ჩემი მდგომარეობების უსასრულო ნაკადი, მაგრამ არა თვით „მე“. ასევე არსებობს თვითმხილველთა უსასრულო ჩვენებანი, მაგრამ არა თვით სინამდვილე. სინამდვილე ის კი არაა, რაც ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს. სინამდვილე ისაა, რაც მეჩვენება სინამდვილედ. აზრი არა აქვს ლაპარაკს იმ სინამდვილეზე, რაც არავის ეჩვენება ასეთად. ხოლო ის, რაც გვეჩვენება სინამდვილედ, ჩვენივე სურვილების ანარეკლია.

შეიძლება უფრო მარტივადაც ითქვას: ჯერ სხვას ვატყუებთ, მერე კი, სხვათა დახმარებით – საკუთარ თავს. ჯერ ვცრუობთ, მერე თვითონვე ვიჯერებთ. აქედან სრულიად კანონზომიერად გამომდინარეობს: არსებობს იმდენი სინამდვილე, რამდენიც ადამიანი ან მისი გუნება-განწყობილებაა. სინამდვილე არაა ერთი და საყოველთაო. ის მრავალა და სათავისო.

ჩვენს დროში მრავალი სინამდვილის მითი საყოველთაო მითად იქცა. სწორედ ამას ასახავს და ემსახურება პიარტექნოლოგია. საგანი ის კი არაა, რაც ვითომ არის ის ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად. საგანი ისაა, რადაც მიჩნიათ ის. საგანი ღმერთს ან ისტორიულ მიზეზებს კი არ შეუქმნია. საგნის შემოქმედი ისაა, ვინც ალიქვამს და აფასებს მას თავისი სურვილისამებრ.

ვეფხისტყაოსანი დიდი ტილოა, როცა მას ასეთად

თვლიან. ამიტომ ეს დიდი პოემა შექმნა არა რუსთაველმა, არამედ იმ ადამიანებმა, ვისაც ეს იდეები და სტილი მოსწონდათ. მაგრამ ვეფხისტყაოსანი არარაობაა, როცა მას არაფრად თვლიან; როცა აღარ არიან ასეთი იდეებისა და სტილის მოყვარე ადამიანები.

ხოლო უაზროა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს თვითონ ვეფხისტყაოსანი, როცა მას არავინ აღიქვამს და აფასებს? როცა ადამიანები აღარ არიან? პიარტექნოლოგთა პასუხი ასეთია: ასეთ პირობებში ვეფხისტყაოსანი ქალაქისა და სასტამბო ნიშნების გროვაა.

იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის გამო. ჩვენს დროში ადამიანი ის არაა, რასაც ის წარმოადგენს, ვითომდაც, თავისთავად. ადამიანი ისაა, რასაც მისგან ქმნის დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფი და მასმედია. ამიტომ ჩვენი დროის ადამიანი ცდილობს თავი მოაწონოს ჯგუფებს და გახდეს ისეთი, როგორც მათ მოსწონთ.

ადამიანის ყველაზე შემფერხებელ ძალად იქცა მისივე ინდივიდუალობა და პიროვნულობა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჯგუფის სურვილს. ადამიანს უნდა ახსოვდეს: ის ეკუთვნის არა თავის თავს, როგორც ადრე ფიქრობდნენ, ან მყარ ჯგუფს, როგორც კიდევ უფრო ძველად ეგონათ; ადამიანი ეკუთვნის დროებით წარმოქმნილ, სწრაფწარმავალ ჯგუფს. ამიტომ მან ზედმინევიტ უნდა გაასუფთაოს თავისი თავი თავისივე თავისგან და განემზადოს მოციმციმე ქამელეონთან შესახვედრად.

საუკეთესო მიღწევა ის იქნება, რომ ის თვითონაც იქცეს ქამელეონად, საძერწ მასალად. მაშინ ის სწრაფად შეეგუება მიწივ ცვალებად გარემოს და დროს თითქმის აღარ დაკარგავს; დროს, რომელიც ფულია.

შეიძლება დავასკვნათ: აკუტაგავამ იწინასწარმეტყველა პიარტექნოლოგიის ხანა. ვისაც სინამდვილე ძველებურად ესმის, მან შეიძლება თქვას: აკუტაგავას მოთხრობაში სინამდვილე მოკვდა. მაგრამ ვისაც სინამდვილე ახლებურად ესმის, ის იტყვის: აკუტაგავამ აღწერა და გამოხატა სინამდვილე ანუ პატარა სინამდვილეთა გროვა, უსიერი ტყე.

## 6. სიკვდილის კონცეფცია

ყოველი ფილოსოფიური, რელიგიური თუ ეთიკური მოძღვრების შუაგულში დგას სიკვდილის თემა: რა ადგილი უკავია სიკვდილს ქვეყანაზე, ცხოვრებაში? როგორ უყურებს ადამიანი მას?

მითოსური აზროვნება ანუ გვაროვნული ცნობიერება სიკვდილს, კაცმა რომ თქვას, არც იცნობს. ყველგან სიცოცხლე ფშვინავს, ხოლო სიკვდილი მისივე ნაირსახეობაა. სიკვდილის ამგვარი გაგება კარგად ჩანს ქართულ სიტყვაში „გარდაცვალება“.

ასეთი გაგება, ნაწილობრივ, გრძელდება ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც; ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ. აქ ბუნების ადგილს ეკლესია იკავებს; სხეულებრივი ფერიცვალების ანუ გარდაცვალების ადგილს – სულიერი ფერიცვალება ანუ სულის უკვდავება. სხეულებრივად ადამიანი თითქმის არაფერია, მაგრამ სულიერად – თითქმის ყველაფერი.

არსებითად იცვლება ვითარება ბუნებისმეტყველების ზეობის ხანაში. ქვეყნიერებას დანაწევრებისა და განწვალების დემონი ჩააფრინდება. იკარგება უსასრულობის

თვალსაწიერი. ადამიანი დამოუკიდებელ პიროვნებად იქცევა, ხოლო მისი თავისუფლება უზენაეს წესად ცხადდება. სამაგიეროდ, მისი სიცოცხლის გარსი იკვეცება და ადამიანი სიკვდილის ალყაში ექცევა.

ამას გამოხატავს ახალი ფილოსოფიური დებულება: ადამიანი სასრულო არსებაა. ის ყოველი მხრიდან გარემოცულია სიკვდილით. სიკვდილმა თავი დაიფასა და ფილოსოფიის შიგ შუაგულში მოიკალათა.

ფილოსოფიასა და ხელოვნებაში გაჩნდა ახალი განცდა, რაიც ადამიანს ეუფლება სიკვდილის წინაშე დგომისას. გრაფმა ტოლსტოიმ ეს განცდა ღრმად დამარხულ განძივით ამოთხარა ადამიანთა ყოველდღიური ფუსფუსიდან. ამას მოგვითხრობს „ივან ილიჩის სიკვდილი“. დანიელი ფილოსოფოსი კიერკეგორი ამ განცდას უწოდებდა „ავადმყოფობას სიკვდილისგან“. ამ განცდის მატარებელი ადამიანი, ასე ვთქვათ, სიკვდილითაა დასწრებული. თუ ჩვეულებრივ ასე ხდება, რომ სწეულება იწვევს სიკვდილს, აქ პირობითაა – სიკვდილი იწვევს სწეულებას.

აკუტაგავას მოთხრობებშიც სიკვდილი წუთისოფლის ბატონ-პატრონია. აქ ის ყველგან შინ გრძნობს თავს. სიკვდილი მასპინძელია, სიცოცხლე – სტუმარი. თითქოს სიკვდილი წინაც უიხსრებს სიცოცხლეს.

ამ ვითარების უკეთ გამოსახატავად სიკვდილს მკვლელობის სახე ეძლევა. ამით გახაზულია გარესამყაროს მტრობა მე-ს მიმართ და მე-ს უკიდურესი, სრული შემთხვევითობა. ეგრეთ წოდებული ბუნებრივი სიკვდილი სრულიად გამოირიცხებულია. ცოცხალს არავინ აცლის სიკვდილს. თითქოს სიკვდილი სიკვდილზე ადრე მოდის და ესაა მკვლელობა. სიკვდილი შედეგია მტრობისა, რამაც გახვეულია ყოველი არსებული. მკვლელობა წუთისოფლის ნამდვილი სახეა.

აკუტაგავა გულისხმობს ყოვლისმომცველ წინააღმდეგობებს, რისგანაც შედგება არსებობა. ხოლო წინააღმდეგობა მას ესმის მცირე მკვლელობად. ამ მცირე მკვლელობათაგან წარმოდგება ის, რასაც სიკვდილს ვეძახით. ჩვენ დაბადებიდან გვკლავენ, რაც ბოლოსდაბოლოს ცნობილი სიკვდილით მთავრდება.

მკვლელობის ტოტალურობას მთავარი ძარღვი დააკლდეოდ, თუ თვითმკვლელობა დაგვავინწყდებოდა; თვითმკვლელობა – წუთისოფლის ნამდვილი შედეგია! „მე“-ს სიმყოფე ყველაზე კარგად სწორედ იმაში ჩანს, რომ მას მისივე თავიც მტრობს. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს მტრობაა მთავარი. ადამიანი თვითონვე ეხმარება მის მკვლელებს.

ყველა ადამიანი თვითონ იკლავს თავს. ბუდისტები გახაზავენ ადამიანის დამონებას სურვილებისადმი. ამით ადამიანი იწყებს საკუთარი თავის საბედისწერო გაცვეტას, რაც მას ბოლოს სამარეში ჩაიყვანს. მას ბოლოს უღებს ის აჩრდილები, რომლებიც თვითონვე გამოიწვია.

ამ აჩრდილების სახელებია: მტერი და მეგობარი, ბედნიერება და უბედურება, თავისუფლება და მონობა. ნამდვილად კი მთავარი მტერი საკუთარი თავია, რის გამოც მეგობარი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ბედნიერებას ჩვენ იმ გზიდან ვეღობთ, საიდანაც მტრები მოდიან. ის, ვინც ბედნიერებას გადაეხვია, თავის მტერს გადაეხვია. ამიტომ უბედურება უფრო ჭკავს ბედნიერებას, ვიდრე – თვით ბედნიერებას.

ასეა, როცა აჩრდილებს შორის ცხოვრობ და ამას ცხოვრებას ეძახი. ხოლო თავისუფლება საკუთარი სურვილები-სადმი მონობაა, ყოველ მონობაზე უარესი. ამიტომ ის, რასაც

მონობას ვეძახით, უფრო გამოიყურება თავისუფლებად.

ადამიანი მოიგებდა, თუ მტერს დაეხმარებოდა; უფრო ზუსტად – იმას, ვისაც მტერს ეძახის. ამით ის მეგობარს შეიძენდა ნამდვილი მტრის – საკუთარი თავის წინააღმდეგ. რა ვუყოთ, ასეთია აჩრდილთა სამეფოს, მაიას წესები; ეგრეთ წოდებული ცხოვრება, რაიც პარადოქსების კორინტელშია გახვეული.

აკუტაგავას მოთხრობაში ურყევი ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ კანაძავა ტაკეპირო მოკლულია. მაგრამ მკვლეელი სრულიად გაურკვეველია. ეს შეიძლება იყოს ყაჩაღი, ცოლიც და თვითონაც. მწერალი გვეუბნება, რომ ერთი მკვლელის ძებნა ამიაო. ეს ზერელე მიდგომა ანუ მართლმსაჯულება იქნებოდა. საქმეს არსებითად თუ მივუდგებით, უნდა ვალიართ მკვლელის ანონიმურობა.

მართლაც, მკვლელობა მეტაფიზიკური აქტია. ეს სიცოცხლის შინაგანი ბედისწერაა. ადამიანი მოკლა ყველაფერმა ერთად და ამ მკვლელობაში თვითონაც მონაწილეობს. ის მოკლა მისმავე დაბადებამ, რადგანაც დაბადება შეიცავს ცოდვასა და ბრალს. ყოველი არსებული სწორედ ამისათვის ისჯება.

აქედან ასკვნია ინდუსები, ქვეყნის ძირი არარაობაა. ყველაფერი არარაობის ქვეცხნელიდან ამოფეთქავს და მასშივე ჩაინთქმება. ერთადერთი, რაც ჰმართებს ასეთ პირობებში ადამიანს, ესაა მეტაფიზიკური თვითმკვლელობა ანუ სურვილების ჩაკვლა საკუთარ თავში. ესაა თავისუფლების ერთადერთი ნამდვილი აზრი, რადგანაც ადამიანი თავისუფლდება სურვილებისგან – მაიას თოკებისგან.

ეს თოკები ითრევენ მას მოლანდებათა ჭაობში. მათგან გათავისუფლებით ხდება ადამიანი საკუთარი თავის ბატონი და უფალი. ის იგრძნობს განუზომელ ძალას საკუთარ თავში და განუზომელ ამაღლებას ნუთისოფლის ღრუბლებზე. ის იფრენს არარაობის კრიალა ცაში. მას ვეღარ დაათრობს საგნები, რადგან ირგვლივ აღარაა არცერთი საგანი. მას შეუძლია მშვიდად იყოს და გადნეს სრულ ნეტარებაში. მას სიზმარივით ეხსომება ნუთისოფლის კვამლი; მოაგონდება იგი ტკბილ ტანჯვასავით. მაგრამ მალე სიზმრებსაც გადაეჩვენება.

## 7. ნიჰილიზმი და აკუტაგავა

ადვილია ყოველივე ეს ნიჰილიზმად განვმარტოთ. ღმერთი არ არსებობს; მამასადამე – არც მასზე დაყუდებული ღირებულებანი. სიკეთე და ბოროტება ერთმანეთში აირია. სრული ნიჰილიზმი მივიღეთ თითქოს.

ყოველივე ეს ზოგად მსჯელობებად დარჩება, თუ არ გავითვალისწინებთ აკუტაგავას ხანას – საბუნებისმეტყველო ჰობიტივიზმს. იაპონელი მწერალი კარგად იცნობს ევროპულ კულტურას და, ნაწილობრივ, მისი გავლენის ქვეშაც არის. მას უყვარდა შოპენჰაუერი და ნიცშე, გოგოლი და დოსტოვესკი, ედგარ პო და ჩეხოვი. მათთან აერთიანებდა ერთი მთავარი ნერვი – პოზიტივიზმთან ბრძოლა. დასავლური პოზიტივიზმი ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. ეს იყო თავისებური რელიგია – მეცნიერებისა და ტექნიკისადმი თავყვანისცემა. პოზიტივიზტებს სწამთ: ცოდნა მოცემულია მხოლოდ მეცნიერებაში; ხოლო ადამიანის ყველა საჭირობოტო საკითხს მეცნიერება გა-

დანყვევს.

ამ პოზიტივისტური ფონის გათვალისწინების გარეშე ვერც დოსტოვესკის გავიგებთ, ვერც ნიცშეს, ვერც აკუტაგავას.

დოსტოვესკიმ ეს თემა საუკეთესოდ გაშალა ივანე კარამაზოვის სახით. ბატონმა ივანემ პიტერში შესანიშნავი განათლება მიიღო და იგემა ბუნებისმეტყველების ნაყოფი. აქედან ჩამოიტანა ამბავი, რომ საგნები მიზეზობრივად აიხსნება და ღმერთისათვის ადგილი აღარაა დიდ სამყაროში. ღვთის კეთილი ნების ადგილას მან აირების წნევა იხილა, რაიც მათემატიკურად გამოისახება და სრულიად საკმარისია საგანთა ასახსნელად.

ამ ახალი მითიდან გამომდინარეობდა ახალი შედეგები: ქვეყნიერება ნაწილაკთა გროვა და მტვერია; ხოლო სინდისი და ნამუსი არ არსებობს. მამასადამე, ადამიანი და მწერი, არსებითად, ერთი და იგივეა.

ამ დასკვნამ, ცოტა მოგვიანებით, თავზარი დასცა ფრანც კაფკას. ერთ მშვენიერ დილას მისმა გმირმა გრეგორ ზამზამ თვალნათლივ იხილა თავისი მწერობა. სარკეში რომ ჩაიხედა, იქიდან საზარელი მწერი უყურებდა.

ამ რა მოჰყვა ივანე კარამაზოვის მითს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ნიჰილიზმი. ნიჰილიზმი ამ ახალ მითთან შეგუებაა. ივანე კარამაზოვი ნიჰილისტია, რადგან ის სინამდვილეს ვერსად გაექცევა და გადანყვევია იცხოვროს ამ სინამდვილეში, იყოს მისი ნაწილი.

სხვაგვარად ფიქრობს ალიოშა კარამაზოვი. ის დარწმუნებულია, რომ ასეთ სამყაროში ცხოვრება შეუძლებელია. ის ვერ ეგუება და უჯანყდება მას. ეს ტრაგიზმია.

მოგვიანებით ეს საკითხი სიგრძე-სიგანით დასვა ფრანგმა მწერალმა ალბერ კამიუმ. ფილოსოფიის ყველა საკითხი უმნიშვნელოაო, გარდა ერთისა – თვითმკვლელობის საკითხისაო. გულისხმობდა იმას, თუ როგორ შეიძლება იცხოვრო ივანეს მიერ ჩამოტანილ ახალ მითში. ამ მიზეზ-შედეგობრივად დაგრეხილ და დაწულ სამყაროში მხოლოდ თვითმკვლელობაა შესაძლებელი. მამ როგორღაა შესაძლებელი ცხოვრება?

ასე იკითხა კამიუმ. ცოტათი ადრე ეს იკითხა აკუტაგავამაც. საკითხის ასე დასმა ტრაგიკული აზროვნება და ცხოვრებაა. აკუტაგავას მოთხრობებში არაა ნიჰილიზმი. აქ ტრაგიზმია.

თუ ბუნებისმეტყველება ჭეშმარიტებაა, მაშინ უნდა ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა ვიცხოვროთ მხოლოდ ჭეშმარიტებით?

კამიუ ფიქრობდა, რომ ეს შესაძლებელია. ადამიანმა მხოლოდ ჭეშმარიტება უნდა ირწმუნოს. ამისათვის მას ღმერთები დასჯიან, ვითარცა სიზიფეს. მაგრამ მან, სიზიფეს მსგავსად, უნდა იცხოვროს ბოროტი ღმერთებისა და ბედისწერის ჯინაზე. კამიუ გვასწავლის ნებისყოფის განვრთნას და ვაჟკაცურად გაძლებას.

სხვაგვარად ესმოდა იმავე ვითარებიდან გამოსავალი დანიელ ფილოსოფოს კიერკეგორს. ის ფიქრობდა, რომ ადამიანი ვერ იცხოვრობს მხოლოდ ჭეშმარიტებით. მან უნდა იწამოს აბსურდი ანუ ის, რაიც გონებისათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. კირკეგო ამტკიცებდა, რომ ბიბლია სწორედ ასეთი აბსურდებით არის სავსე.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში დიდოსტატ არსაკიძეს სწამდა ხელოვანის უკვდავება, რაიც სრულიად ეწინააღმდეგება საბუნებისმეტყველო ჭეშმარიტებას. მეც-

## ბედი კაცისა

ნიერებისათვის ცნობილია, რომ ერთ დროს აღარც დედამინა იქნება და აღარც სვეტიცხოველი. ეს რომ არსაკიძეს ერწმუნა, ის სვეტიცხოველს ვერ ააგებდა. მაშასადამე, ჭეშმარიტებით ვერ ვიცხოვრებთ. საჭიროა გვწამდეს ის, რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, შეუძლებელია და გო-

ნებისათვის მიუღებელია.

აკუტაგავას არ ეყო ნებისყოფა კამიუს გზისათვის. მეორე მხრივ, მას არ ეყო რწმენა ანუ პოეტური წარმოსახვა კიერეგორი მიერ შემოთავაზებულ გზაზე შედგომისათვის. ამიტომ მას დარჩა ერთადერთი გზა – თვითმკვლელობა.

## ესეისტიკა

როსტომ ჩხეიძე

# იმ აღდგომის დღის სატკივარი და... ფრანგული მზერა

□

### რაიმონ კენოს ირლანდიური რომანი

– ჩანს, სულ სხვაგვარად მოხდა დუბლინში აჯანყება 1916 წლის აღდგომის ორშაბათს.

მინც რას ნიშნავს ეს „სხვაგვარად“?

ანდა ვინ არის ის ადამიანი, ვისმა მტკიცებამაც ასერიგად გადააფასა მანამდელი შეხედულება?

ამ ამბოხს – როგორც ყოველ შეიარაღებულ აჯანყებას – იმთავითვე ურთიერთგამომრიცხავი შეფასებანი მოჰყვა – მომხრეთა და მონინააღმდეგეთა, რომელთა პოლარული მოსაზრებების ამოცნობა ისედაც იოლად შეიძლება.

ერთი აუცილებლობად სახავდნენ აჯანყებას, რადგანაც, მიუხედავად მარცხისა, თავისი როლი შეასრულა და დაშრეტაზე მიმდგარი ჰეროიკული სული ხელახლა გააღვივა;

მეორეთათვის კი უპასუხისმგებლობად მოჩანდა ინგლისელთა უღლის გადაგების ეს მცდელობა – არა გმირული სულისკვეთების გასაძლიერებლად, არამედ იმ ილუზიისა, რომლის გაფანტვაც ხალხს კიდევ უარეს ყოფაში, სრულ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა, და საოცნებო უკვე ის მდგომარეობა გახდებოდა, ამბოხებისათვის როდესაც გადადეს თავი.

უფრო მეტის მიღწევას ვილა ჩიოდა!..

განსხვავება განსხვავებად, მაგრამ ორივე მხარე თანხმდებოდა იმ ზოგად სურათსა და სიუჟეტურ ქარგაზე, აჯანყების მსვლელობამ რაც შემორკალა.

თავგანწირვას ორივე მხარე ადასტურებდა.

ეგაა, რა ნაყოფი გამოიღო ამ თავგანწირვას.

მაგრამ თუკი სულაც „სხვაგვარად“ მომხდარიყო ყოველივე?

ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა ირლანდიელი ქალი სალი მარის ასე და მხოლოდ ასე ირწმუნებოდა.

შემსწრე იყო დუბლინის ამბოხების?

შემსწრე და თვითმხილველი რანაირად იქნებოდა, როდესაც სწორედ იმ დღეს დაბადებულიყო, ამბოხების ბაირალი როდესაც აფრიალდა: 1916 წლის აღდგომის ორშაბათს.

მამ, ეტყობა, სანდო მონმეები დაეგულებინა, ალღო და წარმოსახვაც მიეშველებინა და „სხვა“ სურათიც ასე გამოკვეთილიყო. ნეტა რაკურსის შეცვლამ გამოიწვია ეს ცვლილება თუ ისეთი

ახალი ეპიზოდები გამჟღავნდა, მოვალე იყავი, გაგეთვალისწინებინა. ასეა თუ ისე, ეს „სხვაგვარი“ ცდილობდა შემოჭრას საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თანაც ისე მწვავედ და დაურიგებლად, რომ სალი მარის არც მოუწოდებია თავისი თხზულების გამოქვეყნება სამშობლოში და მასზე ზრუნვა ფრანგ ლიტერატორს მიანდო – მიშელ პრელს. დაე მას ეთარგმნა ფრანგულად და იმ სივრცეში მინც მოუპოვებინა ადგილი, თუკი არც არასდროს ეღირსებოდა ირლანდიაში შეღწევა.

არადა, თხზულების ჟანრობრივი განსაზღვრება „ირლანდიური რომანია“, და, ცხადია, ამჯერად ეპითეტი – ირლანდიური – თემატიკას კი არ გულისხმობს, არამედ გაცილებით მეტს.

ოლონდ რა არის ეს „გაცილებით მეტი“?

ანდა რატომ შიშობდა ავტორი, რომ მისი თვისტომნი იმ გარემოებასაც არაფრად ჩააგდებდნენ, ახალგაზრდა მწერალი ქალი სიცოცხლეს რომ გამოსალმებოდა ასე ნაადრევად, და ჯებირივით აღემართებოდნენ რომანის გამოჩენას დუბლინის წიგნის თაროებზე?

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ თავგადასავალი უკეთესი პერსპექტივის იმედს არც დაუტოვებდა. იმჟამად ეს რომანი ირლანდიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული ყოფის მიღმა არსებობდა.

ისე რომანს ტრაგიკული თემისა და განწყობილებისათვის სრულიად შეუფერებელი სახელი ჰქვია – „ქალი არ უნდა გაანებვირო“.

ნამდვილი ავტორი კი... რაიმონ კენოა, სალი მარისა და მიშელ პრელის ნიღბებს ამოფარებული, სიურრეალისტური სკოლის მიმდევარი და თამამი ექსპერიმენტატორი, ხოლო ეს რომანი მისი ქართველი მთარგმნელის – მაია ქაცანაშვილის – მიერ მოკლე წინათქმაში განსაზღვრულია როგორც „ეროტიკისა და იუმორის უცნაური სინთეზი“.

კი მაგრამ... რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ირლანდიისათვის ტრაგიკულ დღეს ეროტიკასა და იუმორთან?

თანაც, რაიმონ კენო თავისი სახელით კი არა ქმნის ამ უცნაურ სინთეზს, არამედ ირლანდიელი ქალისა, ვის დაბადების

დღედაც იმ ტრაგიკული დღის შერჩევა ან გარომანტიკულებასა და ტრაგიკული ტონალობის უკიდურეს გამძაფრებას გულისხმობს, ან იმ მღელვარების პაროდირებას.

თუ მხოლოდ ეროტიკისა და იუმორის უცნაური სინთეზია და მეტი არაფერი, მამ ტრაგიკული ტონალობის გამომხატველიც ვერ იქნება, არამცთუ მისი უკიდურესი გამძაფრების.

ასეცაა.

და პაროდირებასაც ვინ ჩივის თურმე.

პაროდირების მწერლური მანერა ხან კიდევ ახერხებს, და საკმაო წარმატებითაც, გაამჟღავნოს ავტორის შინაგანი დულილი და გულისტკივილი. ირონია, თუნდ მკვეთრი სატირული ფონი ხან მოზღვავებული ცრემლის დაფარვას ღამობს, რათა ადამიანი არ შეეჭმევინოს ტრაგიზმის შეგრძნებას და ზეზეულად არ ჩამოიქცეს. სიცილში, იქნებ სარკაზმშიც ამიტომ იელვებს ხოლმე კურცხალი და მკითხველს განწყობილებასაც უცვლის და ხედვის კუთხესაც.

პაროდია, ირონია, სარკაზმი, სატირა, რითაც ასე გაფლენილია „ულისე“, იმ სულიერი ტკივილით სუნთქავს, რაც თავს არ დაანებებდა ემიგრაციაში გადახვეწილ მწერალს და საბოლოოდ კიდევ გამოხრავდა იმ დაუნდობლობით, ჯოისის დედალორისაგან შეთქველფილი გოჭების ხვედრად რომ წარმოუდგებოდა და მთელი სიცოცხლე გაურბოდა.

იგი მაინც ჩარლზ პარნელის ეპოქის ირლანდიის რეალობაში იყო ჩაძირული, იმ ჩარჩოში, იმ განწყობილებებში დარჩა სამუდამოდ და ასე უშუალოდ აღარ გაუაზრებია მხატვრულად 1916 წლის აჯანყება, რომელმაც უილიამ ბატლერ იეიტსს ჯერ თავზარი დასცა და ამბოხების მოთავეთა წინააღმდეგ განაწყო: თავიანთი უპასუხისმგებლობით ირლანდიას ღუპავენო, – მაგრამ მალევე ჩანვდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაგან პროცესებს, მათი დინების შეუჩერებლობას და აღდგომის იმ დღის ტრაგიზმში შემადრწუნებლად ლამაზის დაბადებაც იხილა (მისი ეს სულიერი შემოტრიალება რვა ათეული წლის შემდგომ პაატა ჩხეიძის ესეის თემადაც გადაიქცეოდა).

სხვათა შორის, ამგვარივე შინაგანი წინააღმდეგობა დაეუფლებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემყურე გრიგოლ რობაქიძეს და სულიერ შემოტრიალებასაც განიცდიდა, როდესაც, ერთი მხრივ, უპასუხისმგებლობაში დასდებდა ბრალს ამ ამბოხების მონადინეთ, მეორე მხრივ კი შექმნიდა რობაქიძეთა და ჩოლოყაშვილთა გვარების იგივეობის მითოსს, რათა როგორღაც ნილნაყარი ყოფილიყო ამ აჯანყების წინამძღოლსა და გმირთან.

ჯოისს 1916 წლის ამბოხებაც რომ დაედო სიუჟეტურ ქარგად თავისი რომანისა თუ მოთხრობისათვის, რასაკვირველია, ამჯერადაც ჩვეულ მანერას მიმართავდა და პაროდული და ირონიული სულისკვეთებით ალაესებდა თხრობას, და როგორც უნდა მოხვედროდათ გულზე უსიამოვნოდ ირლანდიელებს ეს მანერა და განაწყენებოდნენ მწერალს, დროის გასვლის კვალობაზე სულ უფრო გამკაფიოვდებოდა იქ ჩაგუბებული ტკივილი და კარს ისევე გაუღებდნენ, როგორც „ულისეს“ გაუღეს, დაგვიანებით, მაგრამ მაინც...

ამ ტკივილს ვერსად იპოვნით რეიმონ კენოს რომანში, რომელშიც ისე არიან გაპამპულულებული დუბლინის მთავარი შენობის ამღებნი, აშკარაა, დღი და ძლევამოსილი სახელმწიფოს



შვილი მეორე დიდ და ძლევამოსილ სახელმწიფოს უთანაგრძნობს და არა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგადადებულ ადამიანებს – და ირონიულად ელიმება არა ყოფის მოუწყობლობაზე, არამედ უშუალოდ მუამბოხებზე, ეს ირონია კი საცნაურს ხდის სიურეალისტი მწერლის მხატვრული დეურ მრწამსს – ამაოა გაბრძოლება, ფუჭია დაღვრილი სისხლი, რადგანაც ირლანდიას ადრე თუ გვიან მაინც ჩაკარგვა და გაქრობა მოუწევს ინგლისის ნიაღში – როგორც მშობლიური ენა დაკარგეს და ოჯახებშილა ინარჩუნებენ, ასევე შემოქმედრევათ ეროვნული თვითმყოფადობაც და ადათ-ნესებიც. საზოგადოებრივი პროცესი იქით მიექანება და წინ გადალობება არაფერს უშველის – განა ადამიანებს ოკეანის დაოკება შეუძლიათ?..

ვინც ამ შეხედულებას არ იზიარებს?

სასაცილო ყოფაში იგდებს თავს და სიცოცხლეს ტყუილუბრალოდ ფლანგავს მირაჟის დევნაში – ეგაა და ეგ.

და ხითხითებს რაიმონ კენო, და აღარ უკვირდება, რომ ეს ყოველივე თუ გარდუვალი პროცესია, მამ საფრანგეთის სიდიადე და ძლევამოსილებაც მოჩვენებითი და მყიფე ყოფილა... და თუ დღეს ირლანდიას იმეტებ შთანთქმისათვის, ხვალ იგივე ხვედრი მოელის ინგლისსაც, საფრანგეთსაც... ვის აღარ...

კენო აინუნში არ აგდებს ამ საფრთხეს, რომელიც ცრუგანგაში უფრო ჰგონია, და თავისი მისტიფიკაციისათვის სწორედ იმიტომ ამჯობინებს სალი მარის დაბადების დღედ აჯანყების თარიღს, რომ მკითხველი დაარწმუნოს, ეს გამოგონილი მწერალი ქალი აღდგომის იმ დღის სიმბოლოა, არსია, მისი მთავარი გამოხატულება – ამდენად, „ქალი არ უნდა გაანვიგრო“ მარტოდენ ეროტიზმისა და იუმორის შერწყმის ნიმუში კი არ არის, არამედ დუბლინის ამბოხების ყველაზე სანდო დოკუმენტიცო.

ჩანს, სულ სხვაგვარად მოხდა აჯანყებაო...

იუკადრისებდნენ ირლანდიელები ამგვარ გამობდომას, ამ სხვაგვარობის მტკიცებას. იქნებ პოლიტიკურ თავდასხმადაც მიეჩნიათ.

იეიტსი რომ მოსწრებოდა მის გამოქვეყნებას, შემწყნარედ შეხედავდა, როგორც ოდესღაც ახალგაზრდა ჯეიმზ ჯოისისათვის არ უსაყვედურია: როგორ თუ შენი სამწერლო კარიერის დალუპვად წარმოვიდგინა სამშობლოში დარჩენაო, – რადგანაც სჯეროდა, ადრე თუ გვიან ისიც შეეცდებოდა სამშობლოში დასაბრუნებელი გზების ძიებას. თუ არადა, დაე ირლანდიის მიღმა გამოექედა თავისი ბედი, სამშობლოსათვის გამოსადეგი მაინც არ იქნებოდა.

რაიმონ კენო ვერც ვერასოდეს გაიკვლევდა ბილიკს მცირერიცხოვანი ერებისაკენ, გაქრობა-გადაშენების სამიშროების წინაშე რომ დგანან და მღელვარედ ეჭიდებიან ყველაფერს, რასაც ეროვნულ თავისებურებათა ნიშატი სცხია... და ყოველთვის ააფორიაქებდა მათ – და არა მარტოდენ ირლანდიელთა – თავმოყვარეობას ეროვნულ გრძნობებზე ხელის იოლად წამოკვრით...

...რა ვუყოთ, თუ ყველა ვერ ხედავს დაუმორჩილებლობის შემადრწუნებელ სილამაზეს, ერთბაშად აგერ ვერც მე დავინახეო, – დამუნათებისაგან თავს შეიკავებდა იეიტსი და მოეჭიდებოდა ყოველივეს, რასაც ირლანდიურის იერი გადაპკრავდა და ეროტიზმსა და იუმორშიც ტკივილის ფეთქვას გაგრძნობინებდა.



ნატო კორსანტია

# ვინ გაყო ასე, გაღმა-გამოღმა

□

## ქართული ფილმი „გალმა ნაპირი“

შარშან ევროპის კინოაკადემიის ნომინაციაში „წლის ევროპული აღმოჩენა“ — ხუთ ფილმს შორის ქართველი რეჟისორის გიორგი ოვაშვილის უკვე საკმაოდ გახმაურებული — „გალმა ნაპირი“ იყო. ფილმი რამდენიმე თვეა ქვეყნიდან ქვეყანაში, ფესტივალიდან ფესტივალზე, კონკურსიდან კონკურსზე მოგზაურობს და ჯილდოებს იხვეჭს. სტატისტიკის ენაზე თუ ვიტყვი, „გალმა ნაპირმა“ შარშან დაახლოებით 40 საერთაშორისო კინოფესტივალში მიიღო მონაწილეობა და აქედან დაახლოებით 26 საერთაშორისო პრიზის მფლობელი გახდა. კერძოდ: ფილმი ბელგრადის 37-ე საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა; წარდგენილი იყო 2009 წლის „ბერლინალეზე“, მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე; პარიზის მე-7 ფესტივალზე — Paris cinema საერთაშორისო ჟიურის პრიზი მოიპოვა; გრანადას მე-3 კინოფესტივალზე „ჩინეს დელ შურ“ (სამხრეთის კინო) — მთავარი პრიზი „ოქროს ალამბრა“ აიღო. სიეტლის საერთაშორისო კინოფესტივალზე (აშშ) მიიღო გრან-პრი. ამ კინოფესტივალზე ყოველწლიურად მსოფლიოს საუკეთესო დებიუტანტთა 12 ფილმს არჩევენ. „გალმა ნაპირმა“ ამ 12 ფილმს შორის გაიმარჯვა. ასევე, მოიპოვა რამდენიმე დიდი კინოფესტივალის გრან-პრი, მთავარი პრიზები, არაფერს ვამბობთ ფილმისთვის მინიჭებულ მე-2 და მე-3 ხარისხის ჯილდოებზე. გარდა ამისა, „გალმა ნაპირი“ საქართველომ წარადგინა ოსკარზე საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმის ნომინაციის მოსაპოვებლად, ანუ იგი ამ დონის კინოფორუმზე წარმოადგენს საქართველოს, რაც, ცხადია, ძალიან საამაყოა.



კადრი ფილმიდან „გალმა ნაპირი“ მარცხნივ — თედო ბექაური

„გალმა ნაპირი“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, ყაზახური კომპანია „კინოსა“ და ქართულ-ყაზახური კომპანია „აკსია ბი-ემ-სის“ დაფინანსებით შექმნა. ფილმის სცენარი გიორგი ოვაშვილმა მწერალ ნუგზარ შატაიძის მოთხრობის მიხედვით აზერბაიჯანელ დრამატურგ რუსლან იბრაგიმბეკოვთან ერთად გააკეთა. ფილმის მთავარი გმირია თედო ბექაური, რომელიც საოცარი დამაჯერებლობით განასახიერებს აფხაზეთიდან დევნილი ბიჭუნას რთულ და დაძაბულ ცხოვრებას.

ვიდრე რეჟისორი ფილმთან ერთად უცხოეთში მოგზაურობდა, ფილმის წინასაპრემიერო ჩვენება რუსთაველის თეატრში დევნილი ბავშვებისთვის შედგა. დარბაზში ამ ბავშვებს

შორის იჯდა ფილმის მთავარი გმირი თედო ბექაური. „ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — თქვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა ფილმის ჩვენების შემდეგ, — ამ შეხვედრას ორმაგი დატვირთვა აქვს, თედო აქ ხვდება თავის თანატოლებს, სწორედ იმ ბავშვებს, რომლებმაც უშუალოდ საკუთარ თავზე გადაიტანეს მსგავსი ტრაგედია. ამიტომაც იყო დარბაზში ასე მოჭარბებული ემოცია, ცრემლი, მცირე იუმორიც, ამიტომაც არის ფილმის შემოქმედებითი კოლექტივისათვის მნიშვნელოვანი იმის გაგება, როგორ აღიქვს იგი მისმა უშუალო ადრესატებმა. ჩვენთვის ძალიან საგულისხმოა ის, რასაც ამ ფილმმა მიაღწია. უპირველესად ეს არის ქართული ფილმის უსერიოზულესი აღიარება, მეორეც, მან საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩინა აფხაზეთის პრობლემა, რასაც წლებია ვცდილობდით. ცხადია, ფილმის მთელ კოლექტივთან ერთად ეს მოახერხა თედომ თავისი უბადლო შესრულებით. შეიძლება ითქვას, რომ ის არა მხოლოდ კინოგმირი, არამედ ეროვნული გმირიცაა, რადგან ფილმი ეროვნულ იდეალებს ემსახურება“.

### ფილმი ორნივ — გაღმა-გამოღმა — ნაპირის მაყურებლისთვის

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმს კი მხოლოდ... „გალმა ნაპირი“ ჰქვია. გაღმა ნაპირი, რომელიც აუცილებლად იქცევა გამოღმა ნაპირად, როგორც კი იქითა ნაპირას აღმოჩნდები და პირიქით...

ეს ის რეალობაა, რომელიც გულისხმობს ენგურით გამოიჯნულ ქართველებსა და აფხაზებს, ანუ ნათესავ-მეზობლებს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს, მთლიანობაში ენგურით გამოიჯნულ სამშობლოს.

ფილმის პატარა გმირისთვის — აფხაზეთიდან დევნილი თედოსთვის — კი რეჟისორს ასე ორად გაყოფილი სამშობლოს გამთლიანების ურთულესი მისიაც დაუკისრებია, რაც სიმბოლურადაც ამ თაობის ტვირთად მოჩანს.

ეს არის ფილმი, ერთი შეხედვით, პოლიტიკის გარეშე, მაგრამ აშკარა მინიშნებებით პოლიტიკოსებისთვის... საინტერესოა, როგორ მიიღებს მას აფხაზური მხარე (გალმა ნაპირი), რომელსაც ასევე ეკუთვნის იგი. სამშობლოდაკარგული პატარა ბიჭის სევდიანი ამბავი — სამშობლოს ძებნა სამშობლოშივე — ჩაახედებს თუ არა მათაც საკუთარ გულში, როგორც სარკეში, რადგან ომისგან ბავშვობანართმეული ბავშვები ორივე ნაპირის სატკივარია. ამიტომაც აუცილებელია ეს ფილმი გაღმა ნაპირამდეც მივიდეს, თუმცა ამისთვის ფილმს ძალიან შორიდან, უცხო ქვეყნიებიდან უნევს შემოვლა.

თვითონ თედო ტყვარჩელიდან არის. მამა იქ დარჩა, თვითონ გამოღმა, ერთ მდინარის პირას, ქობში ცხოვრობს ამ მძიმე ყოფასთან ჭიდილში დამარცხებულ დედასთან ერთად... რეალობა ზოგადადაც მძიმეა, არც თედოს თანატოლი არადევნილი ბიჭები ცხოვრობენ მასზე უკეთესად. შესაძლოა იფიქრო, რომ ამ უსახური და უზნეო ქცევებით დამძიმებული სინამდვილისთვის ის, რაც დაგვემართა,

ლოგიკურიც კია. თედოს არ შეუძლია ამ ყველაფერთან შეგუება, თუმცა დამოუკიდებლად არც მისი შეცვლა ძალუძს, ამიტომაც გადაწყვეტს, წავიდეს გაღმა მამის მოსაძებნად და მის ჩამოსაყვანად, იმ იმედით, რომ იქნებ მან შეცვალოს აქაურობა და გახადოს უკეთესი.

„ხიდი“ — ასე აწერია იმ ავტობუსს, რომელსაც თედო გაღმა ნაპირამდე მიჰყვება. ხიდი, ერთი შეხედვით, თითქოს მიჯნაა გაღმა-გამოღმა ნაპირებს შორის, თუმცა იგი ამავე დროს აერთიანებს კიდევ მათ. თედოს მიერ ამ ხიდს იქით აღმოჩენილი სინამდვილეც მკაცრია, ის ქართველთა უფულებობით, რუსული სისასტიკითა და აფხაზთა გაჭირვებული ყოფით არის დამდიმებული. აშკარაა, არც მათ ულხინთ, ნუგეშიც სადღაც სხვაგან ეგულებათ და გაღმა ნაპირი მათთვისაც მაგიურ დატვირთვას იძენს...

თედოს მამა შინ არ ხვდება, ცოლი შეურთავს — აფხაზი ქალი, რომელთანაც ორი გოგონა შეძენია. — შენ დები გყავსო, — ეუბნება თედოს მეზობლის ქალი, — ახლახან კი ყველანი ერთად აქედან წავიდნენო...

აფხაზები და ქართველები უკეთესი ბედის საძებნელად სადღაც ისევ ერთად მიემგზავრებიან, — უმწიერო მოხუცების ანაბარად მიტოვებულ და გაპარტახებულ გაღმა ნაპირზე გამკრთალი ეს მინიშნება კი, შეუძლებელია, განზილებულ თედოს უკანა გზაზე საგზლად ეყოს და სწორედ ამ მძიმე წუთებში მოდის თოვლი, რომელმაც ერთიანად გადაათეთრა გარემო. თითქოს ბოლომდე მაინც ვერ გაიმეტა რეჟისორმა ამ მძიმე სინამდვილისთვის თავისი გმირი, თავისი მაყურებელი, თავისი თავი და ბოლოს და ბოლოს თავისი სამშობლო, რომელსაც უძღვნა ეს ფილმი. თოვლი ამ შემთხვევაში ნუგეშივითაა, გარშემო მოძალბებულ რუხ ფერებს აფერმკრთალებს. მერე თოვლს ნისლი ენაცვლება და მოდის თედო ნისლში, როგორც ბურუსში, რითაც დაფარულია მისი და მთლიანად გაღმა ნაპირის (თუ ნაპირების) ხვალისდელი დღე.

ამ დროს გადაეყრება იგი აფხაზ მეომრებსაც რომლებიც დოლისა და ზურნა-დუდუკის ხმაზე, არსებული რეალობისთვის შეუსაბამოდ, არხეინად იღხენენ. ისინი პატარა თედოსაც აიძულებენ, ფეხი აუწყოს მათ... და ცეკვავს თედოც გასაოცარი თავდავიწყებით, ალტკინებით., შიშით, იმედით... ეს არ არის ჩვეულებრივი ცეკვა, თედო თვალებს ხუჭავს... და... სწორედ ამ დროს იხილავს მეგობრის მონათხრობისამებრ წარმოსახულ, ჟირაფებთან და სპილოებით დასახლებულ საოცნებო სამყაროს... არადა, თედოს სხვა დროსაც, ყველაზე უფრო მძიმე წუთებშიაც, თვალდახუჭულს რამდენჯერ ამოდ უცდია ამ სამყაროს ხილვა.

თედომ მხოლოდ დიდი კათარზისის გამოვლის შემდეგ, ორივე ნაპირის გათავისების — გამოღმა ნაპირის გაღმად და გაღმა ნაპირის გამოღმად აღქმის შემდეგ შეძლო კი არა, დაიმსახურა „აღქმული მიწის“ ხილვა. სხვანაირად ვერც სხვები — როგორც ქართველები, ისე აფხაზები — შეძლე-

ბენ (დაიმსახურებენ) ამას. ამიტომაც ბოლოსაც გავიმეორებთ, ეს ფილმი თანაბრად ეძღვნება ორივე მათგანს — ქართველსაც და აფხაზსაც და ფილმში გადმოცემული სევდიანი და მკაცრი ამბების გამო, თანაგრძნობაც ორივეს ეკუთვნის.

**საუბარი რეჟისორთან**

— ბატონო გიორგი, თქვენს ფილმს — „გაღმა ნაპირი“ პოლიტიკური მისიაც აკისრია, მას უცხოეთში ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გააქვს. ამითაც ფასობს მის მიერ მოპოვებული წარმატებები, საინტერესოა, მათგან თქვენ რომელს გამოარჩევთ?

— ფილმი, ჩვეულებრივსამებრ, ერთი კვირა, ათი დღე რჩება ეკრანებზე, მერე იხსნება. ახლა კი უცნაური რამ მოხდა, ფილმმა საქართველოს კინოეკრანებზე დაახლოებით ორი თვის განმავლობაში შეინარჩუნა თავი, საქართველოში 25 ათასმა ადამიანმა ნახა, რაც ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარია ფილმისთვისაც და ჩემთვისაც, როგორც მისი ავტორისთვის. მე ძალიან ვაფასებ ამ მაყურებელს და ვამაყობ მისი ყურადღებით, დიდ მაღლობას ვუხედავ მათ.

— რა განცდას იწვევს თქვენში ის გარემოება, რომ ფილმში გადმოცემული პრობლემა — კონფლიქტები და მათ გამო ცხოვრებადანგრეული ადამიანების ყოფა — ასე აქტუალურია XXI საუკუნის მსოფლიოსთვისაც?

— ფილმში გადმოცემული პრობლემა ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია. ფაქტობრივად, ამ ტკივილით ცვხოვრობთ 16-17 წელია, მაგრამ დღემდე კინემატოგრაფი რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მას. კინო ყოველთვის ელოდება ამა თუ იმ პროცესის დასრულებას და შემდეგ გარკვეული დისტანციიდან ცდილობს მის ასახვას. გულახდილად გეტყვით, მეც ასე ვფიქრობდი, თუმცა ფილმზე მუშაობისას ვირწმუნე, რომ სწორედ ახლა იყო დრო, როცა მასზე კინოეკრანიდან უნდა მოგვეთხორო. ასევე, მესმის, ფილმის წარმატება გარკვეულმა ფაქტორებმაც განაპირობა. ჯერ ერთი, ამ პრობლემამ აგვისტოს ომის შემდეგ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, რუსული აგრესიის პირისპირ დარჩენილი საქართველო კიდევ უფრო მეტად მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, იგივე დამართა ამ პრობლემაზე შექმნილ ფილმსაც. ვფიქრობ, რომ ფილმის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა თვითონ ფილმის ემოციურმა ფონმა. ამის თქმის უფლებას იმიტომაც ვაძლევ თავს, რომ ჩემი თვალთ მინახავს მისგან ცრემლმორეული, დაახლოებით 25-26 ქვეყნის მაყურებელი. ეს იმის დასტურია, რომ ფილმის ემოციური ფონი ერთნაირად ამაღელვებელი გახდა მაყურებელთა დიდი ნაწილისთვის, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, რელიგიური მრწამსისა, პოლიტიკური მოსაზრებისა და ა.შ.



გიორგი ოვაშვილი

რასაკვირველია, შეუძლებელია არ ვთქვათ, რომ ძალიან დიდი საქმე გააკეთა მთავარი როლის შემსრულებელმა თედო ბექაურმა. მის გმირს ნამდვილად აღმოაჩნდა საინი-სო პოტენციალი, რომ ადვილად მისულიყო ადამიანებთან, მათ გულებადე. ფილმის წარმატების მიზეზი არის მთელი შემოქმედებითი ჯგუფის მიერ განეული გულწრფელი და თავდაუზოგავი შრომაც.

— როგორც თქვენ ამბობთ, ფილმის ემოციური ფონი თანაბრად მოქმედებდა ყველა კატეგორიის მაყურებელზე. საინტერესოა, ის თვით აფხაზეთის პრობლემისადმი დამოკიდებულებაზე თუ ახდენდა გავლენას?

— ხელოვნების, მათ შორის კინოს უმთავრესი მისიაა, ადამიანებამდე მიიტანოს ესა თუ ის სათქმელი და მისცეს მათ მოქმედების, მოვლენებზე რეაქციის გამოხატვის იმპულსი. ვფიქრობ, ეს ფილმი ამ მხრივ თავის საქმეს აკეთებს — არსებული სინამდვილე ემოციურადაც და ინფორმაციულადაც მიაქვს მაყურებლებამდე. თვითონვე მინახავს, მისი ნახვის შემდეგ როგორ ეცვლებოდათ ადამიანებს განწყობა აფხაზეთის პრობლემის მიმართ, როგორ უჩნდებოდათ სულ სხვა სახის კითხვები. ძალიან ბევრისთვის აფხაზეთის პრობლემისადმი ფილმისეული მიდგომა — ომისგან ცხოვრებადანგრეული ორივე ნაპირის ადამიანები, იქიდან მიღებული ინფორმაცია — სრულიად ახალი და მოულოდნელი იყო. არადა, სხვა გზით რომ წავსულიყავით და ფილმისთვის პროპაგანდული ხასიათი მიგვეცა, ეს მისთვის შესაძლოა კრახით დამთავრებულიყო. ასეა, თუ მხარედ იქცევი და საკუთარი პოზიციის გამოხატვას დაიწყებ, ფასეულობებზე ლაპარაკის უფლებას დაკარგავ. ამიტომაც, ვფიქრობ, ფილმის აღიარება იმანაც განაპირობა, რომ ის არც ერთი მხარის პოზიციას არ გამოხატავს. უბრალოდ, ადამიანების ბედზე მოგვითხრობს, მიუხედავად იმისა, იქითა ნაპირზე ცხოვრობენ თუ აქეთა ნაპირზე, აფხაზები არიან თუ ქართველები... აქ გადმოცემულია დრამა ადამიანებისა, რომლებიც ასეთ გაუგებარ კონფლიქტში მოჰყვნენ. და ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც მაყურებელი ხედავს, რომ მის აზრზე ზეგავლენის მოხდენას არავინ ცდილობს. ამ შემთხვევაში მას საკუთარი დამოკიდებულება უჩნდება ყველაფრის მიმართ.

— ფილმში ორივე ნაპირის ადამიანთა ცხოვრებაა ნაჩვენები, ამდენად, ფიქრობთ თუ არა იმაზე, რომ ის გალმა ნაპირზე აფხაზებმაც ნახონ. არადა, დღემდე ცალკარში თამაშით გამოგვდის, ჩვენ მათ ძმებს ვუნოდებთ, შერიგებას ვთავაზობთ, ვინანიებთ კიდევ, პასუხი კი იქიდან არ ჩანს.

— ფილმი თავიდანვე ჩვენს მაყურებელზე მქონდა გათვლილი და მინდოდა პირველად სწორედ მათ ენახათ. ჩვენს მაყურებელში კი ვგულისხმობ ქართველებსაც, აფხაზებსაც, ოსებსაც და ა.შ. რადგან ეს პრობლემა ყველაზე ახლობელი მათთვისაა, მიუხედავად იმისა, რომელ ნაპირზე არიან ისინი. თავიდანვე ისე აენყო ფილმის ცხოვრება, რომ სულ საზღვარგარეთ იყო და მისი ჩვენება თბილისში ძალიან გვიან მოგახერხეთ. ამიტომაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვიცალე მომეტებნა ეს გზა. ჩემთვის პრიორიტეტად რჩება, რამენაირად მივიდე აფხაზ მაყურებელამდე და მივიტანო ეს ფილმი. ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და ვთხოვ ცალკეულ პიროვნებებსა თუ საზოგადოებებს, რომელთაც შეუძლიათ დამეხმარონ, როგორმე ვანახოთ ეს ფილმი გალმა ნაპირის მაყურებლებს და დაველოდოთ, როგორ მიიღებს მას ერთ-ერთი ადრესატი.

ეკა ბუჯიაშვილი

# ნოველა — ეპროკული რანგისა

მუდმივი მრევლის დღე უნოდა ქალბატონმა მაკა ჯოხაძემ უურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონურ შეხვედრებს კიდევ ერთ ასეთ ტრადიციულ „სამშაბათობაზე“, როცა როსტომ ჩხეიძის ახალი მონოგრაფიის, შიო არაგვისპირელის ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიული რომანის „მზე და მწუხრის“ განხილვისთვის შეკრებილიყო საზოგადოებრიობა.

— მასში თავისი ბედისა და უბედობის, ჭირისა და ლხინის, ყოფისა და მისწრაფებების პირუთვნელი და შთამბეჭდავი მხატვარი დაინახა საზოგადოებამ და ეს საყოველთაო განცდა საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა თვით აკაკი წერეთელმა: მოსულხარ ახალ დვრიტადაო... და ამ „ახალ დვრიტად“ მოსულმა შემოქმედმა ქართული ნოველა ეპროკულ სიმალეს გაუტოლაო, — წერს ქალბატონი მაკა ჯოხაძე წინასიტყვაობაში ნიგნისა, რომელიც შიო არაგვისპირელის უცნაური სკეპსისით, უჩვეულო ტრაგიზმით და სასონარკვეთით მოცულ სამყაროში შეგიძლება.

სამყაროში, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა გალაკტიონის სტრიქონებთან გაასიმბოლოვა და „შავი ნიგნი“ უწოდა.

— ისეთი ბიოგრაფია აქვს მას, პირდაპირ რომანის თემაა. ასეთი პესიმისტი და სკეპტიკოსი მწერალი ქართულ ლიტერატურას სხვა იქნებ არც არავინ ჰყოლია. ცხოვრებისგან გარიდებულიც და საზოგადოებრიობის მხრიდან გარიყულიც, თავის თავზე პატიმრობაც რომ გამოეცადა, თვითმკვლელობის მცდელობაც, მასზე შეყვარებულ ქალს მის თვალწინ მოუსწრაფებია სიცოცხლე და ამის გამო საზოგადოების გულისწყრომაც უწევნია და მისგან მოკვეთაც მიუღია განაჩენად.

დაუფასებელი რჩებოდა მისი შემოქმედება, არადა ეპროკული მასშტაბის მწერალი კი იყოო, — იტყვის როსტომ ჩხეიძე მოგვიანებით, მანამდე კი...

ნანა კუცია შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილ საგას უნოდებს რომანს თავის მოხსენებაში „შავი ნიგნის ნათელი“, პარალელურებით ბიბლიურ სიუჟეტებს გადანვდება, საკაცობრიო ნიგნიდან ამოზიდავს პასაჟებს და სულაც ბიბლიურ საფანელში გაახვევს სათქმელს, როსტომ ჩხეიძეს თავის რომანში რომ გაუცხადებია.

„და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად. დღე ერთი...“ (შე-საქმისა, I, 5) — ამ ეპიგრაფს ნაუმძღვარებს ქალბატონი ნანა თავის მოხსენებას, შიო არაგვისპირელის ცხოვრების მისტირისაც რომ მიმოიხილავს და იმ ცნობიერების ნაკადსაც, ბიოგრაფიული ძაფისა და ლირიკული ნიალსვლების გადანვნით რომ მოაქვს ავტორს მკითხველამდე.

„რათა ცნობიერების ნაკადს, თხრობის სტილს სულაც „ქართლის ცხოვრებას“ დაესესება როსტომ ჩხეიძე — მწერალი-ბიოგრაფოსი, მწერალი-მემატიანე.

სტილის საყრდენად სულაც სიუჟეტი იქცევა, „დრამატიზმით და ბრწყინვალეობით“ აღბეჭდილი.

„ქართლის ცხოვრების“ გაბმულ თხრობაში იდუმალ, ნატიფ, ლირიკულ ნიალსვლებს დაიგემოვნებდა ოთარ ჩხეიძე — სიღონიას ამბავს ლეონტი მროველის ნათხრობში ძველთუძველეს ნოველად დაინამდვილებდა, ვრცელ ამო-

ნარიდებსაც საიმისოდ დაიმონებდა, ისტორია და მხატვრული სიტყვა იდუმალ რომ გადანვნიდა ერთურთს, ისტორია ლიტერატურას ესაძირკვლებოდა, მხატვრულ სიტყვას — უმაღლესი სინჯისას...

მამას — ოთარ ჩხეიძეს — გადაენწყვიტა, ამომეზვევებინა „ნოველა ქართლის ცხოვრებისა“, საბას იგავეებს, ძველბერძნულ მცირე პროზას, ბიზანტიურ „ლიმონარს“, აღმოსავლურ „ათას ერთ ღამეს“, ბოკაჩოს „დეკამერონს“, ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებს“ ჩაუმყუდროვებოდა...

შვილმა უნყოდა „სად და რაზედ გაჩერდა მამა“... რაც მამის კალმით ვერ მოესწრებოდა, შვილი განაგრძობდა. „ამაღლებული სულის ბიოგრაფიას“ დასაწერად შეიგულებდა.

„ქართლის ცხოვრების“ დიდი ეპოპეა გრძელდებოდა.

ინურებოდა მეცხრამეტე ასწლეული, დგებოდა მეოცე და, როგორც უშორეს მეთხე ასწლეულში, მირიანის ჟამს, მტანჯველი დილემის წინაშე იდგა ერთი ქართველთა...

წარმართობა თუ ქრისტიან მალალი რწმენა?!

სოციალიზმი თუ ეროვნული სახელმწიფო?!

ულმერთობა დაჰღირებოდა XIX საუკუნის მიწურულის ქართლს.

ეპოპეაში ნოველები უნდა ამოჩენილიყო, ნოველებში გარდატეხილიყო ეპოქის მრუმი სულისძვრა.

და საგის ერთ ნოველად შიო არაგვისპირელის, ერთი უკეთესთაგანის ამბავს აირჩევს როსტომ ჩხეიძე...

აირჩევს და მის ტრაგიკულ, უსაზმნო ტკივილის დამმარხველ ისტორიას შემოაქსოვს საგას.

— გულს სისხლით შემოაქსოვსო, — იტყვის ქალბატონი ნანა და კვალდაკვალ მიჰყვება რომანში მოარულ, „შავი წიგნიდან“ გადმობიჯებულ აჩრდილს შიო არაგვისპირელი-სა, ვისი ნაბიჯების ექოხეც აეგო რომანი ავტორს.

„დამზობილიყო ვედრებად მწირო, ცრემლით იბურებოდა ღვთის მოპოვების წიგნი, გაბზარულ-გაუბზარავი, სიყვარული უზეშთაესობაზე ამოქარგული.“

ექო მოისმოდა, შორეულ ნაბიჯთა ექო, უჩვეულოდ მეტყველი, უცნაურად მონაცვლე, სიზმარ-ცხადის საზღვარგამოვლილი...

უფლის... შავი კაცის... შავი კაცის... უფლის“...

და ქალბატონი ნანაც:

— „ჟანრის ესქატოლოგიური ფინალი“ სხვაგვარ წერტილს ვერც იგუებდაო...

\*\*\*

**მაკა ჯოხაძე:**

— „შიო არაგვისპირელის ეპოქაზე, საქართველოს ისტორიაზე ქალბატონი ნანა საოცარი სიმშვიდით საუბრობდა, რაც მისი სულიერების და მალალი პროფესიონალიზმის დასტურიც არის. საერთოდ კი ბევრი რამ წამოშალა როგორც ამ წიგნმა, ისე ზოგადად როსტომ ჩხეიძის ბიოგრა-

ფიულმა რომანებმა, ის ხომ ამ ჟანრის ამლორძინებელია ჩვენს მწერლობაში.

ხელოვნების სხვა სფეროებს შორის ლიტერატურა ყველაზე დაჩაგრული აღმოჩნდა არა მხოლოდ ენის ბარიერის, არამედ იმ დიდი ფიზიკური და სულიერი მოცალეობის გამოც, რაც ასე სჭირდება ქართული ლიტერატურის გატანას ზოგადად სამყაროში. გლობალიზმი, როგორც გვარწმუნებენ, გარდუვალი პროცესია (და მისი „კეთილშობილური“ გაგება გულისხმობს, რომ მსოფლიოს გაგაცნოთ ჩვენი არსებობა საკუთარი თვითმყოფადობით, კულტურით თუ ტრადიციებით), ეს ყველაფერი დღევანდლობის განუყოფელ ნაწილად იქცა. მართალია, ქართული ლიტერატურის გატანა საერთაშორისო ასპარეზზე ასე იოლად ვერ მოხერხდა, მაგრამ... რალაცნაირი უპირატესობის გრძობა გეუფლება, როცა კითხულობ ყოველივე ღირებულს, რაც დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის წიაღში ინერება და გრძნობ, რომ არათუ არ ჩამორჩები იმ ყველაფერს, რაც ხდება მსოფლიოში, არამედ პარალელურად იცი და გათავისებული გაქვს ის დიდი პროცესები, დიდი ლიტერატურა, რომელიც სამყაროში იქმნება. ამის შესანიშნავი ნიმუში იყო ქალბატონი ნანას მოხსენება“.

\*\*\*

— იყო დრო, შიო არაგვისპირელის სახელი ქუხდა.

ეს ასე იყო ჩემს თაობაშიც...

გამოხდა ხანი და საზოგადოებამ დაივიწყა იგი — მწერალი, რომელმაც გავლენა იქონია მთელ მაშინდელ ქართულ ლიტერატურაზე და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს იმისათვის, რომ ეს შემოქმედი დაგვიბრუნაო, — იტყვის შეკრებაზე ქალბატონი **ცისანა კვინტრადე-გოძიაშვილი** და შეკრებილ საზოგადოებას რომანიდან საგულდაგულოდ ამონერილ იმ პასაჟებს წაუკითხავს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომ იქონია მასზე...

— იყო ასეთი დროო, — დანანებით იტყვის და იმედოვნებს, რომ როსტომ ჩხეიძის ეს ახალი ბიოგრაფიული რომანი, ისევე როგორც სხვა დიდ სახელებს, თავის ადგილს მიუჩენს შიო არაგვისპირელსაც, ვის სტილისტიკას თითქოს შორეულად და ბუნდოვნად, მაგრამ ყაზბეგის მწერლობასაც უკავშირებდნენ; საერთოდაც, აღექსანდრე ყაზბეგის უცარი მოვლინებისა და გაქრობის შემდეგ ასეთი ხმაური არცერთ ბელეტრისტს რომ არ ღირსებია. თავისი მიმდევრებიც რომ გასჩენია და ამტკიცებდნენ, რომ „ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, მინიატურა წალეკავდა ყველაფერს და დიდტანიან ქმნილებათა დრო წასულიყო, თითქოს ახალი საუკუნე ითხოვდა და განსაზღვრავდა რომანის გაქრობას და არა ლიტერატურული კრიზისი“.

დრო თვითონ გადაწყვეტდა, რა უნდა წაეღო და რა დაეტოვებინა. სწორედ ეს დრო ასახულა რომანში, თავისი ყოფით, პიროვნებებით, პერსონაჟებად ქცეული დიდი სახელებით და მთელი მაშინდელი ეპოქით.

ამ ყველაფერს ალუფროთოვანებია ქალბატონი ცისანა, ამასაც და ბედისწერასაც ერთი უცნაური და დიდი შემოქმედისა, რომლის შესახებ აკაკი წერეთელი თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ასეთ რამეს იტყვის:

„მის ნათელი გრძობათა სიმრავლე, კეთილ ჰაზრთა და მისწრაფებათა სიუხვე უშლელად ქანდაკებულა გრძელ შემოქმედებად; ვერა ბოროტი ვერ დაშლის იმას, ვერც თუ ნაგვტაცებს. იქ ჩაქარგულია მოელვარე არსება გარდასრულისა, იქიდან ისევ გვინანამძღვროს ნუთისოფლის ცხოვრების სიბნელეში ყველგან, ყოველთვის და ღბინშიაც!“

მხოლოდ ჭირი ხომ არ არის აქ ჩვენი ხვედრი!..“

\* \* \*

**ჯანრი კამია:**

— „ვერჯერობით ისევ ვკითხულობ ამ წიგნს და გეტყვით რატომ მინდა, რომ დავამთავრო: ეს ეხება არა იმდენად შინაარსს, რამდენადაც ფორმას. საერთოდ მგონია, რომ თუ რომანი ფორმით არ გაიძულებს ბოლომდე მიჰყვებ მას, შინაარსს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ კი გამოძებნილია არაჩვეულებრივი ფორმა — დრო, რომელშიც მიმდინარეობს თხრობა — მომავალი წარსულში. ეს ისეთი დროა, როცა ერთი და მეორეც შენ წინაშეა, წარსულსაც და მომავალსაც აწმყოში ხედავ და თანამონანილე ხდები იმ პროცესებისა. ეს მე ძალზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი მგონია არა მხოლოდ როსტომ ჩხეიძის შემოქმედებისა, არამედ საერთოდ, ქართული ლიტერატურული ფორმისა. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს.“

**ნონა კუპრეიშვილი:**

— „მინდა გავიხსენო არცთუ ისე შორეული წარსული — ის პერიოდი, როცა ძალზე აღრეული იყო ქართული მწერლობის შეფასების კრიტერიუმები და ჩვენი ლექტორი თემურ მაღლაფერიძე დაბეჯითებით ცდილობდა, რომ ჩვენს ცნობიერებაში შემოსულიყო სამი პიროვნება: არჩილ ჯორჯაძე, ჭოლა ლომთათიძე და შიო არაგვისპირელი.“

რატომ მაინცდამაინც ისინი?

ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა დაგვენახა ქართული მწერლობის მრავალფეროვნებაც და ის უმთავრესი ძარღვიც, რომელსაც წარმატებით გვიმაღავდა ის რეჟიმი.

აქ ითქვა, რომ შიო არაგვისპირელი ეხება ისეთ თემებს, რომელზეც ქართული მწერლობა არცთუ ხშირად ამახვილებდა ყურადღებას. აი, მაგალითად, თბილისის პეიზაჟები — ასეთი სიმძაფრით თბილისის ცხოვრება არცერთი მწერლის შემოქმედებაში არ ასახულა და ვფიქრობ, ეს საჭირო საკითხია ჩვენი მწერლობისათვის.

80-იან წლებში გამოიცა ოთარ ჩხეიძის წიგნი „ანარეკლი“ და მე გავბედე ჩემი აზრი დამეწერა მის შესახებ. სწორედ ამ წიგნში არის წერილი „სამყარო შიო არაგვისპირელისა“. აი, აქედან უფრო დაიწყო ნამდვილი წვდომა ამ მწერლისა, შემდეგ იყო ვახტანგ კოტეტიშვილის პუბლიკაციები... სწორედ ეს გამოცდილება და როსტომ ჩხეიძის ურთიერთობა მასალათან (მათ შორის იმ ცნობებთან, რომელიც სრული სახით არ იყო წარმოჩენილი ჩვენ წინაშე) საინტერესოდ კრავს ამ წიგნის კომპოზიციას. აქ, როგორც სახლის „ღია კარში“, ისე შემოდიან პერსონაჟები, რომლებიც თავისუფლად მიდი-მოდიან რომანის სივრცეში, ერთი პიროვნების გარშემო რომ არის შექმნილი და ამ ღია კარის შეგრძნებას ქმნის ავტორისეული ცოდნა, რაც მას აძლევს

სამუშალებას, თავისუფლად იმოძრაოს ლიტერატურის თვალუწვდენელ სივრცეებში.

წიგნში ისეთი დაკვირვებებია, პირდაპირ თემებია მოცემული და ამ თვალსაზრისით გზას უხსნის ლიტერატორებსაც და მკვლევარებსაც. თავისთავად ძალზე საინტერესო მეჩვენება შიო არაგვისპირელის შემოქმედების განხილვა ფსიქოანალიზის მიხედვით და მგონია, რომ ამ მხრივაც ჩაუღრმავებდნენ ამ რომანს.

ალბათ ბევრს უფიქრია: რატომ ვერ შექმნა შიო არაგვისპირელმა ის რომანი, რომელიც არჩილ ჯორჯაძეს უნდოდა დაწერილიყო — რომანი, როგორც სინთეტური სურათი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რატომ ვერ მოხდა ისე, რომ „გაბზარული გული“ მაინც ის არ არის, რაზეც ოცნებობდა არჩილ ჯორჯაძე. იმიტომ ხომ არა, რომ იმ დროისათვის ბიოგრაფია, როგორც ასეთი, ინავლება — პიროვნება თავისი ცხოვრებით უკანა პლანზე გადადის და წინ იწევს მასების ალტკინება, მათი მიზნები და ამოცანები, რაც კარგად ვიცით, რაშიც გადაიზარდა შემდეგ.

და კიდევ:

უკვე მერამდენედ მიჩნდება განცდა: იმ რეჟიმის პირობებშიც კი რამდენი რამის გაკეთება შეძლო ქართულმა მწერლობამ და წარმოიდგინეთ, ჩვენს ქვეყანას თავისუფლება რომ ღირსებოდა და თავისი გზით ევლო, მაშინ ხომ ყველა იმ ატრიბუტს შეიძენდა, ეროვნულ ლიტერატურას რომ სჭირდება.

ეს განცდა ახლა როსტომ ჩხეიძის ამ ახალმა რომანმა გამიჩინა და ასეთი წიგნის შემდეგ კიდევ უფრო მეტი მღელვარებით დაველოდები არჩილ ჯორჯაძის შესახებ გამოცემული ბიოგრაფიული რომანის განხილვას, რომელზეც მჯერა, ორჯერ მეტი ხალხი მოვა და განსაკუთრებულ ინტერესით შეხედება საზოგადოებრიობა“.

**მაკა ჯოხაძე:**

— „ძალზე ზუსტი იყო ქალბატონი ნონას აქცენტები, როცა ის მასალაზე მუშაობის შესახებ საუბრობდა — იმაზე, თუ როგორ შემოდის წიგნში სხვადასხვა ნაკადი, როგორც მხატვრული, ისე საარქივო... ოთარ იოსელიანს ჰკითხეს ერთხელ ახალგაზრდებმა კინოს შექმნის ხელოვნების შესახებ. საუბარი ძალზე მაღალფარდოვან სტილში მიდიოდა, მან კი ასე უბრალოდ და დამინებულად უპასუხა: კინო არაფერია, გარდა კარგი მონტაჟისაო. აი, ეს მონტაჟის ხელოვნება განსაკუთრებულად სჭირდება ბიოგრაფიულ რომანსაც და ის ბრწყინვალედ არის განხორციელებული როსტომ ჩხეიძის ყველა წიგნში“.

**მაია ჯალიაშვილი:**

— „შიო არაგვისპირელზე წერა იოლიც არის და, ამავე დროს, რთულიც. იოლი იმიტომ, რომ მისი ბიოგრაფია მწერია. რთული იმიტომ, რომ შემოქმედებითი სამყარო აქვს მრავალფეროვანი. მწერლის ვალი იყო ეს ორი რიტმი — ცხოვრებისეული და სულიერი — რალაცნაირად შეეწყო ერთმანეთისთვის და ჩვენ წინაშე წარმოეჩინა. მან ეს კარგად მოახერხა. იგი ყველა პერსონაჟს ახლოდან ხატავს. მსხვილი პლანით გვიჩვენებს, რათა ის შინაგანი სულიერი მოძრაობები, მათ ქცევაში, თვალეებში, საერთოდ, ცხოვრებაში რომ ისახება, მძაფრად შეგვაგრძნობინოს.“

ბიოგრაფიული რომანის ჟანრის პრინციპები უკვე გამოკვეთილია, ქართულ ლიტერატურაშიც და უცხოურშიც, თუმცა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები გამორჩეულია — მათში არ არის კლასიკური ყაიდის თხრობა. ავტორი მოზა-

იკური პრინციპით გვანდის მასალას და თითოეული თავი ცალკე ნოველა თავისი რიტმით, შესავლით და დასასრულით. საერთოდ, ასეთი ჟანრის ნაწარმოებები ყოველთვის ბიოგრაფიულ მასალას ეყრდნობა, მაგრამ მთავარია ის, თუ ვინ და როგორ შეაზავებს ამ ყველაფერს, აი, ისე, როგორც მოზაიკაში — ერთი და იგივე ნატეხით სხვადასხვა სურათის მიღება რომ შეიძლება... და როსტომ ჩხეიძემ ძალზე ორიგინალური მოზაიკური სურათი შექმნა შიო არაგვისპირელზე.

ბევრი რამ მომეწონა ნიგნში, განსაკუთრებით აქცენტი შიოს უკანასკნელ სიტყვებზე: „შვილო, ჩაიცვი, არ გაცვივდე!“ მომხსენებელმა აღნიშნა: ეს სიმბოლურადაც შეიძლება გავიაზროთო. მეც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მამამ შეიღოს სულიერ სამოსელზე ზრუნვა მიანიშნა.

ვფიქრობ, როსტომი თავისი ნიგნებით სწორედ ასეთ სულიერ სამყაროს ქმნის და ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს შევიმოსოთ და არ შეგვცივდეს ამ საყოველთაო გამყინვარების ხანაში“.

**გიორგი გოგოლაშვილი:**

— „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს იმისათვის, რომ საზოგადოებას ასეთი მწერლის არსებობა შეახსენა. სამწუხაროდ, ის დავინწყებულია. მთავარი დანაშაული კი მაინც ის არის, რომ მწერლობამ სკოლა დაივიწყა, შესაბამისად სკოლასაც აღარ ახსოვს მწერლობა და რაკი შიო არაგვისპირელის შემოქმედება აღარ ისწავლება საგანმანათლებლო სკოლებში, თაობები მოდის ისეთი, ეს მწერალი (და კიდევ ბევრი სხვაც) საერთოდ არ იცინა. მახსოვს ბატონი როსტომ ჩხეიძის ძალზე საინტერესო ლექციები, ტელევიზიით რომ კითხულობდა. ვინც იმ დროს სწავლობდა სკოლაში, კარგად იცოდა შიო არაგვისპირელიც და საერთოდ, ქართული მწერლობაც.“

დღეს სახელმძღვანელოები მისი შემდგენლის პირადი შეხედულებებით და გემოვნებით მზადდება და შედეგებიც სავალალოა. ამ ყველაფერს სხვადასხვა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ და, ვფიქრობ, როსტომ ჩხეიძის ეს რომანი სწორედ ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა“.

**ელისო კალანდარიშვილი:**

— „როსტომ ჩხეიძის ყველა ნიგნი მკითხველისთვის დიდი საჩუქარია. ამ რომანში იგი ჩანს როგორც პოლიჟანრული მწერალი. ის არის მეცნიერიც, რომელსაც სრული სანდოობით აქვს გამოკვლეული ნოველის ისტორია. ეს სერიოზული სამეცნიერო შრომაა, ყოველგვარი სქოლიოების გარეშე და მასალები ისე ძალდაუტანებლად, ცოცხლად და თავისუფლად შემოდის, თითქოს ცნობილი იყოს, არადა, ბატონი როსტომის მოძიებული, მოკვლეული, გაანალიზებულია და ძალზე ბუნებრივად არის ჩართული ნიგნში.“

ცალკე ეტიუდება, დამოუკიდებელი ნაწარმოებები თავები იოსებ ლალიაშვილზე, ჩუდეცკის მკვლელობაზე; იუმორნარევი ამბავი ზღვის ავადმყოფობაზე... ეპითეტებიც კი ისეთია... აი, მაგალითად, როგორ გამოხატავს გალიზიანებას აკაკი იმის გამო, რომ ყაზბეგს ჰომეროსს ადარებენ, ვაჟაფშაველაზე კი ამბობენ: ჩვენ უნდა დავდოთ კალმები და გზა ვაჟას დავუთმოთო — იფშხალებოდა აკაკი წერეთელი; ან ფილიპე მახარაძის სახეს როგორ გამოკვეთს, როცა მისი ვითომდა თავისუფლებისმოყვარეობა სურს წარმოაჩინოს — გაიყვინტრებოდა ფილიპე მახარაძეო.

როგორი დაკვირვებები, მიგნებები და პარალელებია ნიგნში, რა ოსტატურად არის შერწყმული ერთმანეთთან ეს

პასაჟები, რა ფაქიზი დეტალებია წამოწეული იმდროინდელი ზნეობისა და რეალობის ნიმუშად.

დიდი მადლობა ბატონ როსტომს თედო სახოკიას — ამ დიდი მოღვაწის, მისი საოცარი ჰუმანიზმის წარმოჩენისათვის. საერთოდ, ეს ნიგნი დიდი სიყვარულით არის დაწერილი და ამისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ავტორს“.

**მანანა გაბაშვილი:**

— „არ შემიძლია ერთი რამ არ ვთქვა ისტორიკოსის პოზიციიდან: როსტომ ჩხეიძის თითოეული რომანი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება სწორი ორიენტირის აღდგენა საზოგადოებისათვის. მისი 40 რომანი არის 40 დიდი საქმე, რომელიც ქართულ ცნობიერებას იმ ზუსტ მიმართულებებს აძლევს, ასე რომ გვაკლია დღესდღეობით. იმ ფონზე, როცა ორი საუკუნეა მიმდინარეობს ჩვენი დეზორიენტირება, ამგვარ ანალიზებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ როსტომ ჩხეიძე თავისი შემოქმედებით დიდ „მუშაკად“ მიმაჩნია საერო საქმეებისა, საოცარი ხიბლით რომ აკეთებს. მან შექმნა უზარმაზარი გალერეა ქართველი მოღვაწეებისა და ასე მგონია, ასეთი დიდი ჭირისუფალი ქართულ ლიტერატურას, ქართველ ეროვნულ გმირებს, ქართულ ისტორიას ალბათ სხვა არც არავინ ჰყავს“.

**თემურ ნადარეიშვილი:**

— „ნიგნის სათაურზე შევაჩერებ ყურადღებას — „მზე და მწუხრი“. მიყვარს ასეთი დაპირისპირებები... და აქვე მახსენდება კითხვაც, როსტომ ჩხეიძე რომ სვამს რომანში: „იქნებ როგორმე მორგებულიყვნენ ეროვნული იდეალი და სოციალისტური მრწამსი?“ ხშირად დამისვამს კითხვა საკუთარი თავისთვის: ნეტა არ შეიძლებოდა ბოროტი და კეთილი რომ შერიგებულიყვნენ-მეთქი? თურმე არ შეიძლებოდა! მგონი გოეთეს უთქვამს: ბოროტი კეთილის დადგენის საშუალებააო. სულ თუ სიკეთე იქნა, ის ჰაერით გახდება და მუშმწნეველი დარჩება ჩვენითვის. ამიტომ ეს ორი რამ — სიკეთე და ბოროტება — ყოველთვის იქნება. ჩვენი ერისთვის განსაკუთრებულ უბედურებად იქცა ისეთი ბოროტება, როგორც იყო სოციალიზმი. ამ რამდენიმე წლის წინათ ვნახე ფილმი სტალინზე. იქ არის ასეთი ეპიზოდი: ილია ჭავჭავაძე ხვდება ბელადს და საუბარში ერთ-ერთი საყვედური, რომელსაც ილია ფაქიზად, მაგრამ მაინც ეუბნება სტალინს, ასეთია: თქვენთვის მთავარია სოციალური იდეა, ჩემთვის კი ეროვნულიო.“

საქმე ისაა, რომ მრავალრიცხოვანი ერისათვის ისეთ რთულ ვითარებაშიც კი, როგორც არის, მაგალითად, ფორმაციის შეცვლა, ეროვნული იდეა შესაძლოა, არც იყოს ისეთი მნიშვნელოვანი (ახლა გამახსენდა: ბორის ელცინმა გამოაცხადა: „დენ ნეზავისიმოსტი როსიი“. სულ მიკვირდა: ნეტა ვისგან იყო „ნეზავისიმი“ ან ვისგან უნდოდა გათავისუფლება, ყველაფერი თვითონ არ არის-მეთქი?), მაგრამ თუ საქმე გვაქვს მცირე ერთან, ეროვნული იდეა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აი, ასეთ იდეებს ემსახურება როსტომ ჩხეიძის შემოქმედება და მინდა წარმატებები ვუსურვო მას ამ დიდ საქმეში“.

**ნაილი ნეკერიშვილი:**

— „მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენი, ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან თქვენ მიერ ამოტანილი მასალები...“

**როსტომ ჩხეიძე:**

— „ლია გუსეევას დახმარებით რომ მოვიძიე...“

**ნაილი ნეკერიშვილი:**

— „დიახ, ეს მასალები მერეც დიდხანს ენყო ზემოდან,“

როსტომ ჩხეიძისთვის არისო, — ამბობდნენ და არ ჩაჰქონდათ არქივში, რაკი ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა ისევ დაგჭირებოდათ. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი არქივი ძალიან მდიდარია, მუზეუმიც ყოველთვის გელოდებათ, რადგან ამ უზღვაო მასალიდან სწორედ თქვენნაირმა მოღვაწემ უნდა ამოზიდოს ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ასე სჭირდება ისტორიასაც და ერსაც“...

**როსტომ ჩხეიძე:**

— „შოი არაგვისპირელი ევროპული მასშტაბის მწერალი იყო. როცა ოთარ ჩხეიძე აპირებდა ბიოგრაფიული რომანის დაწერას მის შესახებ, სურდა ყოფილიყო გაგრძელება ვასილ ბარნოვის ცხოვრების ამსახველი რომანისა, რადგან მან ევროპულ დონემდე აზიდა ქართული რომანი, შოი არაგვისპირელმა კი ამ სიმაღლეებს ქართული ნოველა გაუტოლა.“

ნოველები ინერებოდა მანამდეც. მარტო ილიას „სარჩობელაზედ“ რად ღირს, ნებისმიერ მსოფლიო ანთოლოგიას რომ დაამშვენებდა, მაგრამ შოი არაგვისპირელმა რომ დაახვავა, ამდენი არავის შეუქმნია. არა მხოლოდ მხატვრულმა დონემ, აკაკი წერეთლის შეფასებამაც განსაზღვრა მათი ბედი და მაშინდელ კლასიკურ ბესტსელერებად იქცა შოი არაგვისპირელის შემოქმედება.

— ყველაფერი კარგია, მაგრამ რომანი უნდა დაინეროს, ჩვენი ყოფა რომანში თუ არ გამოიხატა, მხოლოდ ნოველა არ კმარაო, — ჩიოდა თურმე მაშინ არჩილ ჯორჯაძე...

და შემთხვევითი არ არის, რომ 20-იან წლებში მთელი წყება დალაგდება ერთმანეთზე უკეთესი რომანებისა, რომელთა წინამორბედიც შოი არაგვისპირელის „გაბზარული გული“ აღმოჩნდება.

...და აი, გამოდის ანთოლოგიები XX საუკუნის მოთხრობისა, ნოველისა... ამ მწერლის ნაწარმოებები კი მათში არ არის.

საერთოდ, ევროპელები ძალიან უფროხილდებიან მეხუთე და მეშვიდეხარისხოვან მწერლებსაც კი, რადგან კარგად იციან ამ ყველაფრის ფასი, ჩვენ კი ასე მივიწყებული გვყავდეს მსოფლიო მასშტაბის მწერალი, უპატიებელი დანაშაულია.

ჩვენ გვხიბლავს კაფკას შემოქმედება — გაიგვება ადამიანებისა ცხოველებთან, მისი ღრმა სარკაზმი და ტრაგიზმი, რომლითაც კაცობრიობის ყოფას და რეალობას ხატავს... და აი, კაფკა ჯერ არც კი იყო გამოსული ასპარეზზე, როცა ამ ყაიდის ნოველას წერს შოი არაგვისპირელი. რომ არ იცოდე ქრონოლოგია, იქნებ გავლენასა და მიბაძვამიც შეგეპაროს ეჭვი, მაგრამ მას ეს არ დასჭირვებია, არც აქ და არც ნოველაში „მინა“, რომელშიც თავისი სიმძაფრით იმ სიმაღლეს აღწევს, რასაც ჯოისი ასეთივე სათაურის ნაწარმოებში. სხვათა შორის, ესეც მანამდე ხდება, ვიდრე ჯოისი თავის თხზულებას გამოაქვეყნებდეს.

აღბერ კამიუსა და ერნესტ ჰემინგუეიზე უთქვამს უილიამ ფოლკნერს:

— მაშინ შეწყვიტეს წერა, როცა ღმერთი იპოვნესო.

შოი არაგვისპირელის ცხოვრებაც და მოღვაწეობაც ღმერთის ძიება იყო. იგი ძალზე დიდი სულიერი ჭიდილით მიდის ღმერთამდე. მისი რომანი „გაბზარული გულიც“ სწორედ ამის დასტურია და შემთხვევითი არ არის, რომ ის ბიბლიური „ქებათა ქებისთვის“, სიყვარულის საგალობლისთვის შეუთანაბრებია კრიტიკას. ამიტომაცაა, რომ არ მინდა ასეთი დიდი სახელები დაიკარგოს. შოი არაგვისპირელის სკეპსისის, მისი ტრაგიზმისა და გამონატანერი გულის გარეშე ხომ ის გზაც

თავის დროზე თვალსაჩინო მწერალსა და ახალგაზრდების დიდ მოამაგეს ვახტანგ ჭელიძეს გამოქვეყნებული ჰქონდა პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო სტატია „ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“.

დაე ჩვენმა შვილებმაც ჩაიხედონ თავიანთ სახელმძღვანელოებში, ოღონდ არა მარტო როგორც მოსწავლეებმა, არამედ თუნდაც კრიტიკული მზერით.

ყმანვილები უკვე აქედანვე უნდა ეჩვეოდნენ ფიქრსა და განსჯას და არც საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ და თამამად გამხელას უფრთხოდნენ. სახელმძღვანელოთა შემდგენლებისთვის კი ყოველთვის საგულისხმო იქნება მოსწავლეთა შთაბეჭდილებანი, იმის მიუხედავად, გაიზიარებენ თუ არა ზოგიერთ დაკვირვებას მაინც.

**თორნიკე ჭუმბურიძე**

**ორი  
სახელმძღვანელო**

მეთორმეტე კლასის „ქართული“ ლიტერატურის სახელმძღვანელო „ქართული 12“ (შემდგენლები — თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, „დიოგენე“, 2008), ორ ნაწილადაა დაყოფილი. მეორე ნაწილის („ისტორიის გზის ხედები“, შემდგენელი — თამაზ ვასაძე) თავფურცელზე ვკითხულობთ: „წიგნის ამ ნაწილში თვალს გავადევნებთ, თუ როგორ წარმოჩნდება ჩვენს ლიტერატურაში ქართველი ადამიანი და ქართული საზოგადოება თავისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.“

ამ ნაწილში შეტანილია:

1. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“; (ეს ნაწარმოები და „ჯაყოს ხიზნები“ იბეჭდება შემოკლებით, თუმცა მოსწავლეებს ევალებათ, მოიძიონ და გაეცნონ მათ სრულ ტექსტს.)
2. ფრაგმენტები ნიკო ლორთქიფანიძის რომანიდან „მრისხანი ბატონი“;
3. ფრაგმენტი ოთარ ჭილაძის რომანიდან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“;
4. დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“;
5. ფრაგმენტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“;
6. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“;
7. ფრაგმენტი ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ბორიყა“;
8. რეზო ჭეიშვილის „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“;
9. ჯემალ ქარჩხაძის „ბიძაჩემი იონა“.

„დიდოსტატის მარჯვენის“, „სამანიშვილის დედინაცვალისა“ და „ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტის შესხენებით მკითხველს თავს არ შევანყენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, პირველ მათგანში დასმული დილემატიკა ზოგადსაკაცობრიო და მარადიულია, ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ ის მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის ქართული საზოგადოების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

საინტერესოდაა შერჩეული სცენები „მრისხანე ბატონიდან“. მიუხედავად იმისა, რომ რთულად თუ მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში ნაწარმოები, რომელიც ისე უარყოფითად გვიხატავს ქართველობას, როგორც ეს რომანი, მასში არის „გამონათებებიც“: უაღრესად ღირსეული ვახტანგი და მისი მაგალითით გარდაქმნილი ციციწინო; ასევე ღირსეული რაჭის მთავარი; გედევანისა და სვანების ერთგულება ვახტანგისადმი. „გამონათებები“ სახელმძღვანელოში ვერ მოხვდა, ისევე როგორც ნაწარმოების შთამბეჭდავი ფინალი, რისი ნაკითხვის გარეშეც რომანის გააზრება და მწერლის სათქმელის მართებულად გაგება შეუძლებელია. არადა, „მრისხანე ბატონს“ ვრცელი სულაც არ ეთქმის. მისი სრულად დაბეჭდვა ორიოდ ფურცლით თუ გაადიდებდა 500 გვერდიან წიგნს.

რომანიდან „ყოველმან ჩემმან მკოვნელმან“ მოტანილია III თავი. ვხედავთ ქაიხოსრო მაკაბელს, უსამშობლოო, მხდალ, ანგარებიან კაცს. აქ არც ნაწარმოების შემდგომ თავებში ლამის წმინდანებად ქცეული ანა და გიორგი მოსჩანან დიდად ღირსეულ ადამიანებად.


„დათა თუთაზიხიდან“ მოტანილია ნიკიფორე ბუბუტივილის ნაამბობი. ვხედავთ თვითონ ნიკიფორე ბუბუტივილს, მდაბალი ბუნების რევოლუციონერს, და კაჯა ბულავას, ძუნწ მეფეშეს, ვინც, მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ფულის პატრონია, აუტანელ პირობებში ამყოფებს ცოლ-შვილს.

„ბორიაციდან“ მოტანილი ფრაგმენტები ლეკო თათაშელს წარმოგვიჩვენებს. გურამ ასათიანს დავესხებები: „ამ პერსონაჟის შინაგანი სამყარო დანახულია კრიზისულად, წინააღმდეგობრივად. მთელ რიგ პასაჟებში მისი ფსიქიკა გახსნილია, დანაწევრებულია, ანალიტიკურად შესწავლილია და დოსტოვესკისებურად გაშიშვლებული ფერებით წარმოგვიდგება.“ ცხადია, სახელმძღვანელოსთვის შერჩეული სამი მცირე ეპიზოდი (სამივე ერთად მხოლოდ 5 გვერდს იკავებს) ასეთ პერსონაჟს სრულყოფილად ვერ დაგვანახებს. ეს ეპიზოდები, განსაკუთრებით მეორე მათგანი, სადაც ლეკო უკულტუროდ ნადიმობს, ჰპობდავს, თავ-პირზე იღვრის ღვინოს, კომიკურ ელფერს სძენენ თათაშელის სახეს...

„ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ ავადსახსენებელი „ოცდაჩვიდმეტის“ ხანაზე მოგვითხრობს. ვხედავთ „ჩეკისტ“ ტუკვაძეს, დაშინებულ საზოგადოებას, მთავარი გმირის, ჭკუას გადამცდარი ბიჭიკოს ნათესავებს, ვინც მხოლოდ იმიტომ გადაწყვეტენ მისთვის დახმარებას (მოსკოვში სამკურნალოდ წაყვანას), რომ მისი ბინის ხელში ჩაგდება სურთ, და ბიჭიკოსსავე მეგობრებს, ვისაც მართალია პრაგმატული მიზნები არ ამოძრავებთ, მაგრამ ბიჭიკოს დასახმარებლად შეგროვებული ფული რამდენჯერმე ეხარჯებათ და იმასლა ჯერდებიან, რომ სუფრაზე მისი სადღერძელოს თქმას იხდიან წესად.

„ბიძაჩემი იონა“ კომუნისტური ეპოქის მინურულის სურათს გვიხატავს. ვხედავთ დამყაყებულ, ერთფეროვან საზოგადოებას, რისი წევრებიც ობივაციულობით, სიცრუით, მლიქვნელობით იკვალავენ გზას.

ვფიქრობ, ნათელია, თუ როგორ წარმოჩნდება „ქართველი ადამიანი და ქართული საზოგადოება თავისი ის-



ტორიის სხვადასხვა ეტაპზე“... „ქართული“ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

\*\*\*

ყბადღებული „ზოგადი უნარების ტესტები“ მოიცავს ასეთ დავალებებსაც: „წინადადებების შევსება.“ მათში, „მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. სავარაუდოდ პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი.“ გამოსაცდელებს ევალებათ, აირჩიონ „პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინა-

დადებას მოგვცემს.“

ცხადია, საგარჯიშოები ასეთი დავალებებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოებშიც არის შეტანილი. ერთ-ერთი მათგანი — „ზოგადი უნარები-მომზადების სწრაფი კურსი“ (შემდგენლები დ. გომბეტელიანი, ს. კოსტავა, ი. იანაიშვილი. საერთო რედაქცია ნ. გიორგელიძისა. აკ. ნერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2009) – ამგვარი წინადადებების შევსებას გვთავაზობს:

„რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ამა თუ იმ ერის კულტურა, მით უფრო ძლიერია მისი საერთაშორისო გავლენა. ეროვნული ენერგია ძლიერია. ის ადვილად სცილდება სახელმწიფოს ფარგლებს.“

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა სურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს.“

„ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულისკვეთებიდან არ შობილა, არ ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას.“

„რამდენი რევოლუცია მოხდა?! ყოველი მათგანი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ნაბაძვა იყო, მაგრამ ყველა მასზე დაბლა იდგა, როგორც, საზოგადოდ, ასლი დგას ორიგინალზე დაბლა.“

„ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ისეთი უცხო სიტყვა, რომელმაც ან საერთაშორისო არენაზე მოიკიდა ფეხი, ან მისი თანაბარი ქართული სიტყვა არ მოგვეპოვება, და რაც მოგვეპოვება, სამუდამოდ მკვდარია.“

„ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების განუხრელი დაცვით უნდა შეეკმნათ იმგვარი კულტურულ-ზნეობრივი ატმოსფერო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მაცხოვრებელმა, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, თავის ზნეობრივ მოვალეობად ჩათვალოს ქართულის ნებაყოფლობით შესწავლა.“

„თუ ნაირგვარ კულტურასთან კონტაქტის პირობებში ჩვენმა სახელმწიფომ არ ჩამოაყალიბა ეროვნული იდეოლოგია და არ გაატარა ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრიობასაც, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს.“

თითქოს ხომ არაფერი და, ეს ორიოდ სტრიქონიც დიდ საქმედ მიჩვენება.



ნიკო ჯავახიშვილი

## ლატვიური დღიური

საქართველოს ურთიერთობებს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, ქართველ და ბალტიისპირელ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობების ისტორია დღემდე არ ქცეულა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტად.

ამ საკითხის შესწავლით ამ ცოტა ხნის წინათ დაინტერესდი. წლის დასაწყისში გამოვაქვეყნე ნარკვევი “ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან” [იხ.: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების კრებული “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. 1 (5), თბ., 2009.

ზემოხსენებულ თემაზე პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ თანდათან მეტი საინტერესო მასალა გამოჩნდა. გამიჩნდა სურვილი, მონოგრაფია დამენერა. ამ მიზნით, აუცილებელი გახდა ბალტიისპირეთის სიძველეთა საცავებში დაცული სათანადო მასალების მოძიება და შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგანგებო და სრულფუნქციონარ ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა კონსტანტინე კორკელიამ ჩვენი ინიციატივის მიმართ ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოიჩინა და მისი თანადგომით, საგანგებო სამეცნიერო მივლინებით ვენზე რიგას. ლატვიაში ერთ თვეს დავყავი: 12 აგვისტოდან — 10 სექტემბრის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს ჩემს დღიურში ყოველდღიურად ვინიშნავდი. ლატვიურ დღიურს მკითხველს მოკრძალებით ვთავაზობ.

აქვე დავძენ, რომ ჩემი წიგნი წელს გამოიცემა. მისი სამეცნიერო რედაქტორი იქნება აკადემიკოსი იანის სტრადინში, ხოლო რეცენზენტები — პროფესორები: რაულ ჩილაჩავა, ვენტა კოცერე და რეგინა იაკობიძე.

ვითვალისწინებ იმასაც, რომ წინამდებარე დღიური მკითხველისათვის მომაბეზრებელი არ გახდეს და შეგნებულად ვამოკლებ იმ ეპიზოდებს, რომლებიც ლატვიის სიძველეთა საცავებში ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას შეეხება.

### 12. VIII. 2009.

გამთენიისას ჩავფრინდი რიგაში. აეროპორტში დამხვდნენ “ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის” მმართველობის ფონდის საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი ანდრეის კრუსკოუსი და ლატვიაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანამშრომელი პაატა გაბიძაშვილი. ანდრეის და მის ქართველ მეუღლეს — ელენა (ლიკა) ჟორჟოლიანს თბილისიდან ვიცნობ. ეს ადამიანები ბევრს აკეთებენ ლატვიაში ქართული კულტურის და საერთოდ, საქართველოს პოპულარიზაციისათვის. ანდრეის, ქართული წესისამებრ — “ანდროს” ვეძახი, რასაც — როგორც ქართველების სიძე — უკვე შეეჩვია. ანდრომ შემომთავაზა, რომ ლატვიურ ენაზე არსებულ ჩემთვის საჭირო ინფორმაციას გადმომიტარებინა.

დავბინავდი ძველი რიგის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, განუს ქუჩა 4-ში.

გარშემო ძირითადად დიპლომატიური კორპუსები თავმოყრილი.

შუადღისას ვენზე საქართველოს საელჩოს, რომელიც რიგის ცენტრში, იან რაინისის ბულვარში მდებარეობს. მის წინ ამყად ფრიალებს საქართველოს სახელმწიფო დროშა. ჩვენი საელჩოსგან მარცხნივ, ფაქტობრივად კარის მეზობლად, მდებარეობს აზერბაიჯანის საელჩო, ხოლო მარჯვნივ, ოდნავ მოშორებით — აშშ-ს საელჩო.

საქართველოს ელჩი — კონსტანტინე (კოტე) კორკელია — ჩემი თაობის ადამიანია. ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვიცნობთ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (ის 35 წლისაა), კოტე უკვე ცნობილი მეცნიერია, საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტი, რომელიც დიპლომატიურ სარბიელზეც წარმატებით მოღვაწეობს.

ელჩმა გამაცნო საქართველოს კონსული ლატვიაში ქეთევან ესიაშვილი — ფრიად გულისხმიერი ადამიანი, ასევე საელჩოს თანამშრომლები, პროფესიონალი ახალგაზრდა სპეციალისტები: თემურ ჯანჯალია, გიორგი ფანიაშვილი (პაატა გაბიძაშვილი დილით გავიცანი). საელჩოში მუშაობენ ასევე ლატვიელი მდივანი სინტია და რიგელი ქართველი თენგივ სტურუა. მათთან ურთიერთობის ერთთვისანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ისინი კარგად ორგანიზებულ კოლექტივს წარმოადგენენ და ყოველმხრივ ცდილობენ საქართველოს საელჩო ამ ქვეყანაში ღირსეულად გამოიყურებოდეს.

საღამოს შევუდექი რიგის დათვალეიერებას. ვინაიდან ამ ქალაქში პირველად ვარ, ყველაფერს განსაკუთრებული ინტერესით ვაკვირდები და ფოტოაპარატით აღვებჭდავ. არქიტექტურული თვალსაზრისით რიგა დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით მისი ისტორიული ნაწილი. ცენტრში აღმართულია თავისუფლების უზარმაზარი ქანდაკება. მშვენიერი სანახავია მდინარე დაუგავა, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს.

სავსებით მართებულად წერდა გრიგოლ ორბელიანი თითქმის ორი საუკუნის წინათ: “მშვენიერია სანახავად რიგა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნაენი ქალებით, კაცებით, სიმღერით აქა-იქ”.

### 13. VIII. 2009.

კონსულ ქეთევან ესიაშვილსა და ანდროსთან ერთად ვესტუმრეთ ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორს, დოქტორ ვენტა კოცერეს. ქალბატონი ვენტა კეთილშობილი და საქართველოს მოყვარული ადამიანია. განსაკუთრებული სითბოთი იგონებს თავის ვიზიტს საქართველოში. მან საჩუქრად გადმომცა ბიბლიოთეკის სამეცნიერო შრომათა კრებული, სადაც გამოქვეყნებულია მისი და პროფესორ რეგინა იაკობიძის სტატიები ქართულ-ლატვიურ ურთიერთობათა (XIX-XX საუკუნეები) შესახებ და სხვა საყურადღებო მასალები. ბიბლიოთეკას ვაჩუქე ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული ფერადი კატალოგი “ფული საქართველოში”, რომლის ავტორთა კოლექტივის წევრი მეც ვარ.

ვიყავით ლატვიის სახელმწიფო საისტორიო არქივში. მისმა მეცნიერ-თანამშრომელმა (ეროვნებით პოლონელია) შეძლებისდაგვარი დახმარება გაგვინია.

ვენევი რიგის ცენტრში მდებარე “ლატივის ოკუპაციის მუზეუმს”, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ მუზეუმის დაარსებამ უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა შეიტანა როგორც ლატიველთა, ასევე ქართველთა (ასეთი მუზეუმი თბილისშიც დაფუძნდა) მსოფლმხედველობაში. მუზეუმიდან გამოსვლისას გადავათვალიერე შთაბეჭდილებათა სქელტანიანი ნიგნი, სადაც უამრავ ჩანაწერს შორის ქართული ვერ აღმოვაჩინე. ამის გამო, ჩემი შთაბეჭდილება საგანგებოდ ქართულ ენაზე ჩავწერე. თუმცა ბოლოს მაინც ლათინურად მივანერე “ეორგია”.

**14. VIII. 2009.**

საქართველოს ელჩთან ერთად მიმინვია უკრაინის ელჩმა ლატივიაში — პროფესორმა რაულ ჩილაჩავამ. ბატონ რაულს პირველად ათიოდე წლის წინათ შევხვდი, როდესაც მისი თაოსნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრაინელი პოეტების საღამო გაიმართა.

უკრაინის საელჩო რიგის ცენტრში — გენერალ კალპაკის ქუჩაზე მდებარეობს. შესანიშნავად მოვლილი, დიდებული შენობაა.

ბატონი რაული არაჩვეულებრივი პიროვნებაა — კეთილშობილი, მრავალმხრივ განათლებული, თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი მოჭირნახულე, ხალისითა და დახვეწილი იუმორით სავსე. საქართველოსათვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ ასეთი გულანთებული მამულიშვილები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გვყავდეს. მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ იმდენის დაწერა შეიძლება, რომ შეიძლება ერთი მოზრდილი ნიგნი არც ეყოს, ამიტომ აქ შევჩერდები. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ის ამჟამად ერთადერთი ქართველია, რომელსაც იმდენად ენდობა უცხო სახელმწიფო (ამ შემთხვევაში — უკრაინა), რომ უცხო ქვეყანაში თავის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მიაგვლინა!

ის ფაქტი, რომ უკრაინისა და საქართველოს ელჩები მეგობრობენ, დიდად სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. ამას მონშობს მათი ერთობლივი, უაღრესად კეთილშობილური საქმე — შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემა ლატიურ და უკრაინულ ენებზე, რაც 2009 წელს, რიგაში უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე განხორციელდა.

უკრაინის ელჩის კაბინეტი სავსეა მის მიერ რიგაში გამოცემული ნიგნებითა და თარგმანებით. ყველაფერს თავდაუზოგავი შრომის კვალი ატყვია.

ბატონ რაულთან საუბარი მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა, რის გამოც უკრაინის საელჩოში საკმაოდ დიდხანს დავყავით. დავემშვიდობეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს, რომელმაც უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოგვინყო.

**15. VIII. 2009.**

დილით ანდროსთან ერთად მოვინახულე რიგაში მდებარე მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც რომის პაპს ექვემდებარება. მრევლში გაერთიანებულნი არიან: ლატიველები, პოლონელები, უკრაინელები, ბელორუსები. მათ ამიხსნეს, რომ ურჩევნიათ აქ იარონ, ვიდრე რუსეთის პატრიარქის დაქვემდებარებაში მყოფ რიგის დიდ მართლმადიდებლური ტაძარში, სადაც ბატონობს აზრი: “მოსკოვი — მესამე რომია!”.

შუადღისას ნავედით იურმალაში. თან გვახლდა ანდროს და ლიკას ექვსი წლის ვაჟი თეოდორი ანუ თედო — ვერცხლისწყალივით მოძრავი, სიცოცხლით სავსე ბიჭუნა, ნამდვილი ბუნების შვილი.

იურმალა მშვენიერი კურორტია, ფრიად კეთილმოწყობილი. იდეალური სისუფთავე და კომფორტი ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ბალტიის ზღვა საკმაოდ ცივია, თუმცა პლაჟი დამსვენებლებით არის სავსე. უდიდესი ნაწილი რუსეთიდან, კერძოდ მოსკოვიდან არის ჩამოსული. თითქმის ყველგან რუსული საუბარი ისმის.

იურმალაში სეირნობისას შევხვდით მხატვარ ნუგზარ კახიანს თავის ცოლ-შვილთან ერთად. ღირსეული ოჯახია, ნამდვილი ქართველები. 2008 წლის აგვისტომდე სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდნენ, მაგრამ რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, ლატივიაში გადასახლებულიყვნენ. მე და ბატონმა ნუგზარმა კოორდინატები გავცვალეთ და ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

სალამოს დაგბრუნდით რიგაში, სადაც ქალაქის ცენტრში ცხოვრება დულს...



ნიკო ჯავახიშვილი და რაულ ჩილაჩავა უკრაინის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე (რიგა, 24 აგვისტო, 2009)

**16. VIII. 2009.**

ვიყავი რიგის ცენტრალურ მარკეტში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ ტრადიციულად საუკეთესო პროდუქტი იყიდება, განსაკუთრებით რძის ნაწარმი. ხილი და ბოსტნეული აქ ძირითადად სამხრეთ ევროპიდან (იტალიიდან, ესპანეთიდან, უნგრეთიდან, თურქეთიდან...) შემოაქვთ და ამიტომ საკმაოდ ძვირი ღირს. ქართული ხილის ხარისხი აქაურზე უკეთესია და ფასიც გაცილებით დაბალი.

ბაზართან ახლოს მდებარეობს რუსული სტაროვერული და სომხური გრიგორიანული ეკლესიები. იქვე არის რესტორანი სახელწოდებით — “I”, სადაც ლატივიური ტრადიციული სამზარეულოს გაცნობა შეიძლება.

სალამოს ტელეფონით დაეუკავშირდი ჩემს ლატივიელ კოლეგას, პროფესორ ერიკს იაკობსონს, რომელიც ქალაქგარეთ დასასვენებლად აღმოჩნდა წასული. მას პოლონეთიდან ვიცნობ. შარშანწინ ლუბლინის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც

პირველი მოხსენებები ერიკსმა და მე წავიკითხეთ. ერიკსს საოცრად გაუხარდა ლატვიაში ჩემი ჩასვლის მიზეზის გაგება. “მე მალე დავბრუნდები რიგაში, ხოლო ჩემს ჩამოსვლამდე აუცილებლად შეხვდი პროფესორ ვალტერს შერბინსკის. მან ყველაზე კარგად იცის ლატვიაში არსებული დიასპორების ისტორია” — მითხრა ერიკსმა და შერბინსკის ტელეფონის ნომერი ჩამანერინა.

**17. VIII. 2009.**

ერიკსის რეკომენდაციის შესაბამისად, დილიდანვე ვენწიე ლატვიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ “ომის მუზეუმს” (ლატვიურად “არა უზეჯს”). მუზეუმის დირექტორის მოადგილე იურის ციგანოვის მეტად გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა. მან გამაცნო ვალტერს შერბინსკი, რომელმაც არაერთი ჩემთვის საყურადღებო ცნობა მომანოდა. მან და იურისმა დოკუმენტების ქსეროასლებიც გადმომცეს. ეს შეხვედრა ჩემთვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

დღეს პაატა გაბიაძევილის დაბადების დღეა. პაატამ დამპატიჟა ქართულ რესტორანში, რომელსაც “გენაცვალე” ჰქვია. იქ გავიცანი რიგელი ქართველები: თენგიზ შაბურიშვილი, გოჩა თუთბერიძე და სხვები. თამადად დამაყენეს და მეც ვეცადე კარგად მეთამადა. გვიანობამდე ვიქეიფეთ და შესანიშნავი დრო გავატარეთ. თბილისიდან ჩამოსულმა ცნობილმა ფოტოხელოვანმა გია ჩხატარაშვილმა ღიმილით ჩაილაპარაკა: “თავი ჩვენს დედაქალაქში მგონიაო”.

**18. VIII. 2009.**

საქართველოს ელჩთან, კონსულსა და ანდროსთან ერთად ვენწიე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარეს, აკადემიკოს იანის სტრადინსს, რომელიც საკმაოდ დიდხანს ამ აკადემიის პრეზიდენტი იყო. იმავდროულად იგი არჩეულია მსოფლიოს არაერთი აკადემიის და, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

აკადემიკოსი სტრადინში ფრიად გულთბილად შეგვხვდა. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა საქართველო, ქართველი მეგობრები და კოლეგები, განსაკუთრებით კი ცნობილი მეცნიერი ლაშა ჯანაშია, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა.

საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ქართულ-ბალტიისპირულ ურთიერთობათა ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ. მასპინძელს მოკლედ გავაცანი ჩემი გამოკვლევა ქართულ-ლატვიური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. მან რამდენიმე საგულისხმო რჩევა მომცა.

აკადემიკოსი სტრადინში 75 წლისაა, მაგრამ მხნედ გამოიყურება. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი იმავდროულად უაღრესად თბილი, კეთილმოსურნე ადამიანია, რაც მის პიროვნულ კეთილშობილებას უსვამს ხაზს. ლატვიაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ის უდიდესი ავტორიტეტი სარგებლობს არა მხოლოდ ქვეყნის აკადემიურ წრეებში, არამედ მოსახლეობაშიც. “ლატვიელი ერის სინდისი” — ასე მოიხსენიებენ ბატონ სტრადინსს ქვეყანაში. სწორედ ამიტომაც შესთავაზეს ამ ცოტა ხნის წინათ, რომ მონაწილეობა მიეღო ლატვიის საპრეზიდენტო არჩევნებში, რაზედაც მოკრძალებული უარი განაცხადა.

ბატონმა იანისმა გადმომცა თავისი ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (ბოროდინოს გმირის ძმისწულის) სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი რიგაში 1870-1876 წლებში მსახურობდა და საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

სალამოს შევხვდი ევგენი უშმანისს — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის არქიტექტორის შთამომავალს, რომელიც ფრიად საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. თავისი სახელოვანი წინაპრის თბილისური ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია მოეპოვება. მაჩვენა საყურადღებო ფოტოალბომი.

**19. VIII. 2009.**

მიმინვიეს ლატვიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ “ომის მუზეუმში”, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა ლატვიელმა ემიგრანტმა, ადმირალმა ანდრეის მეჟმალისმა საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექცია შეეხებოდა II მსოფლიო ომის დროს არსებულ “ლატვიურ ლეგიონს”, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა. ბატონი ადმირალი ამჟამად ლატვიის თავდაცვის მინისტრის კონსულტანტია. ლექციის დასრულების შემდეგ, მას ვესაუბრე ანალოგიურ პერიოდში არსებული “ქართული ლეგიონისა” და ქართულ-ბალტიისპირული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ისტორიის შესახებ, რამაც საკმაოდ დაინტერესა. ავტოგრაფით მაჩუქა თავისი წიგნი: “The Latvian Legion (Information, facts, truth)”.

სალამოს დამპატიჟა ჩემმა ძველმა მეგობარმა ერიკს იაკობსონსმა. გამაცნო თავისი მეგობრები, მათ შორის ბელორუსიდან, ბრესტის უნივერსიტეტიდან ჩამოსული ახალგაზრდა კოლეგა ალენა პაშკოვიჩი. მშვენიერი და ნიჭიერი გოგონაა. გაიმართა ლატვიური ლხინი. ძველ რიგაში შესანიშნავი ლუდხანება...

**20. VIII. 2009.**

ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში დავესწარი “ბალტიური ჯაჭვის” 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. მონვეულნი იყვნენ როგორც ლატვიელები, ასევე ესტონელები და ლიტველები, რომლებიც აღნიშნულ ისტორიულ მოვლენაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. სხვათა შორის იმ ჯაჭვში საქართველოდან საგანგებოდ ჩასული პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩაბმულნი, კერძოდ, ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია და მიხეილ ნანეიშვილი, რაც ფოტოზედაც არის აღბეჭდილი. ბალტიისეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანებს გაუხარდათ, როცა ჩემი ვინაობა გაიგეს. სიმბოლურია, რომ ქართველი დღესაც ჩვენთან ერთად არისო — აღნიშნეს.

შეხვედრის მონაწილენი თავიანთ შთაბეჭდილებებს ქალაღლის უზარმაზარ რულონზე აღბეჭდავენ. მეც ავიღე წითელი ფლომასტერი და ხუთჯვრიან დროშასთან ერთად ქართული წარწერაც დავაფიქსირე. სალამოს, როდესაც ამ შეხვედრის შესახებ ტელევიზიით გადასცეს, კადრში ჩემს მიერ დახატული საქართველოს დროშაც გაიჩინდა...

**21. VIII. 2009.**

აკადემიკოს იანის სტრადინშის რჩევით, ანდროსთან ერთად ვენეციე სახელგანთქმულ ლატვიელ ქირურგს, აკადემიკოს ვიქტორ კონსტანტინეს ძე კალნბერზს, რომლის აგარაკიც, ფაქტობრივად კი სახლ-მუზეუმი, ქალაქგარეთ, ტყე-პარკში მდებარეობს.

ბატონი ვიქტორი 81 წლისაა, მაგრამ ამ ასაკის კვალობაზე ძალიან კარგად გამოიყურება. წარმოსადგევი, მხნე და კეთილშობილი ადამიანი და მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე კაცია, კერძოდ, არის არაერთი საპატიო ჯილდოს, მათ შორის ლატვიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს — “სამი ვარსკვლავის ორდენის” — კავალერი, სოციალისტური შრომის გმირი, ავღანეთის შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის გენერალი და სხვ. მან ბევრი საყურადღებო ცნობა მოგვანოდა თავისი მასწავლებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის — ექიმ არჩილ ნესტორის ძე მაჩაბლის შესახებ, რომელიც გარდაცვალებამდე (1960 წ.) ლატვიაში მოღვაწეობდა. პროფესორი მაჩაბელი რიგის ტრამვატოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მას ამ ქვეყანაში დღემდე გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებენ. “იგი ჭეშმარიტი ქართველი რაინდი იყო” — ასე ახასიათებენ მას ლატვიელები.

აკადემიკოსი კალნბერზი ფრიად სასიამოვნო მასპინძელი და მოსაუბრე გამოდგა. მას საქართველოსთან მრავალი კარგი მოგონება აკავშირებს. დიდი სითბოთი გაიხსენა ქართველი კოლეგები და მეგობრები, განსაკუთრებით გამოჩენილი ქირურგი, ან განსვენებული ოთარ ლუდუშაური, ასევე შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უნშიდეს და უნეტარეს ილია II-სთან, რომელიც თბილისში შედგა...

ბატონი ვიქტორის სახლ-მუზეუმს მრავალი საყურადღებო ექსპონატი ამშვენებს, მათ შორის უამრავი ფოტოსურათი. ყველაზე საპატიო ადგილას მისი საყვარელი მასწავლებლის — არჩილ მაჩაბლის — უზარმაზარი პორტრეტია...

გამოთხოვებისას აკადემიკოსმა კალნბერზმა მაჩუქა თავისი წიგნი წარწერით: “Замечательному ученому, борцу за сохранение исторической правды, дорогому Николаю Георгиевичу Джавахишвили с наилучшими пожеланиями от Виктора Кальнберза. 21. 08. 2009. Латвия, Приедкальне, дом «Калнберзи».

სალამოს მხატვარმა ნუგზარ კახიანმა თავის სტუმართმოყვარე ოჯახში მიმინვია. მისი მეუღლე ლელა არღვლიანი ჩინებული მანდილოსანია. ჰყავთ ერთადერთი შვილი, მართლაც რომ “კალმით ნახატი”, მშვენიერი გოგონა.

კახიანების ოჯახში რამდენიმე რიგელი ქართველი გავიცანი, მათ შორის ბატონი შაქრო ტოლიაშვილი, რომელიც იქაური ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

ნუგზარ კახიანი არა მხოლოდ სასიამოვნო მასპინძელი გამოდგა, არამედ მეტად საინტერესო შემოქმედიც. მან მაჩვენა თავისი მშვენიერი ნახატები, რომელთა გარკვეული ნაწილი ამჟამად უცხოეთის პრესტიჟულ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს. მის შემოქმედებას გარკვეული სულიერი ნათესაობა აკავშირებს ჰოლანდიურ მხატვრობასთან. როდესაც ამის შესახებ ვუთხარი, ნუგზარს ჩაეცინა და მითხრა: ალბათ ამიტომაც მოსწონთ ჩემი ნახატები განსაკუთრებით ჰოლანდიელებსო...

მართალია ნუგზარ კახიანი უკვე დიდი ხანია საქართველოს გარეთ ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ ქართული სული მან ღირსეულად შეინარჩუნა. როდესაც კითხულობ მის ნახატებზე მინერილ სიტყვებს “მუშვან მარე” (სვანურად — “სვანი კაცი”), რწმუნდები, რომ შემოქმედს მშობლიურ მულახის თემთან ურღვევი სულიერი კავშირი გააჩნია...

**22. VIII. 2009.**

დილით განუს ქუჩიდან გადავსახლდი “ბრივიბას” (თავისუფლების) პროსპექტის ერთ-ერთ შესახვევში — ინდრანუს ქუჩა 8-ში. მართალია ეს სახლი რიგის ცენტრიდან უფრო დაშორებულია, მაგრამ საცხოვრებელი პირობები ბევრად უკეთესია.

საინტერესოა ბრივიბას პროსპექტის ბედი, რომლის ისტორიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ლატვიის ისტორიასთან. დამოუკიდებლობის ჟამს პროსპექტს აღნიშნული სახელი ერქვა, იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ლენინის სახელი დაარქვეს, გერმანული ოკუპაციის პერიოდში — ადოლფ ჰიტლერისა, საბჭოთა ჯარის მიერ “გათავისუფლების” შემდეგ კვლავ ლენინისა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ როგორც იქნა, თავდაპირველი სახელი დაუბრუნდა. ვფიქრობ, ამის შემდეგ ბრივიბას სახელი სამუდამო იქნება, თუმცა ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, არა მგონია ჩემნაირად ფიქრობდნენ მფლობელები რიგის ქუჩებში მომრავლებული იმ ავტომობილებისა, რომლებზედაც დემონსტრაციულად ფრიალებს რუსეთის ფედერაციის სამფეროვანი სახელმწიფო დროშა...

**23. VIII. 2009.**

რიგელმა ქართველებმა, ქალბატონმა კმარა სვანიძემ და მისმა ასულმა მანანამ დამათვალეიერებინეს სამხრეთ ლატვიის, კერძოდ ისტორიული კურლანდიის ქალაქები: ელგავა (ყოფილი დედაქალაქი მიტავა), ბაუსკი და სხვ.

განსაკუთრებით შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს რუნდალეს სასახლე-პარკი, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ცნობილი არქიტექტორის რასტრელის პროექტით აშენდა. სასახლის თავდაპირველი მფლობელი იყო რუსეთის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის ფავორიტი — ბირონი. სასახლის წინ შესანიშნავად მოვლილი, თვალწარმტაცი ბაღია.

**24. VIII. 2009.**

დღეს უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელზედაც ბატონმა რაულმა მიმინვია. მიღებაზე უამრავი საპატიო სტუმარია, ძირითადად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

უკრაინის ელჩი, როგორც ყოველთვის, ახლაც შესანიშნავ ფორმაში იყო. ერთმა დამსწრემ კიდევ ჩაილაპარაკა: “რაულ ჩილჩაზა რომის იმპერატორს ჰგავსო”...

ბატონი რაულის გამოსვლას მქუხარე ტაში მოჰყვა. დამასოვდა მის მიერ ხმამაღლა, მხნედ წარმოთქმული სიტყვები: “ნეზალეჟნა, სამასტინა უკრაინა”.

სტუმართა შორის იყვნენ აკადემიკოსები სტრადინში და კალნბერზი, რომლებსაც ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდათ.

მათ ჩემი თავი წარუდგინეს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ამჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ იურის ეკმანისს.

უზარმაზარ დარბაზში თავმოყრილ რჩეულ საზოგადოებაში ფრიად ღირსეულად გამოიყურებოდნენ საქართველოს ელჩი და მისი მეუღლე თამარ (თამუნა) კობახიძე. ამ მშვენიერი წყვილის ნახვით იმდენად მოიხიბლა აკადემიკოსი კალნბერგი, რომ მათთან სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღო. აქვე დავძენ, რომ კოტეს და თამუნას ჰყავთ არაჩვეულებრივი ბიჭუნა — ალექსანდრე, რომელსაც თავის ასაკთან შედარებით უჩვეულო მიხვედრილობის გამო, ხუმრობით “საქართველოს ვიცე-კონსული” შევარქვი.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინა უკრაინული ეროვნული კერძები, რომლებიც ფრიად გემრიელი გამოდგა.

სალამოს იურმალაში მიმინვიეს ლატვიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილმა მონაწილეებმა ინგუნა ებელამ და მისმა მეუღლემ რომუალდსმა, რომელიც წარმოშობით ლიტველია. მათი სახლი მომღერალ ლაიმა ვაიკულეს აგარაკს ემიჯნება.

მასპინძლები საქართველოში მრავალჯერ არიან ნამყოფები. თბილად იხსენებენ თავიანთ თბილისელ მეგობრებს და თანამებრძოლებს: გულდამ ჩიქოვანს, მალხაზ დათუკიშვილს, კახა კაციტაძეს და სხვებს. მათ ბევრი საყურადღებო ცნობა მომანოდეს ამ ოციოდე წლის წინათ არსებული ქართულ-ბალტიისპირული პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ.

მისაღებ ოთახში, გამოსაჩენ ადგილას საქართველოს უზარმაზარი სამფეროვანი დროშაა.

“ამ სახლში არაერთი ქართველი ყოფილა, ხოლო ამ ოთახში მერაბ კოსტავას ეძინა” — დაუფარავი სიამაყით მითხრა ინგუნამ.

რომუალდსმა მაჩვენა ფოტოები, სადაც ალბექდილი არიან “ბალტიური ჯაჭვის” მონაწილენი. “სიმბოლურია, რომ ამ სურათზე ლატვიელებსა და ლიტველებს შორის დგანან ჩვენი ქართველი თანამებრძოლები თავიანთი სამფეროვანი დროშით” — მეუბნება იგი.

## 25. VIII. 2009.

კალპაკის ქუჩაზე, უკრაინისა და რუსეთის საელჩოებს შორის მდებარეობს პაულ სტრადინშის (აკადემიკოს იანის სტრადინშის მამის) სახელობის ლატვიის მედიცინის მუზეუმი. იქ დაცულია საყურადღებო საარქივო ცნობები პროფესორ არჩილ მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ. გადმომცეს იმ მასალების ასლები, რომლებიც წინა კვირაში შევუკვეთე.

სალამოს ოჯახში სტუმრად ვენწიე საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს მიშელ ტარანს, რომელსაც ცოლად ჰყავს თბილისელი ნინო მიქელაძე. ისინი სტუმართმოყვარე და სასიამოვნო ადამიანები არიან. მიშელი დედის მხრიდან თავად გაგარინთა შთამომავალია და ამიტომაც დახვეწილად საუბრობს რუსულ ენაზე. მას გულწრფელად უყვარს საქართველო. სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის დროს მან მისცა ინტერვიუ, სადაც აღნიშნულ კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება დაადანაშაულა.

რამდენიმე დღეში მიშელი სამუშაოდ აფრიკაში გადაჰყავთ. იგი დიპლომატიურ საქმიანობას ტუნისში გააგრძელებს.

## 26. VIII. 2009.

აკადემიკოს ვიქტორ კალნბერგს დავუბრუნე თავისი მასალები არჩილ მაჩაბლის შესახებ. კვლავ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო.

გაცილებისას ბატონმა ვიქტორმა ჩვენთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღო არჩილ მაჩაბლის პორტრეტის ფონზე.

მთელი დღე ქალაქში ვსეირნობდი. ჩემი ლატვიაში ყოფნის ორი კვირის თავზე თამამად შემიძლია დავასკვნა, რომ ლატვიელები წარმოსადეგი და მშვენიერი გარეგნობის ხალხია.

სალამოს დამირეკეს და შემომთავაზეს, რომ ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში წავიკითხო ლექცია ქართულ-ლატვიურ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ. ინფორმაცია ამ ლექციის შესახებ ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა. აღნიშნული იყო, რომ ლექცია შედგებოდა ქართულ და ლატვიურ ენებზე.

## 27. VIII. 2009.

ანდრო დილიდანვე მოვიდა ჩემთან. ჩემი ლექცია ტექნიკურად გააფორმა და მისი კომპიუტერული ვერსია მოამზადა. ცოტა არ იყოს, ველავ, რადგან ეს იქნება ჩემი პირველი საჯარო შეხვედრა ლატვიის საზოგადოებასთან.

18 საათზე, ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში შედგა ჩემი და ანდროს ერთობლივი ლექცია თემაზე: “ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან”. მას ესწრებოდნენ როგორც ლატვიელები, ასევე ჩვენი საელჩოს თანამშრომლები და რიგელი ქართველები. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩემს გამოსვლას ლატვიურად თარგმნიდა ლატვიელების ქართველი რძალი ნონა კოჭლამაზაშვილი-ტაურინასი. მან ამოცანას თავი წარმატებით გაართვა.

ჩვენს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მუზეუმის დირექტორმა, ჭალარა, კდემამოსილმა ქალბატონმა დოქტორმა გუნდევა მიჩელმა, რომელიც ლატვიაში დაბრუნებული ემიგრანტი აღმოჩნდა.

ლექციის დასრულების შემდეგ საქართველოს ელჩმა რამდენიმე ადამიანი ლატვიურ რესტორანში დაგვპატიჟა. შესანიშნავად მოვილხინეთ. კონსტანტინე კორკელია საოცრად დახვეწილი იუმორით გამოიჩინა...

საერთოდ, ელჩისა და საელჩოს ყველა თანამშრომლის თანადგომას ყოველ წუთს ვგრძნობ, რაც, ბუნებრივია, მხნეობას მმატებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაატა გაბიძაშვილის მონდომება, რომელიც ცდილობს გამარკვიოს ლატვიური ყოველდღიურობის დეტალებში.

## 28. VIII. 2009.

დღეს “მარიამობა”, მაგრამ ლატვიაში ჩვეულებრივი, სამუშაო დღეა.

ქ-ნმა ვენტა კოცერემ თავისი ბიბლიოთეკის ერთ-ერთ კორპუსში მიმინვია და თავის რამდენიმე თანამშრომელს და

მეგობარს შემახვედრა. გავიცანი ბატონი ულდის უმულისი, რომელმაც პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ერთად, 2008 წელს, თბილისში გამოსცა წიგნი “ნატო და საქართველოს უსაფრთხოება”. ამ წიგნთან ერთად ახალი მასალები მივიღე. ლატვიურ ენაზე არსებულ ლიტერატურას ანდროს ვუტოვე, ხოლო დანარჩენს თბილისში წამოსაღებად ვამზადებ.

დავათვალე რე ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ნაბეჭდი გამოცემები. ყველაფერი დიდი რუდუნებით არის მოვლილი.

ბიბლიოთეკიდან გამოსვლისთანავე, მოულოდნელად დამირეკა ბატონმა რაულმა და უკრაინის საელჩოში მიმინვია. “წამოიყვანე, ვინც თან გახლავს, მარიამობა აღვნიშნოთ” — მეპატიჟება იგი. მეც ანდროსთან ერთად მივდივარ კალაპის ქუჩაზე.

უკრაინის საელჩოს ეზოში მდგარ მშენიერი ფანჩატურში ლამაზი სადღესასწაულო სუფრაა გაშლილი. სასმელი — ქართული ღვინოები, ჩამოსხმული “თელავის ღვინის მარნის” მიერ.

“ამ ფირმის ნაწარმს ნამდვილი კახური ღვინის გემო აქვს” — ამბობს მასპინძელი, რაშიც მეც სავსებით ვეთანხმები. არაერთ საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის ბატონი რაულის უახლოეს სამეცნიერო გეგმებზეც.

სალამოს მიგვიწვიეს ლატვიის “ქრისტიანულ რადიოში”, სადაც ღია ეთერში ვისაუბრეთ ქართულ-ლატვიურ ურთიერთობათა შესახებ.

**29. VIII. 2009.**

ვესტუმრე მხატვარ გოჩა ხუსკვიადის სახელოსნოს, რომელიც რიგის ცენტრში მდებარეობს. თან მახლდნენ ანდრო და ლატვიის ქართველთა საზოგადოების წარმომადგენელი სინტია შმიდტე (ჩანტლაძე).

გოჩა მეტად საინტერესო შემოქმედია, ლატვიური სამხატვრო სკოლის წარმომადგენელი. მისი ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა როგორც ლატვიაში, ასევე საზღვარგარეთ. მის მრავალმხრივ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონუმენტურ ჟანრს. გოჩამ ჩემს იქ ყოფნაში სახელდახელო დახატა მშენიერი გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც თავისი ავტოგრაფით მაჩუქა.

სალამოს ოჯახში დამპატიჟა ქართველთა სათვისტომო “გეორგიკას” ხელმძღვანელმა, ბატონმა ერიკ გრიგოლიამ, რომელიც სოხუმელი კაცია. მისმა მეუღლემ, ჯანელიძის ქალმა მშენიერი მასპინძლობა გაგვიწია.

ბატონი ერიკი მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანია. ის ლატვიაში მცხოვრები ქართველებისათვის ყო-

ველწლიურად უშვებს დასადგამ კალენდარს სხვადასხვა თემაზე, მაგალითად: “აღმოაჩინე შენი ქალაქი” (2006), ქართული ციხე-სიმაგრეები (2007), ქართული ეკლესია-მონასტრები (2008), ნიკო ფიროსმანის შემოქმედება (2009). ჩაფიქრებული აქვს გამოსცეს კალენდარი ქართულ ეროვნული ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანების გამოსახულებით, რაც უდავოდ საინტერესო იქნება.

**30. VIII. 2009.**

შემომიარა რიგელმა ქართველმა თენგიზ შაბურიშვილი. ის წარმოშობით მთიულთა, თუმცა ფოთშია გაზრდილი. დამპატიჟა სამწვადეში, რომელსაც ვაჟა სამხარაძე ხელმძღვანელობს. მწვადი საუკეთესოა, რის გამოც სამწვადე ხალხით არის სავსე. ამის შესახებ ლატვიურ პრესაში არაერთხელ დავინერა.

“საკმარისია ერთხელ გააფუჭო ხარისხი, რომ კლიენტს სამუდამოდ დაკარგავ” — ამბობს ვაჟა. ეს ლაგოდებელი კაცი ნახევარი საუკუნის წინათ გადმოსახლდა რიგაში. “წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდივარ სამშობლოში. უამისოდ გამიჭირდება აქ ყოფნა” — გვეუბნება მასპინძელი და საქართველოს სადღეგრძელოს გვთავაზობს.



რიგის ცენტრალური ქუჩა

**31. VIII. 2009.**

გავიცანი მხატვარ ნუგზარ პაქსაძის მეტად საინტერესო შემოქმედებას. ბატონი ნუგზარი ქობულეთელი კაცია, მეტად გულთბილი და ყურადღებიანი. მრავალ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. რიგაში არაერთი მნიშვნელოვანი დაწესებულების ინტერიერი გააფორმა. ამის გამო დიზაინერთა წრეში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

**1.IX. 2009.**

გავიცანი ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუნტის ზემიტისი.

გულისხმიერი ადამიანია, პროფესიით არქეოლოგი. ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმიტყვა. ინსტიტუტში გავესაუბრე ლატვიელ ისტორიკოსებს, რომლებიც ჩემი კვლევის მიმართულებით დაინტერესდნენ. ზოგიერთი დაესწრო ჩემს ლექციას, რომელიც ოკუპაციის მუზეუმში წავიკითხე. გამოთქვეს სურვილი, რომ საჯარო ლექციები ლატვიის სხვა სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებშიც წავიკითხო. საჩუქრად გადმომცეს მრავალი წიგნი, რომელთა ძირითადი ნაწილი ლატვიურ ენაზეა.

**2.IX. 2009.**

გავიცანი ლატვიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ბესარიონ (ბესო) ბერაძე, რომელიც მძლავრი სამედიცინო კომპანიის გენერალური მენეჯერია. მან ბანკირ გოჩა თუთბერიძესთან ერთად დააფინანსა “ვეფხისტყაოსნის” გამოცემა ლატვიურ ენაზე, რაც უდიდესი მნიშვნელობის ეროვნულ საქმეს წარმოადგენს.

შევხვდი ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს ელინა ლანგეს, რომელიც ერთხანს საქართველოში მუშაობდა. მან ბევრი საგულისხმო ცნობა მომანოდა თანამედროვე ქართულ-ლატვიური სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

**3.IX. 2009.**

დღით მიმინვივს რიგის მერიაში, სადაც ქალაქის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ საინტერესო წიგნი მაჩუქეს. მერიის ინტერიერში იყო რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო გამოფენა, რომელიც პოლონელებს მოუწყვიათ.

ჩემგან ინტერვიუ აიღო რესპუბლიკური გაზეთის “ატვიჯას ვიზე“-ს ჟურნალისტმა, მაღალმა, სპორტული აგებულების ვიესტურს სპრუდემ. გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა, თბილისში სხვადასხვა დროს ჩამომიტანეს ბატონებმა რაულ ჩილაჩავამ და კონსტანტინე კორკელიამ.

ქ-ნმა ვენტა კოცერემ წამიყვანა ლატვიის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის იანის გლეიზდის ოჯახში. კედლებზე მისი შემოქმედება გამოფენილი. ვინაიდან ბატონი იანისი შეუძლოდ იყო, მისი მეუღლე გავგესაუბრა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ გლეიზდსმა, რომელსაც ხელის მტევნები ახალგაზრდობაში მოკვეთეს (მოყინვის შედეგად დაწყებული განგრენის გამო), მოგვიანებით დიდად გაითქვა სახელი, როგორც ორიგინალური ხედვის მქონე ფოტოხელოვანმა. მისი მეუღლე გვიყვება, რომ ყოველივე ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პროფესორმა არჩილ მაჩაბელმა, რომელმაც ყოველმხრივ შეუწყო ხელი ინვალიდ, მაგრამ ბუნებრივად ნიჭიერ ლატვიელ ახალგაზრდას. მან იანისი ტრამვატოლოგიის ინსტიტუტში მხატვრის შტატში აიყვანა და ყოველმხრივ ეხმარებოდა, რათა ცხოვრებაში თავისი ადგილი ეპოვა.

“ღმერთმა ნათელში ამყოფოს შესანიშნავი ქართველი კაცის არჩილ ნესტორის ძე მაჩაბლის სული, რომელმაც ჩემს მეუღლეს ჭეშმარიტად მამობა გაუწია” — ამბობს თვალცრემლიანი, ჭაღარა ქალბატონი.

ამ ოჯახში არჩილ მაჩაბლის კულტია...

**4.IX. 2009.**

18 საათზე, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს ომის მუზეუმში შედგა ჩემი და ანდროს ერთობლივი ლექცია ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიის შესახებ. მას ესწრებოდნენ როგორც ლატვიელები, ასევე ჩვენი საელჩოს თანამშრომლები და რიგედი ქართველები. უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო სავსე. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა გამოჩენა ქართველი სტუდენტებისა, რომელთაც თბილისის უნივერსიტეტიდან ვიცნობ-

დი. აღმოჩნდა, რომ ისინი ამჟამად რიგის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. მათ შორის იყო შალვა ურიადმოყველი.

შეხვედრის დასასრულს ნუგზარ პაქსაძემ მაჩუქა თავისი მშვენიერი ნახატი, რომელიც ამიერიდან ჩემს კაბინეტში დაიდებს ბინას.

სალამოს ბესო ბერაძემ რამდენიმე ქართველი იურმალაში, რესტორანში დაგვპატიჟა. იქ გავიცანი ლატვიის საფეხბურთო ნაკრებ “სკონტოს” კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი და სტუდენტი გიორგი მარგიანი. ორივე კარგი ახალგაზრდა აღმოჩნდა.

**5.IX. 2009.**

ნუგზარ პაქსაძემ გამაცნო ლატვიაში არსებული ქართველთა სათვისტომოს ყოფილი ხელმძღვანელი მარლენ მიქიანი. ბატონი მარლენი წარმოსადეგი, სიმპათიური ადამიანია, მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე. მისგან მრავალი საყურადღებო ცნობა ჩავინერე.

ჩვენი შეხვედრა ქართული ტრადიციისამებრ სუფრასთან გაგრძელდა — ქართულ რესტორან “იბერიაში”. ეს რესტორანი თავისი არსებობის ათწლეულს ითვლის. მას ხელმძღვანელობს ქალბატონი მანანა ნიფურია-ჯაბუასი, რომელსაც მხარს თავისი ვაჟები — გიორგი და დავით ჯაბუები — უმშვენებენ.

რესტორანს აქვს აბრა: “IBERIJA. Gruzinu virtuve”.

თანამეინახეთა შორის იყვნენ ბატონები რაული და მარლენი მეუღლეებითურთ და ქალბატონები კმარა და მანანა. ბატონმა რაულმა შესანიშნავი თამალობა გასწია და დიდებულად მოვილხინეთ.

**6.IX. 2009.**

რიგის მერიის გვერდით მდებარე რადიოს ერთ-ერთი არხის რედაქციამ ჩემგან ინტერვიუ აიღო.

შევხვდი რიგაში მოღვაწე ორ ქართველ მხატვარს, ორ ნუგზარს — კახიანს და პაქსაძეს. ჩავინერე მათ შემოქმედებით ბიოგრაფიასთან დაკავშირებული საყურადღებო ფაქტები.

გავიცანი ქალაქ სკრუნდას მერი ნელია კლეინბერგა. მოხიბლულია საქართველოში მოგზაურობითა და ქართველთა სტუმართმოყვარეობით.

სალამოს ბატონმა რაულმა დამირეკა და მითხრა, რომ დაასრულა ქართულ-ლატვიურ ურთიერთობებზე გამოქვეყნებული ჩემი სტატიის კითხვა. გამიხარდა მისი დადებითი შეფასების მოსმენა და განსაკუთრებით შემდეგი შემოთავაზება: “შენს ნარკვევში საინტერესოდ გაქვს ასახული გრიგოლ ორბელიანის სამსახური ქალაქ ცესისში. გთავაზობ, ამ ქალაქს ხვალ ერთად ვეწვიოთ”.

**7.IX. 2009.**

ბატონ რაულთან ერთად გავეშურე ცესისში, რომელსაც ადრე ვენდენი ეწოდებოდა. პატარა, კოპნია ქალაქია, რომელსაც ცენტრში მდგარი შესანიშნავი ციხე-სიმაგრე ამშვენებს.

ამ ქალაქის შესახებ გრიგოლ ორბელიანი წერდა: “ვენდენი ძალიან პატარა ქალაქია და შორიდან საამურია სანახავად. დაძველებულნი და ჩამონგრეულნი ციხის კოშკები მრისხანედ დაჰყურებენ ლამაზთა ფაქიზთა ახალთა ქალაქის შენობათა... ყოველს საღამოს ავდიოდი ერთს ჯერ აქამდის მთელად დაშთომილს კოშკზე, რომლიდამაც უსჩანდა შორს გარეშე მშვენიერი მდებარეობა”.

ამ მართლაც რომ მშვენიერი ციხე-სიმაგრის ამწვანებულ ეზოს საშინლად ამახინჯებდა ერთი გრძელი ყუთი, რომელიც შეკრული იყო შავად შეღებილი ფიცრებით. როდესაც ახლოს მივედი, ამ სახელდახელო კუბოში ლენინის უზარმაზარი ძეგლი ესვენა. როგორც გამოირკვა, ლატვიის ოკუპაციის შემდეგ კომუნისტებს ამ ეზოში პროლეტარიატის ბელადის მონუმენტი აღუმართავთ, რომელიც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მერე ახლო წარსულის უსიამოვნო მოგონებად ქცეულა...

ცესისში კარგა ხანს დავყავით. გზად დავათვალიერეთ ვენდების ტომის დასახლება, რომელიც მუზეუმ-ნაკრძალივით არის შემონახული. რიგაში დაბრუნების შემდეგ ბატონმა რაულმა კიდევ ერთი სიურპრიზი მომიხსო და თავისი ყველა ახალი წიგნი მაჩუქა. თითოეულს ნატიფი კალიგრაფიით, სრულიად განსხვავებულად წააწერა (მისი პოეტური ბუნების კიდევ ერთი გამოვლინება!). ერთ-ერთ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: “ნიკო ჯავახიშვილს, რომელმაც იცის, რა დროა ისტორიის ქვიშის საათზე! საუკეთესო სურვილებით ავტორი.”

ლატვიელმა ისტორიკოსებმა შემომთავაზეს, რომ რიგის უნივერსიტეტში წავიკითხო საჯარო ლექცია. ვანერინებ ლექციის სათაურს: “საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა”.

**8.IX. 2009.**

მშვენიერი, მზიანი დღეა. რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა გუშინ დაიწყო. ქალაქში საზეიმო განწყობა იგრძნობა, ქუჩები სავსეა სტუდენტებით. ლატვიელი ახალგაზრდები სპორტული აგებულებითა და მშვიდი, კეთილი გამომეტყველებით გამოირჩევიან.

უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გვიდო სტრაუბე — ახალგაზრდა, ენერგიული კაცია, ყოფილი სპორტსმენი. დეკანატში რამდენიმე პროფესორია შეკრებილი. ლექციის დაწყებამდე ერთი საათი რჩება. მეკითხებიან საქართველოში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ. მეც შეძლებისდაგვარად ვპასუხობ.

18 საათზე უზარმაზარ, ხალხით სავსე აუდიტორიაში შემიძღვნენ. დამსწრეთა შორის არიან რიგის უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორანტები, მაგისტრები, სტუდენტები. მიხარია, რომ რამდენიმე ნაცნობ სახესაც ვხედავ. მათ შორის არიან ჩვენი კონსული ქეთი ესიაშვილი, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი ელინა ლანგე, პროფესორები გუნტის ზემიტისი, ერიკს იაკობსონსი და სხვ.

მაქსიმალურად შევეცადე, რომ კარგად გამოვსულიყავი. მიმოვიხილე საქართველოს ისტორიის ძირითადი მოვლენები და შემდეგ თანამედროვეობაზეც ვისაუბრე. დამისვენს არაერთი შეკითხვა, რომლებზედაც შევეცადე

ამომწურავად მეპასუხა. რამდენჯერმე ტაშიც დამიკრეს. ლექციის დასრულების შემდეგ დეკანმა საჩუქრად გადმომცა ჩანთა — რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბით. ამასთანავე, შემომთავაზა, რომ გაზაფხულზე მის ფაკულტეტზე წავიკითხო ლექციების კურსი საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ.

**9. IX. 2009.**

შეხვედი გამოჩენილ ლატვიელ ნუმისმატს, პროფესორ ტატიანა ბერგას.

შევეკითხე ლატვიის ეროვნულ მუზეუმში დაცული ვერცხლის დირჰემის წარმომავლობის შესახებ, რომელიც მოჭრილია X საუკუნის ბოლო მესამედში, თბილისში, ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით. ამის პასუხად მან მაჩუქა თავისი მეტად საყურადღებო ნაშრომი «*Монеты в археологических памятниках Латвии IX—XII вв.*» (Рига, 1988), სადაც აღნიშნულია, რომ აღნიშნული მონეტა აღმოჩენილია 1936-1937 წლებში, რიგასთან, სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, X-XI საუკუნეებით დათარიღებულ სამარხში, სხვა თანადროულ მონეტებთან ერთად.

სხვათა შორის, ამ მონეტის გარდა, ბალტიისპირეთში აღმოჩენილია მეორე ქართული მონეტაც, რის შესახებაც ჯერ კიდევ ვეგენი პახომოვი მიუთითებდა. კერძოდ, გასული საუკუნის დასაწყისში, ლიფლანდიის გუბერნიაში, ვოლიას დასახლების მახლობლად, აღმოაჩინეს ქართველთა მეფის, ტაო-კლარჯეთის მფლობელ დავით III-ის კურაპალატის დრამა, რომელიც ასევე ზემოხსენებულ პერიოდშია მოჭრილი.

ხსენებული მონეტების აღმოჩენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიისათვის. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აღნიშნულ რეგიონში მდებარე სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ ჰქონდა!

**10.IX. 2009.**

ვინაიდან თბილისში საღამოს მოვფრინავდი, მთელი დღე ჩემს ხელთ იყო.

დღით ვენვიე ლატვიის ეროვნულ ბანკთან არსებულ ფულის მუზეუმს. გავიცანი მუზეუმის თანამშრომელი იანის მოტივანსი, რომელიც ბატონ შადიმან შამანაძის ძველი მეგობარი აღმოჩნდა. მათ ერთად დაუმთავრებიათ უმაღლესი სასწავლებელი. ბატონმა იანისმა კარგი მასპინძლობა გაამინია.

ვემშვიდობები ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს და აეროპორტისაკენ მივეშურები. მაცილებენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და რიგელი ქართველები: ქეთი ესიაშვილი, თენგიზ სტურუა, ნუგზარ პაქსაძე, ცნობილი ჩოგბურთელი ნუგზარ მძინარაშვილი, Air-Baltic-ის თანამშრომელი იგორ აფციაური, ასევე ანდრეის კრუსკოპსი, რომელსაც ამ დღიურში ყველგან ანდროს სახელით ვიხსენიებ.

ერთთვისანი განშორების შემდეგ მოვფრინავ თბილისისაკენ და გონებაში მიტრიალებს:

— “პალდიეს ლატვია” (“გმადლობთ ლატვია”).



თამაზ ნატროშვილი

# შარდენ, შარდენ!

□

## „სარკომ-სარკოს“ ჰანგზა

როგორც ყოველთვის, ინტერესით წაიკითხე ლევან ბრეგაძის მორიგი პუბლიკაცია „უბის წიგნაკიდან“ (ჩვენი მხერლობა, 2010, №1). ავტორი გვაუწყებს, რომ თორმეტი წლის წინათ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სადღეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება“ (სამწუხაროდ, გამოძრჩენია), სადაც ამტკიცებდა, რომ „თამაზიან-სადღეგრძელოებიანი ქართული სუფრა... მე-19 საუკუნემდე არ არსებობდა“.

ლევან ბრეგაძის სიტყვით, ამ მოსაზრებას „ჩვენებური პატრიოტების“ დიდი აღშფოთება გამოუწვევია და, თქვენ წარმოიდგინეთ, აუიოტაჟი თურმე დღემდე არ ჩამცხრალა – ეგ ნიჰილისტი რეებს ამბობს, როცა თამაზიან-სადღეგრძელოებიანი ქართული სუფრა უხსოვარი დროიდან არსებობსო!

ჩემო ლევან, მერნ-მუნე, რომ მე „ჩვენებურ პატრიოტობასთან“ (როგორც შენ მოგინათლავს) არაფერი მაქვს საერთო, თუკი არ ჩავთვლით ოდნავ ირონიულ დამოკიდებულებას მის მიმართ, რასაც ზოგჯერ, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ ხოლმე გამოვხატო ქალაქზე. ცხადია, მასალაც უნდა მიბიძგებდეს ამისკენ.

რაც შეეხება პატრიოტიზმს, სამაგალითოდ და სახელმძღვანელოდ მესახება დავით გურამიშვილისა თუ ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, მეც დარწმუნებული ვარ, რომ ქართული სუფრა, მთელი თავისი ატრიბუტებით, პურ-ღვინოს გაჩენამდეც კი არსებობდა, ხოლო მისი დაბადება, რასაკვირველია, ადამამდე წარსულს უნდა მივაკუთვნოთ.

ჩემო ლევან, ხედავ, შენთან შედავებას დიხაზც ვბედავ, ოღონდ შენს მიერ მოწმეებად დასახელებულ აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან შეკამათება-შედავებისგან ღმერთმა დამიფაროს!

ერთი სიტყვით, პატრიოტული აღტკინება როდი მალაპარაკებს, არამედ წადილი სიმართლის გარკვევისა („ჭეშმარიტება – სამშობლოზე მალა!“, როგორც ბრძანებდა ცხონებული მერაბ მამარდაშვილი, მანამდე კი, ერთი საუკუნით ადრე – ავადსახსენებელი დოსტოევსკი. სხვათა შორის, უნდა ვალიარო, რომ ამხ. დოსტოევსკის პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ ბართაშვილისა არ იყოს, „ახლა მოდაა“ და მეც ნახირ-ნახირო).

სწორედ ისტორიული სინამდვილის დასადგენად, ყოველგვარი ემოციების გარეშე, აკაკისთან და ვაჟასთან საპაექ-

როდ ვიხმობ XVII საუკუნის გამოჩენილ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს, საქართველოშიც რომ არის ნამყოფი.


შეგახსენებთ (შენც და მკითხველსაც) ერთ ვრცელ პასაჟს მისი თხზულებიდან „ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (ცნობები საქართველოს შესახებ – ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა; გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი – 1975, გვ. 347).

ქვემოთ დამონებულ ტექსტში აღწერილია ნადიმი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ანუ, როგორც ყიზილბაშები ეძახდნენ, გურჯისტანის ვალის (მეფისნაცვლის) შაჰნავაზ-ხანის სასახლეში (1673 წლის თებერვალი).

ჩემო ლევან, წინასწარვე გამცნობ, რომ შარდენი, აკაკისა და ვაჟას საპირისპიროდ, ადასტურებს ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოების არსებობას, რაც თავისთავად გულისხმობს თამაზის არსებობასაც.

ფრანგი მოგზაური წერს: „არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ნადიმი, რადგენაც მის დამთავრებას ველარ დაველოდე. ვიცი მხოლოდ, რომ ნაშუალამევს, როცა ჩვენ ნამოვე-

დით, ხორციული სუფრიდან ჯერ კიდევ არ იყო ალაგებული. თავდაპირველად ერთხანს ღვინოს საერთოდ არ სვამდნენ; მხოლოდ მესამე თავი კერძის შემოტანისას მიეძალნენ ღვინოს. სვამდნენ საკმაოდ უცნაურად, ასეთი წესით: მთავართან ახლოს მსხდომ რვა კაცს, ოთხს მარჯვნივ, ოთხსაც მარცხნივ, რვა თანაბარი სიდიდისა და ფორმის ღვინით სავსე



ნადიმი ვახტანგ V-ის სასახლეში (შარდენის მიხედვით)

სასმისებს მართმევენ. ისინი წამოდგებოდნენ და ვიდრე სასმისებს არ დასცილდნენ, ფეხზე იდგნენ. პირველად მარჯვნივ მსხდომნი დალევდნენ ერთად, ხოლო მარცხნივ მსხდომნი მათ პასუხობდნენ, შემდეგ რვანივე დაჯდებოდნენ და ეს რვა სასმისი მათ უახლოეს მეზობლებს გადაეცემოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადღეგრძელო ყველას არ შემოივლიდა. შემდეგ ყველაფერი იწყებოდა თავიდან; ახალი სადღეგრძელო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა. ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, დიდებულების სადღეგრძელოები დიდი სასმისებით ბოლოს უნდა დაილიოს. ეს იმიტომ, რომ სტუმრები უფრო მეტად დაათრონ, რადგანაც მათი ხათრისა და პატივისცემის გამო ისინი იძულებული არიან სვან მანამ, ვიდრე მაგრად არ დათვრებიან“.

ჟან შარდენი საკმაოდ სანდო ავტორი გახლავთ. ჩვენს კარგსაც კარგად ხედავს და ავიც არ გამოჰპარვია.

აგერ, სახელდახელოდ, შთაბეჭდილებანი თუნდაც ზემოხსენებული ნადიმიდან: „ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმიზე მყოფი ას ორმოცდაათი კაცი... მართალი რომ ვთქვა, იმდენი ღვინო რომ დამელია, რაც ჩემმა თანამესუფრეებმა დალიეს, იქვე გავთავდებოდი“.

ჩემო ლევან, ახლა თავად განსაჯე, ვენდობთ თუ არა ფრანგ მოგზაურს, რომელმაც ქართველი მეფის (ანუ მთავრის, როგორც ის უწოდებს) სასახლეში გამართული ნადიმის (ე.ი. სანიმუშო ქართული სუფრის) უნიკალური და ფრიად საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა.

ემზარ კვიტაიშვილი

# ჩემი უსაყვარლესი ლექტორი

□

## შოთა რევიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო

არასოდეს დამავინყდება, როგორ ელეგანტურად შემოვიდა 1954 წლის სექტემბერს, პირველკურსელ ფილოლოგებთან, პირველი კორპუსის მესამე სართულის ნათელ, ვერეს ხეობის გადაწყურე აუდიტორიაში ლამაზი გარეგნობის, ოდნავ ჩასუქებული, შავსათვალიანი კაცი, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის ლექტორი შოთა რევიშვილი. ყველაფერზე სიკოხტავე ეტყობოდა.

თეთრი, გახამებული პერანგი თოვლივით ქათქათებდა შავი პიჯაკის შიგნით. განიერ მხრებზე ასევე შავი, ბრტყელი რეზინები, საბეჭურები ჰქონდა გადაჯვარედინებული, გულდაგულ დაუთოებული შარვლის ტოტები მაღლა რომ ყოფილიყო აჭიმული. შავი ფეხსაცმელები ცხარეკვანძით უპრიანობდა. თავაზიანად მოგვესალმა, გაგვეცნო. სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა ლაზათს მატებდა მის შესახედაობას.

თავიდანვე მოგვხიბლა. ლექციები ძალზე თავისებურად ჰქონდა აგებული, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სტანდარტულ სქემებს ერიდებოდა. ჯერ საერთო განწყობილებას ქმნიდა, ამა თუ იმ ეპოქის ფონს მოხაზავდა და მერე თანდათან შეჰყავდა მდიდარ, ფერადოვან, ნაირგვარი პერსონაჟებით დასახლებულ სამყაროში, რასაც იმდღევანდელი ლექციის თემა ითვალისწინებდა. ფრაზას მუდამ ეფექტურად ამთავრებდა. წერტილის გრძნობა არასოდეს ღალატობდა.

მახსოვს, როგორ ოსტატურად, რა მარჯვედ ხატავდა რომელიმე ცნობილ, დაბურულ ტყეში გაბნეულ ათასგვარ ზღაპრულ არსებებს – ელფებს, გნომებს, ტროლებს... ცინცხალ, გონებამახვილ ეპიზოდებად ლაგებებოდა მისი მონაყოლი შვანკები, ფაბლიოები, რომანსეროები, გმირულ ბალადათა შინაარსები. შესაშური არტისტიზმით განიხილავდა ვაგანტების, ტრუბადურების, მინეზინგერების პოეზიას... აღვივებდა ჩვენს ფანტაზიას, რომ ცხადად დაგვენახა ესკურიალის თვალუნევენილი სასახლე, შეუ-

დარებელი ალ-ჰამბრა, სარაგოსას დაკბილული ციხე-კოშკი... მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა შუასაუკუნეთა მრავალი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ქმნილება, მაგრამ ბატონი შოთა ყოველნაირად გვინაზღაურებდა ამ დანაკლისს.

შეუდარებელი, ძალზე ამაღელვებელი იყო მისი ენითა და ნიაღვრებით (მეტყველებას ხშირად მარჯვენა ხელსაც ამვლელებდა) გადმოცემული „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ჩემს სიღზე“, „ბეოვულფი“ და სხვა საგმირო პოემები. ჩანდა, როგორ ხიბლავდა კარლოს დიდის პიროვნება და რონსევილის ხეობაში, სარკინოზებისგან, როლანდის დაღუპვას ისეთი გზნებით გვიამბობდა, თითქოს ფრანკთა სწორუპოვარი, შეუდრეკელი მეომრის აღსასრულის მომსწრე იყო და



გერმანელი მწერალი ანა ზეგერსი და შოთა რევიშვილი

ვეება, სალაშქრო ბუკში ჩაბერვისას, გვეჩვენებოდა, შუბლის ძარღვი ებურცებოდა. განსაკუთრებულად უყვარდა, ეთაყვანებოდა რაინდულ ეპოქას, ღიმილიანს, ალერსი ეღვრებოდა ხმაში, როცა დონ კიხოტისა და სანჩო პანსას უკვდავ წყვილზე გველაპარაკებოდა. გვახსენებდა მათ ფათერაკიან თავგადასავლებს, ასევე გაუხუნარი, ელვარე ფერებით გვისურათხატებდა რაბლეს გრანდიოზული რომანის ფანტასტიკურ ეპიზოდებს... ვნანობ, ზოგიერთი რამე მაინც რომ არ ჩავინერე იმ ლექციებზე.


თანაბარი გატაცებითა და შთაგონებით გვესაუბრებოდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური ლიტერატურების საუკეთესო ძეგლებზე. დანერა მიმზიდველად საკითხავი, სასარგებლო სახელმძღვანელო, მშვენიერი გერმანულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი ნარკვევები, მაგრამ ამ მცირე მოგონებაში არ ვაპირებ ბატონი შოთას მეცნიერული ღვაწლის თუნდაც ზედაპირულ დახასიათებას. მე უფრო მის ბრწყინვალე მჭევრმეტყველების უნარს მინდა მივაგო პატივი. მუდამ ვფიქ-

რობდი, რომ ბატონი შოთა, გამორჩეულ თვისებათა გამო, ჩემი უსაყვარლესი ლექტორი იყო და ასეთადაც დარჩა. თვალწინ მიდგას მისი ყოველი დახვეწილი შესტი, მოძრაობა. დროდადრო, როცა, ოფლმოდენილი, სათვალეს მოიხსნიდა და ამშრალეზდა, ქუთუთოები, თვალთა ჭრილი მოგრძო, ჯიშინი ნუშივით უჩანდა, კბილები ბროლივით უელავდა. გასაოცრად უხდებოდა ალალი გაღიმება, ხითხითიც, როცა რაიმეზე ან ვინმეზე მისებურად ოხუნჯობდა.

ნარსულს ჩაბარდა, სიზმარივით განქარდა ის რამდენიმე წელიწადი, როცა ვაჟკაცურად შემართული შოთა რევიშვილი ჩვენს კურსთან შემოდოდა და წინა კვირას შეწყვეტილ საუბარს სადად, ბუნებრივად აგრძელებდა. ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში ბატონი შოთას ბოლო, გამოსათხოვარი ლექცია. ძველებურად ლალი და ომახიანი, მაგრამ რამდენადმე სევდამორეულიც მეჩვენა (ვინ იცის, რა ახსენდებოდა). გვითხრა, რომ ცხოვრება ბევრად უფრო ჩახლართული და რთულია, ვიდრე ჩვენ, უღელში შეუბმელებს, გვექონდა წარმოდგენილი (ერთიანად აგვიხდა, სამომავლოდ, ეს ჭირისუფლური დარიგება თუ გაფრთხილება). მერე შეეტყო, რაღაც უცნაურის, კვიმატურის თქმას აპირებდა – ბაგეებსა და სახეზე ნათელი გადაეფინა და მზერა ეშმაკურად მოგვავლო: – ყმანვილებო, გაივლის ოცი, ოცდაათი წელი და ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, როგორც ძველი ნაცნობები. მე კვლავ ასეთი ახალგაზრდა, სასიამოვნო შესახედავი ვიქნები, თქვენ კი დრო-ჟამი თავის დაღს დაგატყობთ, წელში მოგზრით, სახეს ნაოჭები დაგიღარავთ!.. ეს რომ გვითხრა, ხმამაღლა გაიცინა, მიგვახვედრა, რომ ხუმრობდა და ყველაფერი პირიქით იქნებოდა. მალე კიდევაც გამოგვემშვიდობა, წარმატებები გვისურვა.

უნივერსიტეტის დამთავრებისა და სამსახურის დაწყების მერე, ბატონ შოთას საკმაოდ დაუახლოვდი. მუდამ გულთბილად მესაუბრებოდა, მამხნეებდა. ერთხელ იმდენად გავთამამდი, დავურეკე და საპროტექციოდაც მივადექი ბინაზე. ახლობლებმა, ერთი სტუდენტის გამო, შემანუხეს – ყველაფერში „ფრიადი“ მიიღო, მატრიკული რომ არ გაუფუჭდეს, პროფესორმა რევიშვილმაც თავის საგანში „ხუთიანი“ უნდა დაუნეროს და იგი შენ უარს არ გეტყვისო. დიდი მორიდებით ვამცნე ბატონ შოთას ჩემი უტიფრული სათხოვარი, მოვუბოდიშე, რომ ასე გავკადნიერდი. წარბიც არ შეუხრია, აქეთ დამამშვიდა. გამოცდაზე გასასვლელის გვარი, სახელი, დრო და სხვა მონაცემებიც ჩაინვრა, მითხრა, ჯავრი ნუ გექნება, მაგ გოგონას მივხედავო. მერე გაღიმებულმა დაატანა: აბა ჩვენი ხორცი არ იჭმევა და ტყავი, მეტი რა შეგვიძლია თუ ერთმანეთს ასეთი უბრალო თხოვნა არ შეგუსრულეთო. სხვა შნო და იერი ჰქონდა მის სიტყვას და მოქცევას, ძნელად დასავინწყებელი. ეს, ჩემ გარდა, სხვებსაც გამოუცდიათ.

ვიცოდი, ბატონი შოთა პატარძეულელი იყო და ერთ ზაფხულს, როცა ცოლ-შვილთან, ოჯახის წევრებთან ერ-



თად, იქ ვიყავი ჩასული, ჩემმა სიდედრმა, გიორგი ლეონიძის დამ, წინო ლეონიძემ მითხრა, წამოდი, შოთა ვინახულობო. ადრინიანი საღამო იყო, აგრილებული. აშკარად გაუხარდა ჩვენი მისვლა – ერთსართულიან, შავად გამომზირალ, მკვიდრად ნაგებ ხის სახლში შეგვიპატიჟა. დამამახსოვრდა ბანის ჭერს შებჯენილი მუხის ოთხკუთხა, უხეშად გარანდული სვეტები. სახელდახელო მასპინძლობა გაგვიწია დაუპატიჟებლად მისულებს ბატონმა შოთამ – გლახურად დაყენებული, მუქი ნაბლისფერი ღვინო და თონის პურები დაგმოგვიტანა, გული ყველი დათალა, დაგვალაციანა იქაურობა. შევუქე მყუდრო კარ-მიდამო. ბევრი არაფერი, უბრალო გლახური სახლია, ზედმეტი არ მოვიწოდეთ, მე და ჩემს ძმას გვეყოფნისო, მითხრა. სათვალე არ ეკეთა, სახეზე კეთილი ღიმილი უბრწყინავდა, ასე რომ უხდებოდა.

სამწუხაროდ, გვიან გავიგე, რომ იგი ნაადრევად დაღუპული უნიჭიერესი პოეტის მირზა გელოვანის უერთგულესი მეგობარი იყო, მირზაზე ორიოდე წლით უმცროსი. ეტყობა, გაცნობისთანავე შეეწყვიტა ერთმანეთს, თანამოაზრენი, განდობილები იყვნენ, რაც იმ დროში იოლი როდი გახლდათ (ამაზე კიდევაც ვწერდი მირზა გელოვანზე გამოქვეყნებულ ლიტერატურულ პორტრეტში). ძმური სიახლოვე რომ არაა, ტრაგედიებით, სისხლის წვიმებით აღსავსე უსაშინლეს ოცდაჩვიდმეტ წელში ისეთ თამამ, აღსარებასავით წერილს (შოთა რევიშვილმა შთამომავლობას რისკის ფასად შეუნახა ის მეტისმეტად სახიფათო ბარათი) არ გაუგზავნიდა მას ეგზომ აღრენილ გუნებაზე მყოფი მირზა. არ მახსოვს, მირზა გელოვანთან თავის მეგობრობაზე შოთა რევიშვილს რაიმე ეთქვას, მაგრამ რომ შევეკითხოდი, არ დამიმაღავდა, ბევრ საგულისხმო რამეს მეტყვოდა.

ის გაგანია ზაფხულის დღე, როდესაც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ შოთა რევიშვილს უკანასკნელად შევაველე თვალი, ჩემთვის მიძიმე გასახსენებელია. წელში რკალივით მოდრეკილი, ხვნეშოდა და ისე ამოდოდა და მინისქვეშა გადასასვლელიდან. თმაში ჭალარაშერეულს კარაქისფერი ჩესუნჩის პიჯაკი ეცვა, ტყავის პორთფელს მიარწევდა. გული მომიკვდა. ეს აშკარად სხვა შოთა რევიშვილი იყო, სანუხად შეცვლილი. განზე მივდექი ძველ ჭადართან, არ გამოვეცნაურე, რათა ამ მდგომარეობაში მყოფს უხერხულობა არ ეგრძნო. კარგა ხანს ვუყურებდი, მისი საყვარელი უნივერსიტეტის, „თეთრი სახლის“ ეზოში შევიდა და რწევა-რწევით შეუყვა მცირე აღმართს. ამის მეტად ცოცხალი აღარ მინახავს. ისევ გამახსენდა ჩემი შორეული სიჭაბუკის მომსწრე სექტემბრის მზიანი დღე, ჭერმაღალ, ნათელ აუდიტორიაში შემოსული ლამაზი, ტკბილად მოსაუბრე შავსათვალისანი კაცი და გავიფიქრე: – რა ცოდვაა ადამიანი, როგორ თვალდახელშეუდნება წლები, „ორგემამე სოფელში“ რა სიფრიფანა, ჭრელი სიზმრის ფრთებზეა განფენილი ათასი ხიფათისა და განსაცდელის პირისპირ დარჩენილი ჩვენი უბადრუკი სიცოცხლე.

ბელა ჩეკურიშვილი

# მონტეპულსუ — ზურმუხტისთვალეზიანი სპილენძის ბუ —

□

## ზაზა თვარაძის ჯადოსნური საჩუქარი გავშვავს

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ახალი პერსონაჟი — მონტეპულსუ — გამოჩნდა. მონტეპულსუ ზურმუხტისთვალეზიანი სპილენძის ბუ, ანთებული ფარნით ხელში, პატარა თილისმა, რომელიც ზაზა თვარაძის ზღაპრის მთავარ გმირს ახლავს თან „არაჩვეულებრივ მოგზაურობაში“.

ქართული საბავშვო ლიტერატურა, რომელიც ძალიან მწირია საინტერესო პერსონაჟებით, ხოლო ზოგადად ქართული ლიტერატურა — საბავშვო ნაწარმოებებით, ყოველი ახალი გმირის გამოჩენას ალბათ დაფიქსირდა და ნალარით უნდა ეგებებოდეს. და იმ ფონზე, როცა ქართულ სალიტერატურო კონკურსებსა და პრემიებზე საბავშვო ნაწარმოებებს ადგილი არ აქვს ხოლმე, სრულიად მოულოდნელად „გალამ“ ზაზა თვარაძის ზღაპარი „მონტეპულსუ, ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ 2009 წლის საუკეთესო წიგნად დაასახელა. ესეც დაფიქსირდა და ნალარა!

თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ლიტერატურული პერსონაჟის შექმნა, რომელიც თაობებს დაამახსოვრდებოდა, არც ისე ადვილია, მით უფრო დღეს, როცა ლიტერატურა ანიმაციამ გადაფარა ციფრული ფორმატის შესაძლებლობებით.

რასაკვირველია, როცა ზაზა თვარაძე 90-იან წლებში „დიოგენეს“ ლიტერატურული კონკურსისათვის ამ ზღაპარს წერდა, თავისი პერსონაჟის უკვდავებაზე არ უფიქრობდა. თუმცა კი, ვფიქრობ, ყველა მეზღაპრეს, ძველ მოგზაურთა მსგავსად, ალექსანდრე მიწამდე მისვლის იმედი მუდამ უნთია გულში.

„ელენე ცოტა ხნით დაფიქრდა, მერე ჰკითხა:  
— მონტეპულსუ რას ნიშნავს, მამა?“

— ეს სიტყვაც ძალიან ძველი ენის ძალიან ძველი სიტყვაა, — მიუგო მამამ, — ახლა ზუსტად აღარავინ იცის მისი მნიშვნელობა. ისე კი გაგონილი მაქვს, რომ ეს სიტყვა რაღაცით ამ ფარნის ანთებას უკავშირდება, ხელში რომ უჭირავს. მგონი ანთებულს თუ მონთებულს ნიშნავს“...

ახლა უკვე ვიცით, მონტეპულსუ ის თილისმაა, რომელიც ელის მამის მოძებნაში ეხმარება. ზაზა თვარაძე ზღაპრის შესაქმნელად განსაკუთრებულ სამყაროს არ იგონებს, მოქმედება აქვე, ჩვენს ქალაქში ვითარდება, ნაცნობ ქუჩებსა და უბნებში, სადაც თითოეული გამვლელის ცნობაც



კი შეგიძლიათ, და იმ დროში, როცა ყველაზე მეტად სჭირდებათ ადამიანებს სასწაულების რწმენა, როცა ბავშვებს სურვილების შესრულებაში ჯადოსნობა თუ დაეხმარებათ მხოლოდ, რადგან ქვეყანაში ომია...

90-იანი წლების პოლიტიკური ამბები ადვილი გამოსაცნობია ამ ზღაპარში. რასაკვირველია, მომავალი თაობისთვის ეს მხოლოდ ნაწარმოების ფონი იქნება, მაგრამ ზრდასრული მკითხველი ნაცნობ პოლიტიკურ გამოთქმებსაც კი მოჰკრავს ყურს და პოლიტიკურ ლიდერებსაც ამოიცნობს.

„მონტეპულსუ“ იმ ჯადოსნურ ზღაპართა რიცხვს მიეკუთვნება, როცა მთავარი გმირი ვილაცის ან რაღაცის საძებრად მიდის. ამ გზაზე მას უამრავი

დაბრკოლება უნდა გადახდეს და ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდეს.

ამის თქმა ძალიან ადვილია, როცა უკვე დაწერილს ვკითხულობთ, მაგრამ საკმაოდ რთულია, ისე დაწერო, ბავშვმა ბოლომდე მოგისმინოს და მთქნარება არ აუტყდეს. მას ხომ მხოლოდ საინტერესო სიუჟეტი უნდა, სადაც ყოველი სიბრძნე და ფილოსოფია ისე იქნება შეფარული, მის გონებას კი არ დააბავს, მხოლოდ გაართობს, ქვეცნობიერში კი დაილექება.

ზაზა თვარაძე ცოცხალი აღარ არის, ამიტომ ვერ გვეტყვის, რას ფიქრობდა, როცა ზღაპრის წერას შეუდგა. ჩვენ მხოლოდ ზღაპარს შეგიძლია მივყვეთ, სადაც თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად იწყება.

თავიდან ვერც კი იგრძნობთ, რომ ზღაპარს კითხულობთ, ვიდრე ელი გადაწყვეტილებას მიიღებდეს — მოძებნოს მამა — და შინიდან გამოვიდოდეს. აქედან კი სასწაულები იწყება. ისე რომ ავტორიც კი ცვლის თხრობის ენას: იგონებს ახალ სიტყვებს, ჩნდებიან უცნაური პერსონაჟები, ტრიალდება ჯადოსნური ამბები, გაისმის შელოცვები და ცოცხლდება მონტეპულსუ — ზურმუხტისთვალეზიანი სპილენძის ბუ, რომელსაც რჩევების მიცემა და სურვილების ასრულება შეუძლია.

როგორც ყველა ზღაპარში, სამყარო აქაც ორადაა გაყოფილი — კეთილ და ბოროტ ძალებად. ზღაპრის გმირების შემწე კი ჩვენი ქალაქის გეოგრაფიული ადგილებიც შემოდის, მაგალითად, მთაწმინდა, სადაც ბოროტი ძალა ფეხს ვერ იკიდებს და პატარა ელისათვის თავშესაფარი ხდება.

ზოგადად საინტერესოა თვალის მიდევნება, როგორ შემოდის ზღაპარში კეთილი და ბოროტი ძალები. მათ შესაქმნელად ავტორი მიმართავს ქართულ ზეპირსიტყვიერებას, ვეროპულ მითებს და საკუთარ ფანტაზიასაც არ იშურებს.

ამკარად საკმაოდ მსუყვე ზღაპარია, უამრავი დიდი და მცირე ჯადოსნური პერსონაჟით, სხვადასხვა ასოციაციებს რომ ინვევენ. მაგალითად, მამიდა ეთერი (რეალურად ზაზა თვარაძის მამიდაა მისი პროტოტიპი) ადამიანების გამოცნობის საიდუმლოს ფლობს და ჯადოსნური სარკე აქვს, დალი — ქერთაშიანი ახალგაზრდა ქალია, არწივით მფრინავი ბრძენი ალფომეფუსი კი ევროპული მითოსიდანაა, ისევე როგორც შვიდთავიანი ძაღლი, ანდა კომბლიანი გოლიათი ბაბუდაყი. ჯადოქარი გვირისტინე, რომელიც გარეგნულად უბრალო გარემოვაჭრე ქალს ჰგავს, აღმოსავლეთის ცეცხლოვანი ტყის ჯადოქარი, როკაპისა და ქუსდაზატის ასული, თვალწითელი მითიძინძინაა. ხოლო პორფილე — ჩრდილოეთის ცივი ტყის ჯუჯა, მუსოფუნისასა და ოჩოკოჩის ძე, თვალთვითი ქოჩუ. და ყველაფერთან ერთად გვირისტინე ცეცხლის ვამპირია, პორფილე კი — მთვარის. ხოლო თუ რაში მდგომარეობს მათი ბოროტება, ამას ზაზა თვარაძე 21-ე საუკუნის მკითხველს მათთვის გასაგები ფასეულობით უხსნის: გულბრყვილო ადამიანს რომ მონუსხავენ, ართმევენ მას ფულს, ნივთებს, ძალ-ღონეს და სასონარკვეთილს ტოვებენო. ელისაც იმიტომ გაეკიდნენ, რომ მისთვის ზურმუხტისთვალეებიანი მონტებულსუ წაერთმიათ. ზაზა თვარაძე ძველ მეზღაპრეთა კვალს მისდევს და ბოროტ ადამიანებს რთულად წარმოსათქმელ სახელებს არქმევს. აი, გვირისტინეს სანათესავო: ბაბუა ჩანდრაბუხი, მამიდეები ქვირდუცი და ლუცი, ბიცოლა ქოქანიკი, ბიძიები იფქირიონი და ლურტუმი...

როგორ ვიცნობთ ბოროტი ჯადოქრები? გარდა სიხარბისა, ისინი წარმოუდგენლად ამპარტავნები და პატივმოყვარენი არიან, ლოთობენ და კულტურულ-საგანმანათლებლო დანებსებულებებში აყალმაყალს ტეხენ. ასეთები არიან, მაგალითად, ქოსხაპი და ცქვაფა. მაგრამ ზღაპრის ავტორს გემოვნება არ ღალატობს, ამ ყველაფერს იუმორით და დოზირებულად გვანდის, ყოველგვარი მენტორული გამოსვლების გარეშე, რათა ზღაპარი არ დაამძიმოს, პატარა მკითხველი არ მოანყინოს და მთქნარება არ დაანყებინოს.

კეთილი ჯადოქრების არსებობაში დასაჯერებ-



ლად კი ზაზა თვარაძე ქართლის ცხოვრებას იშველიებს და მათზე მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას დროიდან გვიყვება, როცა ისინი მცხეთის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ავადმყოფებს კურნავდნენ, ტაძრებს აგებდნენ, ხალხს ეხმარებოდნენ... მაგრამ მერე ადამიანები გაზარმაცდნენ, ვინაიდან მათ ნაცვლად ყველაფერს კეთილი ჯადოქრები აკეთებდნენ. სიზარმაცემ კი ბოროტება გააძლიერა. ბოროტი ძალი ძლიერია მაშინაც, როცა იმია. ამიტომ როცა ელი მამის მოსაძებნად მიდის, ქალაქი, ფაქტობრივად, დაცლილია კეთილი ჯადოქრებისგან. იმისათვის, რომ კეთილი ჯადოქრები დაბრუნდნენ, ადამიანებმა ერთმანეთის დახმარება უნდა მოინდომონ – ასეთია ზღაპრის მორალი და პატარა მკითხველი ამას აუცილებლად იგრძნობს.

როგორც ბევრ ზღაპარში, მთავარი გმირი აქაც არჩევანის წინაშე დგება: გადაარჩინოს დაწვისაგან ტყე და იხსნას „მანათობელი ბავშვების“ — პატარა ფერიების — სიცოცხლე, თუ უარი თქვას საკუთარ სურვილზე. ელი გადაწყვეტილებას ფერიების სასარგებლოდ იღებს და ამით უფრო დიდ მადლს იმსახურებს: ნანატრ ოქროსფერ კულულებს, დაკარგულ მამას და თილისმა მონტებულსუსთან მარადიულ მეგობრობას. ეს კი სწორედ ის ფასეულობაა, რასაც ახსნა კი არა, ჩვენება უნდა, და რასაც ბავშვები ზღაპრებითა და იგავებით ყველაზე უკეთ იმსახურებენ.

ზღაპრის ავტორი სიუჟეტის განვითარების კიდევ ერთ ხერხს მიმართავს — ეს არის ზღაპარი ზღაპარში. და ჩვენ ვიგებთ ორი უცნაური სამეფოს — კუზლანდიისა და კენგურეთის შესახებ. ზღაპრის დასაწყისში ამ სამეფოების ხსენება ქალაქის ისტერიკად აღიქმება, მაგრამ მერე თვითონ მონტებულსუ გვიყვება მათზე და აქ მწერალი კიდევ ერთ „მარტივ“ სიბრძნეს გვიზიარებს: ადამიანებს ძალიან უჭირთ ცასთან ახლოს ყოფნა და ურჩევნიან, მოიკუზონ. ხოლო ვინც მთელი სიცოცხლე წელში მოხრილად ყოფნას არჩევს, ისე რომ შემთხვევით ცის პატარა ნაგლეჯსაც არ შეეხოს, მინისქვეშეთში გადასახლებაზე აწერს ხელს. რასაკვირველია, ასეთი ადამიანები ვერ აიტანენ იმათ, ვინც საგანგებოდ ხტებიან მაღლა, რათა ზეცის თაღს მისწვდნენ და მის სივრცეში გაინავარდონ. ამიტომაც კუზლანდიასა და კენგურეთს შორის გამუდმებული საომარი ვითარებაა.

სამშაბათს, 9 თებერვალს  
ილია ჭავჭავაძის სახელობის  
მნიგნობართა ასოციაციის დარბაზში  
მსახიობი  
**თინათინ ელბაქიძე**  
წარმოადგენს  
მხატვრულ-პუბლიცისტურ კომპოზიციას  
**„სამშობლო, როგორც უფალი“**  
(მაკა ჯოხაძის, ლევან ბრეგაძის,  
იოსებ ჭუმბურიძისა და როსტომ ჩხეიძის  
პუბლიცისტურ თხზულებათა მიხედვით)  
კომპოზიციის ავტორი — **იოსებ ჭუმბურიძე**  
დასაწყისი 14 საათზე  
რუსთაველის პროსპექტი, 40/1

ზღაპარში ეს მეტაფორა იმდენად ძლიერია, რომ სიუჟეტის მეორეხარისხოვნების მიუხედავად, მკითხველს სამუდამოდ ამახსოვრდება. ავტორმა სწორად გათვალა სიტყვათა ჟღერადობაც, რაც ზღაპრისთვის აუცილებელი პირობაა და პატარა მკითხველები, დარწმუნებული ვარ, ბევრს იცინებენ ამ სამეფოთა სახელების მოსმენისას. ასევე გაიცინებენ კუზლანდიაში მომხდარი რაინდული ასპარეზობის ნაკითხვისას, რომელიც ძალიან ოსტატურად დაწერილი ეპიზოდია.

მინდა გითხრათ, რომ სიცილს აქ ვერც ზრდასრული მკითხველი შეიკავებს, რადგან ზაზა თვარაძე აშკარად ქართული კლასიკური ლიტერატურის პაროდირებას მიმართავს. ასპარეზობის ჰეროიკული სულისკვეთება და ენობრივი სტრუქტურა კონსტანტინე გამსახურდიას რო-


მანებში გადაგვახედებს, მერე „ბაში-აჩუკსაც“ გავგახსენებს, ხოლო იქვე ამოკვნესილ „ვაი, ნანა“-ს მოსმენაზე შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ავტორი, ცოტა არ იყოს, გაერთო. თუმცა კი ყველაფერი იმდენად სახალისოდ და გემოვნებით არის გაკეთებული, რომ ზღაპრის ფორმატს არ სცდება. ერთი კია, ზაზა თვარაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ანუ ეს წიგნი მის სიცოცხლეში რომ გამოსულიყო, ამ ეპიზოდის შესახებ მაინც ვკითხავდი... ისევე როგორც ვკითხავდი, რატომ დაარქვა მთავარ გმირს ელენე, ანუ ელი, ხოლო წიგნს „ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“, რასაც ასოციაციურად ლუის კეროლის ზღაპართან მივყავართ. მე, როგორც მკითხველს, ამგვარი პარალელები მეზედმეტება ხოლმე, ამიტომ დამაინტერესებდა, თვითონ ზაზა რას მეტყოდა ამაზე...

გამოსაურება

შესვედრა ოცი წლის შემდეგ

არ ვიცი, რამდენად საჭიროა ამ წერილის დაწერა, მიუთმეტეს, რედაქციაში გამოგზავნა და კიდევ უფრო „მიუთმეტეს“, სურვილი იმისა, გამოაქვეყნო, მაგრამ იმდენად გამახარა და ამაღელვა თქვენმა ერთმა პუბლიკაციამ, რომ სხვაგვარად არ ძალმიძს.

საქმე ეხება „ჩვენი მწერლობის“ საახალწლო ნომერში გამოქვეყნებულ კოტე კაკიტაძის ლექსებს. სულ ცხრა ლექსია. ბევრისთვის ეს ალბათ რიგითი „მასალა“ იყო, ნაიკითხავა და გადაშლიდა. ჩემთვის ეს იყო სიურპრიზი, რომელმაც ჯერ ძალიან გამაკვირვა და შემდეგ მეთისმეტად გამახარა, იმიტომ, რომ ავტორი არის ადამიანი, რომელიც ოცი წლის წინათ გავიცანი და მას შემდეგ აღარსად შემხვედრია. სურათზეც ეტყობა, რამდენი დრო გასულა.



ვარძია

ბატონი კოტე გამაცნო ჩემმა მეგობარმა, რომელიც მაშინ ახალციხის ახალგახსნილ უნივერსიტეტში სწავლობდა. ასეთი სიცოცხლით სავსე და გულისხმიერი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა და, არა მგონია, შევმცდარიყავი. კოტე კაკიტაძე ლექტორი იყო, კათედრის გამგე, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მეგობარი და მოყვასი.

მასთან ერთად მოვიარეთ მესხეთის ღირსშესანიშნო ბანი. რამდენი კარგი რამ ვნახეთ, რამდენი კარგი რამ ითქვა. მესხეთს აქვს რალაცნაირი ხიბლი, იქ ნათქვამი სიტყვა სულ სხვანაირად ჟღერს, იქ გატარებული ყოველი წამი

გამახსოვრდება და აღარ გავიწყდება, მოუცილებელ სევდად იბუდებს შენში.

სულ მინდოდა, ბატონი კოტესთვის მადლობა გადამეხადა დიდებული მასპინძლობისათვის, ჩვენ მიმართ გამოჩენილი სიბოძსათვის, თუნდაც იმისათვის, რომ სამშობლოს სიყვარული იმ პატარა ბიჭებს სულ სხვანაირად დავგანახა, უბრალოდ, მინიერად, ადამიანურად. ისე მოხდა, რომ მადლობა ვერ ვუთხარი. აი, გავიდა ამდენი ხანი და საშუალება მიძლევა ხმა მივანვიდინო.

არ ვიცოდი, თუ ბატონი კოტე ლექსებს წერდა. ის კი ნამდვილი შემოქმედი ყოფილა, გამოცდილი, დაღვინებული ოსტატი. ლექსებიდან ჩანს, როგორ ფლობს სიტყვას, რაოდენ ღრმად სწვდება შინაარსობრივ სიღრმეებს, როგორ გრძნობს ბგერას, რა ზუსტად მართავს ფრაზას. მე ისიც მომწონს, თუ როგორი მორიდებით გამოთქვამს ტკივილს, თითქოს არ უნდა, რომ სხვა შეაწუხოს, სხვას გადასდოს თავისი ნუხილი. ფაქიზად, შეფარვით, თითქოს თამაშ-თამაშ გვიმხელს დარდს და ასე აშენებს სალექსო ნაგებობებს.

მადლობა ბატონ კოტე კაკიტაძეს ამ მშვენიერი ლექსებისათვის; მადლობა რედაქციას, ამდენი ხნის უნახავადამიანს რომ შემახვედრა და მადლობა საერთოდ ქართულ სიტყვას, რომ გვივლის და გვაცოცხლებს!

ნუგზარ ცარციძე

ჭიათურა

ჯული გაბოძე

# დიმიტრი ყიფიანი — ერის ღირსების სიმბოლო

ქართველებს ბევრი გამორჩეული შვილი ჰყავდა, მაგრამ დიმიტრი ყიფიანი მათ შორისაც რჩეული იყო. პავლე ეგზარქოსისადმი მიწერილი წერილი დიმიტრი ყიფიანმა ხელისუფლებას მორჩილების ლაგამი მოუხრებლად მიახალა სახეში: “თქვენო უსამღვდელოესობავ!...ხმები მოგანერენ თითქოს თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული. იგივე ხმები იმასაც მოგანერენ, თითქოს სამწყსოს წინაშე ბოდისის მოხდას აპირებდეთ თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო. თუ ეს ყოველივე მართალია, მეუფეო, თქვენი თანამდებობრივი ღირსების გადარჩენა ამასლა შეუძლია — შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილის ქვეყნიდან!”

კითხულობ ამ წერილს და კვლავ ხმიანობს ზაქარია მხარგრძელის მიერ რუქნადინის ელჩისათვის გაწერილი სილის ექო.

კითხულობ, და სიამაყესთან ერთად ბოლმაც გახრჩობს: თუ რუქნადინის მუქარასა და მხარგრძელის სილას ბასიანის ომი მოჰყვა, დიმიტრი ყიფიანის პროტესტი მისი გადასახლებითა და სამარცხვინო მკვლელობით დამთავრდა.

თუმცა დიმიტრი ყიფიანი ერის ღირსების სიმბოლოდ იქცა.

აი, სწორედ ამ ღირსეული პიროვნების ცხოვრების ბოლო წლებისა და მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალებია თავმოყრილი წიგნში “სამედიკალინური მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი” (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის).

წიგნი შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ. გამოცემულია ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე. I წიგნი გამოვიდა 1997 წელს, II წიგნი კი — 2007 წელს (მასში გამოქვეყნებულია თანამედროვეთა მოგონებები, კოტე ყიფიანის “დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა და მრავალი სხვა საარქივო მასალა).

I-II წიგნებში წარმოდგენილი ტექსტების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. რუსეთის იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის დიმიტრი ტოლსტოისა და მთავარმართებელ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის მიმონერა ცხადპყოფს, როგორ თანმიმდევრულად, ფარულად მზადდებოდა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა.

\* \* \*

I წიგნში იბეჭდება “დიმიტრი ყიფიანის მიერ სტავროპოლში შედგენილი განმარტებითი ბარათი იმ ფაქტების შე-

სახებ, რომლებსაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიმართ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გულისწყრომა გამოიწვია”

ამავე წიგნში ქვეყნდება დიმიტრი ყიფიანის წერილები ოჯახთან. მისი ბოლო წერილი 1887 წლის 18 ოქტომბრითაა დათარიღებული.

ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას იძლევა დონდუკოვ-კორსაკოვის 1887 წლის 30 სექტემბრის მიმართ-ვა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. შუბეკოსადმი. ამკარად ჩანს, როგორ დააბრკოლა მან დიმიტრი ყიფიანის გათავისუფლება მას შემდეგ, რაც ყიფიანის მეუღლის თხოვნა თვით იმპერატორმაც კი ყურად იღო. “თუ იგი დაიბრუნებს წინანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას, უკვე პოლიტიკური დევნილის როლში მოგვევლინება და ნაციონალური იდეისთვის წამებულის გვირგვინსაც დაიდგამს, ამიტომ უცილებელია, დიმიტრი ყიფიანს უარი ეთქვას უპირობო და დაუყოვნებლივ პატიებაზე,” — ვკითხულობთ წერილში.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა იმ სამგლოვიარო დებულებსა და წერილებს, რომლებიც დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნდებოდა მაშინდელ პრესაში.

თამაზ ჯოლოგუას შესანიშნავად დაულაგებია ეს ტექსტები, რითაც მკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება, როგორ ებრძოდნენ დიმიტრი ყიფიანის სახელს სიკვდილის შემდეგაც.

წიგნს ერთვის ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, რომლებიც განსაკუთრებული მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა შედგენილი და ესოდენ ძვირფას ცნობებს შეიცავს. ჩვენი ყურადღება მიიქცია მაგ. №49 დოკუმენტის შესახებ გაკეთებულმა შენიშვნამ. იგი ეხება გაზ. “ივერიის” №225-ში გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც “ხელმოუწერლად დაიბეჭდა “ივერიაში”. იგი ილიას კრებულებში არაა შეტანილი, თუმცა ტექსტზე დაკვირვება, აზროვნების სტილი, წერის მანერა, ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, ორთოგრაფია, კომპოზიციური აგებულება გვაფიქრებინებს, რომ იგი ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს” (გვ. 188).

საესებით ვეთანხმებით ბ-ნ თამაზს. როგორც ჩანს, ეს წერილი ლევან ჭრელაშვილსაც ჰქონია შეტანილი “ივერიის” ხელმოუწერელი წერილების ბიბლიოგრაფიაში (იხ. ლ. ჭრელაშვილი “ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები”; ჟ. “მაცნე”, ენისა და ლიტერის სერია, 1981, №2-3).

დასახელებული წერილი ამჟამად დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის VIII ტომში.

თამაზ ჯოლოგუა ასევე ილიასეულად მიიჩნევს “ივერიის” 1887 წ. 19 დეკემბრის წერილს “ცნობა კოტე ყიფიანის გადაწყვეტილების შესახებ — გლოვის ნიშნად დროებით შეწყვიტოს მონაწილეობა თეატრალურ წარმოდგენებში” (გვ. 142, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები გვ. 190) ეს წერილი არ არის გამოქვეყნებული ილიას თხზულებათა სრული კრებულის VIII ტომში. ლ. ჭრელაშვილმა დოკუმენტების საშუალებით დაამტკიცა, რომ ილია უმუშაოდ მონაწილეობდა თავისი წერილების ყურნალ-გაზეთებიდან ამონერის საქმეში. 1887 წლის წერილები გადმოუწერია პელაგია ნულუკიძეს, რისი გასამრჯელოც მიუღია. ხელნაწერ კრებულებში როგორც ჩანს, ეს წერილი არ იყო და ამიტომაც არ შეუტანიათ იგი ილია ჭავჭავაძის ახალ აკადემიურ გამოცემაში (იხ. ლ. ჭრელაშვილის დასახელებული ნაშრომი).

ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანი დაკვირვებებიანი წიგნის კომენტარებში, რომელიც მკვლევრის საფუძვლიანი შრომის შედეგია. მაგ. იგი დაწვრილებით აღწერს დიმიტრი ყიფიანის როლს 1832 წლის შეთქმულებაში “ამ მხრივ სარწმუნო არაა თვითონ დიმიტრის “1832 წლის ყაზარმობა”, რომელიც 80-იან წლებშია დაწერილი. ამ დროისათვის ავტორის მსოფლმხედველობა საერთოდ და კერძოდ, ეროვნული საკითხისადმი და, შესაბამისად შეთქმულების მისეული შეფასება დიამეტრულად შეცვლილი იყო”, — წერს ავტორი.

ბარბარე ყიფიანის შესახებ ვრცელი კომენტარიდან მკითხველი შეიტყობს, რომ 1910 წელს ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში ბ. ყიფიანის ინიციატივით დაარსდა ქართული განყოფილება.

კომენტარებიდანვე ვიგებთ, რომ 1880წ. დიმიტრი ყიფიანი მიუწვევიათ “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენ კომისიაში. მას მოუვებია პელაგია და ნესტორ წერეთლების კუთვნილი პოემის საყურადღებო ხელნაწერი და რამდენიმე მართებული შესწორებაც შეუტანია (გვ.272).

განუზომელია დიმიტრი ყიფიანის როლი ქართული დრამატული საზოგადოების საქმეში. მასვე ეკუთვნის იდეა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების შესახებ (გვ.273). საკმაოდ ვრცელი კომენტარია დიმიტრი ყიფიანის მიერ დაარსებულ ქ.შ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში მისი მოღვაწეობის შესახებ (გვ.285).

თამაზ ჯოლოგუას კვლევითვე დგინდება, რომ დიმიტრი ყიფიანი ყოფილა შექსპირის პირველი მთარგმნელი ქართულად (გვ.287). მასვე ეკუთვნის უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ ალ. ჭავჭავაძეს უთარგმნია პირველად საადი, ჰაფეზი და გოეთე (გვ.308).

კომენტარების მორდილი ნაწილი ეთმობა დიმიტრი ყიფიანის კამათს 1850-იან წლებში დავით ჩუბინაშვილთან ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. (გვ.306).

შეუძლებელია ამ სარეცენზიო წერილში ყველა საინტერესო კომენტარის შესახებ საუბარი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს კომენტარები ძალიან საჭირო და ფასეულია მეცნიერებისათვის.

იგივე ითქმის მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და დიდი პროფესიონალიზმით შედგენილ სახელთა და პირთა საძიებლებზე. ვისაც ერთხელ მაინც უმუშავია ამ საკითხზე, მისთვის ცნობილია, რაოდენ შრომატევადია ეს საქმე, საქმე, რომელიც ბატონ თამაზს ასევე სანდოდ და დიდი გულისხმიერებით აქვს შესრულებული.

\*\*\*

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერთათვის ამ მშვენიერი წიგნის II ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია დიმიტრი ყიფიანის თანამედროვეებისა და მისი ოჯა-

ხის წევრების მოგონებანი. მეტად ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს მისი ვაჟის ნიკოლოზ ყიფიანის “დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება” და “უკანასკნელი დღენი”. დიმიტრი ყიფიანის რძლის ნინო ტატიშვილის მოგონებანი “დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში”. აკაკი წერეთლის, შიო არაგვისპირელის, თედო სახოკიას ანტონ ფურცელაძის და სხვათა, აგრეთვე დიმიტრის მეორე ვაჟის, კოტე ყიფიანის მოგონებები ამ დიდებულ მამულიშიღზე.

ამ მოგონებების მიხედვით შესაძლებელი ხდება ბევრი გაურკვეველი საკითხის დადგენა. ეს მემუარული ხასიათის ტექსტები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის შემდგომი შესწავლისათვის შესანიშნავი წყაროა.

რამდენიმე მოგონების გაცნობა კიდევ ერთხელ ჰფენს ნათელს დიმიტრი ყიფიანის გარდაცვა-

ლებისა და დაკრძალვის დეტალებს. მეორე წიგნს ახლავს დანართი კოტე ყიფიანის “დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა”. როგორც თამაზ ჯოლოგუა მიუთითებს კომენტარებში: “ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ლმ-ში (№25044-ხ, ფ.2). იგი ბოლონაკულია... მართალია თხზულების დასრულებულ ვარიანტს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ რამდენადაც ავტორი იძლევა ზოგიერთ საინტერესო ცნობას საკითხის გარშემო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი თუნდაც ამ სახით გამოქვეყნება.” (გვ.234).

საგანგებოდ აღსანიშნავია ის ვრცელი კომენტარები, რაც ახლავს ასევე მეორე წიგნსაც. (და საერთოდ, მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ ბატონი თამაზის ეს ღვაწლი მეცნიერებაში.). ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა (ბევრ სხვასთან ერთად) ამ წიგნის ერთი კომენტარი დავით დავითაშვილზე, რომელსაც ეკუთვნის მეტად სინტერესო მოგონება დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების შესახებ. როგორც ირკვევა იგი ყოფილა პედაგოგი, მემუარისტი. 1892-1894 წწ. მასწავლებლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, სადაც, სხვათა შორის, ქართულ ენაში საგანგებოდ ამეცადინებდა იმჟამად ქართულის სუსტად მცოდნე მიხეილ ჯავახიშვილს. (გვ.400). მის მოგონებას ჩვენ საგანგებოდ ვიმოწმებდით წერილში “განთიადი” — აკაკის ანდერძი! 1892 წელი! (იხ. “ლიტერატურული საქართველო” 2003წ. 28 თებერვალი). ამ მოგონებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ აკაკის დიმიტრი ყიფიანის საფლავთან არ წარმოუთქვამს ცნობილი ლექსი “განთიადი”. “გამოვიდა აკაკი წერეთელი სიტყვით; პროზით დაიწყო და ლექსით დაათავა. ლექსის იმ ადგილას, სადაც იყო ნათქვამი: “ქვა დაჰკრეს, თავი გაუპეს და სპეტაკ წვერზე წვეთ-წვეთად სისხლსა აფრქვევდა მდულარეს...” ხალხმა ისე ამოიოხრა, რომ სულ-გვამი თან ამოაყოლა... აკაკიმ სიტყვა ასე დაამთავრა — კიდევ დიმიტრი თავდადებული”. გვ.177). ეს არის ნაწყვეტი ლექსისა “ქართველი





უცხოეთში”, რომელიც აკაკიმ 1888 წლის “ივერიის” იანვრის №22-ში გამოაქვეყნა.

ამავე ცნობას ამყარებს ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელიც დიმიტრი ყიფიანის დამკრძალავი კომისიის წევრი ყოფილა: “საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, “ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო” მაშინ არ უთქვამს, მერმე დაუწერია, დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ” (გვ.211). ამავე ცნობას ვიმოწმებდით ჩვენც ზემოთ დასახელებულ წერილში.

ფიქრობთ, თამაზ ჯოლოგუას ეს შესანიშნავი წიგნები ერთობ კარგი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის და საერთოდ, ქართული საზოგადოებისათვის. ალბათ, შეუძლებელია XIX საუკუნის მკვლევარმა გვერდი აუაროს მათ. ასევე მოუთმენლად ელოდება მკითხველი წიგნის მესამე ტომის გამოსვლას. როგორც ანოტაციიდან ვიგებთ მესამე ტომში “დაიბეჭდება XIX-XX სს. (20-იან წლებამდე) ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები, ესსეები, ლექსები, აგრეთვე დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად ქცეული ზოგიერთი წიგნაკი- მიძღვნილი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი”.


ძალიან ნიშნდობლივია სათაური “საშვილიშვილო მოკავშირე- დიმიტრი ყიფიანი”. აკაკი წერეთელმა ასე შეაფასა მისი ღვაწლი. მანვე შეაღწა იგი დიმიტრი თავდადებულს. დიახ, ის ნამდვილი პატრიოტი იყო. კორსაკოვ-დონდუკოვის ბრალდებას: “ბ-ნ ყიფიანს ამ შემთხვევაშიც, ჩანს, უნდოდა გაეთამაშა როლი თავგადაკლული ქართველი პატრიოტისა” — აკი თავადაც ასე უპასუხა:

“არა თავადო! მე როლს კი არ ვთამაშობ, მე ნამდვილი პატრიოტი ვარ! მხოლოდ იმისთანა არა თქვენ რომ გგონივართ. პატრიოტის მოვალეობაა თავის ქვეყნისადმი სიყვარულის ჩანერგვა და არა განკერძოება და განშორება”.

ნუ დაგვაზიწყებთ, რომ ამ სიტყვებს წერს უკვე შერისხული და გადასახლებული 75 წლის მოხუცი, რომელიც კატეგორიულად სთხოვს მეუღლეს: “იმედი მაქვს, რომ შეწყალებაზე არსად, არასდროს, არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალებას, გარდა ღვთისადმი ლოცვა-ვედრებისა, მხოლოდ დამნაშავენი ითხოვენ”.

დიმიტრი ყიფიანი ერის ღირსების სიმბოლოდ იქცა!

წიგნებსაც, ადამიანებივით, სხვადასხვა ბედი და დანიშნულება აქვთ. თამაზ ჯოლოგუას მიერ მომზადებული „საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი“ მრავალმხრივ საჭირო გამოცემაა!



უილიამ ბატლერ იეიტსი

## კეთილნი და ჰოულიჰენი<sup>1</sup>

მოქმედი პირები

პიტერ გილეინი.

მაიკლ გილეინი, პიტერის ვაჟი, რომელიც დაქორწინებას აპირებს.

პატრიკ გილეინი, თორმეტი წლის, მაიკლის ძმა.

ბრიჯიტ გილეინი, პიტერის ცოლი.

დელია კაჰელი, დანიშნულია მაიკლზე.

საბრალო მოხუცი ქალი.

მეზობლები.

კოტეჯის ინტერიერი კილალას მახლობლად, 1798 წელი.

ბრიჯიტი დგას მაგიდასთან და ხსნის ამანათს. პიტერი ზის ცეცხლის

ერთ მხარეს, პატრიკი მეორე მხარეს.

პიტერი: ეს რა ხმა ისმის?

პატრიკი: მე არაფერი მესმის! (აყურადებს) აი, ახლა გავიგონე. შეძახილებს გავს (ფანჯარასთან მიდის და გარეთ იყურება). არ ვიცი, რას ან ვის ესალმებიან. ვერაფერს ვხედავ.

პიტერი: ალბათ ჰარლინგია.<sup>2</sup>

პატრიკი: დღეს რა ჰარლინგი უნდა იყოს. ალბათ ქალაქის ცენტრიდან მოდის ხმა.

ბრიჯიტი: მგონი, ბიჭები ერთმანეთს რომელიღაც სპორტში ეჯიბრებიან. მოდი აქ, პიტერ, და მაიკლის საქორწილო ტანსაცმელი ნახე.

პიტერი: (სკამი მაგიდასთან გადააქვს). მართლაც დიდებული ტანსაცმელია.

ბრიჯიტი: როცა შემირთე, ასეთი ტანსაცმელი არ გქონია და არც საკვირაო ქურთუკი. საყოველღიურო ქურთუკით დადიოდი.

პიტერი: მართალია. რას ვიფიქრებდით თუ ჩვენს ვაჟს ასეთი კოსტუმი ეცემოდა თავის ქორწილში ან ასეთ კარგ სახლში მოიყვანდა ცოლს.

პატრიკი: (ისევ ფანჯარასთან დგას). გზას მოხუცი ქალი მოუყვება. არ ვიცი აქ მოდის თუ არა.

ბრიჯიტი: რომელიმე მეზობელი იქნება. ალბათ უნდა, რომ მაიკლის ქორწილის შესახებ შეიტყოს რაიმე. ხედავ, ვინ არის?

პატრიკი: მგონი, ვიღაც უცხოა, თუმცა ჩვენი სახლისკენ არ მოდის, იქით გაუხვია, სადაც მარტინი და მისი ვაჟები ცხვარს კრეჭენ.

(ბრიჯიტი მიუბრუნდება). გახსოვს რას ამბობდა ერთ ღამეს ვინი, კროს როუდიდან, იმ უცხო ქალის შესახებ, რომელიც ყოველთვის მაშინ უვლის მთელ ქვეყანას, როცა ომი ან რაიმე გაჭირვება მოსალოდნელი?

ბრიჯიტი: ნუ შეგვაწუხებ ვინის ამბებით. წადი და შენ ძმას გაუღე კარი. უკვე მესმის მისი ნაბიჯების ხმა ბილიკზე.

პიტერი: იმედია, დელიას მზითვი უკლებლივ მოიტანა. მეშინოდა, ვაითუ ისევ ვაჭრობა დაუნყეს-მეთქი. ისე კი, ვიდრე მოვილაპარაკებდით, დიდი ძალისხმევა დამჭირდა მის მოსაპოვებლად.

(პატრიკი კარს აღებს. მაიკლი შემოდის).

**ბრიჯიტი:** რამ დაგაყოვნა, მაიკლ? რახანია გელოდებით.  
**მაიკლი:** მღვდლის სახლში შევიარე, რათა ხვალინდელი ქორწილისთვის მომზადება მეთხოვა.

**ბრიჯიტი:** მერე რა გითხრა?

**მაიკლი:** მითხრა, სიამოვნებით მოვემზადები თქვენ-ნაირი მშვენიერი წყვილის დასაქორწინებლად. ისიც თქვა, რომ თავის სამრევლოში ისეთი წყვილი, როგორც მე და დელია კაპელი ვართ, არასოდეს დაუქორწინებია.

**პიტერი:** მზითვი თუ მიიღე, მაიკლ?

**მაიკლი:** აი, აქ არის (მაიკლი ჩანთას მაგიდაზე დებს, მერე, მიდის და საკვამურის გვერდითა კედელს მიყრდნობა. ბრიჯიტი, რომელიც მთელი ეს ხანი ტანსაცმელს ათვალთქვამდა, ბლანდებს აცლიდა და ჯიბეების სარჩულს ამონებდა და ა.შ. დებს ტანსაცმელს სარკისწინა მაგიდაზე).

**პიტერი:** (დგება, ჩანთიდან ფულს იღებს). მართლა კარგად ვივაჭრე შენთვის, მაიკლ. ბებერ ჯონ კეპელს ერჩინა წილი უფრო დიდხანს შეენახა. მოდი, ნახევარს პირველი ბიჭის გაჩენამდე შევინახავო – ასე თქვა. მე კი ვუთხარი: არა, ბიჭი იქნება თუ არა, ასი ფუნტი უკლებლივ მაიკლის ხელში უნდა იყოს, სანამ თქვენს ქალიშვილს სახლში მოიყვანდეს-მეთქი. მერე ცოლი დაელაპარაკა და ბოლოს ჯეკმაც დათმო.

**ბრიჯიტი:** ძალიან ნასიამოვნები ჩანხარ, ფული რომ ხელთ გაქვს, პიტერ.

**პიტერი:** ნამდვილად, ნეტავი, როცა დავქორწინდი, მეც ისეთი იღბალი მქონოდა, რომ ცოლთან ერთად ასი ან თუნდაც ოცი ფუნტი მიმეღო.

**ბრიჯიტი:** კეთილი, მაგრამ, თუ ბევრი არაფერი მომიტანია, არც ბევრი რამ მიმიღია. რა გაგაჩნდა, როცა ცოლად გამოგყევი? ქათმები, რომლებსაც შენ აჭმევდი, რამდენიმე ბატკანი, რომლებიც ბალინას ბაზარში მიგყავდა. (გალიზიანებულია და დოქს უხეშად დგამს სარკისწინა მაგიდაზე). ჩემი მზითვეი ჩემი მძიმე შრომით გამოვიმუშავე, ბავშვი გავაჩინე, რომელიც ახლა შენს წინ დგას, მაშინ კი თვის ზვინზე ვანვინდი და ისე ვთხრიდი კარტოფილს. არასოდეს გთხოვდი მდიდრულ კაბებს ან სხვა რაიმეს, მხოლოდ ვშრომობდი.

**პიტერი:** მართალი ხარ, მართალი (ხელს უთათუნებს მკლავზე).

**ბრიჯიტი:** ახლა კი წადი და მარტო დამტოვე, ვიდრე სახლს იმ ქალისთვის მოვანსრიგებდე, აქ რომ უნდა შემოვიდეს.

**პიტერი:** მთელ ირლანდიაში საუკეთესო ქალი ხარ, მაგრამ ფულიც კარგია. (ისევ ატრიალებს ფულს ხელში და ჯდება). არასოდეს მიფიქრია, რომ ამ ოთხ კედელში ამდენ ფულს

ვნახავდი. ახლა, როცა ფული გვაქვს, შეგვიძლია დიდი საქმეები დავატრიალოთ. შეგვიძლია ათი აკრი მიწა ავილოთ და იმის შანსიც გვაქვს, რომ ვიდრე ჯეიმს დემპსი სულს განუტევებს, საქონელი მოვაშენოთ. წავალთ ბელინას ბაზარში და ვიყიდით საქონელს. დელიას ხომ არ უთხოვია ფული თავისი საჭიროებებისათვის, მაიკლ?

**მაიკლი:** არა, ნამდვილად არა. არა მგონია, ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას აქცევდეს. მგონი, არც არასდროს შეუხედავს ფულისთვის.

**ბრიჯიტი:** არცაა გასაკვირი. ფულს რატომ შეხედავდა, როცა ასეთი კარგი შესახედი, ჯან-ლონით სავესე ახალგაზრდა კაცი ჰყავს? შენით უნდა ამაყობდეს, რომ ასეთი კარგი, ნებისყოფიანი ყმაწვილი ყავხარ, რომელიც ფულს წესიერად გამოიყენებს და სხვებივით ამოდ არ გაფლანგავს სასმელში.

**პიტერი:** როგორც ჩანს, მზითვზე არც მაიკლს უფიქრია ბევრი. მისთვის მთავარი ის იყო, თუ როგორი გოგო შეხვდებოდა.

**მაიკლი:** (მიდის მაგიდასთან). კეთილი. ადამიანს ის უფრო მოეწონება, სანდომიანი და მშვენიერი გოგო თუ ეყოლება გვერდზე და მასთან ერთად წავა სასიერნოდ. მზითვი დროებითია, ქალი კი მუდმივი თანამგზავრია.

**პატრიკი:** (ფანჯრიდან შემობრუნდება). ისევ ისმის ქალაქის ცენტრიდან შეძახილები. შესაძლოა ცხენები გადმოჰყავთ ენიკონიდან. ყოველთვის ასეა, როცა ცხენები ჭიდან წყალს სვამენ.

**მაიკლი:** რა ცხენები, რის ცხენები. ან საით უნდა მიდიოდნენ, თანაც ჯერ არც ბაზრობის დროა. პატრიკ, წადი ქალაქის ცენტრში და ნახე, რა ხდება.

**პატრიკი:** (კარს ალებს, რომ გარეთ გავიდეს, მაგრამ წუთით ჩერდება). როგორ ფიქრობ, დელიას ემასხოვრება თავისი დანაპირები, რომ როცა ამ სახლში გადგოვა, მონადირე ძაღლის ლეკვი მომიყვანოს?

**მაიკლი:** დარწმუნებული ვარ, ემასხოვრება. (პატრიკი გადის და კარს ლიად ტოვებს).

**პიტერი:** შემდეგში უკვე პატრიკს მოუწევს მზითვის მოპოვება, მაგრამ ეს მისთვის ასე ადვილი არ იქნება და არც თავისი საკუთარი სახლი ექნება.

**ბრიჯიტი:** ხანდახან მეც ვფიქრობ ამაზე. ახლა საქმეები უფრო კარგად მიგვდის. კეპელებიც კარგად გვიმაგრებენ ზურგს. თანაც, დელიას ბიძა მღვდელია და შეიძლება ერთ დღესაც პატრიკსაც გაუუკვალოთ გზა მღვდლობისაკენ. თან კითხვაც ხომ კარგად ეხერხება.

**პიტერი:** მანამდე საკმაოდ დრო გვაქვს, საკმაოდ დრო გვაქვს თავი ყოველთვის გეგმებით გაქვს გამოტენილი, ბრიჯიტ.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

**ბრიჯიტი:** იმის შესაძლებლობაც გვექნება, რომ პატ-რიკს კარგი განათლება მივცეთ და კარდაკარ არ ვატაროთ მთელს ქვეყანაში ლატაკი სწავლულის მსგავსად, რომელიც სხვის მოწყალებით ცხოვრობს.

**მაიკლი:** შეძახილები მიწყნარდა.

**(კართან მიდის, წამით ჩერდება და ხელით თვალს იჩრდილებს).**

**ბრიჯიტი:** რამეს ხედავ?

**მაიკლი:** მოხუც ქალს ვხედავ ბილიკზე.

**ბრიჯიტი:** ნეტა ვინ არის? ალბათ ის უცნობი ქალია, პატრიკმა რომ ნახა ამას წინათ.

**მაიკლი:** არა მგონია, რომელიმე მეზობელი იყოს, თანაც მოსასხამი სახეზე აქვს აფარებული.

**ბრიჯიტი:** შესაძლოა ვინმე საბრალო ქალი იყოს, რომელმაც ყური მოკრა, რომ ქორწილისთვის ვემზადებით, და ჩვენგან რაიმეს გამოელის.

**პიტერი:** უმჯობესია ფული თვალს მოვაცილოთ. არ არის საჭირო, რომ ყველა გამველ-გამომვლეღმა დაინახოს.

**(მიდის დიდ სკვირთან კუთხეში, ალებს, ჩანთას ჩადებს და კლიტეს ეძებს).**

**მაიკლი:** მამა, აი, ისიც! **(მოხუცი ქალი ნელი ნაბიჯით ჩაუვლის ფანჯარას, ჩავლისას მაიკლს შეხედავს).** მირჩევნია, რომ ჩემი ქორწინების წინა ღამეს ვინმე უცნობი არ შემოვიდეს სახლში.

**ბრიჯიტი:** კარი გააღე, მაიკლ. ნუ ალოდინებ საბრალო ქალს **(მოხუცი ქალი შემოდის, მაიკლი განზე გადაგება და გზას უთმობს).**

**მოხუცი ქალი:** ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ!

**პიტერი:** ღმერთმა თქვენც მშვიდობა მოგცეთ!

**მოხუცი ქალი:** კარგი თავშესაფარი გაქვთ.

**პიტერი:** კარგია თუ ცუდი, მაინც მოგესალმებით.

**ბრიჯიტი:** ცეცხლთან დაჯექით და მოისვენეთ.

**მოხუცი ქალი:** **(ხელებს ითბობს)** გარეთ ძლიერი ქარია.

**(მაიკლი ნერვიულად ადევნებს თვალს კარებიდან. პიტერი მაკიდასთან მიდის).**

**პიტერი:** შორიდან მოდიხართ დღეს?

**მოხუცი:** შორიდან მოვდივარ, ძალიან შორიდან. იშვიათად თუ უმოგ ზაურია ვინმეს ასეთ სიშორეზე და ბევრიც ისეთი ადამიანია, რომელსაც ჩემი შეხვედრა არ სიამოვნებს. იყო ერთი კაცი, რომელსაც ჯან-ლონით საესე ვაჟები ჰყავდა და მეგონა, რომ ჩემი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ცხვარს კრეჭდნენ და ყურიც არ მათხოვეს.

**პიტერი:** მართლაც სამწუხაროა, რომ ადამიანს საკუთარი საცხოვრებელი არ გააჩნია.

**მოხუცი ქალი:** სწორედ ასეა, მართალს ამბობ. კარგა ხანი გავიდა, რაც გზებზე დავხეტებო.

**ბრიჯიტი:** საკვირველია, რომ ამდენმა ხეტიალმა არ დაგლალათ.

**მოხუცი ქალი:** ხანდახან ფეხები მეღვება და ხელები კი მშვიდად მაქვს. მაგრამ გულში არა მაქვს სიმშვიდე. როცა ადამიანები მხედავენ, რომ მშვიდად ვარ, ფიქრობენ, დაბერდა და მღვლებარებისგან დაიცალაო. მაგრამ, როცა მწუხარება შემიპყრობს, ჩემს მეგობრებთან საუბრის სურვილი მიჩნდება.

**ბრიჯიტი:** რამ გიბიძგათ, რომ ამდენს დადიხართ?

**მოხუცი ქალი:** სახლში მეტისმეტად ბევრი უცხო ხალხია.<sup>5</sup>

**ბრიჯიტი:** მართლაც მრავალჭირგამოვლილი ქალივით გამოიყურებით.

**მოხუცი:** ათასი გასაჭირი დამტყდომია თავს.

**ბრიჯიტი:** მაინც ასეთი რა გასაჭირი გამოიარეთ?

**მოხუცი:** ჩემი მინა წამართვეს.

**პიტერი:** ბევრი წაგართვეს?

**მოხუცი ქალი:** ჩემი მშვენიერი ოთხი მწვანე მინდორი.<sup>6</sup>

**პიტერი:** **(განზე ბრიჯიტს)** როგორ ფიქრობ, ეს ის ქვრივი კასეი ხომ არ არის, ერთ დროს ბელინას ბაზარში რომ იყო, ფაშფაშა, სიცოცხლით სავსე ქალი.

**პიტერი:** **(მოხუც ქალს)** როცა გორაკზე ამოდიოდით, შეძახილების ხმა თუ გესმოდათ?

**მოხუცი ქალი:** მე მგონი, ასეთი მისალმების ხმები მაშინ მესმის, როცა ჩემი მეგობრები მსტუმრობენ.

**(თავისთვის იწყებს სიმღერას)**

**წავალ, იმ ქალთან ერთად ვიტირებ,  
ყვითელთმიანი დონოუ ხომ უკვე მკვდარია,  
ყელს ახვევია კანაფისგან დაწნული თოკი  
და თეთრზე-თეთრი ქსოვილი კი თავს აფარია –**

**მაიკლი:** **(კარს სცილდება).** რას მღერით, მემ?

**მოხუცი ქალი:** იმ კაცზე ვმღერი, რომელსაც ოდეს-ღაც ვიცნობდი, –ყვითელთმიან დონოუზე, მალვეში რომ ჩამოიხრჩო თავი **(უფრო ხმამაღლა განაგრძობს სიმღერას).**

**მოვსულვარ, ქალო, რომ ვიტირო მეც შენთან ერთად,  
თმა არ შემიკრავს, ასე მოველ თმაჩამოშლილი,  
მახსოვს, თუ როგორ ხნავდა ხოლმე მინდორს თავისას,  
წითლად მოჩანდა ამოყრილი ბელტები რბილი.  
თავისი ხელით აშენებდა გორაკზე საბძელს,  
ადულაბებდა კირით მკვრივ ქვებს და ლოდებს მძიმეს;  
ო! დავამსხვრევდი, დავამხობდი იმ სახრჩობელას,  
ენისკრონში რომ მომხდარიყო ეს ყოველივე.**

**მაიკლი:** რამ აიძულა თავის ჩამოხრჩობა?

**მოხუცი ქალი:** ჩემმა სიყვარულმა. ბევრი კაცი შეენი-რა ჩემს სიყვარულს.

**პიტერი:** **(განზე ბრიჯიტს)** მწუხარებამ ჭკუიდან შეშალა.

**მაიკლი:** დიდი ხანია, რაც ეს სიმღერა შეიქმნა? დიდი ხანია, რაც დონოუ გარდაიცვალა?

**მოხუცი ქალი:** არა, არც ისე დიდი ხანია. მაგრამ იყვნენ სხვები, რომლებიც ჩემს სიყვარულს შეენიწნენ დიდი ხნის წინათ.

**მაიკლი:** ისინი თქვენი მეზობლები იყვნენ, მემ?

**მოხუცი ქალი:** მოდი, გვერდზე დამიჯექი და გაიმბობ მათ შესახებ **(მაიკლი ჯდება კერძისთან მის გვერდით).** იყო ერთი ჩრდილოელი წითური კაცი ო'დონელთა საგვარეულოდან, კიდევ ერთი სამხრეთელი კაცი ო'სალვანთაგან და კიდევ ერთი, – ბრაიანი, რომელიც გარდაიცვალა ზღვასთან ახლოს, კლონდარფში და ერთი დიდი კაცი დასავლეთიდან.<sup>7</sup> ზოგი ასობით წლის წინათ გარდაიცვალა და ზოგ-ზოგნი კი ხვალ გარდაიცვლებიან.

**მაიკლი:** ეს ზოგ-ზოგნი სამხრეთში გარდაიცვლებიან ხვალ?

**მოხუცი ქალი:** უფრო ახლოს, ახლოს მოინე ჩემკენ.

**ბრიჯიტი:** როგორ ფიქრობ, მართალს ამბობს? თუ მინისქვეშეთიდანაა მოსული?

**პიტერი:** მას შემდეგ, რაც ამდენი გასაჭირი და წუხილი გადაიტანა, არც კი ესმის, რას ლაპარაკობს.

**ბრიჯიტი:** საბრალო ქალი, კარგად უნდა მოვეყრათ.

**პიტერი:** რძე დაალევიან და ერთი ნაჭერი შვრიის ნამცხვარიც მიეცი.

**ბრიჯიტი:** ამას გარდა კიდევ რამე ხომ არ მივცეთ თან წასაღებად? როცა შინ ამდენი ფული გვაქვს, შეგვიძლია რამდენიმე პენსი ან შილინგი მივცეთ.

**პიტერი:** მისთვის არ დამენანებოდა, დასაზოგად რომ არ გვქონდეს საქმე. თუ ასე გავფლანგავთ, რაც გვაქვს, მაშინ ას ფუნტს მოაკლდება და დასანანი იქნება.

**ბრიჯიტი:** გრცხვენოდეს, პიტერ. მიეცი შილინგი და თან დალოცე, თორემ შეიძლება ჩვენი ბედი უკულმა დატრიალდეს.

**(პიტერი მიდის სკივრთან და იღებს ერთ შილინგს).**

**ბრიჯიტი:** (მოხუც ქალს). რძეს დალევთ, მემ?

**მოხუცი ქალი:** რაც მე მინდა, არც საჭმელია და არც სასმელი.

**პიტერი:** (სთავაზობს შილინგს). აი, რაღაც მაქვს თქვენთვის.

**მოხუცი ქალი:** ეს ის არ არის, რაც მე მინდა. ვერცხლი ის არ არის, რაც მე მინდა.

**პიტერი:** მამ რას ინებებდით?

**მოხუცი ქალი:** თუ ვინმეს ჩემი დახმარება უნდა, მაშინ საკუთარი თავი უნდა შემომთავაზოს და ყველაფერი დათმოს.

**(პიტერი მაგიდასთან მიდის და თან გაოგნებული დაჰყურებს შილინგს, მერე ბრიჯიტს რაღაცას უჩურჩულებს).**

**მაიკლი:** ნუთუ არავინ გყავთ, რომ თქვენისთანა ასაკოვან ქალს მოუაროს, მემ?

**მოხუცი ქალი:** იმათ შორის, რომელნიც თავის სიყვარულს მთავაზობდნენ, არავინ მყავს, არცერთისთვის არ გამიშლია ლოგინი.

**მაიკლი:** მარტოდმარტო დახვალთ გზებზე, მემ?

**მოხუცი ქალი:** მე ჩემი ფიქრები და ჩემი იმედები მაქვს.

**მაიკლი:** მაინც რა არის თქვენი სანუკვარი იმედი?

**მოხუცი ქალი:** იმედი, რომ ჩემს ლამაზ მინდვრებს კვლავ დავიბრუნებ, იმედი, რომ უცხოელებს განვდევნი ჩემი სახლიდან.

**მაიკლი:** მაინც როგორ მოახერხებთ ამას, მემ?

**მოხუცი ქალი:** კარგი მეგობრები მყავს. ისინი დამეხმარებიან. სწორედ ახლა იყრიან თავს ერთად ჩემს დასახმარებლად. მე არ მეშინია. თუ დღეს ისინი დათრგუნულნი არიან, ხვალ უპირატესობას მოიპოვებენ. (დგება). ჩემი მეგობრების შესახვედრად უნდა წავიდე. ისინი ჩემს დასახმარებლად მოდიან და უნდა დავხვდე. თავი უნდა მოვუყარო მეზობლებს, რათა შევეგებო მათ.

**მაიკლი:** მეც წამოგყვებით.

**ბრიჯიტი:** მის მეგობრებთან კი არ უნდა წახვიდე შესაგებებლად, მაიკლ, შენ გოგოს უნდა შეეგებო, რომელიც შენს სახლში მოდის. უამრავი რამ გაქვს გასაკეთებელი. საჭმელ-სასმელი უნდა მოუტანო. ქალი, რომელიც შენს სახლში მოდის, ხელცარიელი არ არის, და შენც არ უნდა დაახვედრო ცარიელი სახლი. (მოხუც ქალს). თქვენ ალბათ არ იცით, რომ ხვალ ჩემი ვაჟი დაქორწინებას აპირებს.

**მოხუცი ქალი:** კაცი, რომლის დახმარებასაც ვეძიებ, არ არის ის, რომელიც ხვალ დაქორწინდება.

**პიტერი:** (ბრიჯიტს) რას ფიქრობ, ბოლოს და ბოლოს ვინ არის ეს ქალი?

**ბრიჯიტი:** ჯერ არ გითქვამთ თქვენი სახელი, მემ.

**მოხუცი ქალი:** ზოგი საბრალო მოხუც ქალს მეძახის და ისეთებიც არიან, რომლებიც კეთლის მეძახიან, ჰოუ-ლიჰენის ასულს.

**პიტერი:** მგონი ვილაცას ვიცნობდი ასეთი სახელით. ნეტავ ვის? ეს ის უნდა იყოს, რომელსაც ჩემს ბიჭობაში ვიცნობდი. არა, არა, გამახსენდა, ეს სახელი რომელიღაც სიმღერაში გამიგონია.

**მოხუცი ქალი:** (კარებში დგას). უკვირთ, რომ ჩემზე სიმღერებს თხზავდნენ. უამრავი სიმღერა დაუნერიათ ჩემზე. ამ დილითაც მოვისმინე ქარით მოტანილი სიმღერა; (მღერის)

**მაინცდამაინც ნუ დაიტირებთ, როცა საფლავებს გათხრიან ხვალ, ნურც მღვდლებს მოიყვანთ, ყელზე თეთრი ბუნვით, მათთვის ვინც მინას მიეზარება ხვალ. ნუ გაშლით სუფრას, ნუ უხმობთ უცხოთ, როს წირვის ჟამი დადგება ხვალ, ნუ დაურიგებთ მლოცველებს ფულებს მათი სულისთვის, ვინც დაეცემა ხვალ.**

მათ არ დასჭირდებთ მლოცველები, მათ არ დასჭირდებთ მლოცველები.

**მაიკლი:** არ ვიცი, ეს სიმღერა რას მიანიშნებს, მაგრამ ის კი მინდა გითხრათ, თუ რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთო.

**პიტერი:** მაიკლ, მოდი ჩემთან.

**მაიკლი:** სუ, მამა, უსმინე.

**მოხუცი ქალი:** ჩემი დახმარება მძიმე სამსახურია. მრავალნი, რომელთაც ახლა ვარდისფერი ღანვები აქვთ, ფერს დაკარგავენ, მრავალნი, რომლებიც თავისუფლად ადიოდნენ გორაკებზე, დადიოდნენ ჭანჭრობებსა და ლელიანში, გაგზავნილნი იქნებიან შორეული ქვეყნების მყარ ქუჩებში სასიარულოდ. ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჩაიშლება; მრავალნი, რომელთაც ფული დააგროვეს, ვერ მოესწრებიან მათ დახარჯვას. მრავალი ბავშვი დაიბადება და მათ არ ეყოლებათ მამები, რომ ნათლობისას სახელი შეარქვან. ისინი, ვისაც წითელი ღანვები აქვთ, ჩემს გამო გაფითრდებიან და იფიქრებენ, რომ ეს მათთვის კარგი საზღაური იყო. (ის გადის გარეთ; გარედან ისმის მისი სიმღერა).

**ისინი ეხსომებათ მარადიულად, ისინი იცოცხლებენ მარადიულად, ისინი ილაპარაკებენ მარადიულად, მათ ხალხი მოუსმენს მარადიულად.**

**ბრიჯიტი:** (პიტერს) მაიკლს შეხედე, პიტერ, ისე გამოიყურება, თითქოს სნება შეყრია (ხმას უწევს), მაიკლ, შეხედე შენს საქორწილო ტანსაცმელს. შეხედე, რა დიდებული ტანსაცმელია! შეგიძლია ახლავე მოიზომო. სამწუხარო იქნება, თუ ხვალ კარგად არ მოგერგება. ბიჭები დაგცინებენ. მოდი, აიღე, მაიკლ, გადი მეორე ოთახში და მოიზომე. (ტანსაცმელს მკლავზე გადაუკიდებს).

**მაიკლი:** რა ქორწილზე მელაპარაკებ? ან რა ტანსაცმელი მეცმევა ხვალ?

**ბრიჯიტი:** ეს ის ტანსაცმელია, რომელიც ხვალ უნდა გეცვას, როცა დელია კაპელზე იქორწინებს.

**მაიკლი:** ეგ სულ გადამაზინყდა.

## დრამატურგია

(ტანსაცმელს უყურებს და მერე შიდა ოთახისკენ შებრუნდება, მაგრამ გარედან შემოსული შეძახილების გამო ჩერდება).

**პიტერი:** ეს ხმები ჩვენს კართან ისმის. რა მოხდა?

(მეზობლები შემოდინან პატრიკსა და დელიასთან ერთად).

**პატრიკი:** ყურეში ხომალდები შემოვიდნენ. ფრანგები კილაღას ნაპირზე გადმოდიან!

(პიტერი ჩიბუხს იღებს პირიდან, ქუდს იხდის და დგება. მაიკლს მკლავიდან ტანსაცმელი უცურდება).

**დელია:** მაიკლ! (მაიკლი ყურად არ იღებს). მაიკლ! (მაიკლი მისკენ მიბრუნდება). ასე უცხოხავით რატომ მიყურებ?

(დელია ხელს უშვებს მაიკლს. ბრიჯიტი დელიასკენ მიდის).

**პატრიკი:** ბიჭები სწრაფად ეშვებიან გორაკიდან, რომ ფრანგებს შეუერთდნენ.

**დელია:** მაიკლი ვერ შეუერთდება ფრანგებს.

**ბრიჯიტი:** (პიტერს) უთხარი, რომ არ წავიდეს, პიტერ.

**პიტერი:** აზრი არა აქვს. ჩვენი არცერთი სიტყვა არ ესმის.

**ბრიჯიტი:** ცეცხლთან მიიყვანე და შეეცადე, იქნებ დაიყოლიო.

**დელია:** მაიკლ! მაიკლ! შენ არ მიმატოვებ! შენ არ შეუერთდები ფრანგებს. ჩვენ ხომ ხვალ ვქორწინდებით.

(დელია მკლავებს შემოხვევს, მაიკლი მისკენ მიბრუნდება და თითქოს დაწებებას აპირებს. გარედან ისმის მოხუცი ქალის ხმა).

ისინი ილაპარაკებენ მარადიულად,  
მათ ხალხი მოუსმენს მარადიულად.

(მაიკლი მოიშორებს დელიას, წამით კარებთან ჩერდება, მერე გარეთ გავარდება და მისდევს მოხუცი ქალის ხმას. ბრიჯიტი მკლავებს ხვევს დელიას, რომელიც ჩუმად ტირის).

**პიტერი:** (პატრიკს ხელს ჰკიდებს მკლავზე).

ნახე ის მოხუცი ქალი, რომელიც ბილიკს მიუყვებოდა?

**პატრიკი:** მოხუცი არა, მაგრამ ყმაწვილი ქალი კი ვნახე. დედოფალივით მოდიოდა.

1902 წელი

ინგლისურიდან თარგმნა  
მადეა ზაალიშვილი

## ეპისტოლე

ბატონო როსტომ, მსურს მადლობა გადაგიხადოთ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული მრავალი საყურადღებო პუბლიკაციისათვის.

მე-2 ნომერში მეტად დამაინტერესეს ისტორიკოს მერაბ კალანდაძის ლირსესანიონავმა ნაშრომმა — „ღმერთო, იტალია გაანთავისუფლე (ალექსანდრე ორბელიანი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე)“. წერილში ხაზგასმულია, რომ ავტორი მიზნად ისახავს ალექსანდრე ორბელიანის, თავის დროზე თქვენს მიერ მიკვლეული წერილის, „სიტყვა იტალიისათვის“, ანალიზს და ამას ისე ცოცხლად და საინტერესოდ აკეთებს, რომ გადავწყვიტე, ეს მცირე ბარათი გამოემგზავნა.

ბატონი მერაბის ნარკვევი გამოადგებათ XIX საუკუნის ქართულ-ევროპული ურთიერთობით დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებს და მეცნიერებს ვინც კომპარატივისტიკაში მუშაობს.

წერილი საყურადღებო უნდა გახდეს ჩვენი სწოებისათვისაც, ვინც ცხვირანევიტ უყურებენ მამა-პაპათ და ჰგონიათ, რომ პირველად თვითონ გაიკვლიეს გზა ევროპისაკენ და პირველად თვითონ ჩაიხედეს ევროპულ პოლიტიკაში. ოღონდ ერთი რამ ალბათ ვერ გავიგე, ამიტომ გულს დამაკლდა და მორიდებით გაგიზიარებთ თქვენც და წერილის ავტორსაც.

ბატონი მერაბი წერს: ალექსანდრე ორბელიანი უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული.

ჩემი აზრით, ალექსანდრე ორბელიანი მხოლოდ საქართველოს სამეფოს აღდგენაზე იყო ორიენტირებული და, თუ მის მსოფლმხედველობას განვსაზღვრავთ, იგი ტიპური რეაქციონერი კონსერვატორი გახლდათ.

მთლიანად წერილის მიმოხილვას ვერ გავებედავ, მაგრამ ტერმინი ლიბერალი მაინც უადგილოდ მომეჩვენა რამდენიმე ადგილას. თუ ეს ტერმინი „გათავისუფლების“ მნიშვნელობით იხმარება, კიდევ რა უშავს, მაგრამ თუ პოლიტიკური პლატფორმისა და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელია, აბა, სადაური ლიბერალია კამილო კავური, იგი ხომ — მეტერნისხა და დიზრელისთან ერთად — კონსერვატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ევროპაში; სწორედ მათმა პოლიტიკამ მოუტანა ათწლეულობით მშვიდობა ნაპოლეონის შემდგომ ევროპას.

ამავე ნომერში თამარ ლონდაქესთან ინტერვიუში ბრძანებთ, ბატონო როსტომ: მონოგრაფია მოვამზადე კონსერვატიზმის ისტორიაზე. მოუთმენლად დაველოდები თქვენს ახალ წიგნს; მასში, ალბათ, ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებზეც იქნება პასუხი გაცემული.

ზაზა ტატიშვილი

\* \* \*

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობა.

იმხანად ვერაზე გვაქვს ბინა დადებული.

ბესიკ ხარანაულის პოემას განვიხილავთ – „ამბავი ამბა ბესარიონისა“, რომელიც ის-ისაა გამოქვეყნდა ჟურნალ „არილის“ ფურცლებზე და უკვე დავა-მსჯელობის საგნადაც იქცა. ასეთი მღელვარება, გამონვეული მარტოდენ ლიტერატურული ინტერესით, დიდი იშვიათობაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში და მითუფრო დასაფასებელია ასეთი თხზულების შექმნა.

ერთი მხრივ – აღტაცება.

მეორე მხრივ – დაუფარავი ირონია: უჯრების დალაგებისას მორჩენილ ნაკუნებს რომ გადააწყდა, გადასაყრელად დაენანა და ერთი სათაურის ქვეშ გააერთიანაო.

ბესიკი ამჯერადაც მშვიდად ხვდებოდა ქებასაც და გაკილვასაც.

ეს თავყრილობა მის საქებრად მმართველად ჩემი მოხსენება სულაც დითირამბია. მაშაგებელი ან არ მოსულან, ანდა დარბაზს განწყობილებას შეატყეს და გაყურება ამჯობინეს, ვიდრე ნელ-ნელა გაიპარებოდნენ.

სიტყვით ელისო კალანდარიშვილი გამოდის.

იგი იმ ორატორთაგანია, რომელნიც არასოდეს გამოვლენ ზერელედ, ზოგად შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, მარტოდენ მეხსიერების იმედზე... ამიტომაც მისი გამოსვლები ყოველთვის შთამბეჭდავია – ზეპირადაც და ლიტერატურულ რეპორტაჟში ჩართვის დროსაც.

ეს მისი უნარიცაა, ხასიათის თვისებაც, თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვამ კი კიდევ უფრო განაფა.

ახლაც საგულისხმო დაკვირვებებს გამოთქვამს, კომპოზიციურადაც კარგად ჰკრავს სიტყვას, მზამზარეული სტატიია და ეგაა... დასასრულს კი აღიარებს: რა ვქნა, ვერაფრით ვერ ავხსენი, ნუმერაციისას რატომ გადადის ბატონი ბესიკი ორმოცდარვიდან პირდაპირ ორმოცდაათზე, რა იგულისხმა, რა სიმბოლიკა ჩაუთქვა ორმოცდაცხრის გამოტოვებასო... რაკილა პოემა სავსეა ბიბლიური ასოციაციებით, ამჯერადაც ბიბლიური სტილისტიკისა და სიმბოლიკის მეშვეობით შევეცადე ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზის მიგნებას, არ დამიტოვებია ერთი პასაჟი კი ძველსა და ახალ აღთქმაში, „ერგასი“ ყოფილიყო ნახსენები და „ამბა ბესარიონის“ ამ იდუმალი ადგილისათვის არ დამეკავშირებინა. მე ვერაფერი გავანყე, მაგრამ ციტატებს გაგაცნობთ და იქნებ თქვენ უფრო შენიშნოთ რაღაც საერთო. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეგებ ავტორის დაუხმარებლადაც გავიდე ფონს, თორემ ბატონი ბესიკი ხომ ავგინხნის და ავგინხნის ორმოცდაცხრის გამოტოვების დედაზროსო.

შეკითხვებსა თუ მოსაზრებებზე პასუხის გაცემა საღამოს გამოს შეხვედრის ბოლოს ევალება, მაგრამ დარბა-



ზი ისე აჩოჩოლდება ცნობისნადილისაგან და მოითხოვს: ბარემ განგვიმარტოს, თორემ ჩვენით ვერ მიგვიგნიაო, – რომ თქვენი მონა-მორჩილი ანგარიშს უწევს აუდიტორიის მოთხოვნას და სიტყვას ბესიკ ხარანაულს გადასცემს.

– რას ამბობთ, დანომრვისას ერთი რიცხვი ჩამიგდია?... არა, რა სიმბოლური მინიშნება, რომელი იდუმალი განზრახვა, გამომრჩენია და ეგ არის, ათისა და ოცის ფარგლებში უფრო იოლია დათვლაც და ანგარიშიც, ორმოცს რომ აცდება, მაშინ უკვე... ნიგნში აუცილებლად გავასწორებ.

და გაიღიმებს, იხუმრებსავეით:

– სკოლაში სულ მიჭირდა ეს უმაღლესი მათემატიკა.

ნიგნად გამოცემისას მართლაც გაასწორებდა და ან უკვე უმაღლესი მათემატიკის შესაფერისადაა დანომრული პოემა.

ჩემთვის რომ ეკითხა, არამცთუ ამ შესწორებას არ ვურჩევდი, გავუზიარებდი აზრს, რომ ნუმერაცია სულაც

აერ-დაერია. სხვაგან რა მოგახსენოთ ამგვარი არევ-დარევის მხატვრული დანიშნულებისა, მაგრამ „ამბა ბესარიონის ამბავს“ უთუოდ დაშვენდებოდა, რადგანაც დროსივრცე გაურღვევია მთავარ გმირს, ყოველგვარი დანომრვისა და საათთა ნიკნიკის მიღმა მოქმედებს და ბარემ პერსონაჟის ხასიათი და ეს მხატვრულ-იდუმალური მრწამსი თხრობის გრაფიკულ იერშიც არეკლილიყო.

თუმც ჩემთვის, აბა, რატომ უნდა ეკითხა?!.

...ისე ორივე ნობელიანტი ვართ.

მე ზაურ ბოლქვაძემ მიბოძა ეს ჯილდო.

ბესიკ ხარანაულს – შოთა იათაშვილმა.

\* \* \*

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას ამჯერად ქუთაისში აქვს შეხვედრა – უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში.

ზეზვა მედულაშვილი ვასტუმრეთ იქაურობას – როგორც მთარგმნელი და როგორც ეპიგრამებისა და შაირკაფიის ოსტატი.

მის ფეიერვერკულ ნიჭს იუმორისტული პოეტური მინიატურების შეთხზვისას ბადალს ძნელად მოუძებნით, და ალბათ ასეთივე უნარით დაჯილდოებულიყვენ ის უცნობი მელექსენიც, შოთა რუსთველი მოხიბლული რომ გვიტოვებდა თავის აღტაცებულ შეფასებას „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში: ჩვენ მათიცა გვეამბობისო.

არც ის გვინდა, კაფიის, ეპიგრამის გარეგნულმა ეფექტმა გადაფაროს ზეზვას მთარგმნელობითი ღვაწლი, ასერიგად მნიშვნელოვანი და დაუფასებელი, თანაბარი ხელოვნებით რომ აუმეტყველებს პოეტური და ბელეტრისტული ნიმუშები, თანაც რამდენიმე ენიდან. ამიტომაც

ვამჯობინეთ, რომ ორივე ასპექტით წარმდგარიყო მსმენელის წინაშე. არადა, ქუთათურ მკითხველთა დახვეწილ გემოვნებასა და დაუმცხრალ ლიტერატურულ ინტერესს სწორედ ამ რანგის მწერლებთან შეხვედრა შეჰფერის.

მეც და ლევან ბრეგაძეც აუდიტორიას ვინვევთ: რა სიტყვაც გნებავთ, შესთავაზეთ გასართიად და ეპიგრა-მაში მოსაქცევად, ნახავთ, წამის უსწრაფესად რა ჩინე-ბულ მინიატურას დაგიბრუნებთ პასუხად.

მსმენელები დუმან, ერთმანეთს გადახედავენ, მზერით ავულიანებენ, მაგრამ პირველად არცერთს არა სურს სიტყვის დაძვრა.

მე ზეზვას უნარის საილუსტრაციოდ ვიხსენებ, თუ როგორ გაართმა სახელდახელოდ „ემპირი-ოკრიტიციზმი“. უფრო ჩახლართული, პოეტური მეტყველები-სათვის შეუფერებელი სიტყვა ხომ ძნელად მოიძებნება, თანაც დროში უკიდურესად შეზღუდული ხარ, ფიქრისათვის წამიც აღარ გრჩება... მაგრამ ზეზვა რისი ზეზვაა:

**მე ვატყობ, რომ შენი სახით იმპერია კრეტინ გვიზრდის, ვერაფერი გაგივია ემპირიოკრიტიციზმის.**

მსმენელთა ტაში ოვაციაში გადადის. ლევან ბრეგაძე კი თავისი იუმორისტული ციკლიდან – „ზეზვაურები“ – არაერთ ნიმუშს რომ დაიმონმებს, აუდიტორიის ოვაცია მაინც „უპანიშალებს“ უეცრად გასხივოსნებას მოსდევს ამ მახვილგონივრულ სტრიქონებში:

**მე მინდა ვუთხრა ერთვულ მარაქას, სირცხვილით პირიც რომ გამიშავდეს; მერე რა ვუყოთ, ფული არა მაქვს და ვერ ვყიდულობ „უპანიშალებს“.**

სალამოს გმირი ვიდრე თავის მთარგმნელობით მე-თოდზე ისაუბრებდეს და ცალკეულ პოეტურ ნიმუშებს გააცნობდეთ ქართულადაც და ორიგინალის ენაზეც – სპარსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, დამსწრეთ განუცხადებთ: ქუთაისში პირველად ვიმყოფებიო.

იქვე გამოტყდება: ისე ერთხელაც კი ვარ ნამყოფი, გზად გამომატარეს, მაგრამ ისეთი მთვრალი ვიყავი, არაფერი მახსოვს, ასე რომ, ეს ჩამოსვლა პირველი გამოდის და ისეთ გუნებაზე ვარ, ისე მოვიხიბლე ამ დღით, ვატყობ, ამიერიდან უფრო ხშირად გენვევითო.

და გასახალისებლად ანეკდოტს მოაყოლებს:  
– კახელს ჰკითხეს: რა განათლება გაქვსო? – და: უმაღლესიო. – სად დაამთავრეო? – და: ორჯერ ვარ ქუთაისში ნამყოფიო.

ქუთათურებს უხარიათ კახელი კაცის ასეთი შეღმი-ლება: მართლა ჩვენთან ყოფილა და ეგ არისო.

ზეზვა განაგრძობს:

– ჯერჯერობით ისე გამოდის, რომ უმაღლესი არ დამითავრებია, მაგრამ უახლოეს ხანში, ჩემი მეგობრების წყალობით, მაგასაც მოვესწრები.

– მამ მაგისტრანტად მაინც მივიღებთ!

ეს ავთანდილ ნიკოლეიშვილია, ვისაც პროფესორობა, გელათის აკადემიის აკადემიკოსობა თუ უამრავი წიგნის ავტორობა ხელს არ უშლის, რომ ლიტერატურულ თუ სამეცნიერო თავყრილობებს არ გამოაკლდეს. მისთვის მწერლობა ცხოვრების სტილია და არა მხოლოდ პროფესია. ამიტომაც გაულო კარი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას უნივერსიტეტის რექტორობისას – ამ ინტერესით და არა რაღაც მოვალეობებით, და რექტორობიდან წასვლის შემდეგაც კვლავ ჩართულია მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

რადგანაც სტუდენტები თუ სხვა პროფესორ-მასწავლებლები ერიდებიან რეპლიკასა ან გასართიმი სიტყვის შეთავაზებას, დაე მაგალითი მან მისცეს. და გაეხუმრება თუ არა სტუმარს, კიდევ წამოინეწეს ყველას დასანახად – პირველი რიგის განაპირა მხარეს ზის – და თვალს მიმოატარებს

დარბაზს: აი, ასე უნდა, როდესაც მხიარული განწყობილება ისადგურებსო.

ზეზვა უეცრად საკბილოს ჩაავლებს:

**— კი გავხდები მაგისტრანტი, თუ გექნებათ მაგის... და ჩუმდება.**

აუდიტორია განაბულია.

ზეზვას ეტყობა, რომ სიჩუმე დროებითია და სულაც არ მიახლოებს მისი დაბოლოებას დამსწრეთ. თვითონვე დაამთავრებს. და კიდევ:

– ...შესაძლებლობა.

ჰოი, რა ზრიალი ატყდებოდა.

ვერცერთი სიტყვა ვერ იქნებოდა ამგვარ დასასრულზე უფრო ეფექტური, უფრო მახვილი, უფრო პოეტური. ისე როგორია, ა? – „მაგისტრანტის“ რითმად „შესაძლებლობა“.

ამგვარი აბრუნდები რუსთველის დროის მოკაფიავე-ებსაც ეცოდინებოდათ, რითმის კლასიკური ჩამოსხმის ხანაში გარეგნულად უცნაურ გართიმებს რომ შესთავა-ზებდნენ თანამეინახეთ.

...ვერასოდეს ვიფიქრებდი, სიტყვა „შესაძლებლობა“ ასეთ სიცილს თუ იწვევდა, და კიდევ ტაშს – ოვაციაში გადაზრდილს.

კი გავხდები მაგისტრანტიო, – აღთქმას სდებდა ზეზვა მედულაშვილი და მავედრებელი მზერით შეჰყურებდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრებს: ისევ თქვენ თუ მიშველით, თორემ ჩემით აქეთ როდის მოვხვ-დებო.



ერთი კაი რომანი

ერთმა გონიერმა მკითხველმა, როდესაც ნაიკითხა ვალერიან გაბაშვილის მოგონება ივანე ჯავახიშვილზე, გამოქვეყნებული „მაცნეს“ საიუბილეო ნომერში (1976 წ.), ლაკონიურად გამოხატა თავისი შთაბეჭდილება: ეს კაცი მწერლად არის დაბადებული.

ის კი არ იცოდა, რომ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე უკვე იბეჭდებოდა ამ „მწერლად დაბადებული კაცის“ ერთი კაი რომანი (ნიკოლოზ გაბაშვილის ფსევდონიმით), რომელსაც ერქვა „აივინანი ქალაქი“ და საუცხოოდ ასახავდა XIX საუკუნის თბილისსა და მის ქრელქრულა მკვიდრთა ამბავ-ხაზარს.

უკვე ხანშესული იყო, როდესაც გამოამჟღავნა, რომ გამოჩენილი ისტორიკოსი, აღმოსავლეთის ცხოვრების მესაიდუმლე და მოწაფე ივანე ჯავახიშვილისა, თურმე ბელეტრისტის ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული.

მიმხვედრი ამას ადრეც უნდა მიმხედარიყო! ვალიკო გაბაშვილს თავის თანამშრომლებთან მხატვრულ ლიტერატურაზე საუბარი მუდამ ეხალისებოდა. ხანდახან მათ ანცვიფრებდა კიდევ იშვიათი ერუდიციით ამ სფეროშიც. ისეთი რაღაცეები ჰქონდა ნაკითხული, საქართველოში ორიოდე კაცს თუ ეცოდინებოდა (მაგალითად, ტურგენევის კერძო წერილები ანდა ლუი სელინის რომანი – ფრანგულ რომანებს დედანში კითხულობდა).

თავის „აივინანი ქალაქზე“ კი ამბობდა, ახალგაზრდობაში მსახიობობასთან ერთად (სანდრო ახმეტელის დასში) მწერლობასაც ვლამობდი და ეს მაშინდელი ნაწერი არისო.

უნყინარ მისტიფიკაციასთან უნდა გვექონდეს საქმე – რამეთუ რომანს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. ფსევდონიმით შენიღბვაც ხომ იმას მეტყველებს, რომ აკადემიკოსის ჩაჩით შემკულს, ეტყობა, ექოჭმანებოდა ახალი და შეუჩვეველი ამბულა.

რაც შეეხება მოგონებას ივანე ჯავახიშვილზე, ასეთი მრავლისმომცველი და მრავლისმთქმელი პორტრეტი დიდი ქართველი მეცნიერისა, ალბათ, სხვა არც მოიძებნება. საქმე ისაა, რომ მცირე მოცულობის ნაშრომში დაიხატა არა მხოლოდ სწორუპოვარი სწავლულისა და მასწავლებლის, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავის სახეც – თავისი ადამიანური ტკივილებით.

ყველა სიკეთესთან ერთად ამ მოგონებას ამშვენებს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა.

მოგონების ავტორი მოგვითხრობს, რომ ერთხელაც მორიგ სემინარზე ასპირანტებმა სთხოვეს ივანე ჯავახიშვილს, გამოეთქვა თავისი აზრი გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე.

ეს ხდება მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში, კრემლის მბრძანებლის თაოსნობითა და კარნახით, ფართო გასაქანი მიეცა ათასჯერ დაგმობილი წარსულის შერისხულ მეფე-სარდალთა დადებით შეფასებას ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ახლოვდებოდა სამკვედრო-სასიცოცხლო ომი და კრემლში ზუსტად გამოთვალეს, რომ ნაციონალიზმი უფრო გამოადგებოდათ, ვიდრე ინტერნაციონალიზმი.

რუსეთში ხოტბას ასხამდნენ პეტრე პირველს, ივანე მრისხანეს, ალექსანდრე ნეველს, სუფოროვსა და კუტუზოვს...

ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო და, იმავე კრემლის მბრძანებლის ნაქმეებით, საქართველოში აყვავდა გიორგი სააკაძის კულტი. რომანები, პიესები, ნოველები, ლექსები და პოემები ტკბილად უგალობდნენ დიდ მოურავს. იბადებოდა დიდი ფილმიც – დიდი სამამულო ომის გაგანია წლებში რომ გადაიღებენ.



ვალერიან გაბაშვილი

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, საცაა ოპერა-ბალეტიც ამღერებდა და ააცეკვებდა გმირთაგმირს. აბა თავად განსაჯეთ, რომელ ქართველს არ აენტებოდა გული, თუკი პეტრე ამირანაშვილი, გიორგი სააკაძის ხმით, დასჭექდა: მე სიცოცხლეს ხელმეორედ შევნირავედი მშობელ მხარესო, და ვახტანგ ჭაბუკიანი მამაპაპური ფარ-ხმალით ქარბორბალას დაატრიალებდა სცენაზე.

ივანე ჯავახიშვილს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი ჰქონდა ნათქვამი ხალხის უსაყვარლეს გმირზე. თავისი მთავარი თხზულება „ქართველი ერის ისტორია“ ჯერ არ მიეყვანა გიორგი სააკაძის ეპოქამდე (და, სამწუხაროდ, აღარც ეწერა მისვლა ავტორის მოულოდნელი სიკვდილის გამო).

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ასპირანტთა თამაში შეჭრა ძვირფასი მასწავლებლის მკაცრად დაგეგმილი სემინარის მსვლელობაში. ძალუმაღ წყუროდან გაეგოთ ნაფიქრალი მოძღვართ-მოძღვრისა.

ივანე ჯავახიშვილს მოკლედ მოუჭრია: ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო. ვალერიან გაბაშვილი გვაუწყებს ამ უჩვეულო ვერდიქტს და დასძენს: „მაგრამ ამ მოკლე ფრაზასაც, ალბათ დამეთანხმებით, კარგი გაკვეთილის მნიშვნელობა ჰქონდა“.

არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა განგებისგან შესახედაობითაც გამოჩენილი კაცისათვის. თბილისური მითქმა-მოთქმის თანახმად, სატრფიალო თავგადასავლები არ მოჰკლებია არც სიჭაბუკეში და არც სიმწიფის ჟამს. ფეხბურთის თამაშშიც უყვარდა და გულშემატკივრობაც. მხურვალე მელომანი და ამიკი ოპერის თეატრში ხშირ-ხშირად დაიარებოდა. ძველი თბილისის ტრფიალსა და მემბტიანეს ძველებური მოლხენაც ეამებოდა. როდესაც ადლეგრძელებდნენ, სამადლობელს ასე იხდიდა: თქვენთან ერთად, თქვენთან ერთადო და ეს გულწრფელი სიტყვები არავის ეჩვენებოდა ტრაფარეტულად.

ერთორიც თავისებური ჰქონდა. იმ მშვენიერ დღეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექციამ (ინსტიტუტის ფუძემდებელი და მისი პირველი დირექტორი აკად. გიორგი წერეთელი უკვე აღარ იყო ამქვეყნად) ამხ. ვ. გაბაშვილს, როგორც ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგეს, რაღაც აბსურდული დავალება შეაწერა (საბჭოთა კავშირში უპირველეს სამეცნიერო დისციპლინად მიჩნეული „სამოქალაქო თავდაცვის“ თაობაზე). მეცნიერ კაცს, ცხადია, არ ეჭაწინკა თავისი საქმისგან მოცდენა. უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა: ამაზეა ნათქვამი, მოცული კაცი ყურებში მახათს იყრიდაო. საკმაოდ ხმამაღლა ჩაიბუზღუნა, ოთახში კი ახალგაზრდა ქალიც იჯდა – განყოფილების თანამშრომელი. გაბაშვილმა, ვითომც არ დამინახავსო, ნათქვამის მერედა შეავლო თვალი. თავი ასე იმართლა: რა უშავს, ისტორიკოსია, ყველაფერი უნდა გაიგოსო.

ერთხელაც ერთმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა თანამშრომელმა გულახდილად შესჩივლა, გული მანუხებო.

გაბაშვილმა გულიანად გაიცინა და უთხრა: რა დროს შენი გულიაო, მერე კი ხუმრობის გუნებაზე დადგა და ჭკუა ასე დაარიგა: მართლა თუ განუხებს, ახლა ერთი კაი რომანი მოგიხდებო.

პასუხად მოესმა: აგერ, სტაინბეკის ახალი რომანი იბეჭდება „ინოსტრანკაში“ და გატაცებით ვკითხულობო.

უნდა გენახათ, როგორ ახარხარდა ვალიკო გაბაშვილი – ერი-ჰაა... მე სხვანაირ რომანს ვგულისხმობდიო.



ჯოჯოხეთი აქვეყნიური

„ხოლო მეექვსე საათიდან მეცხრე საათამდე წყვილადმა მოიცვა მთელი ქვეყანა. და ასე, მეცხრე საათს ხმამალა შეღალადა იესომ: ელი, ელი, ლამა საბაქთანნი? რაც ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“ – ასე გადმოგვცემს მაცხოვრის აღსასრულს სახარება მათესი.

...ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მთელი მსოფლიო გაოცებითა და შეძრწუნებით ადევნებდა თვალს იმ სასტიკ ორთაბრძოლას, სტალინგრადში რომ გაიმართა 1942 წლის აგვისტოდან მომდევნო წლის თებერვლამდე.

„ღმერთო, ღმერთო, რატომ მიგვატოვე ჩვენ?“ – სასონარკვეთით აღმოხდა პიტლერელთა 24-ე სატანკო დივიზიის ლეიტენანტს.

ერთი სახლისათვის 15 დღე იბრძოდნენ და უკვე მესამე დღეს 54 გერმანელის გვამი ეგო სარდაფებში, კიბეებზე... ფრონტი ერქვა ტალანს დამწვარ ოთახებს შორის. დილიდან დაღამებამდე განუწყვეტელი ბრძოლა იყო გაჩაღებული სახლის ნანგრევების დასაუფლებად. ჰაერში ტრიალებდა მტერისა და კვამლის ღრუბლები, ძირს ეყარა ბათქაშის გროვა, ავეჯის ნამსხვრევები და მებრძოლთა ცხედრები.

ზემოსხენებული გერმანელი ლეიტენანტის ინფორმაცია მოთქმას უფრო წააგავს: „ჰკითხეთ ნებისმიერ ჯარისკაცს, რას ნიშნავს ასეთ არაადამიანურ ვითარებაში ხელჩართული ბრძოლა და თქვენ წარმოიდგინეთ სტალინგრადს... ქუჩა მეტრობით კი არ იზომება, არამედ – გვამებით“.

მისივე სიტყვით, სტალინგრადი აღარ ჰგავდა ქალაქს. დღისით ეს იყო ხანძრისა და კვამლის უზარმაზარი ღრუბელი, ხოლო როცა ღამდებოდა, ძალები ცვიოდნენ ვოლგაში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მეორე ნაპირისკენ მიცურავდნენ, რადგან სტალინგრადის ღამეები თავზარს სცემდა მათ. პირუტყვები გარბოდნენ ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან, სადაც დნებოდა ქვები.

„მხოლოდ ადამიანებს ძალუძთ ამ ჯოჯოხეთის ატანა“ – ასკვნიდა საზარბაზნე ხორცად განწირული გერმანელი ლეიტენანტი.

ამერიკელი ისტორიკოსის ლუის კილზერის სიტყვით, შეშინებული ადამიანები კვდებიან როგორც ლაჩრები ანდა როგორც გმირები. მაგრამ სტალინგრადში, სადაც სიკვდილი ნე-

ბისმიერ შემთხვევაში გარდუვალი ერვენებოდათ, მხდალებსაც კი ყველაფერზე მეტად ენადათ გმირობა. ისინი იბრძოდნენ არათუ გააფთრებითა და შეუპოვრად, არამედ – ქედმაღლურადაც, ვინაიდან სჯეროდათ, რომ გააცურეს და აბუჩად აიგდეს სიკვდილი.

„ეს ადამიანები სტალინგრადის ლეგენდად და გმირებად იქცნენ“, – აღნიშნავს ლუის კილზერი.

ნაცისტურმა პროპაგანდამ ალყაში მოქცეული გერმანელთა მე-6 არმიის ხევედრი შეადარა 300 რჩეული სპარტელის თავგანწირვას, მეფე ლეონიდასის მეთაურობით რომ შეაკვდნენ მრავალრიცხოვან მტერს თერმოპილესთან, 25 საუკუნის წინათ, და პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

შორეულ სტალინგრადში ევროპას ვიცავდით ბოლშევიკური ჭირისგანო.

ეს იყო ერთი თვალსაზრისი.

სანინალმდეგო თვალსაზრისის მიხედვით, წითელი არმიის მიერ სტალინგრადში მოხვეჭილმა გამარჯვებამ ხერხემალი გადაუმტვრია პიტლერელთა ჯარს, იმედის სხივად მოევილინა ოკუპირებულ ევროპას და საბოლოოდ გადახარა ბრძოლის სასწორი ანტიპიტლერული კოალიციის მხარეს.

1943 წლის დამლევს, „დიდი სამეულის“ კონფერენციაზე თეირანში, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა, ინგლისის მეფის სახელით, სტალინს მიართვა საპატიო მახვილი, მისი უდიდებულესობის სპეციალური დაკვეთით რომ იყო დამზადებული ძღვნად სტალინგრადის მამაცი დამცველებისათვის.

ერთი წლის შემდეგ პიტლერელთაგან გათავისუფლებულ პარიზში ერთ-ერთ მოედანს ეწოდა სტალინგრადის სახელი.

1943 წლის დამდეგს, სტალინგრადის ეპოპეის ცხელ კვალზე, ორმა სახელოვანმა მწერალმა მისაღმება აფრინა მოსკოვს.

ერნესტ ჰემინგუეი: „1942 წელს თქვენ იხსენით მსოფლიო ბარბაროსული ძალებისგან, როდესაც მტერს წინააღმდეგობას უწევდით მარტონი, თითქმის სხვათა დაუხმარებლად“.

თომას მანი: „მე, ისევე როგორც თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მილიონები, აღტაცებული ვარ რუსი ხალხის ჭეშმარიტად ეპიკური ბრძოლით, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა გასული წლის განმავლობაში“.

ეჰ, ღმერთო დიდებულო, ამქვეყნად რას არ წაიკითხავს კაცი!

დიდი რომელი პოეტის, I საუკუნეში მცხოვრები გაიუს ვალერიუს კატულუსის სრული კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე გამორჩეული მნიშვნელობის მოვლენაა. სალიტერატურო წრეებისათვის კარგად ცნობილმა მთარგმნელმა და ანტიკური მწერლობის მკვლევარმა მანანა ღარიბაშვილმა ჩინებული საქმე აღასრულა – არ იკმარა წლების წინათ გამოცემული, 33 ლექსისაგან შედგენილი კრებული, საგრძნობლად შეავსო, დაურთო პოეტური განცდით დაწერილი წინასიტყვაობა (დიდი რომელის ლიტერატურული პორტრეტი), საფუძვლიანი კომენტარები და ლათინურ ორიგინალთან ერთად წარუდგინა მკითხველს პროგრამა „ლოგოსის“ მეოხებით.

კრებულიდან არაერთი ნიმუშია ცნობილი ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვისაც – ცალკეულ პუბლიკაციათა სახით „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

ის, რაც ვერონის მონასტერში შემორჩენილი ერთადერთი ხელნაწერის წყალობით გადარჩა, საკაცობრიო საგანძურშია და ქართულ სივრცეშიც უკვე მისი სრულფასოვანი ორეული მოგვეპოვება. შეიძლება ითქვას, რომ ხელთ გვაქვს ქართული კატულუსი.

არტ კაფე „ქარავანში“ გამართულ ლიტერატურულ თავყრილობაზე, რომელსაც მენეჯერი ლელა შუბითიძე უძღვებოდა, მეცნიერებმა და მწერლებმა – რისმაგ გორდეზიანი, ლია სტურუა, ნანა ტონია, გიორგი ლობჯანიძე, კახა ჯამბურია, გივი შაჰნაზარი, ემზარ კვიციანიშვილი, ლევან ბრეგაძე, ზაირა არსენიშვილი, შარლოტა კვანტალიანი, თამარ ჯაფარიძე, როსტომ ჩხეიძე – აღმატებული შეფასება არ დაიმურეს თარგმანის მიმართ, გამოითქვა არაერთი საგულისხმო დაკვირვება და მოსაზრება (მათ შორის, პოეტურ საზომთა შერჩევის თაობაზე), რაც მოსალოდნელია, რომ ლიტერატურულ სტატიათა თუ რეცენზიათა საფუძვლად იქცეს.

სანიმუშოდ წაიკითხეს ცალკეული ლექსები როგორც სატრფიალო, ასევე სატირული რეკალიდან.

დეკლამაციის ჩინებული უნარი გამოამყლავნა მანანა ღარიბაშვილმაც, ვინც ორიგინალის ენაზეც გაახშირნა კატულუსის ლირიკა და მათი თარგმანების მთელი ციკლიც მოასმენინა ლიტერატურის გურმანებს.